საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.net
№19 (157)
23 - 29 მაისი, 2012

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

«თბილისის თავზეც 9 ცისფერი დროშა ფრიალებს»

2

## Classic Bullshit Story



პრინსტონის უნივერსიტეტში სააკაშვილმა ქართველი ემიგრანტის შეკითხვას «ხარის ფუნა» უწოდა!



5 ბიძინა ივანიშვილი:

თუ არ გაითვალისწინებთ ჩემს რჩევას და უარს არ იტყვით კონსტიტუციურ ცვლილებებზე, მაშინ მე

## არ მივიღებ მონაწილეობას საპარლამენტო არჩევნებში!

ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს – მიხეილ სააკაშვილს. 22 მაისი, 2012

3




## ხანძარი ბორდელში

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ამერიკელ მასპინძლებს ამ სცენამ, ძალიან დიდი ალბათობით, უკიდეგანო ველურობის, პოლიტიკური ბარბაროსობის შთაბეჭდილება დაუტოვა, რადგან შეერთებულ შტატებში ასე არა მხოლოდ პირველი რანგის პოლიტიკოსები, არამედ მიყრუებული ქალაქების მერობის კანდიდატებიც კი არ იქცევიან. აშკარა გახდა, რომ სააკაშვილს განსხვავებული კრიტიკული აზრის მოსმენა არ შეუძლია, უხერხულ კითხვებს გაურბის და თავს ვერ აკონტროლებს.**




# სააკაშვილი პრინსტონში

**მიხეილ სააკაშვილის ხანგრძლივი, თავგადასავლებით აღსავსე მოგზაურობა ერთი სამარცხვინო ბოძიდან მეორემდე გრძელდება. მორიგ სირცხვილსა და თავის მოჭრას შეერთებულ შტატებში, პრინსტონის უნივერსიტეტში, ჰქონდა ადგილი. ამ ღრმადპატივცემული სასწავლების აუდიტორიაში სააკაშვილი უხერხულ კითხვაზე პასუხის გაცემის ნაცვლად დაუკრეფავში გადავიდა, რამაც წყალში ჩაუყარა ხანგრძლივი მომზადება გამოსვლისათვის და შთაბეჭდილება, რომლის მოხდენასაც მისი მეშვეობით ლამობდა. შეხვედრის ამერიკელმა მონაწილეებმა თვალნათლივ დაინახეს, ვისთან აქვთ საქმე: ,,იდეალისტი დემოკრატის“ ნიღაბმა იმ მომენტში აშკარად ვერ დაფარა მენტალურად ფრიად არასტაბილური, წვრილფეხა დიქტატორის სახე, რომლის მსგავსი მის მასპინძლებს თავიანთ ლათინოამერიკულ სამეზობლოში არაერთი უნახავთ. რამდენიმე რეპლიკამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა.**

ამერიკაში მცხოვრებმა ქართველმა, გიორგი სიგუამ, სააკაშვილს სამი კითხვა დაუსვა: **„ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, სასამართლო პროცესების 99,7% ბრალდების სასარგებლოდ მთავრდება. რატომ არის ასე, რომ ყველა დაპატიმრებული დამნაშავეა? გარდა ამისა, საქართველოში მცხოვრები მამაკაცების ნახევარზე მეტს აპატიმრებენ და მხოლოდ ბიუჯეტში ფულის გადახდის შემდეგ ათავისუფლებენ? შემდეგი შეკითხვა რუსეთის შესახებ მაქვს: გეთანხმებით, რომ რუსეთთან ომი საშინელება იყო, მაგრამ რატომ ხდება, რომ, როდესაც რუსეთს ჩვენი ტერიტორიის 20% აქვს ოკუპირებული, თქვენ მის გაწევრიანებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მხარი დაუჭირეთ? და მესამე, სამი დღის წინ საქართველოში მოხდა სტიქიური უბედურება, დაიტბორა ქუჩები, დაიღუპა 5 ადამიანი, მართალია, რომ მეორე დღეს თქვენ სლოვენიაში საფეხბურთო მატჩს დაესწარით, მომდევნო დღეს კი მილანის მაღაზიაში ძვირფასი საათი იყიდეთ?“.**

სააკაშვილს ნერვებმა უმტყუნა: **„ბოლო შეკითხვაზე პასუხს არ გაგცემთ იმიტომ, რომ ეს არის... total bullshit“.** ოქსფორდის ლექსიკონი **bullshit**-ს ერთმნიშვნელოვნად **„ვულგარულ სლენგს“** მიაკუთვნებს და ამ თემაზე საუბრის დასრულება, პრინციპში, აქვე შეიძლებოდა, თუმცა ურიგო არ იქნება, უფრო შორს, ეტიმოლოგიის მიმართულებით წავიდეთ. სიტყვასიტყვით, **bullshit** „ხარის ფუნას“ ნიშნავს, თუმცა არის ვერსია, რომ სიტყვის პირველი ნაწილი არა ხარისგან, არამედ ძველფრანგული **boul**-იდან მოდის, რომელიც **თაღლითობას, მოტყუებას** ნიშნავს. **მონაჩმახის** დატვირთვით bull-ს ინგლისელები XVII საუკუნიდან იყენებდნენ. XX საუკუნის დასაწყისში ამერიკელებმა ეს სიტყვა შეძლებისდაგვარად გაამდიდრეს და შესაბამისი დაბოლოება დაუმატეს. მისი დატვირთვა დროთა განმავლობაში ნელ-ნელა იცვლებოდა, ხოლო დღევანდელი მნიშვნელობა ყველაზე კარგად ამერიკელმა ფილოსოფოსმა **ჰარი ფრანკფურტმა** აღწერა, რომელმაც **bullshit**-ს 1986-ში ბრწყინვალე ესე მიუძღვნა. ვინ თქვა, რომ ამერიკული ფილოსოფია ისეთივე ნონსენსია, როგორც გერმანული ჰოლივუდი? ეს ასე ნამდვილად არ არის. თავის ვრცელ ნაშრომში წარმოსახვითი ხარის დეფეკაციის პროდუქტზე ჭარმაგმა ფილოსოფოსმა დამაჯერებლად ახსნა, რომ ის ტყუილისგან უნდა განვასხვავოთ. იგი წერს, რომ მატყუარა ის არის, ვინც სიმართლე იცის და შეგნებულად მალავს მას, ხოლო „ბულშითერი“ საერთოდ არ არის დაინტერესებული ჭეშმარიტებით და მხოლოდ საკუთარი, შესაძლოა, მერკანტილური მიზნების მიღწევას ლამობს: **„Bullshit-ი შეიძლება სიმართლეც იყოს და სიცრუეც, მაგრამ „ბულშითერები“ ძირითადად იმაზე არიან მიმართულნი, რომ აუდიტორიაზე შთაბეჭდილება მოახდინონ და დაარწმუნონ ის. მათ ზოგადად არ აინტერესებთ, სიმართლეა ის, რასაც ისინი ამბობენ, თუ სიცრუე,“** — წერს ჰარი ფრანკფურტი, რომელიც, სხვათა შორის, იქვე პრინსტონში მოღვაწეობს. 2005-ში უნივერსიტეტმა მისი ფუნდამენტური ნაშრომი „ბულშითზე” ცალკე წიგნად გამოსცა. **ასე რომ, შეგვიძლია თამამად ვივარაუდოთ, რომ განხილულ, უდავოდ რთულ და მრავალწახნაგოვან საკითხში ყველაზე კარგად დედამიწის ზურგზე სწორედ პრინსტონის უნივერსიტეტში ერკვევიან, რომლის ერთ-ერთ აუდიტორიაში გასულ კვირას მიხეილ სააკაშვილი ნერვულად სვამდა წყალს და ფიქრობდა, რა ეპასუხა გიორგი სიგუასათვის.**

უარყოფა მას არ შეეძლო. მთელმა საქართველომ ნახა, თუ როგორ იჯდა ის სრულიად უდარდელი, მომღიმარი სახით საფეხბურთო მატჩზე სლოვენიაში, მაშინ, როდესაც თბილისში მომხდარი ტრაგედიიდან 24 საათიც არ იყო გასული; **ერთ-ერთმა გერმანელმა კომენტატორმა გაიკვირვა კიდეც, ამას აქ რა უნდაო, თბილისში ხომ წყალდიდობაა. თუმცა იმ მოქალაქეებმა, რომლებიც სააკაშვილისგან იმ დღეებში თანაგრძნობისა და თანადგომის გამოხატვას მოითხოვდნენ, ალბათ, არ უნდა დაივიწყონ, რომ სააკაშვილის დამოკიდებულება თბილისის მიმართ პათოლოგიურ სიძულვილთან ძალიან ახლოს დგას.** საუბარში უკრაინის ჟურნალისტთა ეროვნული ფედერაციის მდივან გლებ გოლოვჩენკოსთან მან ეს ისე დაუფარავად გამოხატა, რომ მის მიმართ ფრიად კეთილგანწყობილი სტუმარი საგონებელში ჩააგდო. „საქართველოს ყოველთვის მართავდნენ ადამიანები იქიდან!“ — პრეზიდენტმა ბრაზით მოიქნია ხელი უკვე განათებული თბილისის მიმართულებით. „იმ მხარეს, სადაც ის მიუთითებდა, გახედვაც კი არ მოგინდებოდა; ჩანდა, რომ წყენა „საქართველოს ამ ნაწილზე“ წლების განმავლობაში გროვდებოდა, — წერს გოლოვჩენკო. — თბილისის ცენტრი აი აქედან იშლება ჩრდილოეთით და ჩრდილოეთიდან დასავლეთით. ერთი და იგივე ადამიანები. იქ 150 ათასი ადამიანი ცხოვრობს. ყოველთვის, ბოლო 100 წლის განმავლობაში მხოლოდ მათ ჰქონდათ ფული, მხოლოდ მათ ჰქონდათ ყველაფერი“, — თქვა სააკაშვილმა და გოლოვჩენკოს თქმით, „განაწყენებულმა გადახედა თბილისის იმ ნაწილს, რომელიც „ყოველთვის კარგად ცხოვრობდა“: „ჩვენ მათ, რა თქმა უნდა, არსად გადავასახლებთ, ჩვენ ციმბირი არ გვაქვს, რომ გადავასახლოთ და ბანაკებიც არ აგვიშენებია“. ამის მთქმელისგან მოითხოვთ თანადგომას და თანაგრძნობას დაზარალებული თბილისელების მიმართ?

მილანში გადაღებული, „ალიაში“ გამოქვეყნებული ფოტოები ასევე მთელმა ქვეყანამ იხილა და არც ამის უარყოფა გამოვიდოდა. ასე რომ, სააკაშვილმა მისთვის ერთადერთი შესაძლებელი ვარიანტი გამოიყენა და სიგუას ნათქვამი „ბულშითად“ გამოაცხადა, რაც, ჰარი ფრანკფურტის განმარტებას თუ დავეყრდნობით, არ გამორიცხავს იმას, რომ ის სიმართლეს შეესაბამებოდა. შემდეგ „ნაცმოძრაობის“ ბელადმა დასძინა: **„რაც შეეხება ჩვენს სასამართლო სისტემას, ის ახლა ტრანსფორმაციას გადის. ძალიან საინტერესო პროცესი მიმდინარეობს. სასამართლო სისტემის ნდობა საქართველოში 10% იყო, ახლა კი 70%-ია და ეს ძალზე მნიშვნელოვანია. ახლახან შემოვიღეთ ნაფიც მსაჯულთა სისტემა... ახლა არსებობს ხალხი, რომელიც მთავრობაში მოსვლას აპირებს და შეკითხვების დასმისთვის ზოგიერთებს ფულს უხდის“.**

ამგვარად, სააკაშვილი თავს დაესხა კითხვის ავტორს და ის მოსყიდულად გამოაცხადა. ამ აურზაურში სადღაც დაიკარგა მეორე, პრინციპში, ყველაზე რთული კითხვა რუსეთზე. რაც შეეხება სასამართლო სისტემას, აშკარაა, რომ სიგუამ ერთი იკითხა, ხოლო სააკაშვილმა სულ სხვა რამ „უპასუხა“.

**ამერიკელ მასპინძლებს ამ სცენამ, ძალიან დიდი ალბათობით, უკიდეგანო ველურობის, პოლიტიკური ბარბაროსობის შთაბეჭდილება დაუტოვა, რადგან შეერთებულ შტატებში ასე არა მხოლოდ პირველი რანგის პოლიტიკოსები, არამედ მიყრუებული ქალაქების მერობის კანდიდატებიც კი არ იქცევიან. აშკარა გახდა, რომ სააკაშვილს განსხვავებული კრიტიკული აზრის მოსმენა არ შეუძლია, უხერხულ კითხვებს გაურბის და თავს ვერ აკონტროლებს.**

ამ ეპიზოდმა სრულიად დაჩრდილა პრინსტონის უნივერსიტეტში სააკაშვილის გამოსვლის ძირითადი ნაწილი, თუმცა ურიგო არ იქნება, თვალი მასაც გადავავლოთ. მაინც რა თქვა ასეთი „ბულშითთან“ მებრძოლმა ბელადმა?

აი, მაგალითად, სააკაშვილის რეპლიკა: **„მინდა ერთი ფრაზა გავიხსენო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის — ლავროვის ნათქვამიდან: პოსტსაბჭოთა სივრცე ერთი დიდი სულიერი სივრცეა, რომელშიც მხოლოდ ერთი ანომალიაა — საქართველოს მთავრობაო. მართლაც, ჩემი არსებობაც ანომალიაა და ჩემი ქვეყნისაც“.** ერთი შეხედვით, ეს უბრალოდ სიცრუეა, რადგან ლავროვმა სულ სხვა რამ თქვა: **„სააკაშვილი, რა თქმა უნდა, მთელი ქართველი ხალხის ფონზე პათოლოგია და ანომალიაა, ამასთანავე, ცუდად აღზრდილი პერსონა, მაგრამ, როგორც თქვა პრეზიდენტმა მედვედევმა, ჩვენ არ ვახდენთ ქართველი ხალხის ასოცირებას ამ პერსონაჟთან“** (ერთობლივი პრესკონფერენცია სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრთან, 2011 წლის 8 აგვისტო, მოსკოვი). თუმცა შეიძლება გაჩნდეს ეჭვი, რომ სააკაშვილს სულაც არ აინტერესებდა, რა თქვა ლავროვმა სინამდვილეში, არამედ, უპირველესად, აუდიტორიაზე შესაბამისი ეფექტის მოხდენა ანაღვლებდა, რამაც, ჰარი ფრანკფურტის განსაზღვრებას თუ დავუბრუნდებით, შეიძლება დაგვაფიქროს, რომ ამ შემთხვევაში სიცრუე „ბულშითის“ ინტეგრირებულ ელემენტებს შეიცავდა.

საინტერესოა პარალელური ანალიზიც:

ა) სააკაშვილი (პრინსტონში): „ჩვენი ქვეყნის გადარჩენის ისტორია სასწაულის ტოლფასია. ვფიქრობ, ამას არ უნდა ვუმადლოდეთ არმიას და რომელიმე გმირ ლიდერს. ეს მოხდა იმ რადიკალური ტრანსფორმაციის, რადიკალური რეფორმებისა და რეალური ცვლილებების შედეგად, რომლებიც უკუსვლისა და ძველ წყობაში ჩარჩენისთვის განწირულ საზოგადოებაში განვახორციელეთ“;

ბ) სააკაშვილი (თბილისში, შეხვედრაზე სამხედროებთან): **„ის ფაქტი, რომ საქართველო ფუნქციონირებს როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და რომ მას დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება ჰყავს, ის ფაქტი, რომ ჩვენი ხალხი თავისუფალ არსებობას, გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა, ეს არის, უპირველესად, ჩვენი შეიარაღებული ძალების დამსახურება და არავის უნდა ჰქონდეს რაიმე ილუზიები ამის თაობაზე“.** ჩვენ ვხედავთ, რომ ერთგან სააკაშვილი სამხედროებს პირველ ადგილზე აყენებს, მეორეგან კი ამბობს: **„არ უნდა ვუმადლოდეთ არმიას“.** ხომ არ გეჩვენებათ, რომ **„გმირი ლიდერი“** რაცხას თავდავიწყებით **„ბულშითობს“**“?

**„საქართველო წარმატებულია ეკონომიკის მხრივაც, ტრანსფორმირებულია ვიზუალურადაც და მენტალურადაც და ის წარმატების კაშკაშა მაგალითი გახდა, მინიმუმ ჩვენს რეგიონში“,** — განაცხადა სააკაშვილმა. აქ, ალბათ, სხვა არაფერი დაგვრჩენია ჯოელ როზენბერგის ცნობილი ციტატის მოყვანის გარდა: „I find that we all get more legendary as time goes by. „Legend“ means, basically, „bullshit (**მე ვთვლი, რომ, რაც დრო გადის, ჩვენ ყველანი სულ უფრო ლეგენდარულები ვხდებით. „ლეგენდა“, ძირითადად, „ბულშითს“ ნიშნავს).** სხვათა შორის, ამ შემთხვევაში მრავალტანჯული ტერმინის დატვირთვა მის პირდაპირ მნიშვნელობასთან ერთობ მიახლოებულია და აპელირება ჰარი ფრანკფურტის ნაშრომის მიმართ ამჯერად არ დაგვჭირდება.

ვერ გამოვრიცხავ, რომ ერთადერთი რამ, რასაც სააკაშვილი საქართველოს შეჰმატებს, ჩვენს სასაუბრო ენაში ამ სიტყვის დამკვიდრება იქნება. მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, ქართულის დაბინძურების წინააღმდეგი ვარ, ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში გამონაკლისი უნდა დავუშვათ, რადგან, ალბათ, არც ერთი სიტყვა არ გადმოსცემს სააკაშვილის ეპოქის არსს ისე ზუსტად, როგორც ხმამაღლა, გამოთქმით წარმოთქმული **Bullshit!**

**10 წლის შემდეგ 100 წელი შესრულდება „ნათელი ფერების“ კიდევ ერთი შემომტანის დალუპვიდან. თბილისში, ელბაქიძის დაღმართზე, ველოსიპედით მოსეირნე ამხანაგ კამოს ქალაქში ერთადერთი ავტომობილი დაეჯახა. ჩვენს ეფრეიტორს კი მანქანებით სავსე ჩიკაგოში არაფერი ეჯახება. მიჩიგანის ტბას ველოსიპედით უვლის გარს და ირწმუნება, რომ 2 წელიწადში ბათუმის სანაპირო ზოლი ზუსტად ჩიკაგოს ბულვარის პრინციპით მოეწყობა.**

ბორდელიერო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




# ხანძარი ბორდელში

**ბორდელში ხანძარი გაჩნდა. „მამაშა“, მეძავები, კლიენტები — ყველა დარბის და ყვირის: „წყალი! წყალი!“, ერთ-ერთი ნომრიდან პორუჩიკი რჟევსკი გამოდის და ამბობს: „მე-5 ნომერში კი – შამპანური!“. პორუჩიკი არა და ეფრეიტორი სააკაშვილიც ბორდელში ხანძარს არ იმჩნევს და წყალდიდობასაც ღვთის წყალობად მიიჩნევს. ხანძარია ბორდელში და იქნებ მოვარდნილმა წყალმა მაინც ჩააქროს! რომელმა ბოზმა მოწია სიგარეტი ლოგინში?!**

პარლამენტის მოქალაქეთა მისაღებში შუახნის მამაკაცმა, გიორგი ჩიხლაძემ, დოკუმენტებს ბენზინი გადაასხა და ცეცხლი წაუკიდა. თვეების განმავლობაში მკურნალობის დაფინანსებას ითხოვდა და ყველამ დაიკიდა. **„უნდა დაიწვათ და ამოიბუგოთ“!** — იძახდა ჩიხლაძე. რამდენიმე წუთში კი საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი გამოჩნდა და ჩიხლაძე „შესაბამის ადგილას გადაიყვანეს“. იმ **„შსს**ბამის ადგილას“ იგი 7 წელი იჯდა და დაავადებებიც იქ „იშოვა“.

ჯანმრთელი ეფრეიტორი კი ნატოს სამიტზე ერთი კვირით ადრე წაბრძანდა და ამერიკაში მომუშავე ექიმებს სამედიცინო ტურიზმზე ელაპარაკა. **„საქართველოში იქმნება სამედიცინო სექტორი, რომელიც გათვლილია არა მხოლოდ პატარა ქვეყნისთვის 5-მილიონიანი მოსახლეობით; საქართველო ხდება სამედიცინო ცენტრი მთელი რეგიონისთვის, რაც, ტურიზმის მსგავსად, დიდ შემოსავალს მოუტანს საქართველოს ეკონომიკას“,** — თვალი არ დაუხამხამებია, ისე იცრუა პაციენტმა საქართველოდან.

მერე ისიც დაიბრალა, რომ **„საქართველოში ბევრი პროფესიონალი დაბრუნდა და წარმატებული პრაქტიკა შექმნა“.** ექიმებს თვალი ჩაუკრა და „დაუნამიოკა“, რომ საქართველოში ბევრი რამ შეუძლიათ გაბედულად გააკეთონ, რადგან ევროპასა და ამერიკაში ბევრად მეტი რეგულაცია და უფრო დიდი ბიუროკრატიული პროცესია. ერთი სიტყვით, **საქართველოში ექსპერიმენტები ნებადართულია!**

ეფრეიტორი უფრო შორსაც წავიდა: **„აქამდე არც პაციენტები იყვნენ და არც აპარატურა გვქონდა, მაგრამ საბოლოოდ, მთავარი ექიმია და არა აპარატურა“.** აპარატურა გასაგებია, მაგრამ პაციენტის მეტი რა გვყავდა, ოღონდ ეგ არის — საავადმყოფოებში ვერ მიდიოდნენ უფულობის გამო. ვერც ახლა მივლენ და, როგორც ჩანს, აპარატურასთან ერთად ჩვენი ეფრეიტორი პაციენტების იმპორტსაც გეგმავს!

თავად ნომერ პირველი პაციენტი ექიმებს დაჰპირდა, რომ ქვას აღარ ესვრის: **„ჩვენ გვქონდა დრო ქვების გაბნევის და დადგა ჟამი ქვების შეგროვების. საქართველოს მასშტაბით, ახლა იხსნება 150 პატარა და დიდი კლინიკა. მაქვს პრეტენზია, რომ აღმოსავლეთ ევროპასა და პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე თანამედროვე სამედიცინო სისტემას ვქმნით. თბილისში უკვე გვაქვს რამდენიმე დიდი საავადმყოფო და კორეელები ახლა კიდევ ერთი 200-საწოლიანი დიდი სამედიცინო ცენტრის მშენებლობას იწყებენ, რაც დაახლოებით 250-300 მილიონი დოლარი დაჯდება. ვფიქრობ, ახლადშექმნილ ცენტრებს შორის ის ყველაზე დიდი იქნება აღმოსავლეთ ევროპასა და პოსტსაბჭოთა სივრცეში“.**

**ამერიკაში მოღვაწე ქართველ ექიმებს პაციენტისთვის სიტყვა არ შეუბრუნებიათ – მისი ისედაც მწვავე მდგომარეობის კიდევ უფრო გამწვავებას მოერიდნენ.** სამაგიეროდ, გამწვავებას ქართველი ასპირანტი გიორგი სიგუა არ მოერიდა და ვუდრო ვილსონის სკოლაში ეფრეიტორს კითხვები დააყარა, თან იმდენი და ისეთი, რომ პირდაპირ ტყუილებში ამხილა.

გაღიზიანებულმა პაციენტმა უპასუხა: „ყველა შეკითხვაზე პასუხს არ გაგცემთ... არსებობს ხალხი, რომელიც მთავრობაში აპირებს მოსვლას და შეკითხვების დასმისთვის ზოგიერთებს ფულს უხდის“.

ეფრეიტორი კიდევ უფრო შორს წავიდა და რუსეთის დაფინანსების კვალს შუაგულ ევროპაში — ბრიუსელში მიაგნო: „რუსეთიდან დაფინანსებული პოლიტიკური ძალები საქართველოდან დარბიან ბრიუსელსა და სხვა ქალაქებში, რათა ყოველმხრივ შეუშალონ ხელი იმას, რომ არათუ არ ალინიშნოს ჩვენი ქვეყნის პროგრესი, არამედ ითქვას, რომ საქართველოში ვითარება გაუარესდა კიდეც“.

**ხანძარია ბორდელში!**

მართალია, ნატოს გენერალურ მდივანს დაუდასტურებია, რომ საქართველოს უდიდესი წინსვლა აქვს ინტეგრაციის პროცესში, მაგრამ ჩვენ ისევ დიდი მოთმინება გვჭირდება, ვიდრე ნატოს სრულფასოვანი წევრი გავხდებით, იმდენად დიდი, რომ მასთან წლევანდელი საპარლამენტო არჩევნები მოსატანიც არ არის! **პაციენტმა ჟურნალისტებს „საიდუმლოდ“ გაანდო, რომ ნატოს მორიგ სამიტზე 2014 წელს, უბრალოდ, ძალიან ძნელი იქნება ახსნა იმისა, რატომ აღარ იღებენ საქართველოს ნატოში!**

**ერთი სიტყვით, 2014-შიც ხელისუფლებაში აპირებს დარჩენას ჩვენი ეფრეიტორი. რატომაც არა!** კაცმა გეოგრაფიული ფოკუსი ჩაატარა და საქართველოს მდებარეობა შეუცვალა: **„საქართველო ჩვენი რეგიონიდან ამოვიყვანეთ და გადავსვით ბალკანეთის რეგიონში. სამი ბალკანური ქვეყანა, რომელიც ჩამოთვლილია საქართველოსთან ერთად, ყველა შემთხვევაში გახდება ნატოს წევრი“.** პაციენტმა დაამატა, რომ არასდროს ყოფილა ამაში ისე დარწმუნებული, როგორც ახლა.

**ხანძარია-მეთქი ბორდელში!**

ეფრეიტორი იმდენად კარგად ერკვევა სამხედრო საკითხებში, რომ ნაღმსაწინააღმდეგო ტაქტიკის სრულყოფილი ცოდნის დემონსტრირებას ახდენს: **„გასულ წლებში კარგი გაკვეთილი მივიღეთ. ქართველი ხალხი უკვე ძალიან გამოცდილი და გამობრძმედილია და კარგად იცის, რომ ერთსა და იმავე ნაღმს ორჯერ ფეხი არ უნდა დააბიჯოს“!**

ერთი ის გამნაღმველი მანახა, ერთსა და იმავე ნაღმს მეორეჯერ რომ დააბიჯებს ფეხს და მერე თუგინდ სულაც ნატოში მიკრას თავი ამ ჩვენმა ეფრეიტორმა! სად იარა და ფეხი რას დააბიჯა, უცნობია, მაგრამ ჩვენმა პაციენტმა სტუდენტების წინაშე ამაყად განაცხადა: **„მე ჯერ ისევ პოპულარული პრეზიდენტი ვარ, მაგრამ პრეზიდენტის ინსტიტუტი უფრო საპატიოა, ვიდრე ჩემი პიროვნება. ეს ეხება პარლამენტსაც. ის გაცილებით უფრო პოპულარულია, ვიდრე კონკრეტული პარლამენტარი. იგივე ხდება არმიის, მთავრობის შემთხვევაშიც“.** პოლიციის რეიტინგი 5-დან 90%-მდე გაზრდილა, სასამართლოსი — 10-დან 70%-მდე და საქართველო ყველაზე უსაფრთხო ქვეყანაა ევროპაში!

**ხანძარია-მეთქი ბორდელში!**

ამას უსმინეთ: დამნაშავეობა საქართველოში 60-70%-ით ნაკლებია, ვიდრე საფრანგეთსა და გერმანიაში, ხოლო რუსეთთან შედარებით 4-ჯერ ნაკლები ყოფილა! ამ უცნაური გამოცანის პასუხს ერთი შემთხვევა გვაძლევს, რომელიც სწორედ მაშინ მოხდა, როცა სააკაშვილმა წყალდიდობის და 5 ადამიანის დაღუპვის დარდი მილანში შოპინგით გაიქარვა: იტალიელმა სამართალდამცველებმა რეჯიო-კალაბრიაში ქურდობის ფაქტზე საქართველოს მოქალაქე დააკავეს. იტალიური მედიასაშუალებების ცნობით, დაკავებული სავაჭრო ცენტრ „ბოლაროდან“ ძვირადღირებული ფეხსაცმლის მოპარვას ცდილობდა. **როგორც ჩანს, ევროპაში დამნაშავეობა 60-70%-ით ისევ ჩვენი პაციენტისგან გაქცეული ქართველების ხარჯზე გაიზარდა. ისინი ამგვარად ემსახურებიან სამშობლოს – დანაშაულს საკუთარი ქვეყნის ნაცვლად სხვა სახელმწიფოებში სჩადიან!**

**ხომ გითხარით, ხანძარია-მეთქი ბორდელში!**

პაციენტი ამტკიცებს, რომ საქართველოს აქვს საუკეთესო ლოჯისტიკური ბაზები, საუკეთესო აეროპორტები. შენდება რეგიონში საუკეთესო ავტომაგისტრალები და რკინიგზა. ეფრეიტორის გეოგრაფიულ კრეტინიზმზე (შეურაცხყოფა არ გეგონოთ – სამეცნიერო ტერმინია) ზემოთ უკვე მოგახსენეთ, მაგრამ ამჯერად იგი კვლავ ჩვეულ ადგილზე აბრუნებს საქართველოს და მოგვიწოდებს: **„დახედეთ რუკას: თუ საქართველო დაეცემა, თუკი საქართველოს დემოკრატია დაეცემა** (იგულისხმე – თუ ეფრეიტორი აღარ იქნება მისი მმართველი! — თ.დ.), **ყველა სატრანზიტო გზა ევროპასა და აზიას შორის, ჩინეთზე, კასპიის ზღვასა და ავღანეთზე, რომელთანაც ეს ეკონომიკური მარშრუტი ესოდენ მნიშვნელოვანია, უბრალოდ, აღარ იქნება“!**

**პაციენტს არა გეოგრაფიული, არამედ მენტალური აღმოჩენა აქვს: მისი მტკიცებით, საქართველო არ არის მხოლოდ ქვეყანა – იგი იდეაა. იდეას კი ვერავინ შეაჩერებს – ხან კავკასიაში იქნება, ხან – ბალკანეთში, თითქმის ისე, როგორც ამერიკა, რომელიც ხან ერაყშია და ხან ავღანეთში: „ამერიკა იდეაა, მაგრამ ჩვენი პატარა რეგიონისთვის საქართველოც არის იდეა“.**

**ხანძარია-მეთქი ბორდელში!**

თუ საქართველო იდეაა, ნატო ისტორიის მამოძრავებელი ძალაა და ნათელი მომავალი აქვს. **„ნატო დღეს უფრო რელევანტურია, ვიდრე ოდესმე ყოფილა და ის მნიშვნელოვანია არა მარტო ჩვენთვის, ვინც ჯერ კიდევ უმცირესობას წარმოვადგენთ, არამედ იმ დიდი ქვეყნებისთვისაც, რომლებიც ამ ალიანსის ბირთვს შეადგენს და მისი ფასეულობების მატარებელია“,** – აცხადებს პაციენტი. თავად მისი რელევანტურობა, როგორც ყოველთვის, ეჭვს იწვევს, რადგან იგი გამჭვირვალობასა და ნათელ ფერებს ერთმანეთისგან ვერ არჩევს: **„თუ შეადარებთ ქართული ტელევიზიის კადრებს 10 წლის წინ, ნახავთ, რომ ფერებიც კი სხვანაირია, როგორ მოძრაობს და ურთიერთობს ხალხი, შენობებიც სხვანაირია. მათი უმრავლესობა გამჭვირვალეა. გამჭვირვალე პოლიციის შენობები, გამჭვირვალე პრეზიდენტის სასახლე, სამინისტროები – ეს ყველაფერი გარკვეული სიმბოლოა. ჩვენ შემოვიტანეთ ნათელი ფერები ქვეყანაში“.**

10 წლის შემდეგ 100 წელი შესრულდება „ნათელი ფერების“ კიდევ ერთი შემომტანის დაღუპვიდან. თბილისში, ელბაქიძის დაღმართზე, ველოსიპედით მოსეირნე ამხანაგ კამოს ქალაქში ერთადერთი ავტომობილი დაეჯახა. ჩვენს ეფრეიტორს კი მანქანებით სავსე ჩიკაგოში არაფერი ეჯახება. მიჩიგანის ტბას ველოსიპედით უვლის გარს და ირწმუნება, რომ 2 წელიწადში ბათუმის სანაპირო ზოლი ზუსტად ჩიკაგოს ბულვარის პრინციპით მოეწყობა.

**„ჩიკაგოში მსოფლიოს ყველაზე გრძელი და საინტერესო ბულვარია“,** – აცხადებს პაციენტი. სინამდვილეში ყველაზე გრძელი ბულვარი ლოს ანჟელესშია. სანსეტ-ბულვარის სიგრძე 42 კილომეტრია, მაგრამ, **სადაც ჩვენი პაციენტი ჩადის, იქ ყველაფერი ყველაზე გრძელი და დიდი უნდა იყოს!**

მიმდინარე წლის თებერვალში პაციენტი ამტკიცებდა, რომ ბათუმში მსოფლიოში ყველაზე გრძელ ბულვარს აშენებს, მაგრამ ახლა ამბიციები მოთოკა და უკან დაიხია: **„მიმაჩნია, რომ ბათუმის სანაპირო, რეალურად, მეორეა. თუ დააკვირდებით, ეს ადგილი ძალიან ჰგავს ბათუმს — აქაც არის ცათამბჯენები და დიდი ტბა. ყველაფერი, რასაც აქ ხედავთ, ხელოვნურად არის გაკეთებული — პირსების სისტემა და ოქროს ქვიშიანი სანაპირო ცათამბჯენების წინ. ბათუმში, იმ ადგილზე, სადაც სასტუმროები აშენდა და ახლა უნივერსიტეტი შენდება, ზუსტად ასეთ სანაპიროს ვაკეთებთ. ასეთივე პირსების სისტემას ვაკეთებთ, შემოვღობავთ კიდეც და მომავალი წლის ზაფხულს ბევრად ლამაზი და კეთილმოწყობილი ბულვარი გვექნება, რომელიც ჩვენი შავიზღვისპირეთის სავიზიტო ბარათი გახდება. ეს ადგილი იმდენად მაგონებს ბათუმს, რომ ჩემთვის შთაგონების წყაროა“,** — განაცხადა ქვეყნის პირველმა პაციენტმა.

**შემოღობვა, შემოღობვაა მთავარი!**

**ხომ გეუბნებოდით, ხანძარია-მეთქი ბორდელში!**

ხანძრის მიზეზი ყველაზე ხშირად ასანთთან ან ელექტრომოწყობილობებთან უმეთვალყუროდ მიტოვებული ბავშვები, ლოგინში თამბაქოს მოწევა (მით უფრო — არაფხიზელ მდგომარეობაში), ერთ შტეფსელში რამდენიმე ელექტროხელსაწყოს ჩართვა ან ელექტროსადენების მოკლე ჩართვა ხდება ხოლმე. ჩვენი პაციენტის შემთხვევაში ყველა კომპონენტი ერთდროულად არის წარმოდგენილი, თამბაქოს ლოგინში მოწევის გარდა.

**ხანძარია ბორდელში!**

მაინც რომელმა ბოზმა მოწია სიგარეტი **ლოგინში?!**

**თამარ დავითულიანი**

**P.S. ბორდელში ხანძრის შემთხვევისთვის საგანგებო პლაკატია გაკრული: თუ ხანძარი გაჩნდება, მიხედეთ საკუთარ კვერცხებს – დანარჩენის ყიდვა ან მოპარვა შეგიძლიათ!**

**ასე რომ, ხანძარია ბორდელში და ჩვენს გადახურებულ „ეფრეიტორ რჟევსკის“ „თელ საქართველოში, თელ კავკასიაში, თელ ევროპაში, თელ სოფლიოში“** ყველაზე დიდი, ყველაზე გრძელი ბრანდსპოიტი თუ დააშოშმინებს... **არა, მაინც რომელმა ბოზმა მოწია სიგარეტი ლოგინში?!**

**ნატოს მოწინააღმდეგე, ანტიამერიკულად განწყობილი მოქალაქე, როგორც წესი, ოპოზიციონერია, ხშირ შემთხვევაში, აქტიური და რადიკალური მოქმედების მომხრე; ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთმა ადამიანმა მხარი სააკაშვილს დაუჭიროს. მათი დიდი ნაწილი, მაშინ, როდესაც პოლიტიკურ ასპარეზზე ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა, მას მიემხრო, რადგან მიაჩნია, რომ სააკაშვილის დამარცხება რეალურად შეუძლია.**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვის გაჰყვებიან ნატოს მოწინააღმდეგეები?

**ნატოს ჩიკაგოს სამიტი დასრულდა. როგორც მოსალოდნელი იყო, რაიმე ღირშესანიშნავი შედეგი საქართველოსთვის მას არ მოუტანია. ნატოს მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს საქართველოში ტრადიციული მწვავე დისკუსია ამჯერად არ გაუმართავთ; მათ, დიდი ხანია, გაახმოვანეს თავიანთი არგუმენტები და მათი გამეორებით თავი არ მოუკლავთ. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ორივე მხარე გადაღლილია და ამ თემაზე ახალი საუბრის დაწყება არ სურს, მითუმეტეს, რომ ქართული საზოგადოება დღეს კონცენტრირებულია შიდაპოლიტიკურ პრობლემებზე და ისეთ ფორმულებს, რომელიც ნატოსა და აშშ-ის წარმომადგენლებმა უკვე არაერთგზის გააჟღერეს და სამიტის დეკლარაციაში დააფიქსირეს, ყურადღებას ნაკლებად აქცევს. ამიტომ დღეს არა ჩიკაგოს სამიტზე, არამედ ამ ორიდან ერთ-ერთ ჯგუფზე, ნატოს მოწინააღმდეგეებზე ვისაუბრებთ, რომლებიც მათდა უნებურად არჩევნების წინ ელექტორატის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სეგმენტად იქცნენ.**



**თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ ომის შემდეგ მოსახლეობის დამოკიდებულება ნატოს მიმართ არ შეცვლილა (არადა, საექსპერტო საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ ის მნიშვნელოვნად გაუარესდა) და დღეს ისეთივე სიტუაცია გვაქვს, როგორიც პლებისციტის გამართვის დღეს, ჩვენ საუბარი, როგორც მინიმუმ, ამომრჩეველთა 20-25%-ზე მოგვიწევს.**

## მესამედი თუ მეოთხედი?

2008 წლის 5 იანვრის პლებისციტზე საქართველოს ნატოში გაწევრიანებას მხარი ამომრჩეველთა 77%-მა დაუჭირა. იმ გამოკითხვების შედეგებში, რომელსაც მსხვილი ამერიკული ორგანიზაციები მომდევნო წლებში აქვეყნებდნენ, ნატოში ინტეგრაციას საშუალოდ რესპონდენტების 70-75% ემხრობოდა. ქართველი სოციოლოგებისა და მასობრივი ინფორმაციის ავტორიტეტული საშუალებების მიერ ჩატარებულ გამოკითხვებში, დროდადრო შედარებით მოკრძალებული მაჩვენებლები ფიქსირდებოდა, თუმცა 60%-ის ქვემოთ ვარდნას, როგორც წესი, ადგილი არ ჰქონია. მართალია, არაერთმა ქართველმა ექსპერტმა დააფიქსირა, რომ ომის შემდეგ ანტიამერიკული განწყობა გაიზარდა და ნატოს მიმართ კეთილგანწყობა შემცირდა, თუმცა ეს საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრება, კონკრეტული სოციოლოგიური მონაცემებით, უმეტესწილად გამყარებული არ იყო.

**ამ ფონზე მოულოდნელად გავარდნილი მეხის ეფექტი მოახდინეს „საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის" მიერ ფონდ „ღია საზოგადოება- საქართველოს"" თანადაფინანსებით ჩატარებული გამოკითხვის შედეგებმა (ის გასული წლის მიწურულს ჩატარდა). რესპონდენტების 47,7%-მა გაიზიარა მოსაზრება, რომ რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებისთვის საქართველომ ყველაფერი უნდა გაკეთოს, თუნდაც აშშ-თან თანამშრომლობაზე უარი თქვას.** მართალია, ამ შემთხვევაში საუბარია ურთიერთობაზე შეერთებულ შტატებთან და არა ნატოსთან, თუმცა ეს ორი თემა, როგორც საერთაშორისო პოლიტიკაში, ისე ქართველი ამომრჩევლის აღქმაში, ერთმანეთზე მჭიდროდ არის მიბმული.

**თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ ომის შემდეგ მოსახლეობის დამოკიდებულება ნატოს მიმართ არ შეცვლილა (არადა, საექსპერტო საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ ის მნიშვნელოვნად გაუარესდა) და დღეს ისეთივე სიტუაცია გვაქვს, როგორიც პლებისციტის გამართვის დღეს, ჩვენ საუბარი, როგორც მინიმუმ, ამომრჩეველთა 20-25%-ზე მოგვიწევს. არსებობს ბირთვი, რომელსაც ნატოს თანმიმდევრული, იდეური მოწინააღმდეგეები შეადგენენ, და გარკვეული სივრცე მის გარშემო, რომელიც ანტიამერიკული განწყობის ზრდის პარალელურად ივსება.**

პრიმიტიული სახელისუფლო პროპაგანდა ამ ადამიანებს ჩვეულებრივ „პრორუსებად" იხსენიებს, რაც არასწორია. ნატოს მოწინააღმდეგე შეიძლება არ იყოს რუსეთთან (ოდკბ-სთან) ინტეგრაციის მომხრე, არამედ მხარს ნეიტრალიტეტს უჭერდეს. მათი იდეალია საქართველო, რომელიც თანაბრად დისტანცირებულია აშშ-ისა და რუსეთისგან და ორივესთან ნორმალური ურთიერთობა აქვს. ისინი სამართლიანად მიუთითებენ, რომ შეუძლებელია ფინეთს, ავსტრიას, ირლანდიასა და ნატოს სხვა არაწევრ ქვეყნებს „პრორუსული" ეწოდოს. შეიძლება დავა იმაზე, რამდენად რეალისტურია მათი ოცნებები, თუმცა ამ საკითხს ამჯერად არ განვიხილავთ. **ძნელი სათქმელია, რა ხვედრითი წილი აქვთ ნატოს მოწინააღმდეგეთა რიგებში, ერთის მხრივ, „ნეიტრალისტებს", მეორე მხრივ, რუსეთთან „ჩახუტების", „ევრაზიის კავშირში" გაწევრიანების მომხრეებს; სპეციალურად ეს საკითხი არავის შეუსწავლია, ხოლო იმ გამოკითხვების შედეგები, რომლებიც ამ თემას ირიბად ეხება, ხშირ შემთხვევაში ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის.**

ამავე დროს, ამ ბანაკში უხვად არიან წარმოდგენილნი ამომრჩევლები, რომელთაც საკუთარი ხედვა მკაფიოდ არ ჩამოუყალიბებიათ და, უბრალოდ, რამდენიმე ფუნდამენტურ იდეას იზიარებენ, მაგალითად, იმის თაობაზე, რომ შემდგომი დაახლოება ნატოსთან გააღრმავებს კონფრონტაციას რუსეთთან, რაც შეიძლება საქართველოსთვის კატასტროფით დასრულდეს, ან იმის თაობაზე, რომ წარმოუდგენელია ფიქრი ტერიტორიულ გამთლიანებაზე რუსეთთან დარეგულირების გარეშე, რაც, თავის მხრივ, გამორიცხულია ნატოს კარზე კაკუნის პარალელურად და ა.შ. ფორმულირება და იდეა ბევრია, ზოგი მათგანი პრაგმატული და რეალისტურია, ზოგი კი — ნაკლებად, თუმცა ამ კონტექსტში მთავარია ის, რომ ყველა ეს ადამიანი ამა თუ იმ გზით ნატოს უარყოფამდე მივიდა და საქართველო-აშშ-ის დღევანდელ ურთიერთობას, როგორც მინიმუმი, ეჭვის თვალით უყურებს. რას სთავაზობენ ამ ფრიად მოცულობით ჯგუფს (ამომრჩეველთა მეოთხედია? მესამედი? მეტი ხომ არა?) პოლიტიკოსები და როგორ მოიქცევიან მისი წარმომადგენლები არჩევნების დღეს?

## ორ ცეცხლს შუა

**ნატოს მოწინააღმდეგე, ანტიამერიკულად განწყობილი მოქალაქე, როგორც წესი, ოპოზიციონერია, ხშირ შემთხვევაში აქტიური და რადიკალური მოქმედების მომხრე; ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთმა ადამიანმა მხარი სააკაშვილს დაუჭიროს. მათი დიდი ნაწილი, როდესაც პოლიტიკურ ასპარეზზე ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა, მას მიემხრო, რადგან მიაჩნია, რომ სააკაშვილის დამარცხება რეალურად შეუძლია.** მათ საკუთარ თავთან გარკვეულ კომპრომისზე წასვლა დასჭირდათ, რადგან „პარალელურ რეჟიმში" ივანიშვილის მოკავშირე „რესპუბლიკელების" და ალასანიას ჯგუფის მხარდაჭერა მოუხდათ, რომლებიც თავგამოდებული პროამერიკელები და ნატოში შესვლის მომხრეები არიან. **ეს გარემოება სერიოზულად აღიზიანებდა ამ ადამიანებს, ხოლო მას შემდეგ, რაც ივანიშვილის კოალიციამ მკაფიოდ დააფიქსირა ნატოში გაწევრიანების პრიორიტეტულობა და ის, რომ ავლანეთიდან ჩვენ კონტიგენტს არ გამოიყვანს, უკმაყოფილება თვალშისაცემი გახდა.**

**მათ გაუჩნდათ კითხვა: რა არის უფრო მნიშვნელოვანი — საკუთარი პრინციპები თუ სააკაშვილის დამარცხება ნებისმიერ ფასად? მათ დაიწყეს ჰორიზონტის შეთვალიერება და, შესაძლოა, ფიქრი ლიდერზე, რომელიც შესაძლებლობას მისცემს, ერთის მხრივ, პრინციპების ერთგულნი დარჩნენ, მეორე მხრივ, აქტიურად იბრძოლონ სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ.**

რა თქმა უნდა, კოალიციაში არიან გოგი თოფაძე და „მრეწველები", რომლებმაც მომავალ პარლამენტში შეიძლება ნატოს მოწინააღმდეგეთა პოზიცია გაახმოვანონ (მიუხედავად იმისა, რომ თოფაძემ ხელი მოაწერა კოალიციის დეკლარაციას, რომელშიც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების სურვილი დაფიქსირდა), იქვე არიან „ეროვნული ფორუმის" წარმომადგენლები, რომლებიც, მათი დღევანდელი განცხადებების მიუხედავად, თავგამოდებულ „ნატოისტებად"" მაინც არ აღიქმებიან და, იდეაში, შეიძლება „ახალ ფინეთზე" საუბარი დაიწყონ (ვინ იცის, რა მოხდება მომავალში). მაგრამ იქნება თუ არა ასეთი წარმომადგენლობა პარლამენტში იმ მასის თანაფარდი, რომელიც ნატოში გაწევრიანებას მხარს არ უჭერს? რამდენად თავისუფალნი იქნებიან ეს დეპუტატები თავიანთ მოქმედებაში?

ასეთი კონფიგურაციის პირობებში ამომრჩევლების კრიტიკულად მნიშვნელოვანი ნაწილი (ნატოს მოწინააღმდეგეები) ვერ მიიღებს ადეკვატურ წარმომადგენლობას პარლამენტში და ეს ამ ჯგუფის წარმომადგენლებს, როგორც წესი, მშვენივრად ესმით. **სხვათა შორის, ამ სიტუაციის მიღმა ამერიკელების ძალიან ეფექტური მოქმედების კვალის დანახვა შეიძლება. პარადოქსული სიტუაციაა: ერთის მხრივ, „შუა გაიკრიფა", თუმცა, მეორე მხრივ, გამორიცხული არაა, რომ ამ, ერთი შეხედვით, დაცარიელებულ სივრცეში „ნაციონალებმა" ახალი თამაში დაიწყონ, რომლის დროს შეეცდებიან, „ქართულ ოცნებას" ამომრჩეველთა ეს ჯგუფი წაართვან, ხოლო ივანიშვილი გარკვეულ კონტრზომებს დაუპირისპირებს.**

ლიდერი, რომელსაც ელექტორატის ამ ნაწილთან მიესვლება, დეკლარაციის დონეზე მაინც ხელისუფლების თანმიმდევრული მოწინააღმდეგე უნდა იყოს და მის მიერ ძია სემის უნებისყოფო მარიონეტად არ აღიქმებოდეს. პირველი, ვინც ამ კონტექსტში შეიძლება გაგვახსენდეს, ნინო ბურჯანაძე და შალვა ნათელაშვილია, რაც შეეხება კახა კუკავას, მას, ალბათ, მალე ბურჯანაძის გვერდით ვიხილავთ. **ასპარეზზე ახლახან გამოჩენილი მინდია გულუას შესახებ ვერაფერს ვიტყვით, საზოგადოების დიდი ნაწილი მას ჯერჯერობით ძალიან ცუდად იცნობს. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ამ ფლანგზე შეიძლება გამოჩნდეს კიდევ ერთი ლიდერი, რომელსაც პირობითად შეიძლება „მისტერ იქსი" ვუწოდოთ. გამორიცხული არაა, რომ ის ავანსცენაზე სრულიად მოულოდნელად გამოვარდეს.**

ნინო ბურჯანაძის გაწევრიანება ივანიშვილის კოალიციაში გამორიცხულია, თუმცა, თუ თანაპარტიელებთან ერთად მომავალ პარლამენტში მოხვდება, ის, ძალიან დიდი ალბათობით, „ქართულ ოცნებასთან" თემატურად ითანამშრომლებს, კერძოდ, სააკაშვილის ხელისუფლებიდან ჩამოშორების საქმეში. ეს ძნელად წარმოსადგენია შალვა ნათელაშვილის შემთხვევაში, რომელიც ივანიშვილს მკვეთრად უპირისპირდება. **ერთი შეხედვით, „ნაციონალებმა" ხელი უნდა შეუწყონ იმას, რომ ნათელაშვილმა ანტიამერიკული რიტორიკის გამოყენებით „ქართულ ოცნებას" რაც შეიძლება მეტი ხმა წაართვას, თუმცა მათი პრობლემა ისაა, რომ დღეს სტრესულ მდგომარეობაში იმყოფებიან, არავის ენდობიან და არ შეუძლიათ დარწმუნებულები იყვნენ, რომ „ოცნება" და ლეიბორისტები მომავალ პარლამენტში მოულოდნელად საერთო ენას არ გამონახავენ და ერთად არ მისცემენ ხმას, მაგალითად, სააკაშვილის იმპიჩმენტს.**

**სხვათა შორის, ხელისუფლება დღეს ეჭვის თვალით ნებისმიერ პოტენციურ მოკავშირეს უყურებს, თუნდაც საუბარი „ქრისტიან-დემოკრატებსა" და ედპ-ს ეხებოდეს. ისეთი ვითარებაა შექმნილი, რომ „ნაცმოძრაობის" ლიდერები საკუთარი პარტიის წევრებსაც კი ვერ ენდობიან,** ამიტომ უფრო სავარაუდოა, რომ ისინი კონკურენტი პარტიების მიერ ელექტორატის განხილული ნაწილის „დაგლეჯას" მიემხრობიან, რათა პარლამენტში არ მოხვდეს არც ერთი მათგანი, ან კიდევ ერთ-ერთი მიკროსკოპული წარმომადგენლობით; „ნაციონალური მოძრაობა" ამ ხმებს ნებისმიერ შემთხვევაში ვერ მოიპოვებს, მაგრამ ამ სცენარის ფარგლებში შეიძლება სცადოს, რომ ისინი ივანიშვილს დააკარგვინოს.

ბიძინა ივანიშვილი კი, თავის მხრივ, სავარაუდოდ, მიზნად დაისახავს ამ ამომრჩევლების შენარჩუნებას, მათ დარწმუნებას იმაში, რომ დღეს უმთავრესი ამოცანა სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟია, თუმცა, თუ ის დაინახავს, რომ მათი გადინება „ქართული ოცნების" მხარდამჭერთა რიგებიდან მასშტაბური გახდა, ალბათ, მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მათი ხმებისთვის მებრძოლი ერთ-ერთი პარტიის გაძლიერებას, რომელთანაც მომავალ პარლამენტში თემატურად ითანამშრომლებს. **დღევანდელ სიტუაციაში ასეთ საიდუმლო პარტნიორად, ალბათ, ნინო ბურჯანაძე უნდა განვიხილოთ, თუმცა „მისტერ იქსის" გამ-** ▶

„ერთიანი ეროვნული ფრონტის შექმნა იქნებოდა ყველაზე უფრო სწორი ნაბიჯი, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ყოველთვის, კატეგორიული მოწინააღმდეგეები გამოვიდნენ რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელები და სამწუხარო კიდევ ისაა, რომ მოახერხეს ამაში დაერწმუნებიათ ბიძინა ივანიშვილიც. ამიტომაც დღესდღეობით რესპუბლიკელებისა და ივანიშვილის პოზიციის გამო ეს ერთიანობა ვერ იქმნება.“

## პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ოჩენამ დისპოზიციაში შეიძლება გარკვეული ცვლილებები შეიტანოს. ასეა თუ ისე, ფრონტის ამ მონაკვეთზე საინტერესო ბრძოლა გაჩაღდება.

### ოცნებას კაცი არ მოუკლავს

ვიდრე თითოეულ, პოლიტიკური თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ჯგუფს, მიუხედავად იმისა, მოგვწონს მისი იდეები თუ არა, არ ექოლება მისი რიცხოვნობისა და პოლიტიკური წონის პროპორციული წარმომადგენლობა პარლამენტში, სიმშვიდე და სტაბილურობა ამ ქვეყანას, ძალიან დიდი ალბათობით, ვერ ეღირსება. **მიუხედავად იმისა, მოგვწონს თუ არა ჩვენ ნატოს მომხრეები ან მოწინააღმდეგეები, პროამერიკელები და პრორუსები, ლიბერალები და კონსერვატორები, ნაციონალისტები, სოციალისტები და ა.შ. ფაქტია, რომ ისინი არსებობენ და უფლება აქვთ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში საკუთარი წარმომადგენლები ჰყავდეთ.** ნებისმიერი პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ამა თუ იმ ჯგუფის ხელოვნურ შეზღუდვას და მარგინალიზებას, რასაც ადგილი ბოლო წლებში ჰქონდა, ადრე თუ გვიან მწვავე პოლიტიკური კრიზისით დასრულდება. მნიშვნელობა არ აქვს, აკეთებს თუ არა ამას მმართველი ჯგუფი დამოუკიდებლად, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, თუ უცხოელი პარტნიორების კარნახით, ეს პრაქტიკა ქართულ სახელმწიფოს ღუპავს.

სხვათა შორის, იმ შემთხვევაში, თუ „ქართული ოცნება“ არჩევნებში დამაჯერებლად გაიმარჯვებს, ხოლო „ნაციონალური მოძრაობა“ დაიშლება, დღის წესრიგში საკმაოდ მალე (შესაძლოა, ერთობ პარადოქსულად) ახალი არჩევნების გამართვის საკითხი დადგება, რადგან, სავარაუდოდ, მხოლოდ ჯანსაღი კონკურენციის, ღია ეთერის და თანაბარი შესაძლებლობების პირობებში არჩეული პარლამენტი დააკმაყოფილებს და დაამშვიდებს სააკაშვილის რეჟიმისგან გათავისუფლებულ ქვეყანას; არის პრობლემები, რომელსაც გამარჯვებული კოალიციის ცალკეულ ფრაქციებად დაშლა ვერ მოხსნის. შესაბამისი მოთხოვნა საზოგადოებაში აუცილებლად გაჩნდება და წინდახედულმა პოლიტიკოსებმა თავიანთი მოქმედება, ალბათ, ამ პერსპექტივის გათვალისწინებითაც უნდა დაგეგმონ.

**კრიზისული პერიოდი ქართულ პოლიტიკაში, სავარაუდოდ, მხოლოდ მაშინ დასრულდება, როდესაც თითოეულ მოქალაქეს გაუჩნდება შეგრძნება, რომ მის მიერ არჩეულ პარლამენტში საკუთარი წარმომადგენელი ჰყავს და აღარ იფიქრებს იმაზე, რომ იქ შეშლილი ვამპირების ხროვა ბუდობს. დღეს საუბარი ამაზე, ალბათ, ღიმისმომგვრელია და ფანტასტიკის სფეროს მიეკუთვნება, თუმცა იმედია, ადრე თუ გვიან ამ მიზნის მიღწევას შევძლებთ.**

**დიმიტრი მონიავა**



## ბიძინა ივანიშვილი: თუ არ გაითვალისწინებთ ჩემს რჩევას და უარს არ იტყვით კონსტიტუციურ ცვლილებებზე, მაშინ მე არ მივიღებ მონაწილეობას საპარლამენტო არჩევნებში!

### ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს — მიხეილ სააკაშვილს. 22 მაისი, 2012

**1.** საქართველოს პარლამენტმა ამა წლის 22 მაისს მიიღო კონსტიტუციური ცვლილება, რომლითაც საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებს ეძლევათ ქვეყნის პარლამენტში არჩევისა და უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობების დაკავების უფლება. **მე დღემდე იმედს ვიტოვებდი და საჯაროდაც ვაცხადებდი, რომ ეს უგუნური გადაწყვეტილება საბოლოოდ არ იქნებოდა მიღებული, მაგრამ მორჩილმა საპარლამენტო უმრავლესობამ არც ამჯერად უღალატა ტრადიციას და მორჩილად აუწია მას ხელი. ამასთანავე, თქვენი პოლიტიკური გუნდის წევრები კონსტიტუციური ცვლილებების მიზნად ასახელებენ ჩემთვის არჩევნებში მონაწილეობის საშუალების მოცემას, ხოლო მიზეზად — თქვენ მიერ ჩამორთმეული საქართველოს მოქალაქეობის ხელახლა მისაღებად ჩემ მიერ თითქოსდა არასწორი გზის არჩევას.**

**2.** გასაგებია, რომ თქვენ იძულებული ხართ, ანგარიში გაუწიოთ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისა და საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობის ერთსულოვან მოთხოვნას — მომცეთ არჩევნებში მონაწილეობის საშუალება. მაგრამ თქვენ ვერ მოახერხეთ ჩადენილი შეცდომის (მოქალაქეობის ჩამორთმევა) გამოსწორება ცივილიზებული, კანონიერი და ღირსეული გზით (ნატურალიზაციის წესით მოქალაქეობის მონიჭება) და ახალ, გაცილებით მძიმე შეცდომას უშვებთ. ამ ცვლილებების მიხედვით, თუ პირს, რომელიც ერთდროულად ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქეცაა და საქართველოს მოქალაქეც, არ შეუძლია გახდეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ხოლო თუ იგივე პირი უარს იტყვის საქართველოს მოქალაქეობაზე, მაშინ მას შეუძლია გახდეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ამგვარი აბსურდი, მართლაც რომ, პირველია მსოფლიოში...

**3.** მე არაერთხელ განვაცხადე და კიდევ ვიმეორებ, რომ აღნიშნული კონსტიტუციური ცვლილება არის სახელმწიფოებრიობისა და კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტური პრინციპების საწინააღმდეგო ისეთი ქმედება, რომლის პრეცედენტიც მსოფლიოში არ მოიპოვება. მეტიც, იგი თავისი სამართლებრივი არსითა და პოლიტიკური კონტექსტით სახელმწიფო გადატრიალების ტოლფასია. **კონსტიტუცია მართლაც ერთი პირისთვის და ერთი პირის გამო იცვლება, მაგრამ ეს ერთი პირი ვარ არა მე, არამედ ხართ თქვენ — სწორედ თქვენს პოლიტიკურ შიშებს შეეწირა ჩემი მოქალაქეობა და ახლა უკვე ქართული სახელმწიფოს ფუნდამენტი და პრესტიჟი ეწირება თქვენსავე ბავშვურ ახირებასა და პროპაგანდისტულ ხრიკებს.**

**4.** მიუხედავად იმისა, რომ ჯერ უკანონოდ ჩამომართვით საქართველოს მოქალაქეობა, შემდეგ უკანონოდ მითხარით უარი ნატურალიზაციის წესით მოქალაქეობის მონიჭებაზე და ახლა ჩემი სარჩელების განხილვის გაჭიანურებით არ მაძლევთ ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოსთვის დროულად მიმართვის საშუალებას, მე არ ვაპირებ, ჩემი პოლიტიკური უფლებები კონსტიტუციის შეურაცხყოფისა და სახელმწიფოს ნგრევის ფასად მოვიპოვო. მე და ჩემი გუნდის წევრებს პოლიტიკური უფლებები სახელმწიფოს აღმშენებლობისა და კონსტიტუციური წესრიგის დამყარებისთვის გვესაჭიროება და არა პირიქით.

**5.** ამიტომ, მოგმართავთ, არ მოაწეროთ ხელი კონსტიტუციურ ცვლილებებს. ამით თქვენ გადაარჩენთ ქვეყნის პრესტიჟს და მის კონსტიტუციურ ფუნდამენტს, რომელიც შეუდარებლად მაღალი ღირებულებაა, ვიდრე თქვენი, ჩემი და ყველა პოლიტიკური ძალის აწმყო თუ მომავალი, ერთად აღებული. ამასთანავე, მე არ ვაპირებ, ახირებაში გაგეჯიბროთ და მზად ვარ, მოგცეთ დაშვებული შეცდომების გამოსწორების კიდევ ერთი საშუალება — ორმაგი მოქალაქეობის მისაღებად მოგმართოთ ისეთი განცხადებით, რომელზეც თქვენი პოლიტიკური გუნდის წევრები და საჯარო მოხელეები მიუთითებენ.

**6. თუ არ გაითვალისწინებთ ჩემს რჩევას და უარს არ იტყვით კონსტიტუციურ ცვლილებებზე, მაშინ მე:**

**ა. არ გავხდები ანტისახელმწიფოებრივი ქმედების თანამონაწილე, არ ვისარგებლებ აღნიშნული კონსტიტუციური ცვლილებებით და არ მივიღებ მონაწილეობას საპარლამენტო არჩევნებში;**

**ბ. გავაგრძელებ აქტიურ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობას იმ ფარგლებში, რომელსაც საქართველოს კონსტიტუცია ადგენს საქართველოში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის — მირჩევნია, კანონის ზღვარზე ვიარო, ვიდრე თქვენთან ერთად გავიდე ანტისახელმწიფოებრივ და ანტიკონსტიტუციურ სივრცეში;**

**გ. ყველა კონსტიტუციურ გზას გამოვიყენებ პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვებისთვის და საბოლოოდ მაინც შევასრულებ ქართველი ხალხისათვის მიცემულ ყველა დანაპირებს.**

**7. იმედს ვიტოვებ, რომ თქვენ, თქვენი გუნდის წევრები და თქვენი მრჩევლები მოუხმობთ კეთილგონიერებას და სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებთ. ეს გადაწყვეტილებები მე არ მჭირდება, ქვეყანას სჭირდება.**

www.facebook.com/bidzina-ivanishvili-official



## კახა კუკავა: ოპოზიციური ძალები, რომლებიც აშშ-ის საელჩოდან არ იმართებიან, ერთიან საარჩევნო ბლოკში უნდა გაერთიანდნენ

**„საქართველო და მსოფლიო“ „სახალხო კრების“ თავმჯდომარის — ნონა გაფრინდაშვილის ინიციატივის თაობაზე, გაერთიანებულიყო „კრებაში“ შემავალი ყველა პოლიტიკური სუბიექტი, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერს კახა კუკავას ესაუბრა.**

**— ნონა გაფრინდაშვილმა „სახალხო კრებაში“ შემავალ პოლიტიკურ სუბიექტებს საარჩევნოდ გაერთიანებისკენ მოუწოდა. „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერ ნინო ბურჯანაძის განცხადებით, კონსულტაციები უკვე დაიწყო.**

— ვფიქრობთ, რომ ამ არჩევნებში ეროვნული ძალების მონაწილეობა უნდა მოხდეს. ეროვნული ძალების ერთ-ერთი წარმომადგენელია სწორედ „თავისუფალი საქართველო“ და ჩვენს იდეოლოგიასთან ყველაზე ახლოს სწორედ ისაა, რასაც „სახალხო კრება“ და „დემოკრატიული მოძრაობა“ უჭერს მხარს. ჩვენ ვფიქრობთ და არ გამოვრიცხავთ იმ შესაძლებლობას, რომ შეიქმნას საარჩევნო ბლოკი. მასში შესაძლებელი იქნება სხვა სუბიექტების მონაწილეობა, როგორიც არიან: „ტრადიციონალისტთა კავშირი“, „თეთრები“, შესაძლოა, სხვა პოლიტიკურ ძალებსაც ვთხოვოთ ამ გაერთიანებაში მონაწილეობა. ოპოზიციური ძალები, რომლებიც ამერიკის საელჩოდან არ იმართებიან, არჩევნებზე ერთიანი საარჩევნო ბლოკის სახით უნდა ვიყოთ წარმოდგენილნი. ჩვენი ამოცანა იქნება, რომ ქართველ ხალხსაც ჰქონდეს არჩევანის უფლება და არა მხოლოდ ამერიკის საელჩოს.

**— თქვენსა და ნინო ბურჯანაძის შესაძლო ალიანსთან დაკავშირებით ინფორმაცია რამდენიმე თვის წინაც გავრცელდა.**

— ასეთი იდეები ლოგიკურია. ამაზე ბევრი საუბრობს მარტო იმ მიზეზის გამო, რომ დღეს პოლიტიკურ ასპარეზზე, თუ არ ჩავთვლით პარტია „თავისუფალ საქართველოს“ და ამ ფლანგს, რეალურად მხოლოდ პროამერიკული ძალები მოღვაწეობენ, მაშინ, როდესაც საქართველოს მოსახლეობის 80% არის აბსოლუტურად ანტაგონისტურად განწყობილი ამერიკელი კოლონიზატორების მიმართ და ლოგიკურია, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბდეს პოლიტიკური ძალა, რომელიც გამოხატავს ქართველი ერის და არა ამერიკის საელჩოს ინტერესებს. ჩვენ, პარტია „თავისუფალ საქართველოს“, არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვეტილი გვაქვს. რაც შეეხება ქალბატონ ნინოს, „სახალხო კრებას,“ ისინი ძალიან ახლოს არიან ამ გადაწყვეტილებასთან და დარწმუნებული ვარ, ზაფხულის ბოლომდე ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნება.

**— ერთიან ოპოზიციურ ფრონტზე ალაპარაკდნენ „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია და „ქართული ოცნების“ წევრი ეკა ბესელია. ბაღათურია ერთობაში არც ივანიშვილის კოალიციას და არც „სახალხო კრებას“ არ გამორიცხავს. ბესელიას კი საქართველო ქართული ერთობის გარეშე ვერ წარმოუდგენია. რამდენად რეალურია დღეს ოპოზიციის ერთიან ფრონტზე საუბარი, როდესაც არც „ქართულ ოცნებას“ და არც „სახალხო კრებას“ შესაძლო გაერთიანებაზე განცხადებები არ გაუკეთებია?**

— ერთიანი ეროვნული ფრონტის შექმნა იქნებოდა ყველაზე უფრო სწორი ნაბიჯი, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ყოველთვის, კატეგორიული მოწინააღმდეგეები გამოვიდნენ რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელები და სამწუხარო კიდევ ისაა, რომ მოახერხეს ამაში დაერწმუნებიათ ბიძინა ივანიშვილიც. ამიტომაც დღესდღეობით რესპუბლიკელებისა და ივანიშვილის პოზიციის გამო ეს ერთიანობა ვერ იქმნება. თუმცა მე არ გამოვრიცხავ, რომ არჩევნებამდე ბატონმა ბიძინამ შეიცვალოს პოზიცია, მოიშოროს რესპუბლიკური გარემოცვა, ასეთ შემთხვევაში, ჩვენ მზად ვიქნებით მასთან თანამშრომლობისთვის.

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „პეტრე ოვანოვი აცხადებს, რომ ის შეძლებს, დაამტკიცოს, რომ გააუპატიურეს. ასე რომ, კალმახელიძის განცხადება სიცრუეა.“

**პატიმარი პეტრე ოვანოვი:**

# იქ მყოფმა პიროვნებებმა ამ არაადამიანური ცემის შემდეგ «დუბინკით» მოახდინეს ჩემი გაუპატიურება

**ადვოკატი ლადო მაჭარაშვილი:**



## მას შემდეგ, რაც ტუსაღ პეტრე ოვანოვის თხოვნით გავმართეთ ბრიფინგი და ციხეში მომხდარი შემთხვევა გავახმაურეთ, მან დამირეკა და მითხრა, რომ, ჩვენი შეთანხმების მიუხედავად, გავჩერებულიყავი

**საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრების ცემისა თუ გარდაცვალების ფაქტებზე უფლებადამცველები შესაბამის უწყებებს რეაგირებას გამუდმებით სთხოვენ, მაგრამ ვითარება ამ დრომდე უცვლელია. მეტიც, ახლახან პატიმარ პეტრე ოვანოვის წერილში აღწერილი შემთხვევა ყოველგვარი სისასტიკის ზღვარს აჭარბებს. მსჯავრდებული ქსნის №15 სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელობას ცემაში, წამებასა და გაუპატიურებაში ადანაშაულებს და კონკრეტული პირების ვინაობასაც ასახელებს. როგორც პატიმარი წერს, „ქსნის №15 დახურული ტიპის დაწესებულების თანამშრომლები აწარმოებდნენ საღამოს შემოვლას, რა დროსაც მე, პეტრე ოვანოვს, მითხრეს, რომ უნდა გავყოლოდი მათ ადმინისტრაციის შენობაში. იქ მისვლისთანავე დაიწყეს ჩემზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, სიტყვიერი შეურაცხყოფა, შემდეგ კი მცემეს, რაც იშვიათი არ არის და ხშირად ხდება პატიმრების მიმართ. თუმცა ფაქტი, რომელიც ჩემ მიმართ ჩაიდინეს, არანაირი ადამიანური ღირსების საზღვრებში არ თავსდება, კერძოდ: იქ მყოფმა პიროვნებებმა ამ არაადამიანური ცემის შემდეგ „დუბინკით“ მოახდინეს ჩემი გაუპატიურება და თან დამემუქრნენ, თუ ამ ამბავს გავახმაურებდი, ჩემს სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრებოდა და ველარ მიშველიდა ველარავინ“, — აღნიშნავს პატიმარი ციხიდან გამოგზავნილ წერილში.**

**„საქართველო და მსოფლიოს“ არასამთავრობო ორგანიზაცია „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ წევრი, მსჯავრდებულ პეტრე ოვანოვის ადვოკატი ლადო მაჭარაშვილი ესაუბრება.**

**— თქვენი ორგანიზაციისთვის ციხიდან გამოგზავნილ წერილში პატიმარი პეტრე ოვანოვი წერს, რომ დაწესებულების მორიგი შემოვლის დროს ციხის თანამშრომლებმა სცემეს და მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ცდილობდნენ. რას ითხოვდნენ მისგან?**

— პეტრე ოვანოვს აქვს ჯანმრთელობის პრობლემები, რის გამოც ის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ითხოვდა, შეემოწმებია ექიმს და მისთვის შესაბამისი მკურნალობა ჩაეტარებიათ. მას მხოლოდ ტკივილგამაყუჩებელ მედიკამენტებს აძლევდნენ, რასაც მოგეხსენებათ დროებითი ეფექტი აქვს და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს ვერ აღმოფხვრის. მისი ორგზის თხოვნის მიუხედავად, არავინ ყურადღება არ მიაქცია, ამიტომ მესამედ უკვე საჩივარი დაწერა დაწესებულების ხელმძღვანელობაზე და უკვე მინისტრს მისწერა, რომ, მიუხედავად არაერთგზის მიმართვისა, დაწესებულების ხელმძღვანელობა ყურადღებას არ მაქცევსო. ამ საჩივრების გამო, დაწესებულების ხელმძღვანელობისთვის ის მიუღებელი პირი გახდა. პეტრე ოვანოვს აფრთხილებდნენ, თუ არ გაჩუმდებოდა, ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.

**— ამ ფაქტის გახმაურების შემდეგ თუ ინახულეთ თქვენი დაცვის ქვეშ მყოფი პირი და ამჟამად თავს როგორ გრძნობს პატიმარი, ემუქრება თუ არა მის სიცოცხლეს საფრთხე?**

— მსჯავრდებულის ამჟამინდელი მდგომარეობა ჩემთვის უცნობია, ვინაიდან მას შემდეგ, რაც პეტრე ოვანოვის თხოვნით გავმართეთ ბრიფინგი და ციხეში მომხდარი შემთხვევა გავახმაურეთ, მან დამირეკა და მითხრა, რომ, ჩვენი შეთანხმების მიუხედავად, გავჩერებულიყავი. **გამიჩნდა ეჭვი, რომ, შესაძლოა, მასზე ზეწოლას ახორციელებდნენ. ამას გარდა, ჩემს ეჭვებს ამყარებს რამდენიმე ფაქტი და რატომ:**

ჯერ ერთი, როდესაც პეტრე ოვანოვს შევხვდი და ვისაუბრეთ, დამავიწყდა, მისთვის ჩემი ტელეფონის ნომერი დამეტოვებია, რათა საჭიროების შემთხვევაში, როგორც მის ადვოკატს, დამკავშირებოდა. თუმცა, ამის მიუხედავად, მან დამირეკა. ანუ, გამოდის, რომ ციხეში ვიღაცამ მისცა ჩემი ტელეფონის ნომერი და დაარეკინა. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ პატიმარი მირეკავდა ერთი საათის განმავლობაში (ვინაიდან, მე სასამართლო პროცესზე ვიმყოფებოდი, ტელეფონს ვერ ვუპასუხე). არადა, როგორც წესი, დახურული ტიპის დაწესებულებაში მსჯავრდებულს მაქსიმუმ 5 წუთით აძლევენ ტელეფონზე დარეკვის უფლებას. წარმოიდგინეთ მსჯავრდებული, რომელიც ერთი საათის განმავლობაში დგას და ელოდება როდის უპასუხებენ მის ზარს. ციხის პირობებში ეს, უბრალოდ, წარმოუდგენელია. მესამე: ვერ დავადასტურებ, რომ ტელეფონით მართლაც პეტრე ოვანოვს ველაპარაკე. არ არის გამორიცხული, მისი სახელით სხვა პირი დამკავშირებოდა და, ვინაიდან ოვანოვი მხოლოდ ერთხელ ვნახე, მისი ხმის იდენტიფიკაციას ვერ მოვახდენდი.

ამას გარდა, ჩვენ ვისაუბრეთ და პეტრე ოვანოვმა კარგად იცოდა, რომ ამ ამბის გახმაურების შემდეგ შესაძლო იყო მასზე ზეწოლის განხორციელება, მაგრამ განაცხადა, რომ ყველაფრისთვის მზად იყო და ბოლომდე იბრძოლებდა.

— **„ძალიან გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება და ყურადღება ჩემ მიმართ, რათა რაიმე იმედი და გარანტია მქონდეს ამ პიროვნებებისგან დასაცავად. მუქარის ასრულება ამათთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, აქ არ არსებობს არანაირი მექანიზმი, რაც ამათ შეაჩერებს და დამიცავს. მოგმართავთ თხოვნით, რომ ეს ამბავი ეცნობოს ადამიანის უფლებების დაცვის ყველა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებს“, — წერს ოვანოვი ციხიდან გამოგზავნილ წერილში. როგორც მისი ადვოკატი, რა ბერკეტებს ფლობთ ამ ეტაპზე პატიმრის დასახმარებლად?**

— სანამ პეტრე ოვანოვი დამირეკავდა და მეტყოდა, რომ გავჩერებულიყავი, მე უკვე პროკურატურაშიც მქონდა საჩივარი გაგზავნილი და მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებას ვითხოვ. ხათუნა კალმახელიძის სახელზეც მაქვს გაგზავნილი საჩივარი. ამას გარდა, საქმე გაგზავნილი მაქვს ყველა დიპლომატიური კორპუსისთვის და სახალხო დამცველიც ჩართულია ამ საქმეში. აღნიშნული ორგანოები ვალდებულნი არიან, დაუყოვნებლივ დაიწყონ ფაქტის გამოძიება.

უახლოეს დღეებში ვაპირებ პატიმარ პეტრე ოვანოვის ნახვას და, თუ მას სურვილი ექნება, დავეხმარებით, მაგრამ, თუ მე, როგორც ადვოკატს, აცილება დამახვედრეს, მისი ნახვის უფლება აღარ მექნება და არ არის გამორიცხული, პეტრე ოვანოვი აიძულონ, ასე მოიქცეს.

**— შოთა თოლორდავა, ლევან ლეჟავა, გიორგი ფარჯანაძე, დიმა ჩხეიძე... მიუხედავად იმისა, რომ პატიმარი პეტრე ოვანოვი თავის წერილში ამ ადამიანებს პირდაპირ სდებს ბრალს, რა რეაგირება მოჰყვა მის წერილს თქვენ მიერ ჩამოთვლილი დაწესებულებებიდან ან ციხის ადმინისტრაციის მხრიდან?**

— არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია, გარდა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა დახმარების სამინისტროს განცხადებისა. „ზოგიერთი პოლიტიკური სუბიექტი სასჯელაღსრულების სისტემასთან დაკავშირებით შეგნებულად ავრცელებს ცრუ ინფორმაციას საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით, რომელიც შეურაცხყოფს როგორც პენიტენციალური სისტემის მოხელეებს, ასევე ბრალდებულებს და მსჯავრდებულებს“, — ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში. თუმცა ალოგიკურია სამინისტროს ეს განცხადება, ვინაიდან ჩვენ არ ვართ პოლიტიკური სუბიექტი, „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ არასამთავრობო ორგანიზაციაა და, ამას გარდა, მე ადვოკატი ვარ, ანუ არანაირი კავშირი არ გვაქვს პოლიტიკასთან. ამის მიუხედავად, სამინისტრო სპეციალურად ცდილობს, ეს შემთხვევა პოლიტიკას დაუკავშიროს. **ამას გარდა, სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია, თუ გაუპატიურების შემთხვევა ამა წლის 24 თებერვალს მოხდა, რამდენიმე თვის დაგვიანებით რატომ გახდა ჩვენთვის ცნობილიო. არადა, წერილი მხოლოდ იმიტომ მოვიდა ჩვენამდე დაგვიანებით, რომ ოვანოვმა მისი ციხიდან გამოგზავნა ვერ მოახერხა, ვერავის ანდო, რადგან აღნიშნული წერილი რომ ციხის ადმინისტრაციას ჩავარდნოდა ხელში, ხომ წარმოგიდგენიათ, პატიმარი რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი მსჯავრდებული გათავისუფლდა, მან მოახერხა და გამოატანა წერილი. პეტრე ოვანოვი აცხადებს, რომ ის შეძლებს, დაამტკიცოს, რომ გააუპატიურეს. ასე რომ, კალმახელიძის განცხადება სიცრუეა.**

ამას გარდა, პატიმარს ადანაშაულებენ, რომ მან გენერალურ ინსპექციას არ მიმართა რეაგირებისთვის. არადა, ამას აზრი არ ჰქონდა. დაწესებულების დირექტორს რომელი გენერალური ინსპექციის თანამშრომელი დაიჭერდა და პატიმარიც უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.

პროკურატურაშიც გვაქვს საჩივარი გაგზავნილი და არც კი დაურეკავთ, რომ გამოეკითხათ საქმის დეტალები, არც დაინტერესებულან. არადა, ეს ფაქტი ხომ სწრაფ რეაგირებას მოითხოვს.

**— რას ყვებიან პატიმრები, წამების რა მეთოდებს მიმართავენ ციხის თანამშრომლები?**

— გაუპატიურების ფაქტები, დარწმუნებული ვარ, ბევრია, თუმცა, სხვადასხვა მიზეზის გამო, პატიმრებს არ სურთ, ინფორმაცია საჯარო გახდეს.

ესაუბრა **შორენა ციკქარაშვილი**



## «გაუპატიურების ფაქტები, დარწმუნებული ვარ, ბევრია, თუმცა, სხვადასხვა მიზეზის გამო, პატიმრებს არ სურთ, ინფორმაცია საჯარო გახდეს»

## «ვერ დავადასტურებ, რომ ტელეფონით მართლაც პეტრე ოვანოვს ველაპარაკე. არ არის გამორიცხული, მისი სახელით სხვა პირი დამკავშირებოდა»

**პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ის, რაც დღესდღეობით ხდება სასჯელაღსრულების სისტემაში, არის ფარული ომი დაკავებულების წინააღმდეგ, ომი საკუთარ ხალხთან და ამიტომ მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში უნდა დადგეს არა კონკრეტულად რომელიმე დაწესებულების ადმინისტრაციის, არამედ პირადად ხათუნა კალმახელიძის პასუხისმგებლობის საკითხი.**

## სამართალი

## «2008 წლის აგვისტოს ომის დროს, 5 დღის განმავლობაში დაიღუპა 500-მდე ადამიანი; ციხეებში კი უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე 600-ზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა»

**უჩა ნანუაშვილი:**



# დათო შენგელია კარგად იცნობს გალის რაიონს და, როგორც ჩანს, ხელისუფლებას რაღაცაში დასჭირდა მისი ციხიდან გამოყვანა

## შემთხვევითი არაა, რომ შენგელიას გათავისუფლებას ემთხვევა მთელი რიგი ე.წ. ტერაქტების გამოძიება, რომელიც ხელისუფლებამ გარკვეული მიზნებისთვის გამოიყენა

**გავლენიანმა ბრიტანულმა ორგანიზაციამ — ICPS-მა ჩვენს სასჯელაღსრულებით, სისტემაში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით სკანდალური მონაცემი გამოაქვეყნა: საქართველოს ციხეებში ყოველ 63 საათში ერთი პატიმარი იღუპება. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული მაჩვენებლით ჩვენთან 100 ათას მოსახლეზე 539 პატიმარი მოდის, რითაც ევროპაში პირველ, ხოლო მსოფლიოში მეოთხე ადგილზე ვართ. რა მდგომარეობაა დღესდღეობით ციხეებში და კონკრეტულად რა განაპირობებს მსჯავრდებულთა სიკვდილიანობის ზრდას, ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ხელმძღვანელი უჩა ნანუაშვილი.**

**— ბატონო უჩა, უპირველესად, ICPS-ის მონაცემებზე გკითხავთ, რამდენად რეალურია ის ციფრები, რომელიც მასშია მოყვანილი და საერთოდ, რამდენად ასახავს იგი დღესდღეობით ჩვენს სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ მდგომარეობას?**

— კონკრეტულად ამ კვლევას არ ვიცნობ და მის დეტალებზე ნამდვილად ვერ ვისაუბრებ, მაგრამ ის ფაქტი, რომ პატიმართა სიკვდილიანობა ბოლო დროს კატასტროფულად გაიზარდა, ყველა მონაცემით, ყველა უფლებადამცველი ორგანიზაციის მიერ მომზადებული დოკუმენტით დასტურდება. **ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 640-მდე გარდაცვლილი მსჯავრდებული — უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, იმდენად მაღალი მაჩვენებელია, რომ ამას უკვე არ სჭირდება შეფასება. უბრალოდ, ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა გამახვილდეს ერთ რამეზე — რა კეთდება შესაბამისი უწყებების მხრიდან იმისთვის, რომ ეს მდგომარეობა, თუნდაც ნაწილობრივ, გამოსწორდეს.**

**ამასწინათ ერთ-ერთ შეხვედრაზე ხელისუფლების წარმომადგენელმა განაცხადა, სიკვდილიანობა იმიტომ იზრდება, რომ პატიმართა რაოდენობა ძალიანაც დიდიაო, ანუ ამათ ჰგონიათ, რომ ეს არის გამართლება და ის, რაც ხდება ციხეებში, ნორმალურია.** მოკლედ, ხელისუფლება მთელ ამ უბედურებაში არა თუ პრობლემას ვერ ხედავს, არამედ დასაშვებად მიიჩნევს, რომ ვიღაც შეიძლება წამებით მოკლან, ვიღაცას არ ჩაუტარდეს სათანადო მკურნალობა და ამის გამო დაიღუპოს... გამოძიება კი, ფაქტობრივად, არ იწყება არც ერთ საქმეზე, პირიქით, ჩვენ ვხედავთ, რომ თითქმის ყველა გახმაურებული მკვლელობა, რომელიც მოხდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, მიჩუმათდა და რეალურად ვინმეს პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებაზე საერთოდ საუბარიც არ ყოფილა. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკაა განმაპირობებელი ფაქტორი იმისა, რა მდგომარეობაც დღეს გვაქვს, ამიტომ, როცა ლაპარაკია ვითარების გამოსწორებაზე, უპირველესად, აქ უნდა მოიაზრებოდეს ამ პოლიტიკის ძირეული ცვლა. ასევე მიმაჩნია, რომ, სამართლიანობის პრინციპის თანახმად, უნდა დადგეს ყველა იმ თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც თუნდაც რაიმე უმნიშვნელო ფორმით გადააჭარბეს სამსახურებრივ მოვალეობას. უწინარესად კი, უნდა დადგეს ხათუნა კალმახელიძის პასუხისმგებლობის საკითხი, იმიტომ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც ის დაინიშნა მინისტრად, ფაქტობრივად, დაკანონდა და სამართლებრივი სახე მიეცა ყველა უკანონობას, რაც მანამდე ხდებოდა სამართლის გვერდის ავლით. რა თქმა უნდა, ის არ უნდა დარჩეს დაუსჯელი და, როცა დადგება სათანადო მომენტი, ამ ადამიანებმა უნდა აგონ პასუხი.

**— სახალხო დამცველის ბოლო ანგარიშში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ დღესდღეობით უფრო მეტი ადამიანი შედის ციხეში, ვიდრე გამოდის. ამჟამად რა ტენდენცია გვაქვს?**

— ციხეებში ხალხის შედინება ხდება ისევ და ისევ სტიქიურად. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, გადატვირთულობის პრობლემა კვლავ რჩება გადაუჭრელ საკითხად და მეტიც, ეს უკვე საფრთხეს უქმნის მსჯავრდებულთა ჯანმრთელობას, მათ სიცოცხლეს, ვინაიდან თუნდაც ათკაციან საკანში თხუთმეტი და ოცი პატიმარი რომ იქნება მოთავსებული, ცხადია, იქ რამე საარსებო პირობებზე საუბარი ზედმეტია.

რაც შეეხება ციხიდან ადამიანების გამოსვლის სიხშირეს, საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების მიერ მომზადებულ ბოლოდროინდელ კვლევებს თუ გადავხედავთ, თანაფარდობა დაახლოებით ასეთია: გამოდის ერთი მსჯავრდებული, შედის — სამი, ოთხი და ხშირ შემთხვევაში მეტიც, ანუ საქმე გვაქვს ისევ და ისევ ავტორიტარულ, რაღაც მახინჯ სისხლისსამართლებრივ პოლიტიკასთან, რომელიც ეფუძნება ერთადერთ პრინციპს — ხელისუფლების მიერ თავის დროზე დეკლარირებულ ე. წ. ნულოვან ტოლერანტობას. ერთი სიტყვით, **აბსურდია ის პროპაგანდა, თითქოს პრეზიდენტი იწყალებს პატიმრებს და ბევრი ვადაზე ადრე ასრულებს სასჯელის მოხდას. არავინ ასე იოლად არ გამოდის ციხიდან, პირიქით, არიან პატიმრები, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა უმძიმესია, მაგრამ არც კი დგას მათი გათავისუფლების საკითხი, რათა სახლში მინც დალიონ სული ამ საცოდავებმა.** ასე იმიტომ კი არ იქცევიან, რომ საშიშები არიან ის პატიმრები, ვის რა საფრთხე უნდა შეუქმნას, ფაქტობრივად, მომაკვდავმა ადამიანმა?! უბრალოდ, ეს არის ამათი პრინციპი და მიზანმიმართული პოლიტიკა. როცა სჭირდებათ, ტერორისტებს და კაცისმკვლელებს ათავისუფლებენ და არც აინტერესებთ, ექმნება თუ არა ამით რამე საფრთხე საზოგადოებას...

**— იქნებ კონკრეტული შემთხვევა დაგვისახელოთ.**

— მაგალითად შარშან, იანვარში, გაათავისუფლეს „ტყის ძმების“ ყოფილი ხელმძღვანელი დათო შენგელია, რომელიც გასამართლებული იყო მძიმე დანაშაულისათვის. მოგეხსენებათ, მას 24 წელი ჰქონდა მისჯილი. ამ ადამიანის საქმეში წერია, რომ გათავისუფლდეს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო. არადა, მაქვს ინფორმაცია, რომ არც ისე მძიმე იყო მისი მდგომარეობა. ამით რისი თქმა მინდა: არის უამრავი პატიმარი, რომლებიც მართლა მძიმედ არიან და, შეიძლება ითქვას, განწირულნიც, მაგრამ ხელისუფლება საერთოდ არც განიხილავს მათ საკითხს. მაგრამ, როცა თვითონ სჭირდებათ, მნიშვნელობა არ აქვს, რა დანაშაულისთვის იხდის ადამიანი სასჯელს, რამდენად პატიოსნად იხდის ან რამდენი დარჩა მოსახდელი, მაშინვე ათავისუფლებენ. სწორედ შენგელიას საქმეა ამის ნათელი მაგალითი და ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, მსგავსი ფაქტები ხდება ხოლმე პერიოდულად იმის მიხედვით, სად, როგორ დასჭირდება ხელისუფლებას, ოღონდ, ბუნებრივია, ეს არ ხმაურდება და ფართო საზოგადოებამდე ვერ აღწევს ინფორმაცია...

**— თქვენი აზრით, შენგელიას შემთხვევაში რა ინტერესი შეიძლებოდა ჰქონოდა ხელისუფლებას?**

— თუ გავითვალისწინებთ, რა წარსულის მქონე ადამიანია იგი, ერთადერთი, რაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, ისაა, რომ დათო შენგელია კარგად იცნობს გალის რაიონს, იგივე ადმინისტრაციულ საზღვარს და, როგორც ჩანს, ხელისუფლებას რაღაცაში დასჭირდა მისი ციხიდან გამოყვანა, შემთხვევითი არაა, რომ სწორედ მისი გათავისუფლების პერიოდს ემთხვევა მთელი რიგი ამ ე. წ. ტერაქტების გამოძიება, რომელიც ხელისუფლებამ გარკვეული მიზნებისთვის გამოიყენა. საეჭვოდ დაემთხვა იმ პერიოდს ზუგდიდში რეზერვის შექმნის პროცესი, რომელშიც, როგორც ამბობენ, თვითონ შენგელიაცაა გარკვეული ფორმით ჩართული. ერთი სიტყვით, კითხვა ჩნდება უამრავი და თუ ხელისუფლებას სურს, რომ საბოლოოდ მოიხსნას მთელი ეს ეჭვები, მაშინ უნდა გამოააშკარავონ ამ საქმის დეტალები, კერძოდ, ვისი შუამდგომლობით მოხდა მისი გათავისუფლება, რა მოტივით, რა პირობით და ა. შ. ისე, პრინციპში, ჩვენ ამას ისედაც რეალურად დავინახავთ, როცა მოახლოვდება არჩევნები და პოლიტიკური პროცესები შევა გადამწყვეტ ფაზაში...

**— რამდენიმე დღის წინ ქსნის №15 დაწესებულებაში მომხდარი ფაქტის შემდეგ (ვგულისხმობ მსჯავრდებულ პეტრე ოვანოვზე განხორციელებულ ძალადობას) თითქმის ყველა უფლებადამცველი ორგანიზაცია ფეხზე დადგა. რამე შედეგი თუ იქნა მიღწეული და საერთოდ, თქვენ, როგორც უფლებადამცველი, როგორ აფასებთ ამ ფაქტს?**

— ხელისუფლების მხრიდან რამე რეაგირება რომ ყოფილიყო, „ნაცმოძრაობის“ პროპაგანდისტული მანქანა ამას უმაღლეს დონეზე გააპიარებდა, როგორც მათ სჩვევიათ ხოლმე, მაგრამ არანაირი დაინტერესება არც ერთი შესაბამისი უწყებიდან, ფაქტობრივად, არ ყოფილა. პირიქით, მთელი ამ დღეების განმავლობაში სასჯელაღსრულების სამინისტრო მაქსიმალურად ცდილობდა, მიეჩუმათებია ეს ამბავი, რათა საზოგადოების მხრიდან უფრო ფართომასშტაბიანი პროტესტი და მღელვარება არ მოჰყოლოდა ამ ყველაფერს.

რაც შეეხება შეფასებას, მე მგონი, აქ საერთოდ ზედმეტია საუბარი, ეს არის დანაშაული არა მხოლოდ ერთი ადამიანის, არამედ მთლად საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე.

ასეთი რამ ყველგან შეიძლება მოხდეს, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ ჭეშმარიტი დემოკრატიის ქვეყნებში ხდება გამოძიება და დასჯა დამნაშავის. ჩვენთან როგორაა, — არა თუ არ ისჯება ვინმე, დამნაშავეს აწინაურებენ და ხელფასს უმატებენ, ანუ ეს უკვე წაქეზებაა ერთგვარი.

**— არჩევნების მოახლოებასთან ერთად ხელისუფლება, წესით, უნდა არბილებდეს სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას, მაგრამ ხდება პირიქით — ციხეები ვერ იტევენ მსჯავრდებულებს. რამდენად გასაგებია თქვენთვის ეს ლოგიკა?**

— აბსოლუტურად გასაგებია ყველაფერი, იმიტომ, რომ ჩემთვის ნათელია, რა ხელისუფლებასთან გვაქვს საქმე. ესაა ძალა, რომელიც თავიდან ბოლომდე აქცენტირებულია დაშინებაზე, ტერორზე და არა — ამომრჩეველთა გულის მოგებაზე საკუთარი დემოკრატიულობის ხარისხით, ლიბერალური პოლიტიკით. სხვათა შორის, ახლახან გავეცანი ინფორმაციას, რომ **შემოდის კანონი, რომლის თანახმად, იცვლება ლიმიტები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. მაგალითად, ადრე თუ მოდიოდა სამი კვადრატული მეტრი ერთ პატიმარზე, ახლა ეს ნახევრდება და იქნება ერთნახევარი კვადრატული.** ხომ ხვდებით, საითაც მიდის ყველაფერი? — ჯერ ის რა იყო, რა პირობებშიც აქამდე იყვნენ მსჯავრდებულები და კიდევ გაუარესებით წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ ციხეებში სიკვდილიანობა დღითიდღე იზრდება, ეს არის პირდაპირ პროპორციული შედეგი იმ პოლიტიკისა, რომელსაც ხელისუფლება ატარებს.

მაგალითისთვის, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, რომელიც ყოვლისმომცველი ტრაგედია და უბედურება იყო, 5 დღის განმავლობაში დაიღუპა 500-მდე ადამიანი; ციხეებში კი უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე 600-ზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა გაურკვეველი მიზეზებით. ახლა რატომ ვაკეთებ ამ შედარებას: **პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ის, რაც დღესდღეობით ხდება სასჯელაღსრულების სისტემაში, არის ფარული ომი დაკავებულების წინააღმდეგ, ომი საკუთარ ხალხთან და ამიტომ მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში უნდა დადგეს არა კონკრეტულად რომელიმე დაწესებულების ადმინისტრაციის, არამედ პირადად ხათუნა კალმახელიძის პასუხისმგებლობის საკითხი.** ამ ხელისუფლების პირობებში ეს რამდენად მოხერხდება, სხვა თემაა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, დადგება დრო, როცა ეს მოხდება. აი, მაშინ ეს ადამიანები ნამდვილად ვერ გაექცევიან იმ პასუხისმგებლობას, რომელიც მათ რეალურად ეკისრებათ წლების მანძილზე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებული უკანონობისა და განუკითხაობის გამო...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

პოზიცია

**„საქართველო ვერ შეძლებს, იყოს დამოუკიდებელი — ვერც აშშ-ისგან, ვერც ევროპისგან და ვერც რუსეთისგან და ამას ვერც ივანიშვილი და ვერც რომელიმე პოლიტიკური ლიდერი ვერ მოახერხებს. თანამედროვე სამყაროში პატარა ქვეყნის დამოუკიდებლობა და გარკვეული ფაქტორების არგათვალისწინება არის არარეალური პოლიტიკა, რომელსაც ფუნდამენტი არ გააჩნია.“**

# თამარ იოვაშვილი: რატომ არ მივდივარ 27 მაისის აქციაზე

**თამარ იოვაშვილი „უმუშევართა კავშირის“ თავმჯდომარეა. ის არ მიდის 27 მაისს, 3 საათზე, თავისუფლების მოედანზე „ქართული ოცნების“ მიერ დაგეგმილ აქციაზე და „საქართველო და მსოფლიოსთან“ ამის მიზეზებსაც აკონკრეტებს:**

— 27 მაისის აქციაზე არ მივდივარ. ამის რამდენიმე მიზეზი მაქვს. პირველი ის, რომ **არ მინდა ნატოში შესვლა. ნატოში საქართველოს არაფერი ესაქმება. საქართველო არ უნდა იქცეს არც ერთი ქვეყნის სატელიტად და მონად. მან უნდა აირჩიოს ეროვნული და ნეიტრალური პოზიცია, არც ამერიკისკენ უნდა მიისწრაფოდეს და არც რუსეთისკენ, არც რომელიმე ქვეყნის სამხედრო ბლოკთან.** ჩვენ ბოლო 20 წლის განმავლობაში იმდენი დარტყმა გადავიტანეთ, იმდენი ახალგაზრდა დაგვეღუპა, ნამდვილად არ გვყავს ავღანეთის სანახებში ნატოს მტაცებლური მიზნებისათვის გასაწირი ახალგაზრდობა. უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს გენოფონდს, რადგან ახლა ძალიან ბევრი ახალგაზრდაა ემიგრაციაში, უამრავი უკანონო პატიმარი ზის ციხეში, დღეს კიდევ ავღანეთში ყოველთვიურად იღუპება ქართველი ჯარისკაცები. **ვინმე მეტყვის, რა მოვალეობას ასრულებს ჩვენი კონტიგენტი ავღანეთში? საქართველოს იცავს? მე ასე არ ვთვლი. ჩემი აზრით, ამერიკა იყენებს ქართულ კონტიგენტს — ჩვენს ბიჭებს, როგორც საზარბაზნე ხორცს.**

მოგეხსენებათ, ვარ „უმუშევართა კავშირის“ თავმჯდომარე. ჩვენი ჯგუფი თვლის, რომ უმუშევრობის დაძლევის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება რუსეთის ბაზრის გახსნაა. **უამრავი ადამიანი სოფლად უმუშევარია. ჩვენი მთავრობა კი მათ თვლის თვითდასაქმებულად, მაგრამ, თუ ადამიანს თვეში სტაბილური შემოსავალი არ აქვს, თუ საარსებო მინიმუმს არ იღებს, როგორ შეიძლება ის თვითდასაქმე-**



**ბულად ჩათვალოს?! როდესაც რუსული ბაზარი გაიხსნება და ქართველ გლეხს მიეცემა საშუალება, გაიტანოს თავისი ნობათი რუსეთში, დამიჯერეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხის გლეხი მაშინ ამოისუნთქავს, მაშინ დაერქმევა მას თვითდასაქმებული.** დამერწმუნეთ, სინგაპურში ჩვენი ლიმონი არავის სჭირდება. არც ჩვენი ღვინო სჭირდებათ ჩინეთში და სხვაგან. რუსეთის ბაზარი საკმაოდ დიდია და, დამერწმუნეთ, მას ჩვენი პატარა ქვეყნის პროდუქცია ადვილად აითვისებს. იყო დრო, როცა საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებში გამოშვებული პროდუქცია ისედაც ძალიან დიდი წარმატებით იყიდებოდა რუსეთში. ბიჟუტერია, სპორტული ტანსაცმელი, ჩანთები... ძალიან წარმატებულად გადიოდა, მაგრამ იმის მერე, რაც ფაბრიკა-ქარხნების პარალელურად რუსული ბაზარიც დაიხურა ჩვენთვის, ქართველი ხალხი მასობრივად უმუშევარი დარჩა.

**— რამდენად რეალურია დღევანდელ სიტუაციაში რუსული ბაზრის გახსნა?**

— ამ ყველაფერს პოლიტიკური ნება სჭირდება. თუ მოვა ნორმალური ხელისუფლება, თუ ღირსეული ადამიანები მოვლენ მთავრობაში, ვისაც მართლა უყვარს საქართველო და არა ნატო, ამერიკა ან რომელიმე სხვა ქვეყანა, აუცილებელია, რომ უზარმაზარი რუსეთის ბაზარი ჩვენი ეკონომიკისთვის ღია იყოს, თუმცა დღევანდელი ხელისუფლების პირობებში ეს გამორიცხულია. რუსეთის მთავრობამ განაცხადა, რომ არ დაელაპარაკებიან მიხეილ სააკაშვილს და მის გუნდს. მერე მეორეც, **მიხეილ სააკაშვილიც და მისი გუნდიც ძალიან თანმიმდევრულად ასრულებენ ამერიკის შეკვეთას და ყველანაირად ძაბავენ სიტუაციას რუსეთთან. ეს არ კეთდება საქართველოს სასარგებლოდ. ამან საქართველოს მხოლოდ ის მოუტანა, რომ დაიკარგა ტერიტორიები, დაუღუპნენ ჩვენი ბიჭები, ჩვენი გლეხი სავალალო სიტუაციაშია:** მოდის მოსავალი, რომელსაც ვერ ყიდის და ულპება. 8 წლის განმავლობაში „ნაცმოძრაობამ“ არაფერი მოუტანა საქართველოს და ქართველ ხალხს გარდა გაპარტახებისა, უკანონო დაპატიმრებებისა და ა. შ.

**— თქვენ რესპუბლიკელებსაც უპირისპირდებით...**

— იდეოლოგიურად რესპუბლიკელები და „ნაცმოძრაობა“ ძალიან გვანან ერთმანეთს. აბსოლუტურად ერთნაირი მიდგომა აქვთ და იდენტური იდეოლოგია. მე ამ ლიბერალურ იდეოლოგიაზე უარი ვთქვი, რადგან არ მივცემ ხმას იმ ძალას, რომელიც ეთანხმება აზიზის მეჩეთის მშენებლობას, რომელმაც ხაზი გადაუსვა საქართველოში ეროვნულობას, რომელიც ერთი-ერთზე იმეორებს „ნაციონალური მოძრაობის“ იდეოლოგიას.

**— ბოლო პუნქტში თქვენ ამბობთ, რომ არ მოგწონთ ბუნდოვანი დაპირებები სოციალური პოლიტიკის კუთხით. რას გულისხმობთ?**

— „ქართული ოცნების“ ლიდერებისგან ჯერ არ მომისმენია მყარი, სოციალური პროგრამის არც ერთი პუნქტი. ის, რომ დაპირება იყო, საქართველოს ყველა მოქალაქეს ჰქონოდა სამედიცინო დაზღვევის პოლისი, ჩვენს პრობლემას არ წყვეტს. ის, რომ ხალხს დავასაქმებთო, არც ეს წყვეტს ჩვენს პრობლემებს. საქართველოში ადამიანი რომ დასაქმდეს, ძალიან სერიოზული რეფორმების გატარებაა საჭირო. უნდა შედგეს დასაქმების სამსახური, აღირიცხოს უმუშევარი ადამიანები, შემოვიდეს კანონები, სადაც იქნება უმუშევართა სტატუსი განსაზღვრული და, თუ არ დაასაქმებთ, მაშინ რა ვქნათ? ხომ სჭირდება უმუშევარ ადამიანს შემწეობა? თუ ყველაფერი ისე გაგრძელდება, როგორც დღესაა, როდესაც უმუშევარი ადამიანი, ფაქტობრივად, არაფერს წარმოადგენს. აუცილებლად უნდა იყოს გამოყოფილი ბიუჯეტში თანხა ასეთი ადამიანებისთვის. ბიუჯეტში არის პუნქტი, რომელსაც სიღარიბის დაძლევის პროგრამა ჰქვია, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს სიღარიბის გაღრმავების პროგრამა უფროა.

**ლილი მიროტაძე**

# გიორგი მარგველაშვილი: საქართველო ვერ შეძლებს, იყოს დამოუკიდებელი ვერც აშშ-ისგან, ვერც ევროპისგან და ვერც რუსეთისგან



**შეძლებს თუ არა საქართველო, იყოს დამოუკიდებელი ქვეყანა და როგორი უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის საგარეო განვითარების ვექტორი, ქვეყანაში მიმდინარე აქტუალურ მოვლენებსა და მომავალი არჩევნების ძირითადი კონკურენტების — ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნებისა“ და მიხეილ სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობის“ შესახებ „საქართველო და მსოფლიოს“ ფილოსოფოსი, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ხელმძღვანელი გიორგი მარგველაშვილი ესაუბრება.**

**— ჟურნალ „ლიბერალში“ დაიბეჭდა თქვენი წერილი, რომელშიც ბიძინა ივანიშვილის შესახებ არსებულ რამდენიმე ვერსიას განიხილავთ. წერთ, რომ მისი პოლიტიკაში მოსვლა, ერთ-ერთი ვერსიით, შესაძლოა, რუსეთის სახელისუფლო წრეებთან შეთანხმებული პროექტი იყოს, თუმცა ამ ფაქტს მიესალმებით, რადგან, თქვენი აზრით, შესაძლოა, ეს ჩვენი ქვეყნისთვის სასარგებლოც კი აღმოჩნდეს. ვინაიდან ეს არის შემთხვევა, როდესაც რუსეთი გვთავაზობს, „არა ძალადობით, არა ტანკებით ქართულ პოლიტიკაში წარმოადგინოს მისთვის მისაღები პოლიტიკური ძალა“.**

**იმ შემთხვევაში, თუ ეს მართლაც ასეა და თუ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლა უცხო ქვეყნის ხელისუფლების პროექტია, რამდენად ეროვნული ძალა იქნება ის და რამდენად შეძლებს, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები?**

— აქ ძალიან მნიშვნელოვანია, გავავლოთ ზღვარი რუსეთის სახელისუფლო პროექტს, უშიშროების მიერ შექმნილ პროექტსა და რუსეთის პოლიტიკური ძალებისთვის მისაღებ ფიგურას შორის. მე იმედი მაქვს, რომ ივანიშვილი არ არის მიუღებელი რუსეთის პოლიტიკური წრეებისთვის და ის არ არის სააკაშვილის გაუგებარი პოლიტიკის მატარებელი.

აქ თვისობრივად მნიშვნელოვანია, ჩვენ ერთმანეთისგან გავმიჯნოთ საქართველოს ინტერესები და მისი რეალური შესაძლებლობები. ფაქტია, რომ რუსეთი საქართველოს გვერდით არსებობს და, ცხადია, ჩვენ შეიძლება გვქონდეს სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება ამ ფაქტის მიმართ. **ერთი ვარიანტია, გვქონდეს სააკაშვილის გუნდის მსგავსი გეოპოლიტიკური შეხედულება, რომ რუსეთის ადგილზე ოკეანე უნდა წარმოვიდგინოთ. მეორე ვარიანტია, გვქონდეს რეალისტური მიდგომა.** მე იმედი მაქვს, რომ ივანიშვილის რუსეთში კონტაქტები, თუნდაც მისი ბიზნესუნარიანობიდან, მისი სახელიდან გამომდინარე, მასაც და ჩვენს პოლიტიკურ ელიტასაც რაციონალური პოლიტიკის აგების საშუალებას მისცემს. **ბიძინა ივანიშვილი არის ის პოლიტიკური ფიგურა, რომელიც, რუსეთში თავისი სერიოზული წარმატებებიდან გამომდინარე, შეძლებს რაციონალური ურთიერთობა დაამყაროს რუსეთის პოლიტიკურ წრეებთან. რუსეთი რომ საქართველოს დაელაპარაკება, ეს ფაქტია, მაგრამ ეს ლაპარაკი იქნება ან იარაღის მეშვეობით, ან დიალოგი.**

**— ეს ხელისუფლება თუ შეძლებს რუსეთთან დიალოგს?**

— ამ ხელისუფლებამ შეძლო ის, რომ ყველასთვის წარუმატებული სცენარი გაითამაშა. 2008 წელს ჩვენ მივიღეთ გაუაზრებელი პოლიტიკის შედეგი და ამ კონფლიქტში ყველა წაგებული აღმოჩნდა. ეს არ ყოფილა რუსეთისთვის წარმატება, პირიქით... საქართველომ კი სერიოზულად იზარალა, რაც გამოიწვია სიტუაციის უცოდინარობამ, ჩვენ, უბრალოდ, ვერ ავიცილეთ კონფლიქტი.

საქართველო ვერ შეძლებს, იყოს დამოუკიდებელი — ვერც აშშ-ისგან, ვერც ევროპისგან და ვერც რუსეთისგან და ამას ვერც ივანიშვილი და ვერც რომელიმე პოლიტიკური ლიდერი ვერ მოახერხებს. თანამედროვე სამყაროში მცირე ქვეყნის დამოუკიდებლობა და გარკვეული ფაქტორების არგათვალისწინება არის არარეალური პოლიტიკა, რომელსაც ფუნდამენტი არ გააჩნია.

ბუნებრივია, მცირე ქვეყანა ვერ იქნება ისეთი დამოუკიდებელი, რომ არ გაითვალისწინოს მეზობელი ქვეყნების პოზიცია. ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო რესურსები რეალურად იმის შესაძლებლობას არ გვაძლევს, რომ საქართველო არ დაიპყროს, მაგალითად, ირანმა, თურქეთმა, რუსეთმა — რომელიმე მოკავშირე ქვეყანამ და ასეც იქნებოდა, მსოფლიოში გარკვეული შეთანხმება რომ არ არსებობდეს. რუსეთს, მაგალითად, ვერ დაიპყრობს თურქეთი, არა შეთანხმებული თამაშის წესების გამო, არამედ იმიტომ, რომ რუსეთი თუნდაც სერიოზული ბირთვული ძალის მატარებელია.

**შევხედოთ თუნდაც ჩვენს ეკონომიკურ წონას საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებსა თუ მოლაპარაკებებში, ჩვენი უნარი, საკუთარი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა, დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შევძლებთ შეთანხმებას ჩვენი დამოუკიდებლობის ფაქტზე და ეს შეთანხმება მუდმივად უნდა გავამყაროთ, იქნება ეს აშშ-თან, სხვადასხვა ალიანსთან თუ რაღაც ფორმით დიალოგი რუსეთთან. ეს არის ჩვენი ყოველდღიური არსებობის წესი.**

**— უშუალოდ ნატოს რაც შეეხება: რუსეთი არ მალავს, რომ საქართველოს ნატოში შესვლის მცდელობაც კი გამორიცხავს, დათანხმდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცეს საქართველო?**

— მე არ ვარ ნატოს თემატიკის ექსპერტი, მაგრამ რუსეთის პოზიცია ყოველთვის ერთმნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, რუსეთისთვის საქართველოს წარმატება, რომელ ასპექტშიც არ უნდა იყოს, რუსულ საგარეოპოლიტიკურ მენტალიტეტში არასასრურველი წარმატებაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რომელიმე ამ კურსთაგანი უნდა შევცვალოთ.

**— უნდა ვთქვათ თუ არა უარი ნატოში ინტეგრაციაზე, თუ სანაცვლოდ შესაძლებელი გახდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა?**

— რეალურ პოლიტიკაში ასე საკითხს არავინ სვამს — ან ნატო ავირჩიოთ, ან რუსეთი.

**— შესაძლოა, ასე აშკარად არავინ სვამს საკითხს, მაგრამ რუსეთის რეაქციიდან ეს ნათელია...**

— რუსეთის რეაქციიდან არ ჩანს ასე. ეს არის მუდმივად პოლიტიკური თამაშის თემა, როგორც რუსეთთან, ისე ქვეყნის შიგნით.

**— მინდა ბოლო დღეების ერთ-ერთ აქტუალურ საკითხზე გკითხოთ: რამდენიმე დღის წინ თბილისში არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანების შეკრება გაიმართა. როგორ ფიქრობთ, მართლა ასე იზღუდება მათი უფლებები?**

— ეს მოვლენები, მე მგონია, მაინც იყო საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი მტკივნეული თემის — დავით გარეჯის თემის გადაფარვის სურვილი. რადგან ეს არის ის, რაზეც წარმოუდგენელია, რომელიმე ქართველს არ ჰქონდეს მძაფრი, ემოციური რეაქცია და **რთულია, მშვიდად ვუსმინოთ, რომ თურმე ჩვენთვის აბსოლუტურად გაუგებარ დროს მოხდა ჩვენივე სიწმინდეებისა და ტერიტორიის სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემა, თან ომით კი არა, რაღაც გარიგების შედეგად, რომელიც, არავინ იცის, სად და როდის მოხდა. ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, ვისი წყალობით ჩაიწერა ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო ფურცელი. როცა შენს ტერიტორიას სამზარეულოში ხელმოწერილი გაუგებარი გარიგების შედეგად კარგავ, ისტორიას მაინც უნდა შემორჩეს იმ ადამიანის სახელი და გვარი, ვინც ჩვენი სიწმინდეები ასე გაასხვისა, რათა ვიცოდეთ, ვინ არის ყველაზე სამარცხვინო ადამიანი საქართველოს ისტორიაში, რომელმაც სერგო ორჯონიკიძის გზა გააგრძელა.**

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**



**პლანეტაზე ერთადერთი სივრცე, რომელშიც გეიპარადებს „ურა-ვაშათი“ ვერ ატარებენ, მხოლოდ პოსტსაბჭოთა, გნებავთ, ევრაზიული სივრცეა, რომლის უპირველესი ტონის მიმცემი პედერასტებთან „ლოიალობისა“ რუსეთია; რუსეთი, სადაც ამ ნაძირალებს პოლიცია და ხალხი ერთად ელობებიან წინ. რუსეთში, კანონიც კი მიიღეს ამას წინათ, რომელიც არასრულწლოვანებს შორის პედერასტობის აგიტაცია-პროპაგანდას სასტიკად კრძალავს.**

მაინც ამოვთხრი...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მოაღლუმე მამათმავლებს ორიოდ დღის წინ “პარადი” რომ გასვლოდათ, ჯონ ბასი სავარაუდოდ სათაურში მოყვანილ ფრაზას დეპეშად აფრენდა ვაშინგტონში – ეს ისე ნახევრად ხუმრობით, სერიოზულად კი იმას ვიტყვი რომ მართალი ყოფილა ფრთიანი გამოთქმა „არასოდეს თქვა არასოდეს“. სამუდამოდ თუ არა, მეგონა, დროებით მაინც გამოვემშვიდობებოდი პედერასტების თემატიკას, მაგრამ გაგიგონია? თითქოს ტანმა მიგრძნოო, ჩემი სტატია „დემოკრატიის პალო და მამათმავლების ხმებზე მონადირე ბარაკ ჰუსეინი“ პირდაპირ ათიანში არ გავარტყი? დემოკრატიის სახელით პალოს და თანაც მომავალში ვინლა დაეძებს, ლამის ახლავე სარი გაგვიყარეს — 17 მაისს ჰომოფობიასთან ბრძოლის დღის აღნიშვნის „სოუსით“ ლგბტ-პედერასტებმა რუსთაველზე აღლუმის ჩატარება განიზრახეს.**

# ვაშინგტონი, თეთრი სახლი, ბარაკ ჰუსეინ ობამას, თბილისის თავზეც ცისფერი დროშა ფრიალებს...

დარწმუნებული ვარ, რომ ქართული საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობისთვის უცნობი იყო, თუ როდის აღნიშნავს ამ „საკრალურ“ თარიღს „განათლებული დასავლეთი“.

რატომ? იმიტომ, რომ საქართველოში არასოდეს, არანაირი სახის ფობიების პრობლემა არ ყოფილა. რისი დასტურიც მთელი ჩვენი მრავალტანჯული ისტორიაა.

მაშინ, როდესაც მთელი ევროპის პროგრესული აზრი, გნებავთ, მორალი „წმინდა ინკვიზიციის“ კოცონებზე იწვოდა, გენიალური რუსთაველი ჰუმანიზმსა და სიყვარულს, ხალხთა შორის მეგობრობას უმღეროდა. ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნე, მუსლიმანური აგრესიისგან სისხლ და ცრემლდადენილი ქართველი ღიღინებდა: „ყველა ადამის შვილნი ვართ, თათარიც ჩემი ძმა არის“.

ან ის რად ღირს, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელშიც ანტისემიტიზმს ადგილი არ ჰქონია!!!

ჰოდა, სანამ ჩვენკენ ვინმე ხელის გაშვერას დააპირებს, იქნებ გაიხსენონ, როგორ ამოჟლიტეს ინდიელები, რომლებიც ახლა ამერიკაში ეგზოტიკურ იშვიათობას წარმოადგენენ; ან იქნებ ბიჩერსტოუს „ბიძია თომას ქოხი“ მაინც წაიკითხონ და ნახავენ, რომ აფრიკელი მონების მთავარი „ექსპორტიორები“ ამერიკელი პლანტატორები ბრძანდებოდნენ, რომელთა გადემოკრატებულმა მემკვიდრეებმა დღეს სიტყვა „ზანგის“ ხსენებისთვისაც კი მკაცრი სანქციები შემოიღეს. თითქოს მათრახის ცემაში ბიძია თომას დღევანდელი ამერიკელი „ჰუმანისტების“ წინაპრებმა კი არა, ბაბუაჩემმა, ჯვებე ხეციამ, ამოხადა სული; იქნებ არც ის ახსოვთ, რომ მიუხედავად სამოქალაქო ომისა, რის შედეგადაც ვითომდა მონობა გაუქმდა, მეოცე საუკუნის მიწურულისკენაც კი შავკანიანებს ლინჩის წესით სჯიდნენ კუკლუკსკლანელები და რომ აშშ-ის დღევანდელ, პირველ ე. წ. აფროამერიკელ პრეზიდენტ ობამას სიყმაწვილეში, ალბათ, თავადაც უგემნია რასობრივი დისკრიმინაციის, სეგრეგაციის სიმწარე...

ან ადოლფ ჰიტლერი ფარცხანაყანეველი გლეხი იყო თუ შუაგულ ევროპელი, რომელმაც 6 მილიონი ებრაელი გაზის კამერებში გაგუდა და შემდეგ ღუმელებში დაფერფლა? იმ „კადნიერი აზრის“ არგუმენტირებისათვის, თუ რატომ არ ვართ ქართველები ვალდებულნი, რომ ყბადაღებულ „ჰომოფობიასთან ბრძოლის“ თარიღი, ამ ფობიების მშობელ ქვეყნებთან ერთად, ჩვენც უეჭველად უნდა გვახსოვდეს, ისტორიული მაგალითების მოყვანა კიდევ ბევრის შეიძლება, მაგრამ ახლა მთავარზე...

გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებულ მასალას, ბოლომდე მელანიც კი არ შეშრობოდა, რომ ბარაკ ობამას უპრეცედენტო განცხადებას, აშშ-ში ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონების შესახებ, მყისიერი რეაქცია მოჰყვა საქართველოში. როგორც ამბობენ, პედერასტების დამცველთა რომელიღაც არასამთავრობო ორგანიზაციაში გამართულა შეხვედრა, სწორედაც რომ აშშ-ის პრეზიდენტის „ნოუჰაუს“ პასუხად. რისთვისაც ქართველ პედერასტებსა და მათი უფლებების დამცველებს „ჩვენ თავისუფლების არ გვეშინია“ დაურქმევიათ.

გახსოვთ, ალბათ, რომ ადრე პედერასტების აღლუმების ანონსს კარგა ხნით ადრე აკეთებდნენ, რის გამოც საზოგადოებრივი აზრიც და ფიზიკური ძალებიც მობილიზაციას ასწრებდნენ და ამიტომ ვერასდროს შეძლეს განზრახულის შესრულება.

ამიტომ მამათმავლებმა, მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, იმ შეხვედრაზე გადაწყვიტეს, რომ მეორე დღესვე ჩაეტარებიათ გეიპარადი, რასაც ამდენი ხანია ითხოვდნენ მათგან დასავლეთ ევროპაში თუ ამერიკაში არსებული მათი დამფინანსებელი პატრონები.

ჰოდა, მართლაც, პატრიარქი (ამ ქვეყნის ლამის ერთადერთი პატრონი და გულშემატკივარი) პარიზში დაიგულეს და იფიქრეს — ეგებ გასჭრას და რუსთაველზე ჩასეირნება მოვასწროთო. ქართველი კოლეგების მხარდასაჭერად საგანგებოდ მოვლენილმა ორმა ინგლისურენოვანმა პედერასტმა, რომელთა უკანაც ბანერზე ეწერა „გ ა ფ ე რ ა დ დ ი !!!“, რომ იტყვიან, ერთმანეთს „ზასაობით“ „კუჭის წვენი ამოუღეს“ ფილარმონიისა და 51-ე სკოლის (!!!) წინ (ბავშვების დასანახად) და პარადიც დაიძრა.

ვიმეორებ, იმის გამო, რომ წინასწარ პრაქტიკულად არავინ არაფერი იცოდა (მათ შორის, მეც და მხოლოდ კინოს სახლთან მივუსწარი ამ ამბავს, როგორც თვითმხილველმა), ეტყობა, უბრალო გამვლელები თავიდან ვერ მიხვდნენ, რაში იყო საქმე და ზემელამდე უპრობლემოდ მოაღწიეს.

 აი, აქედან იწყება ჩემი, როგორც თვითმხილველის, ნაამბობი, რაც მოკლედ ასე ჟღერს: ქართველმა ხალხმა — უბრალო თბილისელებმა ე.წ. დომკინოსთან პედერასტების პირველი პარადი „ჩაიბარეს“. თუ როგორ, ეს მთელმა საქართველომ იხილა და ამიტომ ბევრს აღარ გავაგრძელებ და სხვა რამეზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას.




## თბილისელებმა კინოს სახლთან პედერასტების პირველი პარადი «ჩაიბარეს». თუ როგორ, ეს მთელმა საქართველომ იხილა

**აღლუმის „დარბევას“ ისე სწრაფად გამოეხმაურა საქართველოში აშშ-ის ელჩი და პრაქტიკულად საქართველოს რეალური მმართველი ჯონ ბასი, რომ მსგავსი ოპერატიულობა ადასტურებს (პირადად ჩემთვის უეჭველად) იმას, რომ ამერიკის ელჩმა ყველაფერი წინასწარ იცოდა!!!**

„იუდეის პროკურატორმა“, ჯონ ბასმა, რომელსაც გვერდს პედერასტების ცნობილი თუ უცნობი დამცველები უმშვენებდნენ, განაცხადა, რომ სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვა საქართველოს ხელისუფლების წმინდათა წმინდა ვალია!!!

**ასე ყოფილა, მამავ და შვილო, და რას იზამ? აქედან გამომდინარე კი, განსხვავებული პოლიტიკური მოსაზრებების გამო 26 მაისს ჯონ ბასის მიერ გაცემული სანქციით ხალხის დახოცვაც, გამოდის, რომ დანაშაული კი არა, ეგეც ხელისუფლების წმინდა მოვალეობა ყოფილა.**

მერე უკვირთ, რომ საქართველოში, სადაც „ვარდოსანთა“ ხელისუფლებაში მოსვლამდე, პრაქტიკულად, საყოველთაო პროამერიკული განწყობა სუფევდა, რატომ შეიცვალა ანტიამერიკულით.

ამას მოჰყვა საია — საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ასევე ოპერატიული სარჩელი გენპროკურორის სახელზე, რომლითაც ისინი კატეგორიულად ითხოვენ პედერასტების აქციის „დამრბევთა“ და ამ დროს უმოქმედოდ მყოფი პატრულის (მადლობა მათ ღირსეული, ქართული საქციელისთვის. — დ.მ.) მუშაკთა დასჯას.

საიამ ამ საქციელით დაამტკიცა, რომ ისინიც ყოველგვარი ქართულისა და ტრადიციულის ისეთივე მოძულე გრანტიჭამიები არიან, როგორც სხვები, მაგალითად, „კოალიცია ევროპული საქართველოსთვის“, რომლებმაც ასევე სასწრაფოდ გაავრცელეს პედერასტების მხარდამჭერი განცხადება.

**პედერატების პარადის „დამრბევები“, ასე თუ ისე, მაინც დასაჯეს — ას-ასი ლარით დააჯარიმეს, თუმცა არავითარი დარბევა არ ყოფილა. იყო მხოლოდ ორმხრივი შეხლა-შემოხლა და მსუბუქი ჩხუბი, რის გამოც ერთმა ყმაწვილმა ლამის ცრემლებით შემომჩივლა — რა ვქნა, ბიძია, როგორ მრცხვენია, „ქათმის“ ხელი მომხვდაო...**

**არადა, რა უნდათ ამ პედერასტებს, რა პარადები აუტყდათ? ვინ და როდის დაარღვია მათი უფლებები? ვინმე შეუვარდათ „სპალნაში“? მაგრამ არა, მათი მიზნები, მათსავე პლაკატებზე ეწერა, რომლებიც „დარბევისას“ მიუმტვრიეს აღშფოთებულმა გამვლელებმა. აი ზოგიერთი მათგანი: „მე მიყვარს ჩემი მეგობარი გეი“, „ბედნიერება ფერადია“, „ჩემი სხეული მე მეკუთვნის“ და ყველაზე მთავარი — „გ ა ფ ე რ ა დ დ ი“. ამ ბანერის ფონზე, დღის 1-2 საათზე სკოლის წინ ორი მუტრუკის „ზასაობა“ არის თუ არა პირდაპირი მოწოდება, პროპაგანდა მიმართული ჩვენი შვილების დასანახ-გასაგონად? და შესაბამისად, არის თუ არა ეს ჩვენი შვილების, ბავშვებისა და მათი მშობლების უფლებების დარღვევა? მშობლების, რომლებსაც „რატომღაც“ არ გვინდა, რომ ჩვენი შვილები პედერასტები გახდნენ. და ამისთანა მამამ, ღმერთმა დაიფაროს და ვინმე პედერასტს, საკუთარი შვილის სკოლის წინ რომ თავი გაუპოს, გაემტყუნება?**

საგულისხმოდ მიჩანს ის ფაქტიც, რომ არა თუ მეოცნებეებმა (რესპების გამო გამორიცხულია ეს ამბავი), არამედ **მეტ-ნაკლებად წონადი ოპოზიციური პარტიებიდან თუ პერსონებიდან ოფიციალურად არავის დაუგმია პედერასტების აღლუმის ჩატარება. დიახ, ჩატარება და არა მცდელობა, რადგანაც დიდი ვერაფერი ბედენაა, თუ პედერასტებმა ბოლომდე ვერ გაიარეს დასახული მარშრუტი.**

წინა წერილში ვწერდი და ახლაც გავიმეორებ — ფუნდამენტური ისლამის ქვეყნების გარდა, სადაც პედერასტები შარიათის გამო ვერ ჯეჯილობენ, **პლანეტაზე ერთადერთი სივრცე, რომელშიც გეიპარადებს „ურა-ვაშათი“ ვერ ატარებენ, მხოლოდ პოსტსაბჭოთა, გნებავთ, ევრაზიული სივრცეა, რომლის უპირველესი ტონის მიმცემი პედერასტებთან „ლოიალობისა“ რუსეთია; რუსეთი, სადაც ამ ნაძირალებს პოლიცია და ხალხი ერთად ელობებიან წინ. რუსეთში, სადაც კანონიც კი მიიღეს ამას წინათ, რომელიც არასრულწლოვანებს შორის პედერასტობის აგიტაცია-პროპაგანდას სასტიკად კრძალავს. ამასწინათ უკრაინაშიც ვერ გამართეს პედერასტებმა აღლუმი – საზოგადოების მხრიდან მკვეთრი წინააღმდეგობის გამო.**

მსგავსი ოაზისი შუაგულ ევროპაშიც იყო ერთმორწმუნე (!!!) მართლმადიდებელი სერბეთის სახით, მაგრამ შარშან ბელგრადში პოლიცია-ჯარის გაძლიერებული კორდონით მაინც გაიმართა გეიპარადი, რომელსაც სპეციალურად ჩამოსული ევროპარლამენტის დეპუტატები კმაყოფილებით ადევნებდნენ თვალს. უბრალო სერბები კი, ყელში ჯავრისა და უილაჯობის ბურთგაჩხერილები, თვალცრემლიანნი უყურებდნენ საკუთარი სამშობლოს გაუპატიურებას...

თუ ასე გაგრძელდა, მსგავსი რამ ჩვენთანაც მოხდება — ჩვენც სერბებივით (კოსოვო) ჩამოგვაჭრეს აფხაზეთ-სამაჩაბლო ჩვენმა „სტრატეგიულმა პარტნიორებმა“ (დიახ, არ შემშლია! ლიბერასტულ ევროპა-ამერიკასთან უაზრო ფლირტის გამო დავკარგეთ ტერიტორიები). ახლა კი თხემით ტერფამდე ქართველი კაცის — სოსო მანჯავიძის 100-ლარიანი ჯარიმით სიმბოლური, მაგრამ მაინც დასჯა იმის გამო, რომ გათავხედებულმა პედერასტმა მსუბუქი ალიყური გამოსტყუა მამის ტოლა კაცს, იმის ნიშანია, რომ გაგრძელება იქნება, ანუ **სულ მალე მოვა ის დრო, როდესაც ჩვენთანაც, გაძლიერებული კორდონით ჩაივლიან რუსთაველზე ათასი ჯურის პედერასტები და ახლოსაც ვერავინ მიეკარება.**

**ანუ მართლმადიდებელ ქართველ ერსაც გააუპატიურებენ. გაუპატიურებელ ხალხს კი დაკარგულის დაბრუნების პრეტენზია ველარასოდეს ექნება!**

**ღმერთო, შენ დაიფარე ღვთისმშობლის წილხვედრი ივერია...**

**დავით მხეიძე**

ნაც-ტერორი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მამაჩემმა სააკაშვილი, როგორც ყველაფერზე წამსვლელი ავანტიურისტი, ჯერ კიდევ ოთხმოცდაათიან წლებში ამხილა. ახლა ბევრი იბრალებს ამას...
1999 წელს, როდესაც მამაჩემმა ზეპარტიული მოძრაობა „საქართველო, უპირველეს ყოვლისა“ დააარსა, ბევრი, მათ შორის, სააკაშვილიც, მას ფაშისტს ეძახდა.
დღეს თქვენ ხედავთ, გურამ შარაძის იდეებით თავს როგორ იწონებენ, ზოგჯერ თვით ე. წ. პრეზიდენტიც კი.“



რუსუდან შარაძე:

# სააკაშვილი ყელამდე სისხლშია!

## «მთელი ქვეყანა იქნება მომსწრე ძალიან საინტერესო პროცესისა, რომელსაც გურამ შარაძის მკვლელობის საქმის გამოძიება ჰქვია»



**გურამ შარაძის მკვლელობიდან 5 წელიწადი შესრულდა. საქმე ოფიციალურად გახსნილია, მკვლელი გასამართლებულია. მიუხედავად ამისა, გურამ შარაძის ქალიშვილი დღემდე მიიჩნევს, რომ ბარათელს გურამ შარაძე არ მოუკლავს და რომ სინამდვილეში პროფესორი თავისი ოპოზიციური საქმიანობის გამო ხელისუფლების მითითებით საჯაროდ დახვრიტეს.**

**რუსუდან შარაძე:**

— პირველ რიგში, დავიწყებ ახალი ინფორმაციით — მოვიპოვე „ალდაგის“ ვიდეოფირის მცირე ნაწილი, რომელიც „კურიერი P.S.“-მა 2007 წლის აგვისტოში ეთერში გაუშვა და ფოტოებად ამოვიღე ყველაზე მნიშვნელოვანი კადრები. ამ ფირის „სრული“ ვერსია მკვლელობიდან 45 დღის შემდეგ შინაგან საქმეთა სამმართველოში წამობრივად შევისწავლე და იმ დღიდან მოყოლებული ვამტკიცებ — **მიუხედავად იმისა, რომ ფირი სანახევროდ განადგურებულია, მაინც საკმარისია სიმართლის დასადგენად. მასზე თვალნათლივ ჩანს, რომ მკვლელობის მომენტში გიორგი ბარათელი მელიქიშვილზე საერთოდ არ იმყოფებოდა, მკვლელები ორნი იყვნენ და ერთ-ერთი, რომელიც გურამ შარაძეს უკან მიჰყვებოდა და მოახდინა პირველი გასროლა, ბარათელისგან განსხვავებით, იყო თავზე თმით და ბარათელზე, სულ მცირე, 15 სანტიმეტრით მაღალი. ეს ფოტოები ამის უტყუარი მტკიცებულებაა და პროფესიონალები ამას ადვილად დაადასტურებენ.** თუმცა სააკაშვილის ჯიბის სასამართლომ დადო დასკვნა, რომ „ფირი უვარგისია ექსპერტიზისთვის“.

ამ ხელისუფლების პირობებში, რა აზრი აქვს საქმის თავიდან ძიებაში დაბრუნების მოთხოვნას მაშინ, როდესაც, მიუხედავად თავიდანვე ცნობილი უამრავი ფაქტისა, სასამართლოს არაფერი გაუთვალისწინებია და მოსამართლე ბადრი კოჭლამაზიშვილმა სრულიად უდანაშაულო ადამიანს, გიორგი ბარათელს, რომელსაც არც კი უთანამშრომლია მკვლელებთან, 27 წელი მიუსაჯა.

**— მკვლელობის პირველივე დღეებში განაცხადეთ, რომ მამათქვენის მკვლელობას პოლიტიკური სარჩული უდევს, რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— თავიდანვე ცხადი იყო, რომ გურამ შარაძე მოკლეს იმისთვის, რომ გურამ შარაძე იყო. გიორგი ბარათელს მამაჩემის მოკვლის არავითარი მოტივი არ ჰქონდა, თან ასე პროფესიონალურ დონეზე ის მკვლელობას ვერ შეასრულებდა. სასაცილოა ხელისუფლების მიერ გავრცელებული ჭორი, თითქოს ბარათელს გაახსენდა 7 წლის წინანდელი წყენა, თუ როგორ უპირებდნენ გურამ და გიორგი შარაძეები, ტრანსპლანტაციის მიზნით, თირკმელების ამოჭრას და გაყიდვას. ამიტომ ქუჩაში შემთხვევით დანახულ მამაჩემს ზურგიდან დაახალა ტყვია კეფაში, ესეც არ იკმარა და შემდეგ ორი საკონტროლო გასროლაც განახორციელა.

**სასამართლომ ყველა ინსტანციაში ისე ჩაიარა და განაჩენი ისე გამოიტანა, რომ მკვლელობის ოფიციალური მოტივი არ დასახელებულა. ბუნებაში არ არსებობს ბარათელის აღიარებითი ჩვენება.**

**— თავის დროზე გურამ შარაძის მკვლელობაში ბრალი დღევანდელ ხელისუფლებას და უშუალოდ ქვეყნის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს დასდეთ, რატომ?**

— არამხოლოდ თავისდროზე, ბრალს ახლაც ვდებ და, თავისუფალი სასამართლოს შემთხვევაში, ამას ძალიან მარტივად დავამტკიცებ.

საზოგადოებას ახსოვს დაპირისპირება გურამ შარაძესა და სააკაშვილს შორის. **მამაჩემმა ის, როგორც ყველაფერზე წამსვლელი ავანტიურისტი, ჯერ კიდევ ოთხმოცდაათიან წლებში ამხილა. ახლა ბევრი იბრალებს ამას. აქ აღარ მოვყვები, თუ რა საკითხებისკენ იყო მიმართული გურამ შარაძის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ბრძოლა. 1999 წელს, როდესაც მამაჩემმა ზეპარტიული მოძრაობა „საქართველო, უპირველეს ყოვლისა“ დააარსა, ბევრი, მათ შორის, სააკაშვილიც, მას ფაშისტს ეძახდა. დღეს თქვენ ხედავთ, გურამ შარაძის იდეებით თავს როგორ იწონებენ, ზოგჯერ თვით ე. წ. პრეზიდენტიც კი.** პატრიოტიზმი მოდაში შემოვიდა, ყველა ცდილობს, ეროვნულ სამოსში გაეხვიოს. ვერ დამისახელებთ ბოლო წლებში დაარსებულ ვერც ერთ პარტიას, რომლის სახელწოდებაშიც სიტყვა „საქართველო“ არ ერიოს. სად იყო ეს ხალხი აქამდე? თუ საქართველო აქამდე არ არსებობდა?

**სააკაშვილს სძულს ავტორიტეტული პიროვნებები და რახან ვერც ჯანსაღი ბრძოლით და ვერც ბინძური მეთოდებით ერევა, პირდაპირ მკვლელობაზე გადადის.** სააკაშვილმა მოაკვლევინა ზურაბ ჟვანია, ბადრი პატარკაციშვილი, რამაზ კლიმიაშვილი... სააკაშვილის კისერზეა პოლიციის მიერ ქუჩაში ჩაცხრილული ორასამდე ახალგაზრდისა და ციხეში წამებით მოკლული ადამიანების სისხლი, ომში ჩახოცილი ჯარისკაცებისა თუ მშვიდობიანი მოსახლეობის ცოდვა. **სააკაშვილი ყელამდე სისხლშია. ის, თანამონაწილეებთან ერთად, აუცილებლად პასუხს აგებს ქვეყნისა და ერის წინაშე ჩადენილ დანაშაულზე.**

**«სააკაშვილს სძულს ავტორიტეტული პიროვნებები და რახან ვერც ჯანსაღი ბრძოლით და ვერც ბინძური მეთოდებით ერევა, პირდაპირ მკვლელობაზე გადადის»**

**— თუ გაქვთ ინფორმაცია, რა პირობებში იხდის სასჯელს გიორგი ბარათელი?**

— წლებია, რაც ჟურნალისტი ნინო მიქიაშვილი სასამართლოს გზით ცდილობს, მოიპოვოს საჯარო ინფორმაცია, თუ რომელ დაწესებულებაში იხდის სასჯელს გიორგი ბარათელი. ვინაიდან უკვე უზენაესმა სასამართლომ განაცხადა უარი ინფორმაციის გაცემაზე, საქმე სტრასბურგში გასაჩივრდა.

რაც შეეხება არაოფიციალურ მხარეს, როგორც პარლამენტარები — ეკა ხერხეულიძე და დიმიტრი ლორთქიფანიძე, ასევე სახალხო დამცველის წარმომადგენელი აცხადებენ, მათ გიორგი ბარათელი 2 წლის წინ ორთაჭალის, „კრიტში“ მოინახულეს. მათი თქმით, ბარათელი თავს შესანიშნავად გრძნობს და ციხის ადმინისტრაციასთან არავითარი პრეტენზია არ აქვს. ამასთან, დაჟინებით ითხოვს, ყველამ თავი დაანებოს და არ გახმაურდეს მისი ადგილსამყოფელი.

მე მათ სიტყვაზე ვერ ვენდობი, მითუმეტეს, რომ ბევრი გარემოება ჩემში სამართლიან ეჭვებს ბადებს. დაველოდოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს სტრასბურგის სასამართლო, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ვფიქრობ, რომ საქართველოში ვითარება ისე წავა, მალე გაიხსნება ციხის კარი და დავინახავთ — იხდის თუ არა იქ სასჯელს გიორგი ბარათელი.

**— საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ არაერთი მკვლელობა მოხდა, ბევრ მათგანს დიდი მითქმამოთქმაც მოჰყვა, მაგალითისთვის ზურაბ ჟვანიას ოჯახის წევრების აქტიურობაც საკმარისია, თუმცა დღეს ისე ჩანს, რომ ყველა საქმე მიჩუმათდა, თქვენ რას აპირებთ?**

— დღეს კაციშვილი ხმას არ იღებს გურამ შარაძის დახვრეტაზე, ისევე, როგორც სხვა პოლიტიკურ მკვლელობებზე საუბრისგან იკავებენ თავს. ზურაბ ჟვანიასთან დაკავშირებით ვერ დაგეთანხმებით, რომ ოჯახმა აქტიურობა შეწყვიტა, რადგან ხშირი ურთიერთობა მაქვს გოგლა ჟვანიას მეუღლესთან და ვიცი — მათ არათუ არ შეუწყვეტიათ ბრძოლა, არამედ არ გაჩერდებიან, სანამ გამოძიებას ბოლომდე არ მიიყვანენ. ეს კი ამ ხელისუფლების პირობებში შეუძლებელია. თუ რას აკეთებს რეჟიმის შეცვლისთვის გოგლა ჟვანია, ყველა ვხედავთ.

რაც შეეხება ჩვენს ბრძოლას, ხელისუფლების ცვლილებისთანავე საქართველოში ჩამოვალ და გპირდებით, რომ მთელი ქვეყანა იქნება მომსწრე ძალიან საინტერესო პროცესისა, რომელსაც გურამ შარაძის მკვლელობის საქმის გამოძიება ჰქვია.

**— საქართველოში ასევე მოდურია საქმის სტრასბურგის სასამართლოში გასაჩივრება. გეგმავთ სტრასბურგში გასაჩივრებას?**

— დღემდე არ ვიცი, რამდენად გამართლებული იყო გადაწვეტილების შეცვლა.

გახსოვთ, ალბათ, ჩვენ თავიდანვე პროტესტს ვუცხადებდით გამოძიებას, რადგან ცხადი იყო — მკვლელი თავისსავე ჩადენილ დანაშაულს არ გამოიძიებდა. ამასთან, **ჩვენ გვქონდა მწარე გამოცდილება, როცა ჩემი ძმის, ლაშას მკვლელობის საქმე, რომელიც ასევე იყო პოლიტიკური და რომელიც ჩაიდინეს მამაჩემის მორალურად გასანადგურებლად, გურამ შარაძის თავდაუზოგავი მცდელობის მიუხედავად, ადგილიდან არ დაძრულა.** „ალდაგის“ ფირის ნახვის შემდეგ ჩავთვალე, რომ ბრძოლას აზრი მიეცა, რადგან უკვე არსებობდა უტყუარი მტკიცებულება.

**შეიძლება თავის დროზე ფირი იმიტომაც მანახეს, რომ შემეცვალა გადაწყვეტილება, დავთანხმებოდი სასამართლოსთან თანამშრომლობას და ჩვენი მონაწილეობით მამაჩემის მკვლელობის საქმეს საქართველოში ყველა ინსტანცია მოევლო; სტრასბურგში საქმის მოგებაც სათუო გამხდარიყო, რადგან ოფიციალურად მკვლელობის საქმე გახსნილია, მკვლელი აღიარებს დანაშაულს და არ აპროტესტებს მისჯილ 27 წელს.**

არაერთხელ მითქვამს, რომ სტრასბურგამდე სააკაშვილს ქართველი ხალხი და თავისუფალი სასამართლო გაასამართლებს, მას იმდენი დანაშაული აქვს ჩადენილი.

**— ასევე არაერთხელ გითქვამთ, შარაძის მკვლელობა სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლის შემდეგ აუცილებლად გაიხსნებაო. დღეს საქართველოში პოლიტიკური ვითარება თითქოს შეიცვალა, პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდა მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი... როგორ გგონიათ, ივანიშვილი სააკაშვილს ჩაანაცვლებს?**

— პირადად მე ბიძინა ივანიშვილის პიროვნებისა და ცხოვრების წესის უფრო მწამს, ვიდრე მისი მილიარდების. პოლიტიკური ვითარება მართლაც შეიცვალა იმ დღიდან, რაც ის პოლიტიკაში გამოჩნდა — სრულიად მოულოდნელად გაჩნდა იმედი, რომ მოძალადე, მკვლელი ხელისუფლების პარპაშს ბოლო მოეღება.



ესაუბრა **გიორგი მექმარიაშვილი**

**„რა, საბჭოთა კავშირში არ ისწავლა სააკაშვილმაც ინგლისური, დღეს რომ თავს გვაწონებს?! ერთი სიტყვით, აქ პრობლემა სხვა რამაა, საკითხი სხვანაირად დგას: საქართველო უნდა გახდეს ერთი პატარა აეროპორტი და სასტუმრო ამერიკელებისთვის, ამერიკიდან ჩამოსული ე. წ. ვიზიტორებისთვის, რომლებიც, კატმა არ იცის, აქ რა მიზნით ჩამოდიან. სხვა შემთხვევაში, ვის რაში აინტერესებს, ვიღაც ქართველმა იცის თუ არა რომელიმე უცხო ენა?!“**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხელისუფლების მიერ ინგლისური ენის მთავარ პრიორიტეტად გამოცხადებასა და მის სამომავლო შედეგებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება მწერალი მერაბ შათირიშვილი.**

## მერაბ შათირიშვილი:

# ეთნიკური დაპირისპირება გარდაუვალია



**— ბატონო მერაბ, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე სააკაშვილმა ქართული საზოგადოება ერთგვარად მიაჩვია იმ აზრს, რომ ინგლისური ჩვენი მეორე სახელმწიფო ენა უნდა გახდეს. შესაბამისად, მიმდინარეობს გამალებული პროპაგანდა, რომელიც ინგლისური ენის პოპულარიზაციას ემსახურება. თქვენი აზრით, საით მივყავართ ამ პოლიტიკას? თავის მხრივ სააკაშვილი მისეულ „ნოვაციებს“ ილია ჭავჭავაძის მიერ გატარებულ რეფორმებთან აიგივებს.**

— სააკაშვილსა და მისი ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს თუ დავუჯერებთ, ისინი დავით აღმაშენებელსაც ადარებენ თავიანთ თავს, მაგრამ რამდენად რეალური და საფუძვლიანია ეს პარალელები, მე მგონი, ამაზე საერთოდ საუბარიც არ ღირს. რაც შეეხება ილია ჭავჭავაძის რეფორმებს, რომელ მსგავსებაზე ლაპარაკობს ეს ხალხი და რა აქვს ამათ ე. წ. ნოვაციებს იმ რეფორმებთან საერთო, ჩემთვის ნამდვილად გაუგებარია. **ილიამ მთელი თავისი შემოქმედება ქართული ენის განდიდებას, მის გადარჩენას მიუძღვნა და ბოლოს ამ საქმეს შეეწირა კიდეც. ესენი კი რას აკეთებენ? — ეს კაცი ეწევა ძირგამომთხრელ საქმიანობას, აბსოლუტურად საპირისპიროს იმისა, რასაც ილია ემსახურებოდა.**

...მახსოვს, იყო დრო, როცა თბილისში (მაგალითად, ვაკეში) ხალხი ქართულად თითქმის არ ლაპარაკობდა. მშობლიურ ენაზე საუბარი რაღაცნაირ ჩამორჩენილობადაც ითვლებოდა, მაგრამ მაშინ პროვინციამ და რეგიონებმა გადაარჩინა ქართული. ახლა კი ამან რეგიონებშიც შეაღწია თავისი კომპიუტერებითა და ნოვაციებით, იქაც შეიტანა ეს თავისი ე. წ. იდეები და მეთოდები. უბედურება ისაა, რომ ამ ადამიანებს, უბრალოდ, არ ესმით ან არ უნდათ, გაიგონ, რომ ენა ეს არის სული, ერის უკვდავება და, როცა შენ შენს მშობლიურ ენას უპირისპირდები, ამით რეალურად ებრძვი და ანადგურებ ერის სულიერებას. მეტიც, **პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ სააკაშვილის პოლიტიკა ქართული ღირებულებების გამანადგურებელი პოლიტიკაა და სააკაშვილი, თავის ნაციონალურ ბანდასთან ერთად, არის ქართველი ერის მტერი.** ხელისუფლების პოლიტიკა თავიდან ბოლომდე მორგებულია სხვა ქვეყნის, სხვა ცივილიზაციის მოთხოვნებს, იმ ცივილიზაციის, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ქართულ ღირებულებებთან და ფასეულობებთან...

— მთელი ეს უბედურება ქართველ ერს ჭირს იმიტომ, რომ დავამხეთ ეროვნული ხელისუფლება. აფხაზეთიც და სამაჩაბლოც სწორედ იმიტომ დავკარგეთ, რომ დავკარგეთ ეროვნული ორიენტირი... თუმცა მიუხედავად ყველაფრისა, ეროვნული სულისკვეთება მაინც ღვივის და მის გარშემო უნდა შემოვიკრიბოთ ყველა საღად მოაზროვნე ქართველი რათა დავანთოთ ცეცხლი. ამ მიზნით, 30 მაისს, დღის სამ საათზე, დიდუბეში, გამოფენის ტერიტორიაზე, მეთერთმეტე პავილიონში, დაფუძნდება საზოგადოებრივი მოძრაობა „ეროვნულები“, რომელიც უახლოეს მომავალში ფართოდ გაშლის თავის საქმიანობას. ვისაც სამშობლოსა და ხალხის წინაშე არ ჩაუდენია დანაშაული, ყველას აქვს უფლება შემოუერთდეს ეროვნული იდეის განახლების საქმეს, რომლის მამამთავარი ილია ჭავჭავაძეა, ხოლო გამგრძელებელი — სულმნათი მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია.

**— თავის მხრივ, ხელისუფლება ინგლისური ენის პოპულარიზაციას იმით ხსნის, რომ სხვანაირად თანამედროვე ტექნოლოგიების დაუფლება შეუძლებელია. თქვენი აზრით, ეს შეხედულება უსაფუძვლოა?**

— საფუძვლიანია თუ უსაფუძვლო, ამაზე არ არის საუბარი, საქმე ისაა, რომ **მშობლიური ენის ჩანაცვლება არ უნდა ხდებოდეს სხვა ენით.** კომუნისტების დროს, მაგალითად, მეოთხე კლასიდან ისწავლებოდა უცხო ენა, მათ იცოდნენ მთავარი, რომ ბავშვი ჯერ საკუთარ ენას უნდა დაუფლებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ესწავლა სხვა. ახლა ვინმე მეტყვის, რომ მაშინ სწავლა არ იყო მაღალ დონეზე?! **მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვებოდა განათლების საბჭოურ სისტემას... რა, საბჭოთა კავშირში არ ისწავლა სააკაშვილმაც ინგლისური, დღეს რომ თავს გვაწონებს?! ერთი სიტყვით, აქ პრობლემა სხვა რამაა; ამათ მართლა ინგლისურზე კი არ შესტკივათ გული და ამიტომ კი არ უნდათ მისი გავრცელება, სინამდვილეში საკითხი სხვანაირად დგას: უბრალოდ, საქართველო უნდა გახდეს ერთი პატარა აეროპორტი და სასტუმრო ამერიკელებისთვის, ამერიკიდან ჩამოსული ე. წ. ვიზიტორებისთვის, რომლებიც, კატმა არ იცის, აქ რა მიზნით ჩამოდიან. სხვა შემთხვევაში, ერთი გამაგებინეთ, ვის რაში სჭირდება ჩვენი ინგლისური ამერიკაში ან ევროპაში?! ვის რაში აინტერესებს, ვიღაც ქართველმა იცის თუ არა რომელიმე უცხო ენა?! მოკლედ, ეს არის მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელიც გათვლილია იმაზე, რომ ფაქტობრივად მთელი ერი გახდეს ყურის აგენტი. პრინციპში ეს პოლიტიკა ასევე მიმართულია რუსეთის წინააღმდეგაც და მიზნად ისახავს კრემლის გაღიზიანებას, რაც ამათთვის ყველანაირად ხელსაყრელია როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, ასევე შიდამოხმარების თვალსაზრისითაც.**

## «გამოვაცხადოთ აჭარაში თურქული პრიორიტეტი, ქვემო ქართლში — აზერბაიჯანული, ავლაბარში — სომხური... ესაა ამათი მიზანი»

**— რუსეთის გაღიზიანება რა კონტექსტში შეიძლება გამოიწვიოს ჩვენთან ინგლისური ენის პოპულარიზაციამ?**

— უბრალოდ, ამით ესენი ხაზს უსვამენ იმას, რომ ჩვენ საბოლოოდ უარი ვთქვით რუსეთზე, როგორც ვითომ საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე სახელმწიფოზე და ვისწრაფვით დასავლეთისკენ, დასავლური ღირებულებებისკენ. ასევე, ნუ დაგავიწყდებათ, რომ რუსეთთან ერთად, ესენი მტრად აცხადებენ რუსულ ენასაც და თქვენ, ალბათ, აკვირდებით, რა გამალებული დისკრედიტაციაც მიმდინარეობს დღეს ამ ენის. არა და **რუსული ეს არის უზრწყინვალესი ენა, რომლის უარყოფაც ისეთი აბსურდია, რომ სამარცხვინოა, როცა ხელისუფლება ამ დონეზე დადის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ესაა პუშკინის, დოსტოევსკის, ტოლსტოისა და სხვა უამრავი მსოფლიო დონის კლასიკოსის ენა.** ასე რომ, **რასაც დღეს ხელისუფლება აკეთებს, ჩვეულებრივ ამას ჰქვია ტვინის გამოლაყების პოლიტიკა.**

**სააკაშვილმა ამ ქვეყნის თითოეული მოქალაქე დაამსგავსა კუთხეში მომწყვდეულ ნადირს, რომელსაც სხვა გზა აღარ დარჩა, გარდა იმისა, რომ შეასკდეს და მკერდით გაიტანოს მის წინ არსებული ბარიერი ან იქვე დაეცეს და მოკვდეს.** აი, ზუსტად ასე დგას დღეს ჩვენი გადარჩენის საკითხი და სწორედ ამის დასაფიქსირებლად უნდა გამოვიდეს 27 მაისს ქართველი ხალხი ქუჩაში. იმ დღეს, უბრალოდ, კიდევ ერთხელ უნდა შეახსენდეს ხელისუფლებას, რომ მან არჩევნების მოგებაზე არც უნდა იფიქროს, ვინაიდან, სააკაშვილმა და მისმა კრიმინალურმა გარემოცვამ მოგების ყოველგვარი შანსი, უკვე დიდი ხანია, ხელიდან გამოაცალა საკუთარ თავს...

**— ვთქვათ და, საზოგადოების ზეწოლის მიუხედავად, მაინც გააყალბა ხელისუფლებამ არჩევნები. რა ბერკეტები აქვს მოსახლეობას მმართველ გუნდზე შემდგომი ზემოქმედებისთვის?**

— მეც, ისევე როგორც ნებისმიერ საღად მოაზროვნე ადამიანს, ცხადია, არ მაქვს იმის ილუზია, რომ ეს ხელისუფლება ობიექტურ არჩევნებს ჩაატარებს: ამათ პირობებში და მით უმეტეს მოქმედი საარჩევნო კოდექსით, ეს, ფაქტობრივად, გამორიცხულია, მაგრამ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, **თუ სააკაშვილის რეჟიმს ოდნავ მაინც შერჩა მოვლენების საღად შეფასების უნარი, უნდა დაინახოს, რა ვითარებაა დღესდღეობით ქვეყანაში. მისი, როგორც მმართველი გუნდის ლიდერის მდგომარეობა, არ არის დღეს მთლად ოპტიმალური, პირიქით, ძალიან მძიმეა. ასე რომ, მან, ფაქტობრივად, არჩევანი უნდა გააკეთოს — როგორ და რა ფორმით დამთავრდება მისი მმართველობა.**

**— ისევ ინგლისური ენის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით გკითხავთ: თქვენ თქვით, რომ იყო დრო, როცა თბილისის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ქართულად თითქმის არ ლაპარაკობდაო. როგორ ფიქრობთ, რამდენად შეიცავს ანალოგიურ საფრთხეს დღესდღეობით უცხო ენის გამალებული პროპაგანდა?**

— არა თუ შეიცავს, ეს საფრთხე უკვე იგრძნობა. აქ მარტო ენის ცოდნა-არცოდნაზე არ არის საუბარი, საქმე ეხება ერის იდეოლოგიურ, სულიერ დაცლასა და დაკნინებას. არაერთხელ მითქვამს და მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებითაც ვუთხრა მთელ ჩემს ქართველ ხალხს, რომ **უმჯობესია, ჩვენ გვყავდეს ისეთი ხელისუფლება, რომელიც სკოლებში პრიორიტეტად არა ინგლისურს, არამედ სვანურსა და მეგრულს გამოაცხადებს,** თუ გვინდა, რომ ბავშვი აღვზარდოთ ნამდვილ, ჭეშმარიტ ქართველად და ის იყოს ქართულად მოლაპარაკე. სწორედ სვანური და მეგრული ჩაახედებს მას ქართული ენის ფესვებში. ეს ერთი. მეორეც, **ხელისუფლების პოლიტიკა ძირფესვიანად აგებული უნდა იყოს იმაზე, რომ როგორმე გაამყაროს მოქალაქეში ეროვნულობის განცდა, სახელმწიფოებრიობის შეგრძნება.** ამის გარეშე, უბრალოდ, ვერ შედგება სახელმწიფო. ეს ხელისუფლება კი რას აკეთებს? — პრიორიტეტად აცხადებს ინგლისურს. მე ვსვამ კითხვას: რა ვუყოთ თურქებს, რომლებმაც არ იციან ინგლისური?! მოდი, მაშინ აჭარაში პრიორიტეტად გამოვაცხადოთ თურქული, ქვემო ქართლში — აზერბაიჯანული, სამცხე-ჯავახეთსა და აგერ, ავლაბარში — სომხური... სადაა ამ დროს ქართული?! **ამათი მიზანია, ქართველ კაცს მშობლიური ენა მოუკლან, რომ ეს ენა გახდეს მკვდარი ენა და არასდროს არავინ იმეტყველოს ქართულად. აი, ამას ემსახურება მთელი ამათი პოლიტიკა და ამისთვისაა სინამდვილეში ეს ე.წ. რეფორმებიც.**

ასე რომ, ჩვენ ახლა ნელ-ნელა სიკვდილის გზას ვადგავართ, თუ მალე გონს არ მოვეგებით. ამიტომაც ვთქვი საუბრის დასაწყისში, რომ ჩვენ, ქართველი ხალხი, ოქტომბერში ან გავიმარჯვებთ საკუთარ თავზე, ან დავიღუპებით და დაღუპვა, მე მგონი, არც ერთ ჩვენგანს არ უნდა...

**— რამდენიმე დღის წინ, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში სიტყვით გამოსვლისას, სააკაშვილმა განაცხადა, ილია რომ ახლა იყოს, მასაც ჩემსავით გააკრიტიკებდნენო. არ გიფიქრიათ, რომ წლების შემდეგ სააკაშვილის მოღვაწეობას შთამომავლობამ სულ სხვა თვალით შეიძლება შეხედოს?**

— სააკაშვილის ხელისუფლება ის შემთხვევა არ არის, რომელსაც დროთა განმავლობაში თაობებმა სხვა შეფასება შეიძლება მისცენ. პირიქით, **ეს ადამიანი ისეთ ნაღმებს ტოვებს საქართველოს ისტორიაში** (თუნდაც რელიგიური უმცირესობების შესახებ მიღებული კანონის, აჭარაში თურქული მოსახლეობის შემოდინებისა და იმავე დავით გარეჯთან მომხდარი ფაქტის სახით), **რომ როდის სად იფეთქებს ეს ყველაფერი, კატმა არ იცის.**

ამ საფრთხეებისგან გათავისუფლებას ჩვენ შეიძლება საუკუნეები მოვანდომოთ, ეთნიკურ დაპირისპირებამდეც მივიდეთ საბოლოოდ. ასე რომ, ისტორია ამ რეჟიმს უსათუოდ შეაფასებს როგორც უგუნურთა ხელისუფლებას, როგორც მოღალატეობრივი პოლიტიკის ერთგვარ აპოგეას, რომელმაც ერი დააყენა ყოფნა-არყოფნის საფრთხის წინაშე.

## «27 მაისს ქართველი ხალხი ქუჩაში უნდა გამოვიდეს»

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

საზოგადოება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„წესდებაში უწერიათ, რომ დამოუკიდებლები არიან, მაგრამ ფიქციაა ეს. ჯერ ერთი, ყველა ფედერაციის პრეზიდენტი სახელისუფლო გუნდის წევრია ან პოლიტიკოსია, ან „ნაციონალური მოძრაობის“ ფავორიტი. რასაც და როგორც ზემოდან ეტყვიან, იმას და ისე აკეთებენ. მეორეც, საიდან იღებენ დაფინანსებას ფედერაციები? ბიუჯეტიდან! მორჩა ამით ყველაფერი — მე თუ გიხდი ფულს, ჩემი ხარ, რასაც გეტყვი, იმას გააკეთებ. არც იოცნებოს ვინმემ, რომ რომელიმე სპორტული ფედერაციის ხელმძღვანელი ხელისუფლებას გააკრიტიკებს, თავზეც რომ დაამხონ ყველაფერი“.**



**რომან რურუა:**

# რა ნამუსით ვთქვა, რუსები მჩაგრავდნენ-მეთქი, როცა 9 წელი საბჭოთა კავშირის «კლასიკოსთა» ნაკრების კაპიტანი ვიყავი?!

**რომან რურუას, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონს რომ ვერ შეიფერებს ჭიდაობის ფედერაცია, მის მესვეურთ რა უნდა ელაპარაკო? იმ ხალხის უმეტესობა, რომლებიც დღეს ქართულ სპორტს, ჭიდაობას განაგებს, დაბადებულიც არ იყო, როცა რურუას ფედერაციის პრეზიდენტისა და ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტები ეკავა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შარშან ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ (ფილა) მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მოჭიდავეები დაასახელა და ამ სიაში რომან რურუაც მოხვდა. რურუა ფილა-ს დიდების მუზეუმის წევრიცაა. აი, ასეთი გამოცდილების კაცი დღეს საქართველოს ჭიდაობის ფედერაციას არ სჭირდება. ჯერ დაუძახეს და ფედერაციაში ვიცე-პრეზიდენტადაც მუშაობდა, მაგრამ შემდეგ აიძულეს, წამოსულიყო.**

**— ბატონო რომან, რას აკეთებდით ჭიდაობის ფედერაციაში?**

— ფორმალური ვიცე-პრეზიდენტი ვიყავი, მაგაშია სწორედ საქმე. დამიძახეს თავად, მე არ მითხოვია, გინდა თუ არა, ფედერაციაში მამუშავეთ-მეთქი. მითხრეს, საწვრთნელ-სასწავლო პროცესს მიხედეო. კაცო, რომ მივხედო, ხომ უნდა ჩავერიო, არა, ამ პროცესში?! გავიდა 1, 2, 4 თვე და არავინ არაფერს მეუბნება. ვიკითხე ერთხელ, ორჯერ... ათჯერ — მითხარით, ბოლო-ბოლო, რა უნდა გავაკეთო, დავიღალე უსაქმობით, ცოდვაა, არაფერს რომ არ ვაკეთებ-მეთქი. ტყუილი შრომა მართლა მირჩევნია უსაქმოდ ყოფნას. ასეთი კაცი ვარ და მეტი ვერ მოვითმინე. რა მითხრეს, იცით, ბოლოს? არაფერი არ გვინდა თქვენი, ბატონო რომან, იყავით ჩვენთან და სულ ნუ გააკეთებთ ნურაფერსო. რას ჰქვია, კაცო, „ჩემთან იყავი?“, შენთან ვარ, დალოცვილო, და მომეცი საქმე, გავრბივარ სადმე?

**— რატომ არ გაგაკარეს საქმეს?**

— ჰკითხეთ ფედერაციის მესვეურთ, მე არ მითხრეს არაფერი. ან რა საკითხავი ეს არის? არ უნდოდათ, რომ ჩავრეულიყავი საქმეში. მცირე გამონაკლისის გარდა, **ისეთი ხალხია ახლა ჭიდაობის სამყაროში, რომ საწვრთნელი პროცესი როგორ წარმართონ არ იციან. მერე გაიძახიან — ვაიმე, წავაგეთ და შედეგი არ გვაქვსო. მამაცხონებულო, თუ რიგიანად არ მოამზადე მოჭიდავე, შედეგი საიდან გექნება?!** ავდექი ბოლოს და წამოვედი.

**— ფედერაციის თავკაცებს რომან რურუას სახელი სჭირდებოდათ. იტყოდნენ, აი, რურუა, ამხელა ფალავანი და ავტორიტეტი, გვერდით გვიდგასო. ალბათ, ამიტომ გთხოვდნენ დარჩენას...**

— ეტყობა, ეგრე სურდათ, იქ ვყოფილიყავი და საქმე, როგორც სურდათ, ისე ეკეთებიათ. არადა, რომ არ იციან ეს საქმე? არ შემიძლია, ვუყურო, საქმე ფუჭდებოდეს და იქ არ ჩავერიო. სულ რომ არაფერი მეკითხება, იმ საქმეში ვერევი ზოგჯერ, იქ კიდევ, ვიცე-პრეზიდენტი ვიყავი.

**— თუმცა ფედერაციიდან სულ სხვა მიზეზით წამოხვედით, თან — სკანდალით.**

— კი, დიდი ხმაური იყო. უკადრისი იკადრეს და იმიტომ წამოვედი. **მოსკოვში მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატი ტარდებოდა. ფილა-მ შარშან ყველა დროის საუკეთესო ფალავნები დაასახელა და მეც მოვხვდი ამ დიდებულ მოჭიდავეთა შორის. თურმე, ფილა-მ მოწვევა გამომიგზავნა, მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატზე დამპატიჟა და იქ უნდა გადმოეცათ ჩემთვის ჯილდო. ეს მოწვევა ფედერაციაში მივიდა, მაგრამ დამიმალეს.**

**— რა მიზეზით დაგიმალეს?**

— მოსკოვში რომ ტარდებოდა ჩემპიონატი, იმიტომ დამიმალეს — არ სურდათ იქ ჩემი წასვლა. საქართველოს ნაკრებიც არ წავიდა საასპარეზოდ — ბოიკოტი გამოუცხადეს ამ ჩემპიონატს. კაი, ჯანდაბას, გამოუცხადე ბოიკოტი, მაგრამ მე რას მერჩი? საჭიდაოდ მე არ მივდიოდი და არც ვიცე-პრეზიდენტის რანგში. როგორც ვეტერანი ქართველი მოჭიდავე, ისე უნდა დავსწრებოდი ამ ჩემპიონატს, გადმომცემდნენ ჯილდოს და დავბრუნდებოდი თბილისში.

**— როგორ დასრულდა ეს ისტორია?**

— ედიშერ მაჩაიძე, ვეტერანი მოჭიდავე, ესწრებოდა იმ ჩეპიონატს, როგორც ფილა-ს სამსაჯო კომიტეტის წევრი. რაკი ქართველი იყო, მას გამოატანეს ის ჯილდო ჩემთან. დამირეკა ედიშერმა — ესა და ეს ჯილდო ჩამოგიტანეო და მისაყვედურა, თავად რატომ არ იყავით. გავშრი კაცი! მე ისიც კი არ ვიცოდი, რომ ფილა-მ მოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ფალავანთა შორის დამასახელა. რუსეთის ჭიდაობის ფედერაციაში დავრეკე, რატომ არაფერი გამაგებინეთ-მეთქი. იქ მითხრეს, ფილა-მ მოსაწვევი გამოგიგზავნა და, როგორც სპორტის სტუმარს, ისე გელოდით ჩემპიონატზეო. გაგვაწბილე, არ ჩამოხვედი და კიდევ ჩვენ გვსაყვედურობო? ჩვენს ფედერაციაში დავრეკე, მომატყუეს, არ მოსულა მოსაწვევიო. მაგათ არ იცოდნენ, რომ ედიშერ მაჩაიძემ ის ჯილდო ჩამომიტანა, ეგონათ, ასე ჩაივლიდა ეს ამბავი და შერჩებოდათ თაღლითობა.

ფედერაციის სხდომა იყო, მივედი. ედიშერს ვთხოვე, რომ იქ მოეტანა ეს ჯილდო. მომიტანა. გახსნა სხდომა ფედერაციის პრეზიდენტმა კახა გეწაძემ — „ნაციონალმა“ პარლამენტარმა. გავაწყვეტინე სიტყვა, რაღაც მაქვს სათქმელი-მეთქი. ამოვიღე ეს ფილა-ს სიგელი და მედალი... რა არის ეს, რა ნამუსით დამიმალეთ მოსაწვევი-მეთქი? აილეწა ყველა, დაიწყეს ლუღლუღი. ბოლოს მითხრეს, გეძებდით და ვერ გიპოვეთო.

**— ჭიდაობის ფედერაციის მესვეურებმა რომან რურუა ეძებეს და ვერ მიაგნეს? აუგდიათ თავი კიდევ ერთხელ და ეგ არის!**

— თავის აგდებაა, აბა, სხვა რა არის?! ჩემი მობილური ტელეფონის ნომერი ყველამ იცის და სახლიც. თან რამდენ ხანს „მეძებდნენ“ იცით? მთელი 2 კვირა. სწორედ ჩემპიონატამდე 2 კვირით ადრე მოსულა ის მოსაწვევი ფედერაციაში. სწორედ ამ სხდომიდან წამოვედი, მივატოვე ვიცე-პრეზიდენტობაც და ფედერაციაც.

**— სპორტული ფედერაციები ხელისუფლების კონტროლქვეშაა, არადა, ირწმუნებიან, დამოუკიდებლები ვართო.**

**— წესდებაში უწერიათ, რომ დამოუკიდებლები არიან, მაგრამ ფიქციაა ეს. ჯერ ერთი, ყველა ფედერაციის პრეზიდენტი სახელისუფლო გუნდის წევრია ან პოლიტიკოსია, ან „ნაციონალური მოძრაობის“ ფავორიტი. რასაც და როგორც ზემოდან ეტყვიან, იმას და ისე აკეთებენ. მეორეც, საიდან იღებენ დაფინანსებას ფედერაციები? ბიუჯეტიდან! მორჩა ამით ყველაფერი — მე თუ გიხდი ფულს, ჩემი ხარ, რასაც გეტყვი, იმას გააკეთებ. თანაც, ჩემი დანიშნულიც ხარ. მოკლედ, არც იოცნებოს ვინმემ, რომ რომელიმე სპორტული ფედერაციის ხელმძღვანელი ხელისუფლებას გააკრიტიკებს, თავზეც რომ დაამხონ ყველაფერი.**

**— მედიაში ქვეყნდება იმ ადამიანთა ფოტოები, რომლებიც საპროტესტო აქციების დარბევაში, ხალხის ცემაში მონაწილეობენ ხოლმე. მათ შორის არიან ყოფილი მოჭიდავეები — შს სამინისტროს ე. წ. ზონდერბრიგადების თანამშრომლები და მოქმედი მოჭიდავეებიც. ამ ფაქტს როგორ შეაფასებთ?**

— **დიდი სპორტსმენი არასდროს იკადრებს, რომ საკუთარ თანამემამულეზე აღმართოს ხელი, სადაც არ უნდა მუშაობდეს და წასულიც რომ იყოს სპორტიდან.** თუ დიდი სპორტსმენია, ის დიდბუნებოვანი, შეგნებული ადამიანია და ასეთ რამეს არ იკადრებს. ესენი არიან „ისე რა“ მოჭიდავეები, სპორტში ხელმოცარულნი...

**— და ამ ბოღმას ხალხზე ანთხევენ აგრესიის სახით?**

— ალბათ, თორემ, ხომ გითხარით, **ნაღდი მოჭიდავე, დიდი მოჭიდავე ამას არ იკადრებს. მას ვერც გაუბედავენ — აილე ხელკეტი და მოხუცს დაარტყიო.**

**— თქვენთვის და თქვენი თაობის მოჭიდავეებისთვის რომ ეთქვათ ამგვარი რამ თავის დროზე, რა რეაქცია გექნებოდათ?**

— რას ლაპარაკობ, კაცო? ვინ გამიბედავდა მე ამის თქმას? ვინ მკადრებდა ან მე, ან სხვა მოჭიდავეებს? ასი თავი უნდა ჰქონოდა ვინმეს, ეს ეთქვა გივი კარტოზიასთვის, დათო გვანცელაძისთვის, ვახტანგ ბალავაძისთვის, ლევან თედიაშვილისთვის... მაგრამ ასეთი ასთავიანებიც კი არ იკადრებდნენ, დამიჯერეთ. ან კაი: გაკადრეს და გითხრეს, თუნდაც დაგაძალეს — რა ნამუსით თანხმდები ამ სიბინძურეზე? წამოდი საერთოდ იმ სამსახურიდან, წადი სოფელში, ყანა გათოხნე, ირჩინე თავი და ეს შეგერგება. ხომ იცი, რომ ღმერთი მოგკითხავს პასუხს, მანამდე ხალხმა თუ არ მოგკითხა? ეს არ ესმით ასეთებს, საუბედუროდ. ერთი კაცი რომ ყოფილიყო დარბაზში, მაინც ისე გულიანად ვჭიდაობდი, როგორც ხალხით გაჭედილ სპორტის სასახლეში. ვიცოდი, რომ ის ერთი კაცი ჩემი ჭიდაობის საყურებლად იყო მოსული. ჩემს ქომაგს ვაფასებ, უდიდეს პატივს ვცემ. აი, ეს გრძნობა — ქომაგის, ხალხის სიყვარული — უცხოა ამ ადამიანებისთვის და ამიტომაც არცხვენენ მოჭიდავის სახელს.

**— ხშირად მსმენია, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებში ქართველ სპორტსმენებს ეროვნული ნიშნით რუსები ჩაგრავდნენ. თქვენ თუ გიგრძვნიათ მსგავსი რამ?**

— რა იყო, იცით? თუ რუსზე გაცილებით ძლიერი არ იყავი, მაშინ რუსს შეიყვანდნენ ნაკრებში; თუ თანაბარი ძალისანი ვიყავით მე და რუსი, რუსი იმარჯვებდა ასეთ დროს. საბჭოთა კავშირში რუსებს რაღაც უპირატესობა ჰქონდათ. არ ღირს ამის დამალვა, მაგრამ მუდამ ასე არ ხდებოდა. ერთგვარი სტიმული იყო, როცა იცოდი, რომ რუსზე ერთი თავით მაღლა უნდა მდგარიყავი ნაკრებში მოსახვედრად. მე რაც შემეხება, **რა ნამუსით ვთქვა, რუსები მჩაგრავდნენ-მეთქი, როცა 9 წელი საბჭოთა კავშირის „კლასიკოსთა“ ნაკრების კაპიტანი ვიყავი. ჩემამდე ანატოლი როშინი იყო კაპიტანი, მაგრამ მოაღწია არჩევნების დრომ და თავად რუსებმა წარადგინეს ჩემი კანდიდატურა. მე 44 ხმა მივიღე, იგუმინოვმა და საპენოვმა კი 29-29 ხმა დააგროვეს. რუსებმა ამირჩიეს თავიანთი ნაკრების კაპიტნად და მითხარით ახლა: მჩაგრავდა ვინმე ნაკრებში?** კი, ყოფილა შემთხვევა, მსაჯების მიზეზით წამიგია ჩემი ქართველობის გამო, მაგრამ თითო-ოროლა მამაძაღლი შოვინისტი ყველგან გამოერევა და რუსეთშიც იყვნენ, ცხადია.

**— ბატონო რომან, ფიზკულტურის ინსტიტუტის გაუქმებით ამ ხელისუფლებამ სპორტს უდიდესი დარტყმა მიაყენა. დღესდღეობით რა წარმატებებსაც ვაღწევთ, არ გიკვირთ?**

— ბევრს ვერაფერს ვაღწევთ. სპორტული მეცნიერული დარგები ჩაკვდა. მართალია, ფიზკულტურის ინსტიტუტი თანამედროვე მოთხოვნებს უკვე ველარ პასუხობდა, მაგრამ სახელმწიფომ დაუკვეთა რამე და არ შეასრულა? მოსთხოვე რამე და არ გაგიკეთა? განავითარე, გაათანამედროვე, თუ გასაშვებია ხალხი, გაუშვი, დატოვე ძლიერი მეცნიერები და განაახლე სამეცნიერო ბაზა, აღზარდე მათზე უკეთესი მეცნიერები, პედაგოგები, მწვრთნელები. ამათ კი, ადგნენ და მიკეტეს ინსტიტუტი. დაკეტვაზე და დახურვაზე იოლი რა არის, გადაარჩინო და უკეთესი გახადო, ესაა საქმე.

**ფიზკულტურას არ აქცევენ ყურადღებას საერთოდ და ეს არის დანაშაული. დაავადდა ქართველი ერი და ამის ერთადერთი წამალი სპორტი და მასობრივი ფიზკულტურაა.** გადაივსო აფთიაქებით საქართველო, ყველა ნაბიჯზე აფთიაქია. ძალიან ბევრი წამალი იყიდება. ვინ სვამს ამ წამალს? ჩვენი ხალხი. არ ვიცი, არსებობს თუ არა სტატისტიკა, მაგრამ ამ წამლის მოხმარებით მსოფლიოში I ადგილზე თუ არ ვიქნებით, გამიკვირდება ძალიან. აი, ეს აფთიაქები უნდა ჩაანაცვლონ სპორტული ბაზებით, ოღონდ ისეთით, ხელმისაწვდომი რომ იყოს ყველასთვის. სახელმწიფომ უნდა გააკეთოს ისეთი პროგრამები, რომლებიც ხალხს მისცემს ვარჯიშის საშუალებას. მარტო ფიზკულტურის გაკვეთილი არ კმარა, ბაგა-ბაღში უნდა დაიწყოს ბავშვმა ვარჯიში, რომ მომავალი თაობა მაინც იყოს ჯანსალი. **სპორტი უნდა ავაღორძინოთ და გამოვაჯანმრთელოთ ხალხი, თორემ ამ სააფთიაქო ბიზნესსა და მის მესვეურთ ის უხარიათ, რაც მეტი წამალი გაიყიდება. ადამიანის ჯანმრთელობა იქცა ბიზნესად და ეს უბედურებაა ქვეყნისთვის.**

**«ფილა-მ მოწვევა გამომიგზავნა მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატზე დასაჯილდოებლად და ჩვენს ფედერაციაში დამიმალეს, მოსკოვში რომ ტარდებოდა ჩემპიონატი, იმიტომ დამიმალეს, — არ სურდათ იქ ჩემი წასვლა»**

ესაუბრა
**ლევან ჯავახიშვილი**

„საქართველო პატარა ქვეყანაა და უცხოეთში გასვლითი კონცერტები მომღერლებისთვის აუცილებელია. რუსულ ბაზარზე კი გვიცნობენ და ქართველი ხელოვანების მიმართ ჯერაც აქვთ პატივისცემა და სიყვარული და ამ ბაზრის უგულებელყოფა დამღუპველია ამ სფეროსთვის. ჯერჯერობით ვერც ერთმა ქართველმა მომღერალმა ვერ მიაღწია ამერიკის ან ევროპის შოუბიზნესში წარმატებას, ერთადერთია ქეთი მელუა, ისიც ბრიტანეთში გაიზარდა და ინგლისურენოვანი მომღერალია.“

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ზურა მანჯავიძე:

# ქართველობის გამო რუსეთში ვილაც იჩაგრებოდეს, მე ნამდვილად არ შემიმჩნევია

**რა ხდება ქართულ შოუბიზნესში, რა პრობლემები აქვთ ქართველ მომღერლებს და რამდენად ერევა ხელისუფლება მათ საქმიანობაში, „საქართველო და მსოფლიოს“ ანსამბლ „ფორტეს“ სოლისტი ზურა მანჯავიძე ესაუბრება.**

**— ახლახან რუსეთში იმყოფებოდით გასტროლებზე, როგორია რუსი კოლეგების და საერთოდ რუსული საზოგადოების დამოკიდებულება ქართველების მიმართ?**

— ალექსანდრე ბასილაიას ხსოვნის საღამოში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან მოსკოვში მომღერლების მთელი ჯგუფი წავედით. იქაც დაგვხვდნენ რუსეთში მოღვაწე ქართველი მომღერლები. კონცერტი ნუცა კვაშალისა და რუსეთში მცხოვრები ქართველების ორგანიზებით, ძირითადად, ქართული სათვისტომოსთვის გაიმართა. **რუსი ხალხი ძველებურად შეგვხვდა. ის სითბო, რომელიც ჩვენი და შედარებით უფროსი თაობის ხალხს შორის არსებობდა, არსად დაკარგულა.** ქართველობის გამო რუსეთში ვილაც იჩაგრებოდეს, მე ნამდვილად არ შემიმჩნევია. რუსეთში მცხოვრებ ქართველებს ერთადერთი პრობლემა აქვთ — მათ სურთ, საქართველოშიც ჰქონდეთ მუშაობის საშუალება.

**— რუსეთში მოღვაწე ქართველი ხელოვანების მიმართ საქართველოში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს და ზოგიერთი მათგანი ლამის სამშობლოს მოღალატედაც გამოაცხადეს. თუ ორი ქვეყნის დაძაბულ ურთიერთობას გავითვალისწინებთ, რამდენად მართებულია, ქართველი ხელოვანი რუსეთში მოღვაწეობდეს?**

— სიმართლე გითხრათ, ომის შემდეგ მეც ძალიან მიჭირდა რუსეთში ჩასვლა, მაგრამ ენა ვერ მოგიტრიალდება ადამიანს უსაყვედურო, რომ აქედან წავიდა. პირიქით, რამდენადაც ვიცი, საქართველოში ბევრი თავს უცხოეთიდან და, ძირითადად, რუსეთიდან გამოგზავნილი ფულით ირჩენს, რადგან, რაც უნდა ილაპარაკონ, ისევე, როგორც ქართული ღვინისთვის ყველაზე კარგი ბაზარი რუსეთია, იგივეა ჩვენი შოუბიზნესისთვისაც. **საქართველო პატარა ქვეყანაა და უცხოეთში გასვლითი კონცერტები მომღერლებისთვის აუცილებელია. რუსულ ბაზარზე კი გვიცნობენ და ქართველი ხელოვანების მიმართ ჯერაც აქვთ პატივისცემა და სიყვარული და ამ ბაზრის უგულებელყოფა დამღუპველია ამ სფეროსთვის. ჯერჯეროებით ვერც ერთმა ქართველმა მომღერალმა ვერ მიაღწია ამერიკის ან ევროპის შოუბიზნესში წარმატებას, ერთადერთია ქეთი მელუა, ისიც ბრიტანეთში გაიზარდა და ინგლისურენოვანი მომღერალია.**

**— თქვენი კოლეგები ხშირად ჩივიან, რომ ბოლო დროს შოუბიზნესში არაფერი ხდება. 4 შვილი გყავთ, რამდენად შესაძლებელია დღეს მომღერლის პროფესიით ოჯახის რჩენა?**

— პირდაპირ გეტყვით, — შეუძლებელია. ერთადერთი ხალხის სიყვარული და კონცერტები გვშველის. გვაქვს უცხოეთში გასტროლები. ასევე გვაქვს კერძო მიწვევებიც. მე, მაგალითად, ქორწილებსა და დაბადების დღეებზე წასვლა და სიმღერაც არ მრცხვენია, პირიქით, ხალხის სიყვარულს და სითბოს იქ უფრო ვგრძნობ. **საქართველოში დღეს კარგად თავს მხოლოდ ის ადამიანი გრძნობს, ვისაც მთავრობასთან კარგი ურთიერთობა აქვს, ოღონდ საორგანიზაციო კუთხითაც არის ჩართული ყველაფერში და ფინანსებზეც ხელი მიუწვდება.**

**— ვის გულისხმობთ, დააკონკრეტეთ...**

— არ უნდა დაკონკრეტება. თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რომ მიხვდე, ვინ არიან ეს ადამიანები. გამოდიან ცხვირაწეულები და ლაპარაკობენ, რომ თურმე ისეთი მაგარი პროექტები აქვთ და ისეთ უნიკალურ რაღაცებს იგონებენ, ისე მაგრად იყიდება მათი პროდუქცია... ესეც პოლიტიკური პროპაგანდის ნაწილია, თითქოს ხალხს ფული აქვს და ქვეყანაში ყველაფერი კარგადაა.

**— საქართველოში ხელოვანები ხელისუფლების მხარდამჭერებად და ოპოზიციის მომხრეებად არიან გაყოფილები. ეს უკანასკნელნი ხშირად საყვედურს გამოთქვამენ მათი პოზიციის გამო, კარიერული თვალსაზრისით „იბლოკებიან“, ხოლო ხელისუფლების მომხრე ხელოვანები სხვადასხვა პრივილეგიით სარგებლობენ. თქვენ აქტიურად მონაწილეობთ ხოლმე პოლიტიკურ პროცესებში, თუ გქონიათ მსგავსი პრობლემები?**

— მაგალითად, პირველ არხზე ერთ-ერთ გადაცემაში საერთოდ ამოჭრეს ჩემი საუბარი. ანსამბლ „ფორტეზე“ გადაცემა გააკეთეს და საერთოდ არ გაუშვეს. იყო კონცერტები, სიიდან საერთოდ გვიღებდნენ, კორპორატიული საღამოები, სადაც იმის გამო არ დაგვიშვეს, რომ ვიღაც ოფიციალური სტუმარი ჰყავდათ. ამ ახალ წელს, მაგალითად, მოლაპარაკებულ და კონტრაქტზე ხელმოწერილ კონცერტზე გვითხრეს უარი და თან ისეთ დროს, რომ სხვა კონცერტზე წასვლაც ვეღარ მოვასწარით.

მეტსაც გეტყვით: **გასულ ზაფხულს უცხოეთში გასტროლებზე მივდიოდით და კულტურის სამინისტრომ ცნობა არ მოგვცა, რომ მომღერლები ვიყავით. ეგენი სახელმწიფოსთან არ თანამშრომლობენ და რატომ უნდა მივცეთ ცნობაო, უთქვამთ. დახასიათებას ხომ არ ვთხოვდით? უბრალოდ, ანსამბლის არსებობის დამადასტურებელი ცნობა გვინდოდა.**

**— მიზეზს რას გეუბნებიან, რით ხსნიან თავიანთ საქციელს ღონისძიების ორგანიზატორები?**

— ოფიციალურ მიზეზს სხვას ამბობენ, მაგრამ პირად საუბრებში პირდაპირ გვეუბნებიან, ნუ ერევით პოლიტიკაში, ნუ აკეთებთ ასეთ განცხადებებსო. მომღერლების მოღვაწეობაში კი არა, ხელისუფლება იმაში ერევა, სად როგორი შადრევანი უნდა დადგას და კონცერტების მოწყობაში რომ ჩაერევა, თავისთავად ცხადია.



# «საქართველოში დღეს კარგად თავს მხოლოდ ის გრძნობს, ვისაც მთავრობასთან კარგი ურთიერთობა აქვს»

**— ხშირად გაიგონებთ მოსაზრებას, რომ ხელოვანი საერთოდ არ უნდა ერეოდეს პოლიტიკაში და სჯობს, ყველამ თავისი საქმე აკეთოს, რასაც ვერ ვიტყვით ქართულ საზოგადოებაზე, რომელიც ზედმეტად პოლიტიზებულია.**

— მე არ ვფიქრობ, რომ პოლიტიკაში ვერევი. მე ვარ საზოგადოებრივ მოძრაობაში და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩარეული. რა თქმა უნდა, ჩემი საქმე უნდა ვაკეთო, მაგრამ ამავე დროს უნდა მეყოს იმის ვაჟკაცობა და ადამიანობა, რომ, როცა დავინახავ უსამართლობას, მოქალაქეობრივი პოზიციის გამოხატვის არ შემეშინდეს, ანუ მე თუ გამოვედი და ვთქვი, რომ რა ლამაზი შენობა აშენდა და რა კარგია პატრული, ეს არ არის პოლიტიკაში ჩარევა, და თუ ვიტყვი, რომ იმ პატრულის თანამშრომელმა არასწორი საქციელი ჩაიდინა, ეს უკვე პოლიტიკაა?

პირიქით, ყველას უნდა შეეძლოს საკუთარი მოსაზრების ხმამაღლა გამოხატვა და, **როცა ხედავ, რომ ქუჩაში ადამიანებს ხვრეტენ, ციხეებში წამებით კლავენ, სპეციალურად ჭლექით აავადებენ, ამაზე რომ ხმას არ ამოიღებ, ეს პოლიტიკაში ჩაურევლობა კი არა, სიმდაბლე და უსუსურობაა.**

ეს ყველაფერი ზუსტად იმ ადამიანების გამო ხდება, რომლებიც გაიძახიან, რომ მათი საქმე არ არის პოლიტიკაში ჩარევა, მაგრამ, თუ საჭირო გახდა, პოლიტიკაშიც ერევიან და, როცა დრო მოვა, ხუთიანსაც დაიწერენ ზედ. **ზოგიერთების შიშისა და ანგარების გამო, სწორედ ამ უსინდისო, უპრინციპო და უსუსური ადამიანების დანაშაულებრივი დუმილის გამო ხდება ყველა უბედურება ქვეყანაში.**

**— რა ურთიერთობა გაქვთ ხელისუფლებასთან დაახლოებულ თქვენს კოლეგებთან?**

— კამათიც ხშირად მოგვსვლია. მაგალითად, ლელასთან და მამულიჩასთან ვმეგობრობ, თუმცა ჩვენი აზრები ყოველთვის კარდინალურად განსხვავებულია.

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ მომავალ არჩევნებში თქვენი კოლეგა, ლელა წურწუმია „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი კანდიდატი იქნება.**

— არა მგონია, ეს სიმართლე იყოს. მართალია, გავრცელდა ეს ინფორმაცია, მაგრამ, მგონი, თავად არ დაუდასტურებია. იმედია, ასე არ იქნება. რადგან, თუ ეს ინფორმაცია დადადსტურდა, სიმართლე გითხრათ, მე ძალიან მეწყინება.

**— თავად თუ გქონდათ რომელიმე პარტიისგან შემოთავაზება?**

— შემოთავაზებები მქონდა, მაგრამ იმის გამო, რომ ბოლომდე პოლიტიკოსების ნდობა რთულია, უარი ვთქვი. თუმცა გაერთიანებული ვიყავი საზოგადოებრივ მოძრაობებში „დაიცავი საქართველო“, „სახალხო კრების“ მხარდამჭერიც ვიყავი, „წინააღმდეგობის მოძრაობაში“ ახლაც ვარ, მაგრამ არც ერთი პარტიის წევრი არ ვყოფილვარ. სხვათა შორის, **„ნაციონალებისგანაც“ მიმიღია შემოთავაზება. 7 ნოემბრის შემდეგ თუ იმას გამიბედავდნენ, რომ ეთქვათ, პრეზიდენტის საარჩევნო მხარადასაჭერ ღონისძიებებში მიმეღო მონაწილეობა, არ მეგონა. ამაზე დიდი დაცინვა რა შეიძლებოდა ყოფილიყო.** 9 აპრილის წინ, ჩემზე თავდასხმამდე რამდენიმე ხნით ადრეც, იყო შემოთავაზება, პირდაპირ მანქანის გასაღების დატოვებით და წინადადებით, რომ ყველა კარგად იქნება შენ ირგვლივო. მაგრამ ამას მოქრთამვას უფრო დავარქმევდი. ასეთი შეპარვითი გადაბირების მცდელობები ყოველთვის არის ხოლმე. ისიც უთქვამთ, კარგი ჩვენთან არ მოდიხარ, საწინააღმდეგო განცხადებებს მაინც ნუ აკეთებ, გაჩუმდი და ცოტა შენს ანსამბლსაც ეშველებაო.

**— აქტიურად მინაწილოებდით საპროტესტო აქციებში, რომელმაც შედეგი არ გამოიღო, პირიქით, ხალხის დიდმა ნაწილმა თავი მოტყუებულადაც იგრძნო. ხომ არ ნანობთ და კიდევ გახვალთ თუ არა, თუნდაც 27 მაისს, ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ მიერ ორგანიზებულ აქციაზე?**

— არ ვნანობ, რადგან არასდროს კონკრეტულ პიროვნებას არ მივყვები, მე აქციაზე ყოველთვის იდეის გამო გავდივარ. ხშირად უთქვამთ, ვის გვერდით დგახარ, ეგენი თავის საქმეს გააკეთებენ და გვერდზე გადგებიანო და სხვათა შორის, ხშირად ასეც მომხდარა, მაგრამ მე მომავალი თანამდებობისა და ფულის გამო არ გავსულვარ აქციებზე. **27 მაისს აუცილებლად გავალ აქციაზე. ჯერ ერთი, უნდა დავანახოთ ხელისუფლებას, რამდენი ვართ, შეგვიძლია თუ არა კიდევ ბრძოლა და ერთმანეთის გვერდით დგომა. ვგრნობ პასუხისმგებლობას, მივიდე და დავდგე იქ, სადაც ხალხის გულის ცემა ისმის.**

**— საკმაოდ აქტუალურია ევროვიზიის თემა, რომლის ირგვლივაც მუდმივად სკანდალებია, რატომ ხდება ასე?**

— ამ შემთხვევაში ვერაფერს ვიტყვი, ანრი ჯოხაძეს მე ადრეც ვუჭერდი მხარს, რომ წასულიყო და იმედი მაქვს, უფრო ღირსეულად წარსდგება ევროვიზიაზე, ვიდრე წინა კონკურსანტები. შეიძლება სუსტი მომღერალი არც ადრე გასულა ევროვიზიაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ კონკურსზეც გადაწყვეტილებას ერთი ადამიანი იღებდა.

**— ვის გულისხმობთ?**

— ის, ვინც იღებს ქვეყანაში ყველა გადაწყვეტილებას, პრეზიდენტია. ამაზე კამათიც არ არის საჭირო.

**— ხშირად ვხედავთ, რომ საკმაოდ უნიჭო მომღერალი ხდება პოპულარული, მისი კლიპები და სიმღერები ტრიალებს ტელე თუ რადიოეთერში, ვინ წყვეტს დღეს ქართულ შოუბიზნესში მომღერლების ბედს?**

— კი არის რამდენიმე, 4-5 კაცი, ვინც ყველაფერს წყვეტს. რამდენიმე ჯგუფია, რომლებიც ვითომ ერთმანეთთან არიან დაპირისპირებულები, მაგრამ ეს ყველაფერი იმდენად უსუსურია, რომ მრცხვენია კიდეც ამაზე საუბარი. ისედაც მკვდარია ჩვენს ქვეყანაში შოუბიზნესი, სერიოზული მუსიკალური არხიც კი აღარ გვაქვს.

**— მარინე ბერიძეზეც საუბრობენ, რომ ისიც ბევრ რამეს წყვეტს...**

— კი, ბატონო, ისიც ბევრ რამეს წყვეტს. მე, სიმართლე გითხრათ, შორს ვარ უკვე ქართული შოუბიზნესისგან, რადგან სახელმწიფო სექტორი სერიოზულად არის ჩარეული ამ ყველაფერში და, თუ რაიმე პროპაგანდისტული კონცერტი ტარდება, ხელისუფლებისა და გამგეობის დაფინანსებულ კონცერტებზე ჩვენ არაფერი გვესაქმება — ჩამოჰყავთ უცხოელი მომღერლები და უამრავ ფულს ხარჯავენ ამისთვის. მიზანი ისევ პოლიტიკური პროპაგანდაა, რომ თურმე როგორ კარგად არის ყველაფერი ქვეყანაში და აი, ასეთი მეგავარსკვლავები ჩამოდიან, მაგრამ ამით აღარავინ ტყუვდება.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

ნაც-ჩეალობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„2009 წლის 26 აპრილს, როდესაც ორი ახალგაზრდის სიცოცხლე იმსხვერპლეს, კეზერაშვილის ცოლი — სოფიო ჩიქოვანი იყო ამ ფირმის კომერციული დირექტორი, ხოლო ბოკერიას ცოლის და — რუსუდან ჩერგოლეიშვილი — „არტ X“-ის დირექტორი... კახა ნინუა – რუსუდან ჩერგოლეიშვილის ქმარი დაქრწოდა ჩვენს ნათესავებში და მეგობრებში და შუამავლების გამოძებნას ცდილობდა...“

# «ვარსკვლავების აკადემიის» ტრაგედიის დღემდე გაუხმაურებელი დეტალები

**2009 წლის 26 აპრილს თბილისში, სანდრო ეულის ქუჩაზე, ხუთსართულიანი შენობა ჩამოინგრა... ამ დღეს კვირაცხოვლობის ბრწყინვალე დღესასწაულს აღნიშნავდა მართლმადიდებლური სამყარო, მაგრამ ეს დღე საკმაოდ ტრაგიკული აღმოჩნდა „რუსთავი 2“-ისთვის. შენობა, რომელშიც „ვარსკვლავების აკადემიის“ პროექტი მიმდინარეობდა, მიწასთან გასწორდა და ორი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე ნანგრევებში ჩაიყოლა... მაშინ შემთხვევის ადგილზე ბოდრუმიდან დაბრუნებული სააკაშვილიც მივიდა და შესაბამის უწყებებს 10-დღიანი ვადა მისცა იმის გასარკვევად, თუ რამ გამოიწვია უბედური შემთხვევა. მართალია, პრეზიდენტმა კატეგორიულად მოითხოვა მომხდარი ტრაგედიის გამოძიება და ექსპერტებს დასკვნის დასადებად კონკრეტული ვადაც მისცა, მაგრამ სააკაშვილისთვის ესეც მხოლოდ პიარი აღმოჩნდა, რადგან მას შემდეგ 3 წელიწადი გავიდა და ეს საქმე არც არავის გახსენებია და არც ნამდვილი დამნაშავეები დაუსჯიათ...**

## «კეზერაშვილის მეუღლეს და გიგა ბოკერიას ცოლის დას ვინ შეჰკადრებდა და მოსთხოვდა სარეკონსტრუქციო სამუშაოების პროექტს?!»





**«ეს ტრაგედია ერთადერთი არ არის, რაც კეზერაშვილის სახელს უკავშირდება, 2006 წლის 6 ივნისს სოფელ იანეთთან ავტოკატასტროფა მოხდა. ერთ-ერთ ავტომობილში მაშინდელი ფინანსური პოლიციის შეფი დავით კეზერაშვილი მეუღლესთან ერთად იმყოფებოდა, ავარიას ორი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ერთ-ერთი მათგანი სამი წლის გოგონა იყო, არც ამისთვის მოუთხოვია კეზერაშვილისთვის პასუხი ვინმეს...»**

ერთ-ერთი გარდაცვლილის — ნიკა გელაშვილის დედა და მეუღლე სამი წლის შემდეგაც იბრძვიან სიმართლის დასადგენად, მაგრამ, ჩვენს ქვეყანაში „ჩვეულებრივი მოკვდავები“ მიშას თანაგუნდელების სამართლებრივ დასჯას რომ ვერასდროს შეძლებენ, ამის მაგალითად თუნდაც გირგვლიანის ოჯახის ტრაგედია კმარა...

**„საქართველო და მსოფლიომ“ ჯერ კიდევ სამი წლის წინ ივარაუდა, რომ მომხდარი ტრაგედიის გამოძიება ჩაიფარცხებოდა და ნიკა გელაშვილისა და გიორგი გაბუნიას მკვლელები დაუსჯელები დარჩებოდნენ,** რადგან მკვლელობაში სავარაუდო ეჭვმიტანილთა გვარები გიგა ბოკერიას, დავით კეზერაშვილსა და ხალხზე გამარჯვებულ ტელევიზიას — „რუსთავი 2“-ს უკავშირდებოდა... ვიდრე, ზემოთქმულ ინფორმაციას დეტალურად მოგითხრობთ, შეგახსენებთ, რომ **„რუსთავი 2“-მა სანდრო ეულის ქუჩაზე მდებარე აღნიშნული შენობა, 26 ათასი კვადრატული მეტრი მიწა, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით, პრეზიდენტის 461-ე დადგენილებით, პირდაპირი მიყიდვის წესით მილიონ ლარად შეიძინა, მაშინ, როდესაც მისი საბაზრო ღირებულება რამდენიმე მილიონ ლარს ითვლის...**

თუმცა ეს ყველაზე უწყინარი დანაშაულია მომხდარ უბედურებაში... აღნიშნულ შენობაში „რუსთავი 2“-მა სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაიწყო, რომელსაც კომპანია „არტ-X“-ი ახორციელებდა, რომლის დამფუძნებელიც თავდაცვის ყოფილი მინისტრის („მოგებული ომის“ თავდაცვის მინისტრი) მეუღლე სოფიო ჩიქოვანია. კომპანია 2006 წელს დაარსდა და მისი ჩამოყალიბების მიზანი, როგორც სარეკლამო სლოგანიდან ირკვევა, მომხმარებლისთვის მაღალი ხარისხის არქიტექტურულ-დიზაინერული და სარემონტო სამუშაოების კომპლექსური მომსახურება ყოფილა (კომპანიის „მაღალხარისხიანი“ მომსახურების შედეგი ორმა ოჯახმა საკუთარ თავზე იწვნია... — ავტ.). მაგრამ **ეს ტრაგედია ერთადერთი არ არის, რაც კეზერაშვილის სახელს უკავშირდება, 2006 წლის 6 ივნისს სოფელ იანეთთან ავტოკატასტროფა მოხდა. ერთ-ერთ ავტომობილში მაშინდელი ფინანსური პოლიციის შეფი დავით კეზერაშვილი მეუღლესთან ერთად იმყოფებოდა, ავარიას ორი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ერთ-ერთი მათგანი სამი წლის გოგონა იყო, არც ამისთვის მოუთხოვია კეზერაშვილისთვის პასუხი ვინმეს...**

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ **კომპანია „არტ X“-ს სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესახებ პროექტი ქალაქის მერიაში არ წარუდგენია,** მაშინ, როდესაც სარკმელსაც ვერ შეცვლი ადამიანი სახლში, თუ ეს მერიასთან არ შეათანხმე, მაგრამ კეზერაშვილის მეუღლეს და გიგა ბოკერიას ცოლის დას ვინ შეჰკადრებდა და მოსთხოვდა სარეკონსტრუქციო სამუშაოების პროექტს? მაშინ ისიც ითქვა, რომ ნგრევა, შენობის სიძველემ გამოიწვია, რაც კატეგორიულად გამორიცხეს ექსპერტებმა.

„საქართველო და მსოფლიომ“ სამი წლის წინ „თბილზნიეპის“ დირექტორ **რამაზ ქაცარავას** ექსკლუზიური ინტერვიუც გამოაქვეყნა. გთავაზობთ ამონარიდს: **„ეს 40 წლის შენობაა, მაგრამ ეს დრო არც ისე ბევრია, რომ შენობა დაძველებულიყო, მითუმეტეს, არ იყო ბზარები და ჯდენები. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ რემონტის დროს მზიდ კონსტრუქციებს შეეხნენ, თორემ ტიხრების გადაადგილება ნგრევას არავითარ შემთხვევაში არ გამოიწვევდა. ხაზგასმით ვამბობ, ჩვენთვის კონსულტაციისთვისაც არავის მოუმართავს. მშენებლები ჩვენთან არ მოსულან, თუმცა უნდა მოსულიყვნენ და ეკითხათ. არც პროექტი მოუთხოვიათ ჩვენგან და ვერც ვერაფერს გეტყვით, რას აკეთებდნენ იქ. უდავოა, რომ მზიდ კონსტრუქციებს შეეხნენ, სხვაგვარად ასეთი რამ გამორიცხულია. ნანგრევებში ნათლად ჩანს, რომ ხელყოფილია ზოგიერთი მზიდი კონსტრუქცია.“** არადა, „არტ-X“-ის სამუშაოების მწარმოებელმა დავით გვასალიამ ჯერ კიდევ სამი წლის წინ განგვიცხადა, რომ „რუსთავი 2“-ის კუთვნილ შენობაში კომპანია მხოლოდ სარემონტო სამუშაოებს აწარმოებდა...

**„საქართველო და მსოფლიომ“ მომხდარი ტრაგედიის შესახებ რამდენიმე შეკითხვა გარდაცლილი გიგა გელაშვილის დედას — ნუცა თოფჩიშვილს დაუსვა:**

**— თქვენი ოჯახი დღემდე ითხოვს საქმის გამოძიებას, რატომ?**

— 2009 წლის 26 აპრილს მომხდარი ფაქტის შემდეგ ვითხოვთ ხელახალი გამოძიების დაწყებას, რადგან მიგვაჩნია, რომ მომხდარი ტრაგედია დღემდე არ არის სათანადოდ გამოძიებული. წინასწარი გამოძიების დროს უგულებელყოფილი იქნა მთავარი, კერძოდ ის, რომ სამუშაოთა დამკვეთს — „რუსთავი 2“–სა და შემსრულებელს — „არტ X“-ს არ გააჩნდა შესასრულებელი სარეკონსტრუქციო სამუშაოების პროექტი და მისი წარმოების ნებართვა მერიის შესაბამისი სტრუქტურებისგან. ამიტომ ჩვენ ვითხოვთ მიუკერძოებელ გამოძიებას და სასამართლოს წინაშე დამკვეთის, შემსრულებლისა და მაკონტროლებელი ორგანოს (ქალაქ თბილისის მერიის შესაბამისი სტრუქტურის) პასუხისმგებლობის დაყენებას.

**— როგორც ცნობილია, „არტ X“ კეზერაშვილისა და ბოკერიას ოჯახური კომპანიაა... თუ გაქვთ ინფორმაცია, დღემდე ამ ადამიანებს ეკუთვნით აღნიშნული კომპანია?**

— 2010 წლის 7 აპრილს შედგა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა, ჩვენ მიერ შეტანილ ადმინისტრაციულ სარჩელზე (სარჩელი მოამზადა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტმა ლალი პეტრიაშვილმა). როგორც ვიცით, ამ დროისათვის „არტ X“-ის დირექტორი რუსუდან ჩერგოლეიშვილი ბრძანდებოდა, თუმცა ამას არც აქვს არსებითი მნიშვნელობა, რადგან, როდესაც დანაშაული მოხდა, ანუ **2009 წლის 26 აპრილს, როდესაც ორი ახალგაზრდის სიცოცხლე იმსხვერპლეს, კეზერაშვილის ცოლი – სოფიო ჩიქოვანი იყო ამ ფირმის კომერციული დირექტორი, ხოლო ბოკერიას ცოლის და — რუსუდან ჩერგოლეიშვილი — „არტ X“-ის დირექტორი.** კანონის თანახმად, იურიდიული პირის — „არტ X“-ის წარმომადგენლობითი უფლება, ასევე პასუხისმგებლობა ეკისრება მის დირექტორს, ამ შემთხვევაში — ბოკერიას ცოლისდას რუსუდან ჩერგოლეიშვილს.

**— ხომ არ ყოფილა ოჯახზე ზეწოლის მცდელობა?**

— არა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ **კახა ნინუა – რუსუდან ჩერგოლეიშვილის ქმარი დაქრწოდა ჩვენს ნათესავებში და მეგობრებში და შუამავლების გამოძებნას ცდილობდა** შერიგების მიზნით. ვითომ ვიჩხუბეთ ოდესმე და ახლა შერიგებაზე მიდგა საქმე(?!).

**— რას აპირებთ მომავალში?**

— რა თქმა უნდა, ბრძოლას გავაგრძელებთ! არ გავჩერდებით, მოთმინებით დაველოდებით იმ დროს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში კანონი იკანონებს და დამნაშავეები და მკვლელები კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯებიან! ჩვენ ვიბრძოლებთ, ვიდრე სიმართლე გაიმარჯვებს! ჩემს შვილს არც ერთი კითხვა არ უნდა დარჩეს პასუხგაუცემელი...

**როგორც ცნობილია, ნიკა გელაშვილის ოჯახმა სიმართლის დასადგენად სტრასბურგის სასამართლოს მიმართა, მანამდე კი, 2009 წლის 18 დეკემბერს, დაზარალებულის უფლებამონაცვლის ადვოკატებმა (გარდაცვლილ ნიკა გელაშვილის დედის ადვოკატებმა) განცხადებით მიმართეს საქართველოს გენერალურ პროკურორ მურთაზ ზოდელავას და გამოძიების ხელახლა დაწყება ითხოვეს. განცხადების თანახმად, საქმეში არსებული უამრავი მტკიცებულების მიუხედავად, მხოლოდ დავით გვასალია აღმოჩნდა განსასჯელის სკამზე** (შეგახსენებთ, რომ გვასალიას ორწლიანი პირობითი სასჯელი შეეფარდა და სასამართლოს დარბაზიდან გათავისუფლდა...). მის გარდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდა იურიდიულ და ფიზიკურ პირებს. კერძოდ, შპს „არტX“-ის, „ჯორჯიან ბილდინგ კორპორეიშენის“ მიერ ალბათობის მაღალი ხარისხით ჩადენილია სისხლის სამართლის 192-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული და ისინი, როგორც იურიდიული პირები, მიცემულ უნდა იქნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

ასევე **სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ყოფილმა ხელმძღვანელმა — ირაკლი ჩიქოვანმა „ვარსკვლავების აკადემიის“ მონაწილეები და ტექპერსონალი** ▶

**„ამ ტელევიზიის რემონტი რომ დამთავრდება, ვიტყვი: ცხოვრებაში რაღაც გამიკეთებია-მეთქი. მე პრეტენზია მაქვს, „რუსთავი 2“ ფინანსურად ძალიან წარმატებული პროექტი იყოს. კაცმა რა უნდა ქნას? — ხე დარგოს, ცოლი მოიყვანოს, სახლი ააშენოს. ამ სიას დავამატე ტელევიაზიაც. ანუ ვალი მოხდილი მაქვს“. — ეს სიტყვები „რუსთავი 2“-ის ყოფილ დირექტორს — გიორგი გეგეშიძეს ეკუთვნის. საინტერესოა, რას ეძახის იგი ვალის მოხდას? ორი ადამიანის სიცოცხლე რომ აწევს კისერზე „რუსთავი 2“-ს, ესაა ქვეყნის და ერის წინაშე ვალის მოხდა?!**

ნაც-რეალობა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩააყენა. აქედან გამომდინარე, დაზარალებულის ადვოკატები ითხოვენ ხელახალი გამოძიების ჩატარებას,** თუმცა გამოსაძიებელი, ალბათ, ბევრი არაფერია, რადგან ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, **„ქ. თბილისში სანდრო ეულის ქ. №5ა-ში მდებარე შენობის ნგრევა გამოწვეულია მშენებლობის დროს დაშვებული კონსტრუქციული ხასიათის ხარვეზებისა და შემდგომ მასზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების არაკვალიფიციურად წარმოების ერთობლიობით. სამუშაოთა ხელმძღვანელის მიერ დარღვეულია სამშენებლო ნორმებისა და წესების 2-4-80წ-ის („უსაფრთხოების წესები მშენელობაში“) პუნქტი 2.49-ის მოთხოვნები, რომელთა თანახმადაც დაშლის სამუშაოების დაწყების წინ უნდა შემუშავდეს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს სამუშაოების უსაფრთხოდ წარმოებას“.**

აქვე შემოგთავაზებთ მცირედ ფრაგმენტებს დაკითხვების ოქმებიდან, რაც კიდევ უფრო თვალნათლივ დაგანახებთ, როგორ იკერებოდა „ვარსკვლავების აკადემიის“ საქმე...

ალნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით 2009 წლის 30 მაისს მოწმის სტატუსით დაიკითხა შპს „არტ X“-ის არქიტექტორ-დიზაინერი ხათუნა თენგიზის ასული ბერიძე. მოწმის ჩვენების თანახმად, 2008 წელს „არტ X“-ის დირექტორმა რუსუდან ჩერგოლეიშვილმა უთხრა, რომ უნდა შეხვედროდა „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელებს, რადგან, მათ შორის არსებული შეთანხმების თანახმად, მის კომპანიას უნდა ეწარმოებია სარემონტო სამუშაოები „რუსთავი 2“-ის კუთვნილ შენობაში. ჩვენების მიხედვით, სარემონტო სამუშაოების შესრულებისას მოხსნეს ტიხრები, რომლებიც პროექტით იყო გათვალისწინებული. **2009 წლიდან „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელობამ სთხოვა „არტ X“-ს, დაეჩქარებია პირველი ფლიგელის გარემონტება პირველ და მეორე სართულებზე, ამიტომ ძირითადი სამუშაოები სწორედ იქ ტარდებოდა.**

ჩვენებაში ასევე აღნიშნულია, რომ არ ჰქონდათ კონსტრუქციული ნახაზი, რადგან სამუშაოები არ ეხებოდა მზიდ კარკასს. შენობა დაათვალიერა კონსტრუქტორმა გიორგი დელიბაშვილმა და გასცა ზეპირი მითითებები. მოწმე აღნიშნავს, რომ მან შეადგინა მხოლოდ შენობის არქიტექტურული პროექტი და ამაში იგულისხმება ოთახებისა და სხვა სათავსოების განლაგება. ჩვენებაში ასევე აღნიშნულია, რომ დავით გვასალია, სამუშაოთა მწარმოებელი, აგებდა პასუხს სამუშაოების ხარისხსა და შრომის უსაფრთხოების წესების დაცვაზე. ასევე შენობის სიხისტის დიაფრაგმის დემონტაჟის შემთხვევაში სამუშაოთა მწარმოებელ გვასალიას უნდა ჩაეტარებია სათანადო საკომპენსაციო სამუშაოები, რის შესახებაც იგი გაფრთხილებული იყო და აღნიშნულთან დაკავშირებით სათანადო კონსულტაცია მიიღო კონსტრუქტორისაგან. **ჩვენების თანახმად, შპს „არტ X“-ს სანდრო ეულის ქუჩაზე მდებარე „რუსთავი 2“-ის შენობაში სარემონტო სამუშაოების წარმოებისთვის დამტკიცებული პროექტი და შესაბამისი ნებართვა არ ჰქონია, ვინაიდან სამუშაოები არ იყო დაკავშირებული შენობის კონსტრუქციის შეცვლასთან, მიშენებასა და დაშენებასთან.**

ცხადია, მოწმის სტატუსით დაიკითხა, აგრეთვე, შპს „არტ X“-ის სამუშაოთა მწარმოებელი დავით ოთარის ძე გვასალია. მისი ჩვენების თანახმად, 2007 წლიდან ის მუშაობს „არტ X“-ში სამუშაოთა მწარმოებლის თანამდებობაზე. მის მოვალეობაში შედის სარემონტო სამუშაოების ტექნიკური უზრუნველყოფა, კერძოდ, ის ასრულებს არქიტექტორის მიერ შესრულებულ ნახაზში მითითებულ სარემონტო სამუშაოებს, უშუალოდ ხელმძღვანელობს მუშა პროცესს. 2008 წლის ნოემბრის ბოლოს შპს „არტ X“-ის დირექციამ დაავალა, ეწარმოებია სამუშაოები „რუსთავი 2“-ის კუთვნილ შენობაში. შენობა შედგებოდა რამდენიმე ავტონომიური ნაგებობისგან და მათ დაიწყეს ყველა ნაგებობაში არსებული ტიხრების დემონტაჟი და სამშენებლო ნაგვის გატანა, შემდეგ უკვე ყველა სართულზე მოჭიმვების მოწყობა. სამუშაოების შესრულებისას ის ხელმძღვანელობდა ნახაზებით, რომლებიც გადასცა არქიტექტორმა.

აპრილის დასაწყისში თითქმის ყველა სანგრევი სამუშაო, სამშენებლო ნაგვის გატანა დასრულებული იყო. დირექციის დავალებით, მათ სამუშაოების ჩატარება განაგრძეს პირველი ფლიგელის პირველ და მეორე სართულებზე. **სარემონტო სამუშაოების დროს დემონტაჟი გაუკეთეს აღნიშნული შენობის პირველ სართულზე ყველა ტიხარს და მეექვსე რიგში არსებულ დიაფრაგმას, რის სანაცვლოდაც ჩაატარეს დამატებითი გასამაგრებელი სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოები შენობის პირველ ფლიგელში შენობის მეოთხე და მეხუთე სართულებს არ შეხებია, არ ამოუღიათ არც ტიხრები და არ ჩაუტარებიათ სარემონტო სამუშაოები.**

მოწმე ასევე აღნიშნავს, რომ ის ასრულებს ყველა იმ სარემონტო სამუშაოს, რომელსაც უთითებს ან შეუკვეთავს დირექცია და რაც გათვალისწინებულია პროექტით. ის არ ამოწმებს, რა დოკუმენტაცია არსებობს აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად. ამიტომ მისთვის უცნობია, არსებობდა თუ არა კონსტრუქციული ნახაზი. **მოწმის ჩვენების მიხედვით, მისთვის უცნობია, თუ რას შეიძლება გამოეწვია აღნიშნული შენობის ნგრევა. მათ მოხსნეს დიაფრაგმა, მაგრამ, მისი აზრით, ამას არ უნდა გამოეწვია შენობის ნგრევა, რადგან შენობის მდგრადობას უზრუნველყოფდა არა მხოლოდ აღნიშნული დიაფრაგმა, არამედ ორი კიბის უჯრედის დიაფრაგმა და კარკასი.** ჩატარდა ასევე დამატებითი სარემონტო სამუშაოები და დარწმუნებულია, რომ ამას შენობის ნგრევა არ უნდა გამოეწვია...





**ჩადუნელი იგონებს, რომ დაახლოებით 4 საათსა და 20 წუთზე იგრძნო რყევა, რაც მიწისძვრა ეგონა, მაგრამ რამდენიმე წამში დაიწყო ნგრევა. ამ დროს მან მოახერხა ფანჯრის რაფაზე დაკიდება, რადგან იატაკი უკვე ჩანგრეული იყო და ოთახში მყოფი ნიკა გელაშვილი და გიორგი გაბუნია ნანგრევებში მოყვნენ**

მოწმის სტატუსით დაიკითხა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი გიორგი გეგეშიძე. ჩვენების თანახმად, 2009 წლის 6 აპრილიდან ის მუშაობს გენერალური დირექტორის თანამდებობაზე. მისი მუშაობის დაწყებისას უკვე ფუნქციონირებდა პროექტი „ვარსკვლავების აკადემია“, რომელიც მიმდინარეობდა „რუსთავი 2“-ის კუთვნილ შენობაში, ასევე ამ შენობაში უკვე დაწყებული იყო სარემონტო სამუშაოები. **მოწმე ამბობს, რომ „რუსთავი 2“-ს არანაირი პრეტენზია არ გააჩნია არც სამშენებლო კომპანია „არტ X“-თან, არც „ჯორჯიან ბილდინგთან“. ჩვენების თანახმად, ის რამდენიმეჯერ შეხვდა პროექტის ხელმძღვანელებს, რომელთაც მასთან არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამთ.** რაც შეეხება სარემონტო სამუშაოებს, მისთვის უცნობია, როგორ მიმდინარეობდა და ზუსტად რა სამუშაოებს ასრულებდნენ მუშები, რადგან მათ ყველაფერი მითითებული ჰქონდათ ხელშეკრულებაში. მოწმისთვის უცნობია, რამ გამოიწვია აღნიშნული შენობის ნგრევა...

**„ტელევიზიის ახალ შენობას მე ვაკეთებ და ბედნიერი ვარ. ერთი პერიოდი ამერიკულ ფირმაში ამერიკელებთან ერთად მომიხდა მუშაობა. ალჯაზირას სტუდია მაქვს გაკეთებული. რუმინეთის ორ წამყვან არხზე მიმუშავია, „ნიუსრუმი“ გამიკეთებია, მაგრამ ისეთი ტელევიზია, როგორსაც ახლა ჩვენ ვაკეთებთ, არსად მინახავს. ჩვენი ნიუსის სტუდია იანვრის ბოლოს ან თებერვლის დასაწყისში ახალი „კურიერის“ გასაშვებად უნდა იყოს მზად. ის, რაც გაკეთდა, ამიერკავკასიაში ნომერ პირველი ტელევიზიაა. ათი წლით გავუსწარით ამიერკავკასიის ტელევიზიებს. „თაჩსქრინი“ — ხელის შეხებით სამართი ეკრანი, ჩვენ თვითონ გავაკეთეთ. „საბავშვო ამბებში“ ვიღაცამ დიდი აიფონი მოიტანა. იდეა წამოვიდა და ტექნიკურმა პერსონალმა თვითონ გააკეთა ის „თაჩსქრინი“, რომლითაც ახლა თავი მოგვწონს. ასეთი მიდგომაა საქმის მიმართ და მიხარია. ამ ტელევიზიის რემონტი რომ დამთავრდება, ვიტყვი: ცხოვრებაში რაღაც გამიკეთებია-მეთქი.**

მე პრეტენზია მაქვს, „რუსთავი 2“ ფინანსურად ძალიან წარმატებული პროექტი იყოს. კაცმა რა უნდა ქნას? — ხე დარგოს, ცოლი მოიყვანოს, სახლი ააშენოს. ამ სიას დავამატე ტელევიზიაც. ანუ ვალი მოხდილი მაქვს“.

ეს სიტყვები „რუსთავი 2“-ის ყოფილ დირექტორს — გიორგი გეგეშიძეს ეკუთვნის. **საინტერესოა, რას ეძახის იგი ვალის მოხდას? ორი ადამიანის სიცოცხლე რომ აწევს კისერზე „რუსთავი 2“-ს, ესაა ქვეყნის და ერის წინაშე ვალის მოხდა?!** ეს არის ამონარიდი გეგეშიძის ინტერვიუდან, რომელიც მან „პრაიმ ტაიმს“ 2010 წლის დეკემბერში მისცა და არც გახსენებია იმ ახალგაზრდებისა და მათი ოჯახების ტრაგედია, რომლებიც „რუსთავი 2“-მა ნანგრევებში ჩაიყოლა... როგორც ჩანს, ჩვენს ქვეყანაში „ვალის მოხდად“ სისხლში ხელის გასვრა ითვლება... აქვე შეგახსენებთ, რომ **„რუსთავი 2“-ისა და „მზის“ 10-10%-იანი წილების მესაკუთრე გიორგი გეგეშიძე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის — ირაკლი ჩიქოვანის ბიზნეს-პარტნიორია. ისინი ერთობლივად ფლობენ ისეთ კომპანიებს, როგორებიცაა: „მაგი სტილი“, „მაგი სტილი მედია“, „ბედეგი“ და სხვ.**

რაც შეეხება, „ჯორჯიან ბილდინგს“, მკითხველისთვის უფრო ნათელი რომ იყოს, რა შუაშია ამ ყველაფერთან „ჯორჯიან ბილდინგი“, აღნიშნული კომპანიის დირექტორის — გიორგი კურცხალიას ჩვენების მცირედ მონაკვეთსაც გაგაცნობთ, რომლის თანახმადაც „არტ X“-სა და „ჯორჯიან ბილდინგს“ გაფორმებული აქვთ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მათ უნდა ეწარმოებიათ სარემონტო სამუშაოები და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებდა მათი კომპანია შენობის ნაწილში სამშენებლო სამუშაოებს. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით ყველა საჭირო მოვალეობა და პასუხისმგებლობა გადადიოდა კომპანია „არტ X“-ზე. აქედან გამომდინარე, შენობის ნგრევის ფაქტთან დაკავშირებით, მოწმის განცხადებით, მის კომპანიას არანაირი კავშირი არ გააჩნია, **მათ ასევე არანაირი პრეტენზია არ აქვთ არავის მიმართ.**

**მოწმეების სტატუსით დაიკითხნენ, აგრეთვე, „ვარსკვლავების აკადემიის“ მონაწილეები, თანამშრომლები, ასევე მუშები და ყველანი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ არავისთან არანაირი პრეტენზია არ გააჩნიათ.**

დაიკითხა, აგრეთვე, მემონტაჟე ნიკოლოზ ჩადუნელი. მისი ჩვენების თანახმად, 26 აპრილს ის ჩვეულებისამებრ ღამის პირველ საათზე მივიდა სამსახურში და სამი მემონტაჟე, თვითონ ნიკა გელაშვილი და გიორგი გაბუნია ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას სამონტაჟო ოთახში, რომელიც მდებარეოდა ადმინისტრაციული შენობის მეოთხე სართულზე, სადაც ასევე იმყოფებოდნენ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტები: გვანცა მამაცაშვილი და თათუკა ნატროშვილი და დაცვის თანამშრომლები. დაახლოებით 4 საათსა და 20 წუთზე იგრძნო რყევა, რაც მიწისძვრა ეგონა, მაგრამ რამდენიმე წამში დაიწყო ნგრევა. ამ დროს მან მოახერხა ფანჯრის რაფაზე დაკიდება, რადგან იატაკი უკვე ჩანგრეული იყო და ოთახში მყოფი ნიკა გელაშვილი და გიორგი გაბუნია ნანგრევებში მოყვნენ. მოწმის თქმით, მას ჰქონდა ჯიბეში მობილური და მოახერხა პოლიციის განყოფილებაში დარეკვა. რამდენიმე წუთში მოვიდა პოლიცია, ასევე სასწრაფო დახმარება და სამაშველო სამსახური, მათი დახმარებით ჩამოვიდა ძირს და გადარჩა დაზიანებისგან. **მოწმე აცხადებს, რომ მას არავის მიმართ არ გააჩნია პრეტენზია.**

**სამწუხაროა, რომ ამ ქვეყანაში პრეტენზიას მაშინაც არ (უფრო სწორად, ვერ) გამოხატავენ ადამიანები, როდესაც საქმე საკუთარ სიცოცხლეს ეხება.** პრეტენზია და სათანადო პროტესტი საზოგადოებამ არც მაშინ გამოხატა, როდესაც ხელისუფლების წამომადგენლებმა სანდრო გირგვლიანი ოქროყანაში აწამეს, არც მაშინ, როდესაც ვაზაგაშვილი კორტებთან ჩაცხრილეს, არც მაშინ, როდესაც ხელებაწეული ბუტა რობაქიძე დახვრიტეს, არც მაშინ, როდესაც რელიგია შეურაცხყვეს და ეკლესიის კარი „ურალით“ შეანგრიეს, არც მაშინ, როდესაც შუაგულ თბილისში გეიაღლუმი მოაწყვეს... **ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, პროტესტი არც მაშინ გამოხატა საზოგადოებამ, როდესაც სააკაშვილმა თავის თავდაცვის მინისტრ კეზერაშვილთან ერთად საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი საბოლოოდ გაასხვისა და მუცლით იხოხა...** მაშინაც საზოგადოება რუსთაველზე შეიკრიბა და წაგებული ომის მთავარსარდალს ტაში დაუკრა, ნაცვლად იმისა, რომ პასუხი მოეთხოვა...

**ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც თურმე „ვარსკვლავების აკადემიის“ მონაწილეებსა და თანამშრომლებს პრეტენზია არავის მიმართ არ გააჩნიათ, ნაცვლად იმისა, რომ გვერდით დაუდგნენ ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდების ოჯახებს და მათთან ერთად იბრძოლონ სიმართლის დასადგენად... ქალბატონმა ნუცამ საუბრის დროს ერთი საგულისხმო ფრაზა თქვა: საცოდავი ირინა ენუქიძე რომ გაჰკიოდა, გვერდით დამიდექით, დედებო, თორემ თქვენს შვილებსაც დახოცავენო, მაშინ ჩემი შვილი ცოცხალი იყო... მაშინ რომ გამოფხიზლებული იყო ერი, ბევრ უბედურებას გადავრჩებოდით...**

**ბრძოლას და გამოფხიზლებას ყოველთვის აქვს აზრი!**

**გიორგი მექმარიაშვილი**

ეკონომიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენი ხელისუფლება ცდილობს, გამოძებნოს ეკონომიკის გამოცოცხლების შესაძლებლობები. მას თითქოს კიდეც „დაავიწყდა" ეკონომიკური „თავისუფლების აქტი" და ყველანაირად ცდილობს, ეკონომიკაში შემოიტანოს უცხოური ინვესტიციები, შეძლოს ზრდის მიღწეული პარამეტრების შენარჩუნება. მაგრამ იმ მექანიზმების გარეშე, რომლებიც შეძლებს საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის ამოქმედებას, მისი ძალისხმევა მოკლებულია რეალურ შედეგებს.**


დავით იაკობიძე

# მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისი საქართველოს უტევს

## ნეოკოლონიალიზმის ქართული სახე

წერილი მეორე

**მსოფლიოეკონომიკური კრიზისის მთავარი გაკვეთილი მსოფლიო გლობალური მეურნეობის სუბიექტთათვის, ანუ სახელმწიფოებისა და იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ერთიან მსოფლიო წესრიგზე პასუხისმგებლობას იღებენ, არის იმის შეხსენება, რომ შიდა ბაზრის განვითარების გარეშე კრიზისიდან ვერ გამოვლენ; რომ კრიზისთან ბრძოლის გასაღები მათ ხელშია და მართებთ, პასუხისმგებლობით მოეკიდონ საკუთარ როლს ამ საერთო საკაცობრიო საქმეში. დევიზი „იაზროვნე გლობალურად, იმოქმედე ლოკალურად" ახალ შინაარსს იძენს: იფიქრე მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში შენს როლსა და ადგილზე, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, აშენე საკუთარი ეკონომიკა.**



## ღარიბების ქვეყანა

### ინტერესთა ჰარმონიზაცია თუ ყველა თავისთვის

შიდა ბაზრის განვითარებაზე ზრუნვა ნიშნავს, რომ, განვითარების დონიდან გამომდინარე, თითოეული ცალკე აღებული ქვეყანა, მიუხედავად მსოფლიო ბაზარზე მისი ეკონომიკის ინტეგრირებულობის ხარისხისა, ვალდებული ხდება, საკუთარი ეკონომიკური პოტენციალის საფუძველზე მიაღწიოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ზრდას. მაშასადამე, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაძლევის უმთავრესი მიმართულება არის ძალთა პოლიტიკურ-ეკონომიკური კონცენტრაცია მაკროეკონომიკურ ამოცანათა რეალიზაციის მიზნით.

ეს ნიშნავს, რომ იზრდება დაინტერესება იმ რესურსების ასამოქმედებლად, რომლებიც არსებობს და სათანადოდ გამოყენებული არ არის. ამიტომ, როდესაც საუბრობენ ეკონომიკის მოდერნიზაციაზე, სულ უფრო ხშირად და ახალი შინაარსით გაისმის სიტყვა ინდუსტრიალიზაცია. შესაძლებლობის ფარგლებში ახალი ტექნოლოგიების ათვისება და მათ საფუძველზე ეკონომიკის ორგანიზაცია გახდა ეკონომიკის განვითარებაზე პასუხისმგებელ პირთა თავსატეხი. როგორც ვხედავთ, **მსოფლიო კრიზისის გაკვეთილებმა მსოფლიო ბაზრისა და გლობალური ეკონომიკური სივრცის მონაწილენი კვლავ დააბრუნა თავიანთ მთავარ საზრუნავთან, კერძოდ, ეკონომიკის რეალურ სექტორთან.**

დღეისთვის ნათელი ხდება, რომ, ერთია, მსოფლიო საერთო კანონზომიერებათა მიხედვით სამეურნეო ცხოვრების ორგანიზაცია და, მეორეა, მისი საკუთარი შესაძლებლობების დამოუკიდებლად, შეფარდებით გამოცალკევებულად გამოყენება. ეს არ არის ერთმანეთის საწინააღმდეგო ტენდენციები, რადგან მხოლოდ მოცემული დროის პირობებში ეკონომიკურ-პოლიტიკური აქცენტების გამოხატვის შესაძლებლობას ქმნის. იგი მოითხოვს მოქნილი ეკონომიკური პოლიტიკისა და მანევრირებისუნარიანი სამეურნეო მექანიზმების არსებობას. თუ საქართველო არ მიიღებდა გლობალიზებული მსოფლიოს მიერ შემოთავაზებულ სამეურნეო საქმიანობის გაძღოლის მექანიზმს. 1993-1994 წლებში იგი უბრალოდ დაიღუპებოდა, რადგან, იმ კონკრეტული ისტორიული პირობებიდან გამომდინარე, მოქმედებდა მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობების მეხუთედი ძალით. მსოფლიო მონეტარულ სისტემაში გაერთიანებითა და მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარებით, ევროკავშირის ქვეყნებისა და აშშ-ის მთავრობის ჰუმანიტარული და ფინანსური მხარდაჭერით, რაც შესაძლებელი იყო მხოლოდ გლობალიზაციის მოთხოვნების პოლიტიკური აღიარების საფუძველზე, საქართველომ დაძლია ურთულესი სტრუქტურული კრიზისი და შეძლო საკუთარი პოტენციალის გამოვლენა. **შემდეგში, სამწუხაროდ, ჩვენი ეკონომიკის ინტეგრირება მსოფლიო ბაზარზე ისეთი ფორმებით განხორციელდა, რომ თანდათანობით უარი ვთქვით ეკონომიკის შეფარდებით გამოცალკევებულობაზე და მთლიანად მივენდეთ გლობალიზაციის რთულ და განუსაზღვრელ ტენდენციებს.**

ახლაც, თუ დავაკვირდებით მსოფლიო პოლიტიკურ ძალთა შეჯიბრებითობის პროცესს, დავინახავთ, რომ ბევრ სახელმწიფოში მიმდინარეობს ბრძოლა გლობალური და ადგილობრივი ეკონომიკური ტენდენციების ჰარმონიზაციის მიმართულებით, მის საფუძველზე პოლიტიკურ-ეკონომიკური პრიორიტეტების განსაზღვრისათვის.

**საფრანგეთში ნიკოლა სარკოზის დამარცხება მის მიერ გლობალიზაციის ტენდენციებისთვის უპირატესობის მინიჭების შედეგია. ახალი პოლიტიკური ძალა, რომელსაც ფრანსუა ოლანდი წარმოადგენს, მოითხოვს, რომ საფრანგეთმა თავი დააღწიოს კრიზისს, უპირატესად, საკუთარ ძალებზე დაყრდნობით.** ანალოგიური წინააღმდეგობრიობით ხასიათდება საბერძნეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისიც. გლობალიზაციის ევროპულ ინტეგრაციის ეკონომიკურ ტენდენციებს მინდობილი საბერძნეთის წინაშეც დაისვა საკუთარი მაკროეკონომიკური პოტენციალის უფრო სრულად გამოყენების ამოცანა.

**იგივე პრობლემა მთელი სიცხადით დგას საქართველოში. ჩვენი ხელისუფლება ცდილობს, გამოძებნოს ეკონომიკის გამოცოცხლების შესაძლებლობები. მას თითქოს კიდეც „დაავიწყდა" ეკონომიკური „თავისუფლების აქტი" და ყველანაირად ცდილობს, ეკონომიკაში შემოიტანოს უცხოური ინვესტიციები, შეძლოს ზრდის მიღწეული პარამეტრების შენარჩუნება. მაგრამ იმ მექანიზმების გარეშე, რომლებიც შეძლებს საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის ამოქმედებას, მისი ძალისხმევა მოკლებულია რეალურ შედეგებს.**

რეალური შედეგების მიღება კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენს საქმიანობაში შემოვა მიზანდასახულობის ელემენტები, როდესაც მკაფიოდ გვეცოდინება, რას და რატომ ვაკეთებთ. ეს მექანიზმები კი ადეკვატური უნდა იყოს როგორც მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებისა, ასევე უნდა გამომდინარეობდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური რეალობებიდან. ამიტომ თითოეული ქვეყნის ძალისხმევა მიმართული უნდა იქნეს, პირველ რიგში, საკუთარი შესაძლებლობების ასამოქმედებლად ეკონომიკის იმ სფეროში, რომელიც მიღებული მეთოდოლოგიით ძირითადად პასუხისმგებელია შიდა ბაზრის ფორმირებასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე. როგორც ვიცით, მას რეალურ სექტორს უწოდებენ და ეკონომიკაზე პასუხისმგებელი პოლიტიკოსების უმთავრესი ძალისხმევაც მისი მოდერნიზაციისა და შედეგიანობის ამაღლებისკენაა მიმართული.

### წვრილი მეურნეობა თუ ეკონომიკის ფლაგმანები?

**რას წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის რეალური სექტორი დღეს? ვის შეუძლია ამ საკითხზე პასუხის გაცემა? არსებობს კი პოლიტიკური დოკუმენტი, რომელშიც ამ სფეროს მდგომარეობის ანალიზია ასახული და მისი განვითარების ტენდენციებზე საუბრობენ? ასეთი დოკუმენტის არსებობა მე არ ვიცი. ჩემი ვარაუდით, იგი უნდა არსებობდეს, რადგან სხვა შემთხვევაში მსოფლიოს ბანკი ჩვენთან აქტიურ პოზიციას ვერ დაიჭერდა.**

შევეცდები, პასუხი გავცე ზოგიერთ კითხვას.

საქართველოს ეკონომიკის რეალური სექტორი შედგება კორპორაციული მსხვილი სამრეწველო წარმონაქმნებისგან და, აგრეთვე, ინდივიდუალიზებული, წვრილი, ცალკეულ შემთხვევაში, პარციალური — კერძო, რაიმეს შემადგენელი ნაწილის საფუძველზე ორგანიზებული მეწარმეობისგან. თუ საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურას დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ აქ წვრილი მეწარმეობა ბატონობს. მოკლედ რომ ვთქვათ, **საქართველოს ეკონომიკა არის სიღარიბის დაძლევის ისეთი მაკროსტრუქტურა, რომელიც ძირითადად ინდივიდუალურ და მცირე მოცულობის სამეურნეო აქტივობის საფუძველზე ვითარდება.**

ეკონომიკაზე მსჯელობისას ლაპარაკობენ მცირე ბიზნესზე, რომელიც სინამდვილეში სულაც არ არის მცირე, რადგან იგი ბედის ანაბარა მიტოვებულ პარციალურ — კერძო სასოფლო სამეურნეო მეწარმეთა და ინდივიდუალურ, საოჯახო შრომით შესაძლებლობებზე დაფუძნებული სავაჭრო და ინფრასტრუქტურის მეურნეობათა სტიქიური კონგლომერატია. ეს საწარმოები, ნახევარ მილიონზე მეტი საგლეხო მეურნეობა, რომლებიც ერთ ჰაზე ნაკლებ მიწის ნაკვეთს განკარგავენ, და ასეთივე სიმძლავრის სავაჭრო და მომსახურების მიმართულების ბიზნეს-წამოწყებები მოკლებულია თანამედროვე ბაზრისთვის ადეკვატური მექანიზმების საფუძველზე მოქმედების შესაძლებლობას. ისინი არ ფლობენ ინფორმაციას მსოფლიო და შიდა ბაზრის მიმდინარე ტენდენციებზე, ვერ სარგებლობენ საბანკო მომსახურებითა და სადაზღვევო სისტემით, უძლურნი არიან ბუნებრივი სტიქიის წინაშე, მხედველობაში მაქვს გლობალური დათბობა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის აგროვადებს კარდინალურად ცვლის. მეწარმეობის ამ სექტორზე არ და ვერ ვრცელდება სამეწარმეო კანონმდებლობა. ისინი მხოლოდ შრომატევადი, პრიმიტიული ტექნოლოგიების ბაზაზე არსებობს. სამწუხაროდ, ბედის ანაბარა მიტოვებულ ამ სამეწარმეო პოტენციალის იმედი შიდა ბაზრის გააქტიურებებისთვის აღარ უნდა გვქონდეს, რადგან თანდათან ღარიბდება და განიცდის ლუმპენიზაციას. **ამიტომ მის შიგნით ამ ბოლო დროს გაჩნდა საზღვარგარეთ მიგრირების ძლიერი ტენდენცია. მეწარმეთა ეს სიმრავლე რეალურად არის ფარულ უმუშევართა არმია, რომელთაც პირადი და საკუთარი ოჯახის წევრების სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის ძალები არ გააჩნია.** ამიტომ, მეწარმეობის ამ სეგმენტის რადიკალური ტრანსფორმაციის გარეშე, შეუძლებელია რაციონალურ სამეურნეო პროგრამებში ჩართულობა.

**ამ პრაქტიკულად ლუმპენიზირებული, წვრილი მეწარმეების გარდა, ჩვენს ქვეყანაში არსებობს მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოები. ამის დასტურია, ის პიარაქციები, რომლებითაც წარმოგვიდგენენ მათ მიღწევებს და გვპირდებიან უკეთეს შედეგებს. ამ საწარმოთა შორის მუდმივად არიან „მოწინავენი", რომელთა საქმიანობის მთავარი მიმართულებებია: პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი.** სახელმწიფო დაკვეთები (რომლის წილი 4 მილიარდ ლარს აღემატება, მათ შორის, მნიშვნელოვანია უცხოური გრძელვადიანი კრედიტების ათვისება), საკომუნიკაციო საქმიანობა და ა. შ. მოკლედ რომ ვთქვათ, ის მოთხოვნები, რასაც ბაზარს უყენებს ჩვენი მოსახლეობა, ძირითადად, ამ კომპანიების მეშვეობით არის რეალიზებული, იმდენად მაღალია, ▶

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქართული კორპორაციული კაპიტალი (ცალკეული გამონაკლისების გარდა), მიუხედავად მისი ისტორიული წარმოშობისა, საკუთრებითი ურთიერთობებისა და მენეჯმენტის თვალსაზრისით, სულაც არ არის ქართული, უცხოურია. ხოლო ჩვენს ქვეყანას მათი კონტროლის არც მექანიზმები გააჩნია და არც ეკონომიკის ინსტიტუციონალური სისტემა, რომელიც მათ ერთიან ქართულ სამეურნეო სივრცის წიაღში შეინარჩუნებდა.**

◀ მისწრაფებები უცხოური იაფი ნაწარმისადმი.

**ამგვარად, ჩვენი რეალური სექტორი სამი სეგმენტისაგან შედგება: ლუმპენიზირებული წვრილი მწარმოებლები, სამეწარმეო კანონმდებლობით დაცული მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნეს ერთეულები — სამეურნეო ელიტა. მათთან ერთად ბაზარს შეგუებული, ცოტა დაბნეული, მაგრამ მაინც მებრძოლი წვრილი მეწარმენი.** ამათგან პირველი ორი, ჩვენი ხელისუფლების დასაყრდენია, რადგან ლუმპენები და ელიტა მუდმივად იმ ხელისუფლებას უკმევენ გუნდრუკს, რომელიც რეალურ დროში არსებობს. შესაბამისად, პოლიტიკოსებს, ძლიერ უჭირთ, გაერკვნენ, თუ რამდენად „რეალურია" ქვეყანაში არსებული სამეწარმეო სივრცე და განსაზღვრონ მისი განვითარების მიმართულებები. აბა, რით არის გამოწვეული ჩვენი პოლიტიკოსების მუდმივი აპელირება იმაზე, რომ „ჩვენ არც ნავთობი და არც სხვა რაიმე რესურსი არ გვაქვს", მაშინ, როდესაც პირველი ქართული რესპუბლიკის ეკონომისტ-პოლიტიკოსები: ზურაბ ავალიშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი და სხვები მსოფლიოს უმტკიცებდნენ, რომ ჭიათურის მარგანეცი და წყალტუბოს თერმული წყლები საქართველოს სამეურნეო თავისთავადობის სრულ გარანტიას იძლევაო. დავუმატოთ ამას ქვემო ქართლის სპილენძის საბადო, სასმელი და სამკურნალო წყალი და ასე შემდეგ... ამ სიმდიდრის პატრონები რატომ უნდა გავიძახოდეთ, რომ რესურსები არ გვაქვს?!

## ნეოკოლონიალიზმის ქართული სახე

მკითხველი, ალბათ, დამეთანხმება, რომ მასალა, რომელშიც ასახული იქნება: ფოთის ნავსადგურის, ჭიათურ მანგანუმის, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის, რუსთავის აზოტის, რუსთავისა და კასპის ცემენტის ქარხნების, საქართველოს რკინიგზისა და სხვა კორპორირებულ საწარმოთა მდგომარეობა, ჩვენთვის უცნობია. რა ვიცით ჩვენ, ამ ერთ დროს, ჩვენი ეკონომიკის უდავო ფლაგმანების შესახებ? არც არაფერი, ამ საწარმოებს თუ დავუმატებთ ელექტრონული კომუნიკაციების, ენერგო გენერაციის, სამოქალაქო და საგზაო მშენებლობის სხვა საწარმოებს, დავინახავთ, რომ თურმე **ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის რეალური სექტორი არც თუ მარტივ და იოლად ხელწამოსაკრავ განზომილებას წარმოადგენს.** მაშ, რატომ ვამახვილებთ ყურადღებას წვრილ მწარმოებლებზე და ჩვენი მეურნეობის უმნიშვნელოვანესი ობიექტები საზოგადოების ინტერესის მიღმა გვრჩება? ეს, ჩემი აზრით, იმის გამო ხდება, რომ ქართული კორპორაციული კაპიტალი (ცალკეული გამონაკლისების გარდა), მიუხედავად მისი ისტორიული წარმოშობისა, საკუთრებითი ურთიერთობებისა და მენეჯმენტის თვალსაზრისით, სულაც არ არის ქართული, უცხოური საწარმოებია. ხოლო ჩვენს ქვეყანას მათი კონტროლის არც მექანიზმები გააჩნია და არც ეკონომიკის ინსტიტუციონალური სისტემა, რომელიც მათ ერთიან ქართულ სამეურნეო სივრცის წიაღში შეინარჩუნებდა.

გასული საუკუნის 50-იან წლებში მოვლენას, როდესაც მსხვილი სამრეწველო ობიექტები ამ ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარების პროცესში უშუალოდ არ მონაწილეობს, ე. ი. არ არის ეკონომიკური პოლიტიკის უშუალო სუბიექტები და ხელისუფლება მათზე ზეგავლენას არ ან ვერ ანხორციელებს, „ნეოკოლონიალური" ტიპის საწარმოები უწოდეს. ტერმინი „ნეოკოლონიალიზმი" სსრკ-ის კომუნისტების მოგონილი კი არა, ლათინურ-ამერიკული წარმოშობისაა და ნიშნავს სუვერენული სახელმწიფოს სხვა, უფრო ძლიერის მიერ ეკონომიკურ დაქვემდებარებას.

ამგვარი ეკონომიკური პროცესების რეგულირების მიზნით, XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან, საერთაშორისო ორგანიზაციების ინიციატივით, ხორციელდებოდა საკუთრებრივად და მენეჯმენტით „გაუცხოებული" საწარმოების ეროვნულ-ეკონომიკურ სისტემაში ჩართვის მექანიზმების შემუშავება. ამ მიზნით, გაერომ 70-იან წლებში ცალკეულ საერთაშორისო საწარმო ერთეულებს „ტრანსეროვნული" ან „მულტიეროვნული" (ქართულად, ზეეროვნული) კორპორაციების სახელი მიანიჭა და შექმნა მათი საქმიანობის კონტროლის სპეციალური კომისია. **საქართველოში შემოსულ იმ კაპიტალს, რომელიც ექსპლუატაციას უწევს „ჭიათურმანგანუმს", „მადნეულს" და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას, არაფერი აქვს საერთო ტრანსეროვნულ კორპორაციებთან.** როგორც ჩვენთვის ცნობილია, ამ საწარმოებს ფლობენ „ობშორებში" მიმალული სათაო ოფისების პატრონები. ჩვენს ქვეყანაში მათ შეძლეს მუშაობის განსაკუთრებული პირობების მოპოვება — რესურსების ექსპლოატაციის საუკეთესო შესაძლებლობებს მიაღწიეს. საერთაშორისო სამეურნეო ნორმებით, ასეთი ტიპის კომპანიები კვაზიკორპორაციებია, რადგანაც იგივე დამოკიდებულებაშია თავიანთ მაკონტროლებელ კაპიტალთან, როგორც ეს უკანასკნელი — დამფუძნებლებთან (ასე განმარტავს კვაზიკორპორაციას გაეროს ეგიდით მოქმედი „თეთრი წიგნი", ეროვნულ ანგარიშთა სისტემა).

**ქართული კორპორაციული კაპიტალი, მეურნეობრიობის რომელი მიმართულებითაც გინდა ფუნქციონირებდეს: მომპოვებელი მრეწველობა** (ჭიათურა, მადნეული)**, გადამმუშავებელი მრეწველობა** (ცემენტის ქარხნები, ზესტაფონი, რუსთავის აზოტი)**, სატრანსპორტო საწარმოები** (ფოთის ნავსადგური, საქართველოს რკინიგზა)**, ელექტროგენერაციის საწარმოები** (თბილსრესი, ენგურჰესი) **და სხვები არ არის საქართველოს ეკონომიკური სისტემის ორგანული ელემენტები.** არ ან ვერ ქმნის სამეურნეო კლასტერებს, არ განაპირობებს საქართველოს ეკონომიკური ზრდის უშუალო ამოცანებს. მათი საქმიანობა არ გამომდინარეობს საქართველოს მაკროეკონომიკური პრობლემატიკიდან.

ამას თავისი მიზეზები აქვს: პირველი, ეს არის ჩვენთან ეკონომიკურ პოლიტიკური ძალისხმევის არასაკმარისობა, რომელიც ამ საკითხით ხელისუფლების ინდიფერენტულობაში გამოიხატება, რის გამოც „დავკარგეთ" საკითხის მცოდნე ხალხი, ვინც შეძლებდა შეემუშავებია ისეთი სამეურნეო მექანიზმები, რომლებიც ამ კომპანიებს ჩვენი მეურნეობის ეკონომიკური პროცესების წარმმართველ ძალად აქცევდა. მეორე მიზეზი: რომ საკუთრებრივად ასეთი ტიპის (კვაზიკორპორაციები) საწარმოები, მათი საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე, არ გრძნობენ არავითარ პასუხისმგებლობას იმ საზოგადოების წინაშე, რომლის წიაღშიც ფუნქციონირებენ.

**იმისათვის, რომ მკაფიოდ წარმოვიდგინოთ, რაზე ვსაუბრობთ, ერთმანეთს შევადაროთ ჩვენთან მოქმედი ორი კორპორაცია, რომელთა შორისაც ერთი ტრანსეროვნული კორპორაციის ნაწილია, მაგალითად, კომპანია „ჯეოსელი", ხოლო მეორე, მაგალითად „ჭიათურმანგანუმი", კვაზიკორპორაციას წარმოადგენს.** რა ვიცით ამ საწარმოების შესახებ? ვიცით, რომ „ჯეოსელი", მიუხედავად იმისა, რომ თურქული კაპიტალის ბაზაზე მუშაობს, უდიდეს პასუხისმგებლობას გრძნობს საქართველოს საზოგადოების წინაშე. იგი ახორციელებს საქველმოქმედო პროგრამებს, ზრუნავს ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობაზე, ადგილობრივი კადრების აღზრდაზე, პატივს სცემს ჩვენი სახელმწიფოს კანონმდებლობას და ა. შ. ასევე ვიცით, რომ „ჭიათურმარგანეცი", თავისი მართვის უკრაინული სისტემით, საერთოდ არ არის ჩართული საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მეტიც, იგი არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობს ბუნებრივი რესურსების ექსპლოატაციისა და გარემოს დაბინძურების გამო იმ საზოგადოების წინაშე, რომლის წიაღშიც მოქმედებს. ანალოგიური მდგომარეობაა „მადნეულის" კომბინატშიც.

დაბოლოს, **საქართველოს ეკონომიკის რეალური სექტორი, არსებული სამეურნეო პირობებით, თავს ვერ დააღწევს კრიზისულ სიტუაციას, მას ამის შინაგანი რესურსი არ გააჩნია. ერთადერთი გამოსავალია მისი სერიოზული და საფუძვლიანი ტრანსფორმაცია, რაც ისევე, როგორც სხვა ეკონომიკური პრობლემები, უკავშირდება ეკონომიკის გაძლოლის სახელმწიფოებრივ ძალისხმევას, ეკონომიკურ პოლიტიკას.** სწორი, მოქნილი და მრავალმხრივ ინტერესთა შეთანხმების ბაზაზე წარმართული ეკონომიკური პოლიტიკა ჩვენი განვითარების გარანტია. განვითარება კი მსგავსებას გულისხმობს. თუ ისე იზრდები, რომ გავხარ საკუთარ თავს, ეს ნიშნავს, რომ ვითარდები. სხვაგვარი ზრდა შეიძლება დამღუპველიც კი აღმოჩნდეს.

**დავით იაკობიძე,**
**პროფესორი**

# რა უთხრა მარშალმა იაზოვმა ჯუმბერ პატიაშვილს დავით გარეჯის შესახებ

**10 მაისს „გერმანულ სახლში" ინტერრელიგიური ჯგუფის სხდომაზე საპატრიარქოს წარმომადგენლის გამოსვლას გაღიზიანება მოჰყვა — სომხური ეკლესიის სავალალო მდგომარეობა ტერტერა ნარეკ კუშიანმა გააპროტესტა, ხოლო აზიზის მეჩეთთან დაკავშირებით მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენელმა, შეიხმა ვაგიკ აკბეროვმა პროტესტის ნიშნად დატოვა დარბაზი.**



13 მაისის ღამეს კოკისპირული წვიმის შედეგად სწორედ ის სომხური ეკლესია ჩამოინგრა, რომელზეც ყურადღების გამახვილებას ამაოდ ცდილობდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს წარმომადგენელი. რაც შეეხება აკბეროვს, მისი გაღიზიანება იმან გამოიწვია, რომ აზიზის მეჩეთის აღდგენა ბათუმში ისრაელში ჰოლოკოსტის მომწყობთა ძეგლის დადგმას შეადარეს. აკბეროვმა განაცხადა, რომ ისეთ შეხვედრაზე, რომელზეც ისლამს ჰოლოკოსტს ადარებენ, არაფერი ესაქმება.

როგორც კი ცნობილი გახდა, რომ 6 მაისიდან აზერბაიჯანელი მესაზღვრეები დავით გარეჯის ტერიტორიაზე ტურისტებსა და მომლოცველებს არ უშვებენ, ნინო კალანდაძემ და ნიკა რურუამ სრულიად უპასუხისმგებლო განცხადებები გააკეთეს, ამტკიცებდნენ, რომ ეს ტერიტორია აზერბაიჯანს ეკუთვნის. მოგვიანებით რურუამ ისიც თქვა, რომ გარეჯის „დასაბრუნებლად" დიდი დიპლომატიური შრომა იქნება საჭირო. როგორც „ნაცმოძრაობას" სჩვევია, ის, რაც ისედაც ჩვენია, არჩევნების წინ „დაბრუნებულად უნდა მოგვაჩვენონ. ასე იყო აჭარის შემთხვევაშიც, როდესაც იგი იმისთვის „დაიბრუნეს", რომ თურქებისთვის მიეცათ. თავისთავად ცხადია, რომ ამ ისტორიას კუშიანისა და აკბეროვის აღშფოთება არ გამოუწვევია — ისინი მხოლოდ საკუთარ ინტერესებს იცავენ და არა საქართველოსას. თავად საქართველოს ხელისუფლება არ დარდობს ქართულ მიწა-წყალზე და კუშიანი ან აკბეროვი რატომ დაითხრიან თვალებს?!

**დავით გარეჯის მონასტრის საკითხი იყო ის მთავარი თემა, რომლითაც გასული საუკუნის 80-იან წლებში ასპარეზზე სტუდენტური მოძრაობა გამოჩნდა. მაშინდელი ხმაურიანი აქციების მონაწილეები დღეს მაინცდამაინც არ აქტიურობენ.**

**ფიქრია ჩიხრაძემ** მოკრძალებული პრესკონფერენცია გამართა და იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს ხელისუფლებას გარეჯის დასაბრუნებლად საომარი მოქმედებები არ დასჭირდება (?!).

სტუდენტური მოძრაობის კიდევ ერთი წევრი, სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილე **თედო ისაკაძე** კი აღშფოთებას არ მალავს: **„ვფიქრობ, პრობლემა მარტო დავით გარეჯთან დაკავშირებით არ გვაქვს, პრობლემა ეროვნული პოლიტიკური ნების არქონაა. გარეჯის საკითხი მოგვარებადია და ასეთი ნების არსებობის შემთხვევაში გადაწყდება კიდეც. ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეცდომად მიმაჩნია აზერბაიჯანის საელჩოსთან აქცია, ჩვენ ჩვენს მთავრობას უნდა შევუძახოთ. ეს, რაც შეეხება კონკრეტულ თემას. ზოგადად კი, არა მგონია, ჩემი პოლიტიკური, ან სამოქალაქო აქტივობა გაიხსენოთ „ვარდების რევოლუციის" შემდეგ, მაგრამ, წესით, ის მაინც უნდა გაგახსენდეთ, რომ, მგონი, ბოლოს მარტო მე ვყვიროდი — ეს „რევოლუცია" საბედისწერო შეცდომა შეიძლება აღმოჩნდეს-მეთქი! მაშინ ხალხმა ჩამქოლა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. არადა, რომ შეამოწმოთ ჩემი სიტყვები, თითქმის ყველაფერი, რაც მერე მოხდა, ფაქტობრივად, წინასწარმეტყველება აღმოჩნდა, განა იმიტომ, რომ ვანგა ვარ, უბრალოდ, მეტი ინფორმაცია მქონდა მომავალი ხელისუფლების „საერთაშორისო ვალდებულებებზე".**

ამერიკაში გადახვეწილი **ირაკლი კაკაბაძე** ჩვენთან საუბარში აცხადებს: **„დავით გარეჯის მონასტერი ქართული ისტორიის და აწმყოს ორგანული ნაწილია და ის ჩვენი თაობისთვის ცხოვრების ნაწილს წარმოადგენს, ამიტომაც ხელისუფლებას არ უნდა მიეცეს საშუალება, რომ გაასხვისოს ასეთი ადგილები. საერთოდ, ახლანდელი ხელისუფლების პოლიტიკა არის სრულიად ნეობოლშევიკურ-ნეოლიბერალური — მთელი ქვეყანა თვითონ მიითვისეს, ისტორიულ ნაგებობებს პრივატიზაციას უკეთებენ და ასხვისებენ. პირველ რიგში, ხელისუფლება არის პასუხისმგებელი ამ საკითხზე".**

საქართველოს მაშინდელი მმართველი **ჯუმბერ პატიაშვილი** იხსენებს: **„სსრკ-ის თავდაცვის მინისტრ დიმიტრი იაზოვს აეროპორტში დავხვდით. თან 15 გენერალი ჩამოჰყვა. 1 თუ 2 ოქტომბერი იყო. ერთი ოპერატორი და ჟურნალისტი გვყავდა, ჩამოვიდა თუ არა, ეგრევე პოლიგონზე წავედით. რომ დაინახა კამერა, თქვა, არანაირი ტელევიზია და ჟურნალისტები არ მინდაო. დავსხედით და დავიწყეთ მსჯელობა. მე ჩემი პასუხი მზად მქონდა. წავიდეთ, დავათვალიეროთო. წავედით ბერთუბნისკენ. გზა იყო საკმაოდ ძნელი, მოუცურდა ფეხი და ჩავარდა ხევში. დაცვამ ამოათრია. დავათვალიერეთ, ვნახეთ. არაფერი უთქვამს. ამ დროს გამიყვანა და მითხრა: — ჯუმბერ, გაუქმება თითქოს ყველაზე იოლია, მაგრამ არა ასეო. ამის გაკეთებაც შეიძლება, მაგრამ მერე შეიძლება თქვენ შემოსვლა გაგიჭირდეთო. გულისხმობდა, რომ აზერბაიჯანელების განსახლება მოხდებოდა.**

**ეს ხალხი ან საქართველოს ისტორიას ძალიან კარგად ვერ იცნობს, ან იცნობს, მაგრამ შეგნებულად აკეთებენ ამას.**

**მე, როგორც ქართველს, მიმაჩნია, რომ ყველა იმ ადამიანმა, რომელთაც ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთი აზრი ჩამოაყალიბეს, რომ ჩვენ დღეს არ უნდა გვქონდეს პრეტენზია აზერბაიჯანთან გარეჯზე, არ მინდა, ახლა ამას შეფასება მივცე, მაგრამ კატეგორიულად მიუღებელია.**

საქართველო ისედაც მძიმე მდგომარეობაშია, რაც დავკარგეთ, იმაზე ვინმემ აგო პასუხი?! მეც მეხება ეს საკითხი. თქვენ არ იფიქროთ, რომ მე ვილაცას ვასახელებ. აფხაზეთიც დავკარგეთ. ახსოვს ვინმეს ეს, საუბრობს ვინმე ამაზე?"

80-იან წლებში არ იყო მოდური საუბარი იმაზე, რომ ქართველი კომუნისტები ჩუმად და უხმაუროდ ახერხებდნენ ეროვნული ინტერესების დაცვას. იმავე გარეჯთან დაკავშირებით ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში მაშინდელმა რაიკომის მდივანმა — მედეა მეზვრიშვილმა ერთიანი თავგანწირვის ფასად მოახერხა ქართული მიწების დაცვა. „შევარდნაძის სახედ" შერაცხული ქალი დღევანდელი „ნაციონალური" ხელისუფლების წარმომადგენლებზე ბევრად უფრო პატრიოტიც იყო და თავდადებულიც. დღევანდელ მმართველებს კი არც ქართული მიწა ადარდებთ და არც ქართული სიწმინდეები.

**თამარ დავითულიანი**

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სტალინმა სამუდამოდ აღკვეთა უმუშევრობა. საქართველოს ისტორიაში პირველმა და უკანასკნელმა დააკანონა 7-საათიანი სამუშაო დღე და 5-დღიანი სამუშაო კვირა. იმ დროში კაპიტალისტური სამყაროს უმეტეს ქვეყნებში 12-საათიანი სამუშაო დღე დომინირებდა.“**



სტალინმა უმოკლეს დროში არნახულ სიმაღლეზე აიყვანა ქართული მეცნიერება, განათლება, კულტურა, ხელოვნება, სპორტი, კინო, თეატრი. სტალინმა 1941 წელს გაცხარებული ომის პირობებში დააარსა ქართული მეცნიერებათა აკადემია, თავისი ფრიად ეფექტური საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტებით.

# ერთადერთი სიმართლე



## გივი ბერძენიშვილი: დღევანდელი დემოკრატებისგან განსხვავებით, სტალინმა 5,5-მილიონიანი აყვავებული საქართველო დატოვა!

**„Свидетельствую: начало войны проспали Жуков и Тимощенко“, — ასე ჰქვია წიგნს, რომელიც სულ ახლახან გამოუშვა გამომცემლობა „ლეგამ“. მისი ავტორია გივი ბერძენიშვილი — მწერალი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ენერგეტიკის აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი. მან დაწერა რამდენიმე წიგნი იოსებ სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ასევე, ორი პიესა: „მის ადგილს სტალინი დაიკავებს“ და „დამარცხება შეუძლებელია“. დღეს ბატონი გივი ჩვენი რედაქციის სტუმარია.**

**— ბატონო გივი, „ნაციონალების“ მმართველობისას, ანტისტალინურმა პროპაგანდამ არნახულ „სიმაღლეებს“ მიაღწია. თქვენი აზრით, რაშია საქმე?**

— რამდენიმე წელია, ყურადღებით ვადევნებ თვალს ანტისტალინელების ქმედებებს. **ერთხელ ტელევიზორში მოვუსმინე ჩემთვის უცნობი, ეგრეთ წოდებული მწერლის, ვინმე ტურაშვილის ლაქლაქს, რომ თურმე სტალინი სისხლისმსმელი ტირანია, რომელმაც მილიონობით უდანაშაულო ადამიანი დახოცაო და ა. შ. ვუყურე, აგრეთვე, სტალინის მიმართ მსგავსი ბინძური ჭორებითა და უსაზიზღრესი ცილისწამებებით გაჯერებულ გადაცემას, რომელიც მოაწყო სამთავრობო ტელევიზიის უნიჭო და უვიცმა ფსევდოჟურნალისტმა, გვარად სანაიამ.**

სამწუხარო და სავალალოა ის, რომ ტურაშვილები და სანაიები მარტონი არ არიან. ბევრი მათნაირი უწიგნური, უვიცი და ბრიყვი ანტისტალინისტი ქართველისაგან მსგავსი ცილისწამებები მოგვისმენია.

**— თქვენი აზრით, როგორ უნდა მოქმედებდეს მკვლევარი, რომელიც ცდილობს, გაერკვეს ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენაში?**

— თუ მწერალი ხარ და თანაც ისტორიკოსი, შეეცადე, სიმართლის მარცვალი იპოვო; ჩაუღრმავდი საკითხის არსს, გაეცანი მრავალ ენაზე (მათ შორის, ქართულზეც) უკვე მრავლად გამოცემულ ფაქტებზე დაყრდნობილ მასალებს, ისე, როგორც ამას აკეთებს რუსი, სომეხი, ინგლისელი და სხვა ერის ისტორიკოსი, მწერალი, მეცნიერი!

**— მაგალითად?**

— აღნიშნულის სანიმუშო მაგალითია ორი წლის წინ რუსულ ენაზე თარგმნილი ისტორიული ნარკვევი „37 წლის გამოცანა. ანტისტალინური სისაძაგლე“ (რომელიც თქვენმა გაზეთმაც დაბეჭდა). ნაშრომის ავტორმა, ამერიკელმა ისტორიკოსმა და მწერალმა გროვერ ფერმა მრავალი წლის უდიდესი შრომის ფასად მოიპოვა სიმართლის ამსახველი ისტორიული მასალები და გამოსცა ეს 450-გვერდიანი წიგნი, რომელშიც დაწვრილებითაა განხილული ხრუშჩოვის მოხსენება საკავშირო კომპარტიის XX ყრილობაზე.

ფერი, პუნქტუალურად განიხილავს რა გარეწარ „ხრუშჩას“ მიერ სტალინისადმი წაყენებულ „ბრალდებებს“, იუველირული სიზუსტით აბათილებს მათ და ქვას ქვაზე არ ტოვებს, ანადგურებს იმ ბინძური ჭორების „კიდობანს“, საიდანაც ნიაღვარივით მოედინება „ანტისტალინური სისაძაგლე“!

**— რას იტყვით „სტალინის რეპრესიებზე“?**

**— „სტალინურ რეპრესიებს“, ციხის დამსმენისა და ცერეუს აგენტის — სოლჟენიცინის, რუსი ებრაელი დისიდენტის — კარიაკინის, „ქართველი მწერლის“ — ტურაშვილის, უნიჭო ფსევდო-ჟურნალისტის — სანაიას და სხვათა და სხვათა „მტკიცებით“, თურმე 40-70-110 მლნ უდანაშაულო ადამიანი შეეწირა.**

**ათასჯერ დაგვიწერია და მილიონჯერ გვითქვამს, რომ ეს უსაზიზღრესი ცილისწამება და ჭორია, გავრცელებული ნაძირალა „ხრუშჩას“ და მისი ანტისტალინისტი თანამოაზრეების მიერ.**

სიმართლეს კი ამ საკითხზე ასახავს საკავშირო პრესაში მრავალგზის გამოქვეყნებული, ხრუშჩოვის სახელზე 1954 წლის 1 თებერვალს დაწერილი მოხსენებითი ბარათი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორი რუდენკო, შინაგან საქმეთა მინისტრი კრუგლოვი, იუსტიციის მინისტრი გორშინინი. **ამ ფრიად კომპეტენტურ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ საბჭოთა კავშირში 1921 წლიდან 1954 წლის 1 თებერვლამდე კონტრრევოლუციური დანაშაულისათვის გასამართლებული იყო 3 777 300 ადამიანი. აქედან დახვრეტა მიესაჯა 642 980-ს. მათგან, რა თქმა უნდა, ყველა არ დაუხვრეტიათ, ზოგს შეეცვალა სასჯელის ზომა.**

**საქმე ისაა, რომ 1927 წლამდე, სანამ ტროცკი არ ჩამოაშორა ქვეყნის მართვის სადავეებს, სტალინს რეალური ხელისუფლება არ გააჩნდა. 1917-დან 1927 წლამდე სტალინს ხელი არ მიუწვდებოდა ძალოვან სტრუქტურებზე. ხალხს ხვრეტდნენ ლენინის, ტროცკის, ზინოვიევის, კამენევის, რიკოვის, ბუხარინისა და ტუხაჩევსკის ბრძანებით.**

სავარაუდოდ, იმ 640 ათას სიკვდილმისჯილიდან დაახლოებით 300 ათასი დაიხვრიტა 1927 წლამდე. სწორედ ეს დარჩენილი 300 ათასი კაცი, ოცი წლის განმავლობაში დათარეშობდა მთელ საბჭოთა ტერიტორიაზე, ცილს სწამებდა პატიოსან ადამიანებს და სპობდა მათ, აწყობდა ტერორს, საბოტაჟს, ანადგურებდა მოსავალს, აფეთქებდა ელექტროსადგურებს, ქარხნებს, ფაბრიკებს და ა. შ.

**სწორედ ეს მავნებელთა ბანდა, დაახლოებით 300 ათასი კაცი, გაანადგურა 37-ში რევოლუციური რუსეთის კანონმდებლობამ და არა სტალინმა. 300 ათასი, და არა 40-70-110 მლნ, როგორც ამას „ამტკიცებენ“ ქართველი ანტისტალინისტები. რაც შეეხება სტალინს, პირადად მის სინდისზე არაა არც ერთი წვეთი სისხლი პატიოსანი ადამიანისა!**

„ლენინის მთავრობაში ყველაზე ლოიალური სტალინი იყო. იგი ყოველთვის ბრალდებულის მხარეზე იყო და უმეტეს შემთხვევაში სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გამოდიოდა“ (ბენედიქტოვი, სტალინის მთავრობის სახალხო კომისარი).

**ცნობილია, სტალინის მიერ ძერჟინსკის მიმართ მიცემული რჩევა, როცა უკანასკნელს ვეჩეკას თავმჯდომარედ ნიშნავდნენ: „სჯობს 100 დამნაშავე გაამართლო, ვიდრე ერთი უდანაშაულო დასაჯოო“ !**

ისიც ცნობილია, რომ **სტალინი წინააღმდეგი იყო, მისი ბოროტი მტრების — ბუხარინისა და რიკოვის დახვრეტისა, რომლებმაც მას მრავალჯერ მოუწყვეს შეთქმულება მისი ფიზიკურად განადგურების მიზნით. მან აპელაცია შეიტანა ცკ-ს სპეცკომისიაში, შეეწყალებიათ ისინი და ქვეყნიდან გაეძევებიათ, თუმცა კომისიამ, გაითვალისწინა რა ბუხარინისა და რიკოვის მიერ ქვეყნის მიმართ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, შეტანილი აპელაცია არ დააკმაყოფილა.**

**— ბატონო გივი, ხშირად გაიგონებ, რომ სტალინს საქართველოსთვის არაფერი გაუკეთებიაო.**

— უგუნური ქართველი ანტისტალინისტები ერთ ხმაში ბღავიან: „სტალინს საქართველოსთვის ცუდის მეტი არაფერი გაუკეთებიაო“. მაგ უწიგნურებს ვურჩევ: კარგად წაიკითხეთ თქვენივე ქვეყნის ისტორია და დარწმუნდებით, რომ, თუ არა სტალინი, საქართველო უკვე დიდი ხნის წინათ აღარ იქნებოდა მსოფლიო რუკაზე.

**1922 წელს სტალინმა ფეოდალური რუსეთის ნანგრევებზე შექმნა დიადი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომლის სხვა, 15 სოციალისტურ რესპუბლიკასთან ერთად, მისი სრულუფლებიანი წევრი საქართველოც გახდა (სხვათა შორის, ევროპული თანამეგობრობა, რომლის მემკვიდრეა ევროკავშირი, საბჭოთა კავშირის მაგალითზე შეიქმნა 1957 წელს).**

**მაშინდელი საქართველო ერთ მილიონამდე მოსახლესაც ვერ ითვლიდა და იყო ჩამორჩენილი კუსტარულ-აგრარული, ღატაკი, გაუბედურებული ქვეყანა (იხ. ჟან ფრანსუა გამბას „მოგზაურობა კავკასიაში“).**

სტალინმა ისტორიულად უმოკლეს დროში **(საგულისხმოა, რომ სტალინს მშვიდობიანი აღმშენებლობისათვის სულ რაღაც 7 წელი ჰქონდა — 1946-1952 წ.წ.)** საქართველო გახადა მაღალგანვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანა, რომლის მოსახლეობა ერთ სულზე წარმოებული და მოხმარებული საერთო ეროვნული პროდუქტის მიხედვით მსოფლიო განვითარებული ქვეყნების ხუთეულში მოხვდა უკვე 50-იანი წლების დასაწყისში, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გადანაწილებული ეროვნული სიმდიდრის მიხედვით, კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა.

დღევანდელი დემოკრატებისგან განსხვავებით, სტალინმა დატოვა 5,5-მილიონიანი აყვავებული საქართველო!

საქვეყნოდ ცნობილია, რომ სტალინის ერთადერთი საზრუნავი იყო მშრომელი ადამიანის კეთილდღეობის მაქსიმალური უზრუნველყოფა.

აი, რას წერს სტალინი თავის უკანასკნელ გენიალურ ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები საბჭოთა კავშირში“: **„აუცილებელია, მივაღწიოთ ისეთ კულტურულ ზრდას, რომელიც საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფს მისი ფიზიკური და გონებრივი უნარის ყოველმხრივ განვითარებას, რათა საზოგადოების ყველა წევრს ჰქონდეს შესაძლებლობა, მიიღოს განათლება, რომელიც საკმარისი იქნება, გახდეს საზოგადოებრივი განვითარების აქტიური მოღვაწე, რათა შესაძლებლობა ჰქონდეს, თავისუფლად აირჩიოს პროფესია და მთელი ცხოვრების მანძილზე, არსებული შრომის განაწილების გამო, ერთ რომელიმე პროფესიას არ იყოს მიჯაჭვული.**

**რეფორმები გარდაუვალია, მაგრამ თავის დროზე. და ეს უნდა იყოს ორგანული რეფორმები, რომლებიც დაფუძნებული იქნება ტრადიციებზე, მართლმადიდებლური თვითშეგნების თანდათანობითი აღდგენით. ძალიან მალე ტერიტორიებისთვის ომებს შეცვლის ცივი ომები რესურსებისა და ენერგიისთვის. მზად უნდა ვიყოთ ამისთვის. ენერგიის ახალ სახეობათა დაუფლება ჩვენი მეცნიერებისთვის პრიორიტეტული უნდა გახდეს. მათი წარმატება მომავალში ჩვენი დამოუკიდებლობის საწინდარია“.**

ალბათ, დამეთანხმებით, რომ ზემოთ მოყვანილი ამონაწერი სტალინის ნაშრომიდან, რომელიც მან 1952 წლის შემოდგომაზე, სიკვდილამდე ნახევარი წლით ადრე, ლიკანში დაწერა, სამოქმედო პროგრამა უნდა გახდეს ყველა გონიერი სახელმწიფო მოღვაწისთვის.

**სტალინმა ქვეყანას მისცა კაცობრიობის ის-** ▶



**სტალინმა ხალხს მისცა უფასო სწავლა-განათლება, უფასო მკურნალობა, უფასო ბინა, უფასო დასვენება და მკურნალობა კომფორტულ სანატორიუმებში, სიმბოლური ფასები წამალზე, პურსა და საერთოდ საკვებ პროდუქტებზე, ფართო მოხმარების საქონელზე, ყოველდღიური მოხმარების საგნებზე, კომუნალურ მომსახურებაზე**

სტალინს არაფერი გაუჩუქებია, პირიქით, 1931 წელს მან აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შემოუერთა საქართველოს, ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით. სტალინმა ომის დამთავრებისთანავე ქლუხორის მხარე შემოუერთა საქართველოს, ასობით სოფლით, დაბით და ათასობით კვ. კილომეტრი ტერიტორიით.

ექსკლუზივი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სტალინის შესახებ

**სანამ ტროცკი არ ჩამოაშორა ქვეყნის მართვის სადავეებს, სტალინს რეალური ხელისუფლება არ გააჩნდა. 1917-დან 1927 წლამდე სტალინს ხელი არ მიუწვდებოდა ძალოვან სტრუქტურებზე. ხალხს ხვრეტდნენ ლენინის, ტროცკის, ზინოვიევის, კამენევის, რიკოვის, ბუხარინისა და ტუხაჩევსკის ბრძანებით**



**სტალინმა გადაარჩინა მართლმადიდებელი ეკლესია, ქართულ ეკლესიას აღუდგინა ავტოკეფალია. სტალინმა გადაარჩინა და საქართველოს დაუბრუნა მენშევიკური მთავრობის მიერ საფრანგეთში გატაცებული ქვეყნის ხაზინის ფასდაუდებელი ოქროს ფონდი.**



◀ ტორიაში ყველაზე უფრო დემოკრატიული და ადამიანის კეთილდღეობაზე მორგებული კონსტიტუცია უნიკალური, დაქირავებულის უფლებების დამცველი შრომის კოდექსით და, ასევე ჰუმანური, უდანაშაულო ადამიანის დამცველი სისხლის სამართლის კოდექსით.

**სტალინმა სამუდამოდ აღკვეთა უმუშევრობა. საქართველოს ისტორიაში პირველმა და უკანასკნელმა დააკანონა 7-საათიანი სამუშაო დღე და 5-დღიანი სამუშაო კვირა. იმ დროში კაპიტალისტური სამყაროს უმეტეს ქვეყნებში 12-საათიანი სამუშაო დღე დომინირებდა.**

სტალინმა ხალხს მისცა უფასო სწავლა-განათლება, უფასო მკურნალობა, უფასო ბინა, უფასო დასვენება და მკურნალობა კომფორტულ სანატორიუმებში, სიმბოლური ფასები წამალზე, პურსა და საერთოდ საკვებ პროდუქტებზე, ფართო მოხმარების საქონელზე, ყოველდღიურ მოხმარების საგნებზე, კომუნალურ მომსახურებაზე!!!

**სტალინმა უმოკლეს დროში არნახულ სიმაღლეზე აიყვანა ქართული მეცნიერება, განათლება, კულტურა, ხელოვნება, სპორტი, კინო, თეატრი.**

**სტალინმა 1941 წელს გაცხარებული ომის პირობებში დააარსა ქართული მეცნიერებათა აკადემია, თავისი ფრიად ეფექტური საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტებით.**

სტალინურმა ეპოქამ შობა და აღზარდა კოჰორტა უდიდესი, მსოფლიო დონის მეცნიერებისა, რომელთაგან 34 გახდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ხოლო 50 იმავე აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ეს იყო მეცნიერების ნამდვილი ტრიუმფი, რომლის მსგავსისთვის არ მიუღწევიათ არამც თუ საქართველოს მსგავს მცირერიცხოვან, არამედ მსოფლიოს ბევრ მრავალრიცხოვან ერებს.

სტალინურმა ეპოქამ აღზარდა მრავალრიცხოვანი არმია მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური კადრებისა, რომლებიც არამც თუ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც ხელმძღვანელობდნენ ურთულეს მშენებლობებს.

**ისინი მოღვაწეობდნენ დედამიწის თითქმის ყველა კონტინენტზე. ამ მხრივ, მრავალთაგან, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქართველი ინჟინრების მიერ აღმართული უნიკალური ჰიდრო-ტექნიკური ნაგებობა — ასუანის კაშხალი ეგვიპტეში და უნივერსალური, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბჰილაის მეტალურგიული კომბინატი ინდოეთში.**

სტალინმა აგვიშენა ქალაქი რუსთავი თავისი უნიკალური მეტალურგიული კომბინატით. ქუთაისში აგვიშენა საავტომობილო ქარხანა და გადააქცია იგი ინდუსტრიის მშვენიერ ქალაქად.

სტალინურმა ხუთწლედებმა საქართველოს აუშენა მძლავრი ჰიდროელექტროსადგურები: ზაჰესი, რიონჰესი, ხრამჰესი I, ხრამჰესი II, აწჰესი, ლაჯანურჰესი, სოხუმიჰესი, ჩითახევჰესი და ბევრი უფრო მცირე სიმძლავრის ჰესი.

სტალინმა საფუძველი ჩაუყარა მსოფლიოში ერთ-ერთ უმძლავრეს ენგურჰესის მშენებლობას, თავისივე უნიკალური 271 მეტრი სიმაღლის თაღოვანი კაშხლით. საგულისხმოა, რომ ენგურჰესის მიერ გამომუშავებული კილოვატი ენერგიის საპროექტო თვითღირებულებამ 0,01 კაპიკი შეადგინა; რამაც საქენერგოს ხელმძღვანელობას საფუძველი მისცა, 1988 წელს წინადადებით შესულიყო მთავრობაში, მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის უფასოდ გაცემაზე!

**ენგურჰესის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ საქენერგოს მიერ გამომუშავებულმა ელექტროენერგიამ 16 მილიარდ კილოვატს მიაღწია. ტარიფი 2-4 კაპიკი გახდა. 1987 წელს საქართველომ მოიხმარა 20 მილიარდი კილოვატი და ერთ სულ მოსახლეზე გამომუშავებული და მოხმარებული ელექტროენერგიის მიხედვით მსოფლიოში პირველ ადგილზე გავიდა!**

სტალინმა დააშრო კოლხეთის ჭაობი და იგი ჩაის კულტურისა და ციტრუსების წალკოტად აქცია.

მალარიის მძიმე სენისგან განკურნა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა.

სტალინმა ქართველ ქალს აჩუქა ჩაის საკრეფი მანქანა, რითაც იგი იხსნა მონური შრომისაგან.

სტალინმა მოგვცა თბილისის ზღვა. იორისა და ალაზნის სარწყავი სისტემები, რითაც გააათკეცა გვალვისაგან გადამწვარი სავარგულების მოსავლიანობა.

სტალინმა თბილისს აჩუქა უნიკალური მეტროპოლიტენი, მე-3 საბჭოთა კავშირში და 33-ე მსოფლიოში.

**— ბატონო გივი, ალბათ, უინტერესო არ იქნება მკითხველისათვის თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის ისტორია.**

— 1950 წლის დასაწყისში სტალინი თავისთან იწვევს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს — კანდიდ ჩარკვიანს და ეკითხება: „თბილისში არ გინდათ მეტროპოლიტენი?!“

ჩარკვიანი: „ბარე, რომ გვინდა, მაგრამ ნახევარმილიონიან ქალაქს ვინ დაგვიფინანსებს ასეთ ძვირადღირებულ ობიექტს?!“

„შენ დასვი საკითხი პოლიტბიუროზე, — ეუბნება სტალინი, — მეტროპოლიტენი არ არის მხოლოდ სატრანსპორტო საშუალება, იგი ომის შემთხვევაში თავდაცვის შეუცვლელი საშუალებაა“.

1951 წელს დაიწყო თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობა.

**— რატომ დაუშვა სტალინმა გამონაკლისი ნახევარმილიონიან თბილისში მეტროპოლიტენის აშენებასთან დაკავშირებით, მაშინ, როცა საბჭოთა კავშირში მილიონიანი ქალაქიც ბევრი იყო.**

— საქმე ისაა, რომ პენტაგონმა, ტრუმენის დავალებით, II მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ცივი ომის პირობებში, შეიმუშავა საბჭოეთის 20 ქალაქზე ატომური თავდასხმის სტრატეგიული გეგმა. მიზანში ამოღებული 20 ქალაქიდან ერთ-ერთი თბილისი იყო.

აი, თურმე რატომ დაუშვა სტალინმა ასეთი უპრეცენდენტო გამონაკლისი!!! სტალინი, საქართველოს გულანთებული და ქართვლის ბედზე დაფიქრებული პატრიოტი, არ დაუშვებდა, რომ ატომური თავდასხმის შემთხვევაში, მის მშობლიურ ქალაქს ხიროსიმასა და ნაგასაკის ბედი გაეზიარებია!

**სტალინმა მსოფლიოს დაუბრუნა შოთა რუსთაველი, საქართველოს — ილია და ვაჟა, აგრეთვე, დიდი ივანე ჯავახიშვილი. სტალინმა გადაარჩინა მართლმადიდებელი ეკლესია, ქართულ ეკლესიას აღუდგინა ავტოკეფალია. სტალინმა გადაარჩინა და საქართველოს დაუბრუნა მენშევიკური მთავრობის მიერ საფრანგეთში გატაცებული ქვეყნის ხაზინის ფასდაუდებელი ოქროს ფონდი.**

სტალინმა სოჭი გააჩუქაო, — ბუზღუნებენ ქართველი „მეცნიერები“. უბედურებმა ისიც არ იციან, რომ სოჭი არასდროს ყოფილა საქართველოსი და, თუ შენი არ არის, როგორ გააჩუქებ?! **ანტისტალინისტი ქართველი ისტორიკოსების სირცხვილია, რომ არ იციან ის, რომ მე-19 საუკუნის 60-იან წლებამდე ის ტერიტორია, რომელზეც ახლა სოჭია გაშენებული, უკაცრიელი იყო და ოსმალეთს ეკუთვნოდა.**

**რუსეთმა თურქეთს წაართვა ეს ტერიტორია და 1864 წელს იქ დააარსა სასაზღვრო პუნქტი სახელად პოსტ-დახოვსკი. იგი 1896 წელს გახდა ქალაქი, რომელსაც ეწოდა სოჭი. ერთ-ერთ სუფრასთან ერთმა პროფესორმა ეს საკითხი წამოჭრა, სტალინმა სოჭი რუსებს აჩუქაო! (?) როდის იყო სოჭი საქართველოს-მეთქი. რა ვიცი, ყველა ასე ამბობს და მეც ასე მეგონაო (???)... პროფესორი!!!**

სტალინს არაფერი გაუჩუქებია, პირიქით, 1931 წელს მან აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შემოუერთა საქართველოს, ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით. სტალინმა ომის დამთავრებისთანავე ქლუხორის მხარე შემოუერთა საქართველოს, ასობით სოფლით, დაბით და ათასობით კვ. კილომეტრი ტერიტორიით. და რომ ამერიკას 1945-ში ატომური ბომბი არ აეფეთქებინა, სტალინი მზად იყო, თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული ტერიტორიები დაებრუნებია. 1949 წელს, როცა საბჭოეთმა ატომი მოიპოვა, სტალინი ისევ დაუბრუნდა ამ საკითხს, მაგრამ მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა ჩაშალა ეს საქმე.

**— სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნასაც აბრალებენ სტალინს.**

— საქართველოს კპ ცეკას ერთ-ერთმა მდივანმა ამ თანამდებობაზე მუშაობისას პოლიტბიუროს წითელ არქივში მოიპოვა მასალა („გადაწერა მკაცრად იკრძალება“), საიდანაც ამოიკითხა შემდეგი: **1922 წელს პოლიტბიუროს სხდომაზე იხილებოდა ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის სტატუსის საკითხი. ლენინი, ტროცკი და პოლიტბიუროს სხვა წევრები მოითხოვდნენ ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანებას, რათა შეეკოწიწებიათ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. სტალინი ჩვეული სიმტკიცით წინ აღუდგა ამ იდეის განხორციელებას, დაარწმუნა ლენინი, რომ ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთი არის სამაჩაბლო, ძველთაძველი ქართული მიწა და მისი გაიგივება ოსეთთან დაუშვებელიაო. ლენინი იძულებული იყო, წასულიყო კომპრომისზე, სამხრეთ ოსეთი დატოვა საქართველოს შემადგენლობაში, ოღონდ ავტონომიური ოლქის სტატუსით.**

სტალინმა 1950 წელს შექმნა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, რაც იყო წინაპირობა ავტონომიების გაუქმებისა.

ასეთია სიმართლე სტალინზე — გულანთებულ პატრიოტზე, საოცარი მამაკაცური ხიბლით შემოსილ, სამართლიან, კეთილ, პატიოსან ადამიანზე. მას ანალოგი არ ჰყოლია მსოფლიოში თავისი რანგის სახელმწიფო მოღვაწეთა შორის.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვინც კარგად იცის საქართველოს მთელი ისტორია, ალბათ, დამეთანხმება, რომ სტალინის ეპოქა იყო ოქროს ხანა ჩვენს სამშობლოში.

**ერთ-ერთ გაზეთში საინტერესო ფრაზა ამოვიკითხე: „ყოფილი მილიციელი ფიქრობს, რომ თურმე ახლანდელი პოლიციელი უფრო გონიერი ყოფილა, ვიდრე წინანდელი მილიციელიო“. ალბათ, უდანაშაულო ბიჭების ქუჩაში დახვრეტა მას „გონიერება“ ჰგონია. შემდეგ: „დუბინკები იარსებებს მანამ, სანამ ადამიანი იქნებაო“ — ჩანს, ყოფილ მილიციელს არ სცოდნია, რომ ქუჩაში გამოსული წესრიგის დამცველი მილიციელის აღჭურვილობაში არ შედიოდა როგორც „ცხელი“ და „ცივი“ იარაღი, ასევე „დუბინკაც“.**

„დუბინკის“ აღმართვა საბჭოთა მოქალაქეზე, ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევად ითვლებოდა და სოციალისტური კანონით მკაცრად ისჯებოდა.

მილიციელის იარაღი იყო ფორმა!

**ქუჩაში გამოსული წესრიგის დამცველი მილიციელის აღჭურვილობაში არ შედიოდა როგორც «ცხელი» და «ცივი» იარაღი, ასევე «დუბინკაც». «დუბინკის» აღმართვა საბჭოთა მოქალაქეზე ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევად ითვლებოდა და სოციალისტური კანონით მკაცრად ისჯებოდა. მილიციელის იარაღი იყო ფორმა!**



ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს სახელს ამოფარებული „ნაციონალები“ კი ათას სისულელეს ბლანდავენ რუსეთზე, თან ნატოს ელაქუცებიან, ნახეთ, რა ერთგული ფინია გყევართო. ბიჭო, შენ, რომელ სიბინძურეშიც გინდა, იჭყუმპალავე! დაანებე საქართველოს თავი, რამეთუ რუსეთში ძალიან კარგად იციან, ვისი დუდუკის ჭყვიტინზე როკავ. ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობას ფაშისტური დორბლის პარაზიტების ყიყინი უფრო განამტკიცებს და სხივნათელს ხდის მათი ძმობის ჩირაღდანს.**

# როცა პრეზიდენტი ჯამბაზია...

**როცა ყველაზე მძიმე ჟამს ქართველთა ყოფნას არყოფნა გადაშენებით დაემუქრებოდა, როგორც ჩასაძირად განწირულს მაშველი რგოლივით მოგვაშველებდა ხოლმე უფალი მისგანვე სასიკეთოდ ნაკურთხ მამულიშვილებს. აგერ დავით აღმაშენებელი, პატარა კახი, ილია, ქართველთა ბედის ბორბალი აღმა რომ აბრუნეს და მათი საქმენი შთამომავლობას საამაყოდ რომ შემორჩა. რომელი ერი არ იამაყებდა დიმიტრი თავდადებულის, ცოტნე დადიანის, მღვდელი თევდორეს მსგავსი შვილებით. ღალატს და გადაგვარებულ უძღებთა სამსალასაც ბევრჯერ შეუფერხებია ქართული გენის მძლავრი მაჯისცემა, მაგრამ ყველამ უსმინოს, როგორ დუდუნებს ქართველთა უკვდავებას მისი მრავალჭირგამოვლილი ისტორია.**



**ერთ კაცს თავი ხორბალი ეგონა და მამლის ეშინოდა, ამკენკავსო. კარგა ხანს უმკურნალეს და, გამოჯანმრთელებული რომ ეგონათ, ჰკითხეს, ახლა ხომ გჯერა, რომ ხორბალი არა ხარ და მამლისა ნუღა გეშინიაო. მე მჯერა, რომ ხორბალი არ ვარ, მაგრამ ეს მამალმა თუ იცისო**

ახლა რა მოხდა? ნუთუ უფალი გაგვიწყრა და შეგვატოვა ფაშისტური დორბლიდან შხამიანი სოკოებივით მომრავლებულ, ღალატის ნოტზე აწყობილ ადამიანის მსგავს არსებათ?! ალბათ, უფალს სძულს ყველა, ვინც ხელებს ჩამოუშვებს და მარტო ღმერთის დახმარების იმედზეა, ავიწყდება, რომ უფალმა თქვა, ხელი გაატოკე და გეშველებაო. დიახ, სწორედ ის იმარჯვებს, ვინც იბრძვის. ნახირად ქცეული ხალხი კი უსათუოდ გაიზიარებს იმ ცხოველის ბედს, ნახირში შევარდნილ მხეცს რომ გაურბის თავისი მოძმის დაგლეჯასა და გამოფატვრას კი არად დაგიდევს, ოღონდაც თვითონ გადარჩეს; არადა, ყველას ერთად რომ შეეტია მტაცებლისთვის, დასრულდებოდა მისი პარპაში.

**ნახირად ქცევაა, აბა რა, როცა ავღანეთში ქართველი ახალგაზრდების გაწირვაზე ნადირადქცეულ ხელისუფლებას პასუხს არ აგებინებ და მოთმინებით ელოდები, კიდევ ვის გადასანსლავს.**

**ნახირად ქცევაა, აბა რა, როცა საქართველოს ყველაზე საზარელ დამაქცევარს კრწანისის რეზიდენციაში სასათბურე პირობებით ინახავ. ეს იგივეა, მებაღე რომ აიძულო, გაუფრთხილდეს ნარის ეკალს და თანაც აყბედო იმაზე, თუ რა სიკეთე მოუტანა მისმა არსებობამ ბაღ-ბოსტანს.**

**ნახირად ქცევაა, აბა რა, უნივერსიტეტში მთელი ერის საამაყო მეცნიერები აუდიტორიაში რომ შეყარეს. ერთი დაბღავლებაც საკმარისი იყო, რომ ნადირი დამფრთხალიყო. მან კი გააგრძელა ქვეყნის აოხრება და სახეზე გვაქვს მომსპარი მეცნიერება, სამეცნიერო დაწესებულებები, მთელი სახალხო მეურნეობა; რაც მთავარია, ქართველი ერის საამაყო მომავალს შეუქმნეს საფრთხე.**

ნაციონალთა პრეზიდენტი თავისი ყოველდღიური სატელევიზიო ყეინობით გვაბითურებს და მასხრად გვიგდებს. ხალხი კი გასუსულია და შიშით ელოდება, კიდევ რა ხაფანგს დაუგებს ერის გადაგვარება-მოსპობის ბოდვას აყოლილი. ასე გრძელდება, რადგან ნამდვილი მონადირე არ ჩანს და ფსევდო მონადირეებით გაივსო ქვეყანა, ნადირის მიერ მიგდებულ ნარჩენებს რომ დახარბებია. ხალხის ერთიანი მძლავრი დაბღავლებაა საჭირო, რომ მტაცებელი მის კვალზე შემდგარ ტურებთან ერთად დაფრთხეს. მან კი თავის სატელევიზიო ბოდვისას გაზეთები „ასავალ-დასავალი“ და „ლიტერატურული საქართველო“, რომლებსაც ესოდენ დიდი ინტერესით კითხულობს ქართველი ხალხი, რამეთუ მათი პირუთვნელი, მართალი და მებრძოლი სიტყვა იმედის სხივს აფრქვევს და ქართველთა მოლოდინს ოპტიმიზმით კვებავს, ფაშისტურად მოიხსენია. ასე იქცევა მეძავი, პატიოსანს თავის ცოდვებს რომ აბრალებს და მსმენელთა სახეზე დამცინავ ღიმილს აბარტყებს.

**ფაშიზმისგან მთელი ევროპის განმათავისუფლებელ საბჭოთა მეომრის ძეგლთან ბერლინში თვითონ გერმანელებმა მიიტანეს ყვავილები გამარჯვების დღის ზეიმზე. ამათ კი სამამულო ომში დაღუპულთა ობელისკი დაანგრიეს სიღნაღში, ქუთაისში აფეთქებას ზედ უცოდველი დედა-შვილის სიცოცხლეც დააყოლეს. ახლა იქნებ ბრძანოს მოყიყინე პრეზიდენტმა, ვინ არის ფაშისტი?!**

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შეადარა კომპიუტერის სწავლების ინგლისური ვოიაჟი არსებამ, რომელმაც სიღნაღში რაიონული ბიბლიოთეკა დაარბევინა და მის ადგილას აშენებული რესტორნით ცდილობს, გაანათლოს ახალგაზრდობა. ილიას და იაკობ გოგებაშვილის გამონათქვამებიც მოიშველია იმავე გოგებაშვილის სასწავლო პროგრამიდან ამომგდებმა. ყვება ამბავს, კმაყოფილი იღიმება და თითით იფხანს ცხვირს. დაპროგრამებული ჩინოვნიკები ყბაჩამოვარდნილნი შეჰყურებენ და მათ პირმოთნე ღიმილზე, თუ ამ დროს ტელევიზორს ვინმე უყურებს, სიბრალულს იწვევენ. იქნებ კიდეც ესმით, რა სავალალო მდგომარეობაში არიან, მაგრამ გაძლომა ურჩევნიათ საამაყო ერისკაცის გაჭირვებულ და დევნილ ყოფას. დანაშაულს კი დანაშაული ემატება. საბჭოთა კავშირში ქართული ენის დამცველი, მებრძოლი ერი ისეთი გიპნოზის ტყვეობაში ჰყავთ ამ დამოუკიდებლად წოდებულ, გაძარცულ და დარბეულ საქართველოში, რომ პრეზიდენტის ღალატთან წილნაყარ ინგლისურ როკვას ლუკმაპურის ძიებაში დაღლილი კაცის მწარე ღიმილით ხვდება.

თურმე მთელი მსოფლიო გაკვირვებულია ამათი რეფორმებით და აქ ჩამოდიან გამოცდილების გასაზიარებლად. სასწაულებრივი რეფორმების ავტორები კი ნამდვილად არიან. სოფლის მეურნეობის მინისტრად ჯერ მამალი ძროხების მწველავი ჰყავდათ, ჰიბრიდული სიმინდის მოყვანით მსოფლიო ხომ გააკვირვეს და სიმინდი გააქრეს. ახლა ექიმი დანიშნეს მის ადგილას, რათა სოფლის მეურნეობის დაქცევა-დაკნინება აღმავლობად მოეჩვენოს, რომ წარმატებაზე ტრაბახით უხერხულობა არ იგრძნოს. სამაგიეროდ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად ქართლის დედის მაგინებელი ფილოსოფოსი თუ რაღაც მისი მსგავსი დანიშნეს, ხმალი რომ ფალოსი ჰგონია და ფიალა — საშო. მაინც დიდი შეღავათია, თავდაცვის მინისტრად რომ არ დანიშნეს და ხმალამოღებული ოფიცრები სხვა რამ უბედურებაში არ აერია. განათლების მინისტრებად კი ისეთი კარუსელი მოაწყო, რომ განათლების დარბევით თავბრუდახვეულებს უცხოეთში აგზავნიან დასამშვიდებლად. **მდგრადი განვითარების მინისტრად ხაბაზია, როცა პრეზიდენტი ჯამბაზია და მათგან გართობა არ გვაკლია,** მათ მიერ დადგმულმა ტელეყეინობამ ხალხს ტელევიზორი შეაძულა. სამაგიეროდ პრეზიდენტის მოსასმენად მორეკილი ადამიანები ხომ ენერგიულად აგალობებენ „მიშა, მიშას“ და აფრიალებენ ხუთჯვრიან დროშებს ჰიტლერის შოუების მსგავსად, ბოლოს თავიანთი სვასტიკიანი დროშების ფრიალით რომ ჩაბარდნენ მოუსავლეთს.

დღევანდელმა დემოკრატიის შუქურად წოდებულმა დასავლეთის სახელმწიფოებმა გერმანიის ფაშიზმი საბჭოთა კავშირის შესაჭმელად გაანებივრეს, პირველად მათვე რომ დაეტაკა და ისევ საბჭოთა კავშირს ეხვეწებოდნენ, გვიშველეო. მერე ნატოთი უპირისპირდებოდნენ ვარშავის პაქტს. დაიშალა საბჭოთა კავშირი და გაქრა ვარშავის პაქტი, **რაღა ეშმაკად სჭირდებათ ეს კბილებდაღრჭენილი ნატო? — რუსეთის ღვარძლი, შური და შიში არ ასვენებთ.** ერთ კაცს თავი ხორბალი ეგონა და მამლის ეშინოდა, ამკენკავსო. კარგა ხანს უმკურნალეს და, გამოჯანმრთელებული რომ ეგონათ, ჰკითხეს, ახლა ხომ გჯერა, რომ ხორბალი არა ხარ და მამლისა ნუღა გეშინიაო. მე მჯერა, რომ ხორბალი არ ვარ, მაგრამ ეს მამალმა თუ იცისო. ამ ნატოშიც ვერ დაუჯერებიათ, რომ მამალი აკენკავს არ უპირებთ და აბეზარი მღრღნელებივით აღიზიანებენ, სანამ აზვერინამდე არ მიიყვანენ. რუსეთი კი დინჯად იმეორებს: პექჭით, ლთვთღიე დმიტ ლპუდნრ.

**საქართველოს სახელს ამოფარებული „ნაციონალები“ კი ათას სისულელეს ბლანდავენ რუსეთზე, თან ნატოს ელაქუცებიან, ნახეთ, რა ერთგული ფინია გყევართო. ბიჭო, შენ რომელ სიბინძურეშიც გინდა იჭყუმპალავე! დაანებე საქართველოს თავი, რამეთუ რუსეთში ძალიან კარგად იციან, ვისი დუდუკის ჭყვიტინზე როკავ. ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობას ფაშისტური დორბლის პარაზიტების ყიყინი უფრო განამტკიცებს და სხივნათელს ხდის მათი ძმობის ჩირაღდანს.**

ნატო რაც არის, კარგად გამოჩნდა იუგოსლავიის, ერაყის, ლიბიის ავანტიურისას. თუ ასე ეწვებათ ჯიგარი მსოფლიოს კეთილდღეობისათვის, აგერ სომალელმა მეკობრეებმა გადააჭამეს თავი ოცდამეერთე საუკუნის საერთაშორისო სამართალს. ერაყში ის დაინახეს, რაც არ იყო, სომალელ მეკობრეებს კი ვერ ამჩნევენ, რადგან იქ ნავთობის სუნი არ დგას.

ახლა ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი აიმედებს „ნაციონალებს“, საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრიო. იმას რაში ენაღვლება, საქართველოს საბოლოო დაშლა, დაკნინება, დაქუცმაცება?! აი, რას მივიღებთ ამით: ნაციონალებს — ფოჩიანი კამფეტები, ქართველ ხალხს — ბუს კვერცხები, გაერთიანებისა და აყვავების სანაცვლოდ. აქეთ მადლობას იხდის ავღანეთში თქვენი ბიჭები რომ იხოცებიანო. შე კაი დედ-მამის შვილო, რაღას მიძვრებოდი ავღანეთში, ახლა მუხთალთა საჯიჯგნადქცეულ საქართველოს დასახმარებლად რომ გაგიხდა საქმე?!

**ღალატი დაშლიგინებს საქართველოში უცხოელთა ძაღლისშვილის უტიფრობით და ყოველდღე ახალ-ახალი სისულელით კვებავს ტელემაყურებელს. ქუთაისიდან დაიწყეს უკანალის ქნევით ბოთლში ფანქრის მოთავსება და საქართველს გადაგვარებისკენ მიდიან, სანამ ხალხი ნახირის გიპნოზიდან არ გამოფხიზლდება და ქართველი კაცის შეუპოვრობით არ მოთხრის ამათ სახსენებელს.**

ნატოს ლიდერები დემოკრატობას უქებენ თავიანთ ლაქია საქართველოს ხელისუფლებად წოდებულ ხროვას, სადაც სიცრუის ნიღაბაფარებული საშინელი ტერორი მძვინვარებს. ამ უმუშევრობის სამთავროში საპროტესტო ამოკნავლება ყოველგვარი საარსებო საშუალების მოსპობად ფასობს. უსამართლობა დაძრწის სამართლიანობის ნიღბით და სიცრუის ლაქლაქით. თუ ქვეყნისა და ხალხის სასიკეთოდ გაიბრძოლე, ისეთ სისულელეს დაგაბრალებენ, ამათ მაგიერ შეგრცხვება. ქართველი ხალხის მადლიერების გრძნობითაა აღვსილი ბიძინა ვანიშვილის საარაკო, უანგარო და უპიარო ქველმოქმედება. მე პირადად არ ვიცნობ, მაგრამ რაც ხალხის საშველად უზარმაზარი დახმარების შესახებ გავიგე, როგორ შეიძლება, მის მიმართ სიმპათიები არ გამიჩნდეს. „ნაციონალებისთვისაც“ მოუხმარებია უზარმაზარი თანხა, სანამ ეგონა, რომ ქვეყნის სასიკეთოდ ირჯებოდნენ. დარწმუნდა, რანიც არიან და დადგა იქ, სადაც ერის ღირსეული მამულიშვილის ადგილია. ჰოდა, დაიწყეს მისი ისეთი შევიწროება, როგორიც შეუძლია დემოკრატიადაბრალებულ ძალადობას. უამრავი ცილისწამება „ნაციონალების“ ყბიდან სიმართლედ იფქვება. თურმე ვიღაცას ნაკვეთი თუ რაღაც მისი მსგავსი წაართვა და ფული არ გადაუხადა. ადამიანმა უამრავი მილიონი გაიღო ხალხის დასახმარებლად და თურმე ვიღაცას ფული არ გადაუხადა.

**თუ ბიძინა ივანიშვილმა ვინმე შეაქო ან ნდობა გამოუცხადა, მაშინვე იწყებენ მის ლანძღვას და თავიანთი მეთოდით კომპრომატების ჩხრეკას. ამას წინათ მოვისმინე, როგორი ღვარძლით მოიხსენიებდნენ თამაზ თამაზაშვილს. ეს რაინდული სულის ქართველი ვაჟკაცი დედოფლის წყაროს პოლიციის უფროსად მუშაობდა და მის საქმიანობას ქვეყნისა და ერის სიყვარული ამშვენებდა. იგი ისეთი ღირსეული ქართველია, რომელიც არასდროს არ აღმართავს ჯოხს თავისი ხალხის თავზე, რეზინის ტყვიებს არ დაუშენს მომიტინგეებს, გაზით არ მოწამლავს და უმოწყალო ცემით მოკლულებს შენობის სახურავზე არ აიტანს დანაშაულის კვალის დასაფარად. ტელევიზიით რომ მოვისმინე, რა ბრალდებებს უყენებდნენ, გამეღიმა, ის ისეთი ღირსეული ქართველი მამულიშვილია, სინდისთან კომპრომისზე არასოდეს წავიდოდა, ამიტომაც ულრენენ ასე ენერგიულად.**

რუსეთში მცხოვრებმა ბიზნესმენმა ალექსანდრე ებრალიძემ დააწესა დავით აღმაშენებლის სახელობის პრემია მწერლებისა და ყველა საზოგადო მოღვაწისათვის; რისთვისაც მაშინვე დაიმსახურა ნაციონალთა რისხვა. მე ამ კონკურსში შევიტანე ჩემი ნაწარმოებები და კვლავ შევეჭიდე ჩვეულებრივ გაუსაძლის გაჭირვებას. უსაზღვროდ გამიხარდა, რომ მაცნობეს, პრემია დაიმსახურე და ბანკში შეგიძლია თანხა მიიღოო. აღარც კი მახსოვდა კონკურსში ჩემი მონაწილეობის შესახებ, ამ თანხამ კი ჟანგბადის ბალიშივით მომისწრო. თუმცა არც გაოცების გარეშე დავრჩენილვარ, რომ მითხრეს, ოცი პროცენტი სახელმწიფომ წაიღოო.

**ახლა უკვე ღრმად მწამს, რომ უფალს არ დავვიწყებივართ — იგი ისეთ მამულიშვილებს კვლავაც არ მოგვაკლებს, რომლებიც ქართველთა ბედის ბორბალს ერის ისტორიის კრიტიკულ მომენტში წაღმა დაატრიალებენ.**

**გივი სომხიშვილი**



იატაკზე დაწოლილს მაღალმა და მძიმე სპეცნაზელმა ზურგზე ხელკეტი დამარტყა და ფეხითაც შემდგა. იგი დიდხანს თავზე მედგა. იატაკზე დაწოლილები ერთმანეთს ვეუბნებოდით სახელს და გვარს, რომ ცუდი შედეგის (სიკვდილის) შემთხვევაში, ვინც ცოცხალი დავრჩებოდით, ერთმანეთის ოჯახებისთვის შეგვეტყობინებია ყველაფერი.

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სისხლიანი 26 მაისის 1 წლისთავის გამო

# ფეხქვეშ გათელილი დემოკრატია, ადამიანის უფლებები და მშვიდობიანი მომიტინგეები

**რამ მიგვიყვანა 2011 წლის 21-26 მაისის მიტინგამდე? პასუხი ასეთია: ქვეყანაში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურმა, სოცილურმა გარემოებებმა, ხელისუფლების არაეფექტურმა და არაეროვნულმა საშინაო და საგარეო პოლიტიკამ, მის მიერ დემოკრატიის განვითარებისა და ადამიანის უფლებების დაცვისათვის სიტყვით და განცხადებებით ტრაბახმა, ხოლო საქმით ქვეყანაში დემოკრატიის ფაქტობრივმა მოსპობამ, კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლის ნორმებით აღიარებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უგულებელყოფამ, უმუშევრობის, ფასებისა და გადასახადების რადიკალურად ზრდამ, ხელისუფლების მიერ იმათ მტრად მიჩნევამ, ვინც მათი მომხრე რ არის და ვისაც მათგან ოდნავ განსხვავებული აზრი აქვს, ქვეყნის ტერიტორიების დაკარგვამ, მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის იგნორირებამ, ხელისუფლების ერთი პირის ხელში უზურპაციამ, დესპოტური მმართველობის დამკვიდრებამ, სასამართლოების ნოტარიუსებად გადაქცევამ, უსამართლო სამართალმა და ულირსებისათვის დაფნის გვირგვინების დადგმამ, პოლიტიკური ნიშნით (კერძოდ, ვინც „ნაციონალების" მომხრე არ არის) სამუშაოდან მუშაკთა მასიურად გათავისუფლებამ ან სამსახურში მიღებაზე უარის თქმამ... მოკლედ რომ ვთქვათ, ქვეყანაში შექმნილმა გაუსაძლისმა ცხოვრებამ.**
**ეს აზრი იდო ჩემს გამოსვლაშიც.**

არაერთი ტრაგიკული მოვლენის მომსწრეა საქართველო. მათ რიგს შეემატა 2011 წლის 26 მაისი.

26 მაისი... იქნებოდა ღამის პირველი საათის 15-20 წუთი, როცა რამდენიმე ასეულმა ნიღბიანმა — ფარებითა და ხელკეტებით შეიარაღებულმა სპეცნაზელმა, პოლიციელმა მშვიდობიანი მომიტინგეები თბილისში, პარლამენტის წინ, ალყაში მოგვაქცია. ისინი გაუფრთხილებლად დაგვესხნენ თავს (26 მაისის დაწყების დროს მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევისას მათ ერთხელაც არ გავუფრთხილებივართ დაშლის, მიტინგის შეწყვეტის თაობაზე. — ა.დ.) და დაუნდობლად ლანძღვა-გინებით, ხელკეტებით, წიხლების ცემით, ტექნიკის, ცრემლსადენი გაზისა და წყლის ჭავლის გამოყენებით დაიწყეს მიტინგის დაშლა. შეუბრალებლად და დაუნდობლად ურტყამდნენ ყველა მომიტინგეს, ვინც ხელში ჩაუვარდებოდათ, თავებს ისე უხეთქავდნენ, როგორც საზამთროებს. დარბევის დაწყებისას მე სხვებთან ერთად მიტინგის ხელმძღვანელთა ტრიბუნასთან ახლოს ვიდექი, იქვე იდგა „ტრაილერი", რომელზეც იდგნენ მიტინგის ხელმძღვანელები. ჩვენ, დაახლოებით ასზე მეტი კაცი, „ტრაილერს" ამოვეფარეთ, რომ როგორმე გადავრჩენილიყავით, ფაქტობრივად კი ჩიხში მოვემწყვდიეთ. წინ და უკან დამსჯელი სპეცრაზმი მოგვადგა, მომიტინგეები ისე მიგვიმწყვდიეს, რომ ლამის ჭყლეტა მოეწყო. საბედნიეროდ, მოვახერხეთ თავისუფლების მოედნისკენ დაძვრა, მაგრამ ამ დროს მხუთავი გაზი და წყლის ჭავლი მოუშვეს ჩვენზე. სპეცნაზელებმა ბევრის გალახვა მოასწრეს. მე გაზით მოვიწამლე, მაგრამ გალახვას ამჯერად გადავრჩი. მომიტინგეთა ნაწილთან ერთად სპეცნაზელებს ძლივს შევასწარი კინოთეატრ „რუსთაველში". დაახლოებით 20 წუთში დარბაზში ასეულობით ნიღბიანი და შეიარაღებული სპეცნაზელი შემოვარდა. ისინი მომიტინგეებს და მიტინგის ხელმძღვანელებს გვაგინებდნენ, გვლანძღავდნენ. შემდეგ ზოგი ძალით, ზოგი ნებით ჩაგვიყვანეს სცენაზე, ბევრს დაადეს ხელბორკილები, უმოწყალოდ ურტყეს ხელკეტები და ერთმანეთზე დაყარეს, ერთი ხმის ამოღება და შელაპარაკებაც კი საკმარისი იყო, რომ მოეკალი. ჩემთვის ხელბორკილის დადების ჯერი რომ დადგა, ერთმა სპეცნაზელმა თქვა: ხელბორკილები, რაც წამოღებული მქონდა, გამითავდაო. მაშინ **იატაკზე დაწოლილს მაღალმა და მძიმე სპეცნაზელმა ზურგზე ხელკეტი დამარტყა და ფეხითაც შემდგა. იგი დიდხანს თავზე მედგა. იატაკზე დაწოლილები ერთმანეთს ვეუბნებოდით სახელს და გვარს, რომ ცუდი შედეგის (სიკვდილის) შემთხვევაში, ვინც ცოცხალი დავრჩებოდით, ერთმანეთის ოჯახებისთვის შეგვეტყობინებია ყველაფერი.**



ქვეყანაში დემოკრატიის ნიღბით მძლავრად მოიკიდა ფეხი ხელისუფლების ტირანიამ და პოლიციურმა რეჟიმმა

როცა ასეთ მდგომარეობაში გავიდა რამდენიმე ათეული წუთი, გვიბრძანეს, გარეთ მწკრივში ჩამდგარი გავსულიყავით. ერთ-ერთმა სპეცნაზელმა, ვინც განკარგულებებს იძლეოდა, ბრძანება გასცა, რომ კინოთეატრ „რუსთაველიდან" გასვლის დროს არავისთვის დაერტყათ. მიუხედავად ამისა, კინოთეატრ „რუსთაველიდან" გამოსვლისას, სადაც იდგა რამდენიმე ყვითელი ავტობუსი, ბევრს და მათ შორის მეც მუშტი ისე ძლიერ დამარტყეს, რომ მეგონა, თავი მხრებს მოსწყდა. ცხვირიდან სისხლი ჩქეფით წამომივიდა, სახე და პიჯაკი, შარვალი სისხლით შემელება. მომიტინგეთა მიმართ გინება, ლანძღვა, მუქარა, შანტაჟი, დამცირება და ღირსების შელახვა ყვითელ ავტობუსშიც გრძელდებოდა, რომლითაც მიგვიყვანეს პოლიციის თბილისის სამმართველოსა და პროკურატურის ეზოში, სადაც კოკისპირულ წვიმაში გაგვაჩერეს ერთ საათზე მეტხანს.

ეტყობა, იქ მყოფი ყველა პოლიციელი არ იყო შუბლზე ძარღვგაწყვეტილი, ზოგს მაინც შერჩენოდა ადამიანური განცდა... ალბათ, ასეთი იყო ის, ვინც პოლიციის სამმართველოს ეზოში ცხვირპირდასისხლიანებული, ცუდ მდგომარეობაში მყოფი შემამჩნია და ჩემს ნათქვამზე — გვიკვირს, აქ რატომ მოგვიყვანეთ, არავითარი სამართალდარღვევა არ ჩაგვიდენია-თქო, რამდენიმე კაცი გამოგვიშვეს. **მეორე დღეს, მართალია, ცუდად ვიყავი, მაგრამ სასწრაფოდ ბათუმში წამოვედი, ბინაში ვიწექი რამდენიმე დღე და ვმკურნალობდი. საავადმყოფოში ვერ მივედი იმ მიზეზით, რომ არ დაწყებულიყო ჩემ მიმართ არაკანონიერი დევნა, როგორც ეს მოხდა სხვა მომიტინგეების მიმართ.** აქვე აღვნიშნავ, რომ 1956 წლის 6 მარტს და 1989 წლის 9 აპრილს, როცა საბჭოთა ჯარებმა ქართველი მომიტინგეები ძალის გამოყენებით დაარბიეს, მათ მომიტინგეებს მაინც მისცეს გასაქცევი გზა... **2011 წლის 26 მაისს — ამ „ბართლომეს ღამეს" კი საქართველოს ხელისუფლებამ, ქართულმა ძალოსნებმა მშვიდობიანი მომიტინგეები „რკინის რკალში" მოაქციეს და ერთ კაცსაც არ მისცეს გაქცევის, თავისუფლად წასვლის საშუალება.**

**როგორც იურისტი ვაცხადებ: მომიტინგეთა მიერ ადგილი არ ჰქონია შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კონსტიტუციის, კანონისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების რაიმე დარღვევას, პირიქით, მოცემულ შემთხვევაში მშვიდობიანი მომიტინგეების ძალისმიერი და უფლებამოსილების გადამეტებით დაშლა, დარბევა მათი ღირსებებისა და უფლებების შელახვა ხელისუფლებამ წინასწარი განზრახვით მოახდინა მოქმედი კანონმდებლობის და შეკრებებისა და მანიფესტაციების მოწყობა-ჩატარების თაობაზე საერთაშორისო სამართლის ნორმების არსებითი დარღვევით, კერძოდ, ხელისუფლებისა და პოლიციის მიერ მშვიდობიან მომიტინგეთა დარბევა მოხდა. შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილის, 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, მე-19 და 25-ე მუხლების, შეკრებების და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონის, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-5, მე-19 და მე-20 მუხლების, გაეროს მიერ მიღებული სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის, 21-ე მუხლის, გაეროს მიერ მიღებული „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის 1-ლი, მე-2, მე-3 მუხლების, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე-3, მე-9, მე-10 მუხლების, ევროსაბჭოს საპარლამენტო ანსამბლეის მიღებული „პოლიციის შესახებ დეკლარაციის" (1979 წ) მე-2 და მე-3 მუხლების არსებითი დარღვევით. მომიტინგეთა დარბევის დროს ადგილი ჰქონდა მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, პატივისა და ღირსების შელახვის, წამებისა და მათი დათრგუნვის ფაქტებს.**



ამ „ბართლომეს ღამეს" კი საქართველოს ხელისუფლებამ, ქართველმა ძალოვნებმა მშვიდობიანი მომიტინგეები „რკინის რკალში" მოაქციეს და ერთ კაცსაც არ მისცეს გაქცევის, თავისუფლად წასვლის საშუალება

გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა მაინა კიაიმ სამართლიანად აღნიშნა: „რაც შეეხება 21 და 26 მაისის მოვლენებს თბილისსა და ბათუმში, შეიძლება ვთქვათ, რომ ნამდვილად ჰქონდა ადგილი ადამიანის უფლებების დარღვევებს. როცა ასეთ ფაქტებს აქვს ადგილი, შემდეგ ჩნდება კითხვა პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით" (გაზ. „ბათუმელები", №5, 13-19 თებერვალი 2012 წ.).

ყოვლად უსაფუძვლოდ მიმაჩნია, რომ თითქოს მომიტინგეები „სახელმწიფო გადატრიალებას" ამზადებდნენ. ეს საქართველოს ხელისუფლების ზუსტად ისეთი მეთოდია, როგორიც პრუსიის იმ მთავრობისა, რომელმაც 1851 წელს დაპატიმრებათა ტალღა და კელნში სასამართლო პროცესი მოაწყო დაპატიმრებულთა „სახელმწიფო ღალატის ხასიათის მქონე შეთქმულებაში" მონაწილეობის დაბრალებით.

მშვიდობიანი მომიტინგეებისადმი სისასტიკითა და სისხლიანი ანგარიშსწორების შემდეგ, იმავე დღეს — 2011 წლის 26 მაისს ქართველი ხალხის სისხლით მორწყულ მოედანზე (რუსთაველის ქუჩაზე) აღლუმის ჩატარება ეს იყო თვით საქართველოს ხელისუფლების მიერ დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების ფეხქვეშ გათელვისა და საკუთარ ხალხზე გამარჯვების ზეიმი.

ქვეყანაში დემოკრატიის ნიღბით მძლავრად მოიკიდა ფეხი ხელისუფლების ტირანიამ და პოლიციურმა რეჟიმმა.

**ავთანდილ დიასამიძე,**
**იურისტი, ისტორიკოსი**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როდესაც სიმშვიდეა, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ბინძური სამუშაო ამერიკელებს არ აინტერესებთ. მაგრამ უკანასკნელ პერიოდში თავიდან აცილებული ტერაქტების უზარმაზარმა რაოდენობამ და ზემოგანხილულმა შემთხვევამ ამერიკელები შეაშფოთა და დაარწმუნა, რომ სპეცსამსახურები თავიანთ საქმიანობაში ძალზე შორს მიდიან. 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ აშშ-ის 300-ზე მეტი მოქალაქე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.**

# დამსმენებისა და ჩამშვებების ნაცია

**უკვე ჩამოყალიბდა აზრი, რომ აშშ-ის ხელისუფლებამ ძალზე შორს შეტოპა. ამერიკამ ისწავლა, წარმოუდგენლად მოხერხებულად განთესოს თავისი აგენტები ტერორისტულ დაჯგუფებებში. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების შემდეგ განსაკუთრებულად მწარე კრიტიკის ობიექტი ცსს გახდა, რადგან სპეცსამსახურმა ვერ მოახერხა, „ალ ქაიდაში“ საკუთარი აგენტი შეეგზავნა ან მის რიგებში ეპოვა ინფორმატორი.**



რამდენიმე დღის წინ გაზეთები გადააჭრელა ისტორიამ იმის შესახებ, თუ როგორ ჩაინერგა „ალ ქაიდაში“ ვიღაც საუდელი ჯაშუში, რომელიც იმავდროულად ცსს-სთანაც თანამშრომლობდა; როგორ გადაარჩინა აფეთქებას აშშ-ის მიმართულებით მფრინავი ავიალაინერი და როგორ გადასცა ასაფეთქებელი მოწყობილობა უვნებლად ამერიკულ დაზვერვას. გარდა ამისა, აგენტის მიერ მიწოდებულმა ინფორმაციამ შესაძლებელი გახადა „ალ ქაიდას“ იემენური ფრთის ერთ-ერთი ხელმძღვანელის განადგურება უპილოტო საფრენი აპარატის მეშვეობით მიყენებული დარტყმით.

ნებისმიერი საზომით წარმატებულად უნდა ჩაითვალოს ეს ეფექტური ოპერაცია, სპეცსამსახურებმა ხომ „ალ ქაიდას“ სწორედ იმ განშტოების გულისგულში შეაღწიეს, რომელიც, როგორც ამბობენ, ყველაზე აქტიურად ხლართავს ძაფებს ამერიკელთა დასახოცად. მაგრამ პრესაში მქუხარე აპლოდისმენტებს მწვავე კრიტიკაც ახლდა. კრიტიკის ერთ-ერთი ყველაზე ემოციური მაგალითი ინტერნეტ-გამოცემა Salon-ში საკუთარ გვერდზე გლენ გრინუოლდის მიერ გამოქვეყნებული სტრიქონები გახდა:

**„მაშ ასე, გამოდის, რომ ისევე, როგორც პრაქტიკულად ყველა „ტერორისტული შეთქმულება ქვეყნის შიგნით“ ჩაფიქრებული, მიმართული და დაფინანსებულია გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ, *იემენური* „ალ ქაიდას“ ოპერაციას ცსს და მისი საუდელი პარტნიორები გეგმავდნენ. შესაბამისად, ეს მცდელობა, მომხდარიყო ტერორისტული აქტი, რამაც მასმედიაში ასეთი ისტერიკა გამოიწვია, მხოლოდ კონსპირაციული გეგმა კი არა, შეთქმულებაც იყო, რომელსაც მუდმივად აკონტროლებდნენ აშშ-ის ხელმძღვანელობა და საუდის ხელისუფლების სპეცსამსახურები“.**

უფრო მეტიც, გრინუოლდი ერთადერთი არ გახლდათ, ვინც ეს სადავო მსჯელობა გამოაქვეყნა. მის მაგალითს ასობით ბლოგერმა და ექსპერტმა მიბაძა. კრიტიკის ტალღას შეუერთდნენ არა მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც მხარს არ უჭერენ სახელმწიფოს პოლიტიკურ კურსს, არამედ ამ კურსის მომხრენიც.

ამერიკელთა ფსიქიკისთვის დამახასიათებელია განსაკუთრებული ინტერესი სხვადასხვა ჯაშუშური თამაშებისადმი, მაგალითად, ინფილტრაციის, ანუ აგენტების ჩანერგვისადმი. როდესაც ტერორისტული აქტი ხდება, აშშ-ის მოქალაქეები მრისხანედ მოითხოვენ ხელისუფლებისგან, განმარტოს, თუ სად იყვნენ ამ დროს სპეცსამსახურები და როგორ ვერ შენიშნეს მოახლოებული ტრაგედიის ნიშნები. **როდესაც სიმშვიდეა, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ბინძური სამუშაო ამერიკელებს არ აინტერესებთ. მაგრამ უკანასკნელ პერიოდში თავიდან აცილებული ტერაქტების უზარმაზარმა რაოდენობამ და ზემოგანხილულმა შემთხვევამ ამერიკელები შეაშფოთა და დაარწმუნა, რომ სპეცსამსახურები თავიანთ საქმიანობაში ძალზე შორს მიდიან. 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ აშშ-ის 300-ზე მეტი მოქალაქე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.**

**2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ აშშ-ის 300-ზე მეტი მოქალაქე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულისთვის**

შემთხვევათა თითქმის ნახევარში სამართალდამცავებმა დამნაშავეზე გასვლა იმ ოპერაციების საშუალებით მოახერხეს, რომელთა საფუძველშიც ინფილტრაცია იდო. როგორც ამბობენ, ინფილტრაციის ქსელი ძალიან დიდ მანძილზეა გადაჭიმული, ისინი ეხებიან არა მხოლოდ ორგანიზაციის რიგით წევრებს, არამედ მაღალი რანგის პირებსაც. **სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნებულ სტატიაში „ალ ქაიდადან“ კარგად ცნობილი ანვარ ალ-ავლაკი წერს, რომ როგორც ცსს, ასევე გამოძიების ფედერალური ბიურო მის „გათხუნელებას“ ცდილობდა.**

უკანასკნელ პერიოდში ამგვარი ტაქტიკისადმი დამოკიდებულება ძალზე წინააღმდეგობრივია მთელი ▶

# სირიელი მეამბოხეებისთვის კოსოვოში ტერორისტული საწვრთნელი ბანაკები კვლავ გაიხსნა

**სირიელი მეამბოხეების დელეგაცია პრიშტინას ხელისუფლებას მოელაპარაკა პარტიზანული ომის გამოცდილების ურთიერთგაზიარებაზე. სირიის ოპოზიცია კოსოვოში ბოევიკებს გზავნის, რათა მათ იქ პრეზიდენტ ბაშარ ასადის ჩამოგდებისთვის საჭირო წვრთნა გაიარონ. 26 აპრილს აშშ-დან მიმავალმა სირიის ოპოზიციის დელეგაციამ გზად პრიშტინაში შეიარა, რათა ეწარმოებია მოლაპარაკებები, თუ როგორ გამოიყენონ სირიაში კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის გამოცდილება.**



ჯერჯერობით სირიის საკმაოდ სუსტი ოპოზიცია ვერ ახერხებს, დამოუკიდებლად გაუწიოს ორგანიზება პრეზიდენტ ასადის წინააღმდეგ მდგრადი ფრონტის ფორმირებას. ბოევიკების ტერორისტული ტაქტიკა მათ საშუალებას აძლევს, დახოცონ სამხედროები და სამთავრობო ჩინოვნიკები, მაგრამ ეს საკმარისი არაა რეგულარული არმიის შესაკავებლად.

**„აქ იმისთვის ჩამოვედით, რომ ვისწავლოთ. კოსოვოში ეს გზა უკვე გაიარეს და აქვთ გამოცდილება, რომელიც ძალზე სასარგებლო იქნებოდა ჩვენთვის“,** — აცხადებს სირიული დელეგაციის მეთაური ამარ აბდულჰამიდი, რომელიც სირიული წარმომავლობის უფლებათა დამცველი და დისიდენტია. — **„კერძოდ, ჩვენ გვინდა, გავიგოთ, თუ როგორ გაერთიანდნენ კოსოვოს განმათავისუფლებელ არმიად დაფანტული შეიარაღებული დაჯგუფებები“.**

**სირიის ოპოზიციის ლიდერები პირობას დებენ, რომ დაუყოვნებლივ აღიარებენ კოსოვოს დამოუკიდებლობას, როგორც კი ხელისუფლებას ჩაიგდებენ ხელში.**

„ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კოალიციური ოპოზიციის სახით მოქმედებათა კოორდინირება“, — აღნიშნა პრეზიდენტ ასადის ძველმა მოწინააღმდეგემ ამარ აბდულჰამიდმა. 2005 წელს მან სირია დატოვა და საცხოვრებლად აშშ-ში გადავიდა.

**ალბანეთ-კოსოვოს საზღვარზე საწვრთნელი ბანაკი, რომელმაც სირიელ სტუმრებს უმასპინძლა, თავდაპირველად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დააარსა კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიისთვის ბოევიკების მომზადებაში დახმარების გასაწევად.**

კოსოვოს განმათავისუფლებელი არმია აშშ-ის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის მიერ მრავალი წლის მანძილზე ითვლებოდა ტერორისტულ ორგანიზაციად, ვიდრე 1998 წელს, ყოველგვარი განმარტების გარეშე, არ ამოშალეს ტერორისტული ორგანიზაციების სიიდან. ამ არმიის შემადგენლობაში ათი ათასამდე არასრულწლოვანი მებრძოლი იყო.

**არსებობს უამრავი ცნობა იმის შესახებ, რომ კოსოვოს განმათავისუფლებელ არმიას კავშირი აქვს „ალ ქაიდასთან“, მისგან იღებს იარაღს, თავის ბოევიკებს „ალ ქაიდას“ ბანაკებში ავარჯიშებს და მისი წევრებიც კი ჰყავს თავის რიგებში.**

როგორც ჩანს, ევროპის შუაგულში გაწვრთნილი ისლამური „სირიის განმათავისუფლებელი არმიის“ მხრიდან მრავალკონფესიური სირიელი ხალხისთვის ახლა ზუსტად ის საშინელებები მზადდება, რომლებსაც კოსოვოს ომის დროს ჰქონდა ადგილი.

„სირიის განმათავისუფლებელი არმია“, რომელსაც წარმოადგენდა კიდეც კოსოვოში სირიელთა დელეგაცია, უკვე მთელი წელია, სირიის ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძვის. როგორც ამბობენ, ამ დაპირისპირებამ უკვე 9 ათასზე მეტი სიცოცხლე შეიწირა და დაღუპულთა ნახევარი სირიის ჯარის, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ან თანამდებობის პირები იყვნენ.

ბოლო პერიოდში ბოევიკები სირიის ქალაქებიდან სირია-თურქეთის საზღვრამდე განდევნეს და, რაკი მდგომარეობის დამოუკიდებლად გამოსწორება ვერ მოახერხეს, **„სირიის განმათავისუფლებელი არმიის“ წარმომადგენლებმა თავიანთ უცხოელ სპონსორებს მიმართეს, რათა ამ უკანასკნელთ სირიაში სამხედრო ინტერვენცია დაეწყოთ ბაშარ ასადის ხელისუფლების ჩამოგდების მიზნით.**

მკვლევარი ბენჟამინ შეტი აცხადებს, რომ ეგრეთ წოდებულმა კოსოვოს განმათავისუფლებელმა არმიამ 1998 წელს სერბული არმიისგან დამარცხება იგემა. მაგრამ, როდესაც სერბეთი ცეცხლის შეწყვეტას დათანხმდა და ქვეყანაში დამკვირვებლები შეუშვა, კოსოვოს განმათავისუფლებელმა არმიამ სიტუაციით ისარგებლა, თავი დასავლურ მედიაში თავისუფლებისთვის მებრძოლ მსხვერპლად წარმოაჩინა და უზრუნველყო დასავლური ინტერვენცია 1999 წლის მარტში.

შეტი მიიჩნევს, რომ **სირიელები კოსოვოში პიარის ტექნიკას ეუფლებიან. მიუხედავად იმისა, რომ არ ფლობენ საბრძოლო ხელოვნებას, უკვე აქვთ გამოცდილება იმისა, თუ როგორ დაარწმუნონ რამეში დასავლეთის საზოგადოება.**

როგორც ამერიკულ ჟურნალ Chronicles-ის რედაქტორი ს. ტრიფკოვიჩი აცხადებს, ნატოსეული მასშტაბური დარტყმების შემდეგ კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის ერთადერთი ტაქტიკა ადგილობრივი უმცირესობების განად- ▶



**სახელმწიფოებს, რომლებშიც ამერიკელები აწარმოებდნენ ომებს, აქვთ სამხედრო ბაზები, ან, უბრალოდ, ნავთობით მდიდარი ტერიტორიები. ამ შემთხვევაში სერიოზული რისკია, რომ დიდი ხნით გამოეთხოვონ მშვიდ ცხოვრებას, რადგან აშშ არასდროს წყვეტს ომის საკითხს ბოლომდე. აშშ მუდამ „თბილ“ სიტუაციას ტოვებს, რათა ნებისმიერ დროს შეეძლოს უკან დაბრუნება.**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ რიგი მიზეზების გამო. არსებობს აზრი, რომ ის მიმართულია მხოლოდ მუსლიმანების წინააღმდეგ, სპეცსამსახურები კი გადაბირებას ხაფანგების შეგნებულად მოწყობით ახორციელებენ. როგორც ცნობილია, სპეციალურად მოწყობილი ხაფანგების შემთხვევაში სასამართლოში საქმე წარმატებით ძალზე იშვიათად სრულდება.

**ინფილტრაციის მეთოდები** — საიდუმლო აგენტები იქნებოდნენ ესენი თუ ანაზღაურებადი ინფორმატორები — 2001 წლის 11 სექტემბრამდე დიდი ხნით ადრეც წარმატებით გამოიყენებოდა, თანაც ეს მხოლოდ მუსლიმანებს ან მხოლოდ ტერორისტებს როდი ეხებოდა. ამ მხრივ იმუნიტეტი თვით მაფიასაც კი არ გააჩნია. **„ნებისმიერმა, ვინც მისი წევრია, უნდა იცოდეს, რომ მარჯვნივ ან მარცხნივ აუცილებლად უდგას ადამიანი, რომელიც გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტია ან ფარული მიკროფონი აქვს მიმაგრებული“,** — განაცხადა ადვოკატმა ენტონი კარდინალემ რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნებულ ინტერვიუში.

არსებობს **სამართლებრივი ნორმები,** რომლებიც აგენტების ჩანერგვასა და ხაფანგების მოწყობას ეხება. **2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ სასამართლოები ყოველთვის აღიარებდნენ სახელმწიფოს უფლებას მსგავს ქმედებებზე.**

ყველამ, ვინც ერთხელ მაინც მოხვედრილა მსგავს სიტუაციაში, იცის, რა იოლია კამათის წაგება, თუნდაც მაშინ, როდესაც ტექნიკური თვალსაზრისით მართალი ხარ. პოტენციური ექსტრემისტების საარსებო გარემოს აგენტებითა და ინფორმატორებით გამჯერებელი სპეცსამსახურების პოლიტიკური და პრაქტიკული მოტივები სავსებით გასაგებია. საკუთარი პასუხისმგებლობის ზონაში გვამების გორები არავის უნდა. მაგრამ **დღეს მხოლოდ საწყის ეტაპზეა იმ სოციალური ნაკლოვანებების შესწავლა, რაც გამოიწვია ქვეყნის დამსმენებითა და ჩამშვებებით წალეკვამ.**

თეზისი, რომელსაც ასე ხშირად წამოაყენებენ ხოლმე მარგინალური წრეების წარმომადგენლები, იმაში მდგომარეობს, რომ **ხელისუფლება შეგნებულად მიმართავს ინსცენირებებს, რათა გააზვიადოს საკუთარი წარმატებები და დაიმორჩილოს საზოგადოება. მაგრამ ამ შემთხვევაში გამოდის, რომ ხელისუფლება იყენებს ძალზე ხელოვნურ მეთოდებს აშკარად სულელური და უსარგებლო ამოცანების გადასაჭრელად.** რა საჭიროა ტანსაცმლის ქვეშ დამალული თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების გამოგონება, თუ შესაძლებელია პორტატული ბირთვული ბომბის ჩემოდანში ჩადება? რა საჭიროა ინფორმატორებისა და საიდუმლო აგენტების როლის გამოაშკარავება? ამგვარი ლოგიკური შეუსაბამობების სია უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს.

**Foreign Policy**

# აშშ-ის პოლიტიკა ცხელი წერტილების შექმნაა

**როგორც ცნობილია, რომის სენატისთვის მიწერილი გამონათქვამი მოუწოდებს: „გათიშე და იბატონე“. ეს კარგად ცნობილი ფრაზა უკიდურესად ზუსტად მიანიშნებს უმოკლეს გზას წარმატებისკენ იმ ადამიანებისა და სახელმწიფოებისთვის, რომლებსაც მაინცდამაინც არ ადარდებთ პოლიტიკაში კეთილსინდისიერება. ამ ადამიანებს, როგორც წესი, მორალისთვის არ სცალიათ, ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია.**



მაინც რა იგულისხმება პოლიტიკურ მორალსა და კეთილსინდისიერებაში? არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია, თვალყური ადევნოს ქვეყნების ურთიერთქმედებას, მიიღოს ათასგვარი გადაწყვეტილებები, კენჭისყრაზე გაიტანოს სხვადასხვა სადავო საკითხი და მიიღოს რეზოლუციები ამა თუ იმ თემაზე, მაგრამ ეს თეთრი ზონაა, მის პარალელურად კი არსებობს ნაცრისფერი და შავი ზონებიც.

ამ შემთხვევაში შეიძლება გაჩნდეს შეგრძნება, რომ ყველაფერი, რაც თეთრ ზონაშია, კარგია და სწორია, ხოლო ყველაფერი, რაც ნაცრისფერ ზონაშია, არალეგალურია, წინააღმდეგ შემთხვევაში თეთრ ზონაში იქნებოდა. შავ ზონაში, ცხადია, მოიაზრება იარაღის საიდუმლო მიწოდებები, რომელიღაც სახელმწიფოების წინააღმდეგ დამანგრეველი მოღვაწეობა და ასე შემდეგ. უკანასკნელი ორი ზონა მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს, რადგან სახელმწიფო მხოლოდ პოლიტიკის ობიექტი კი არა, სამართლის სუბიექტიცაა, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი სხვაგვარადაა, თანაც — თითქმის ყოველთვის.

**დიპლომატიური დაწესებულებების ყველაზე განვითარებული ქსელი აშშ-ს აქვს. როგორც ყველასთვის ცნობილია, ყველაფერი ამერიკის საქმეა და მისი ნაციონალური ინტერესები არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიაზე, არამედ ამ ქვეყნის ეროვნული ბანკის შიგნითაა. ამგვარი ინტერესების „მფლობელების“ არავის შეშურდება — შეიარაღებული ფორმირებები კონფლიქტის ერთი ზონიდან ვერ ასწრებენ გასვლას, რომ უკვე მომდევნო სახელმწიფოს დაბომბვის დროა.**

**მაგრამ სახელმწიფოებს, რომლებშიც ამერიკელები აწარმოებდნენ ომებს, აქვთ სამხედრო ბაზები, ან, უბრალოდ, ნავთობით მდიდარი ტერიტორიები. ამ შემთხვევაში სერიოზული რისკია, რომ დიდი ხნით გამოეთხოვონ მშვიდ ცხოვრებას, რადგან აშშ არასდროს წყვეტს ომის საკითხს ბოლომდე. აშშ მუდამ „თბილ“ სიტუაციას ტოვებს, რათა ნებისმიერ დროს შეეძლოს უკან დაბრუნება.** ამ ყველაფრის მაგალითების მოსაძებნად დაფიქრებაც კი არაა საჭირო.

მაგალითად, ავიღოთ იაპონიასთან დაკავშირებული აბსოლუტურად სტანდარტული სიტუაცია. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ იაპონიის ტერიტორიის ნაწილი საბჭოთა კავშირის იურისდიქციაში გადავიდა. მოკავშირე სახელმწიფოთა მთავარსარდლის, გენერალ დუგლას მაკარტურის 1946 წლის 29 იანვრის №677 მემორანდუმის თანახმად, იაპონიის ტერიტორიას ჩამოეჭრა კურილის კუნძულები, ჰაბომაის კუნძულთა ჯგუფი და კუნძული სიკოტანი.

ეს მოვლენათა სპონტანური განვითარება არაა, ვინაიდან 1945 წლის 11 თებერვლის იალტის კონფერენციაზე საბჭოთა კავშირი, აშშ და დიდი ბრიტანეთი წერილობით შეთანხმდნენ, რომ საბჭოთა კავშირი იაპონიასთან ომში ჩაერთვებოდა ომის დასრულების შემდეგ სამხრეთ სახალინისა და კურილის კუნძულების დაბრუნების პირობით. შეთანხმების პირობების მიხედვით, საბჭოთა კავშირი ომში უნდა ჩართულიყო გერმანიაზე გამარჯვებიდან არაუგვიანეს სამ თვეში. ზუსტად ასეც მოხდა.

თითქოს ყველაფერი ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოგვიანებით აშშ-მა სიტუაციის შემობრუნება მოინდომა. **ამერიკა გახსნილად დაიმუქრა, რომ, თუ იაპონია გააფორმებდა მშვიდობიან შეთანხმებას და დათანხმდებოდა მისთვის მხოლოდ ორი კუნძულის გადაცემას, აშშ უარს განაცხადებდა იაპონიისთვის რიუკიუს კუნძულების გადაცემაზე. ამრიგად, მშვიდობიანი შეთანხმების ხელმოწერა ჩაიშალა და მის ნაცვლად ცხელი წერტილი გაჩნდა.**

კიდევ ერთი ძალზე საინტერესო მაგალითი კორეის კონფლიქტია. როგორც ცნობილია, **ორი კორეა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა წარმატებით ცდილობდა მშვიდობიანი შეთანხმების მიღწევას და, ალბათ, მიაღწევდნენ კიდეც, საქმეში აშშ რომ არ ჩარეულიყო.** ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ საზღვარი ორ კორეას შორის უნდა გადიოდეს არა 38-ე პარალელზე, სადაც დემილიტარიზებული ზონა იყო, არამედ მნიშვნელოვნად ჩრდილოეთით. ცხადია, ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება ამაზე არ დათანხმდებოდა და სიტუაცია ზუსტად იმ მდგომარეობაში დარჩა, როგორში ხილვის ბედნიერებაც დღემდე გვაქვს.

კიდევ არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. **აშშ კიდევ მრავალ კონფლიქტში ჩაერია და შეგნებულად არ მისცა დამთავრების საშუალება, რის შედეგადაც მსოფლიო მნიშვნელოვნად არასტაბილური და ნამდვილად სახიფათო გახდა. რა მოიგო ამით თეთრმა სახლმა? უნდა აღინიშნოს, რომ ვაშინგტონი ეშმაკურ კომბინაციებს ხლართავს და ამ კომბინაციების მოკლე შინაარსი ასეთია: ქვეყნები ომობენ ერთმანეთთან, საომრად იარაღს ამერიკისგან ყიდულობენ, ამერიკა კი განაგრძობს მათ კარნახსა და მბრძანებლობას.**

როგორც ჩანს, საინფორმაციო ომებიც საკმაოდ სისხლისმღვრელია. რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, ჩრდილოეთ კორეა სამხრეთ კორეაზე მეტი სტაბილურობით გამოირჩევა ორ კორეას შორის შერიგების საკითხთან დაკავშირებით. ამის მიზეზი ჩინეთის დახმარებაცაა.

ადრე საუბარი იყო სამხრეთ კორეაში მაღალტექნოლოგიურ წარმოებებზე, მაგრამ ამ ნამცეცა ეკონომიკის ქვეყანას აშშ წელიწადში მაინც ახარჯებდა 7-დან 20 მილიარდამდე დოლარს. ახლა დახმარების პროგრამები მნიშვნელოვნად მცირდება. კრიზისის გამო აშშ-ის ბაზარი სამხრეთ კორეაში წარმოებულ საქონელს ძველებური რაოდენობით აღარ ყიდულობს. **რაც არ უნდა წარმოუდგენელი იყოს, სულ მალე სეული, შესაძლოა, გაკოტრების ზღვარზე დადგეს. ეს მეორე მიზეზია ჩინეთის სამხედრო ძლიერების ზრდის შემდეგ, რომელიც აშშ-ს აიძულებს, რეგიონში თავისი სამხედრო ძალები გაზარდოს.** როგორც ამ ყველაფრიდან ჩანს, ცხელი წერტილები არა მხოლოდ აშშ-ის მოწინააღმდეგეებს, არამედ მის მოკავშირეებსა და თავად აშშ-საც კი საკმაოდ ძლიერ დამწვრობებს აყენებს.



**DAILYMEDIA**



## „სირიის განმათავისუფლებელი არმიის“ წარმომადგენლებმა თავიანთ უცხოელ სპონსორებს მიმართეს, რათა ამ უკანასკნელთ სირიაში სამხედრო ინტერვენცია დაეწყოთ ბაშარ ასადის ხელისუფლების ჩამოგდების მიზნით

◀ გურებაა, რაშიც ისინი ნამდვილი პროფესიონალები იყვნენ და ესაა ერთადერთი, რისი სწავლაც სირიელ მეამბოხეებს მათგან შეუძლიათ.

**„კოსოვოს განმათავისუფლებელმა არმიამ 1998 წელს დაიწყო მოქმედებათა აქტივიზება, მაგრამ ეს ყოველთვის მხეცობის დემონსტრირების მცდელობა იყო. მისი წევრები დაკავებულნი იყვნენ მოროდიორობითა და არაალბანელთა ეთნიკური წმენდით. ასე რომ, საბრძოლო მოქმედებების ეფექტურად წარმოებისა და პარტიზანული ბრძოლის წარმატებულობისთვის მათგან სასწავლი არაფერია. ეს განგაშის ზარი უნდა გახდეს იმ სირიელთათვის, რომლებიც მხარს არ უჭერენ ოპოზიციას და ქვეყანაში რომელიმე უმცირესობას განეკუთვნებიან სალაფიტების, შიიტების, ქურთებისა და ქრისტიანებისთვის. ზომიერ სუნიტ მუსლიმანებს უნდა ახსოვდეთ, რომ, თუ სირიელი მეამბოხეები კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიისგან ისწავლიან, ეს ასადის რეჟიმის დამხობის შემდეგ სისხლისღვრას ნიშნავს და ადგილი არ დარჩება არავისთვის, გარდა უმრავლესობისა, რომელმაც უკვე განაცხადა თავისი ექსტრემისტული კრედოს შესახებ.“**

**mixednews.ru**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნაციონალური დაჯგუფებები ლამის განსაზღვრებითაც ანტიდემოკრატიული და კონფრონტაციისთვის მომართულნი არიან. ისინი მიისწრაფიან ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნისკენ. ისინი ოცნებობენ იმ დროზე, როდესაც დაემხობა სახელმწიფოცა და საზოგადოებაც, ნანგრევებზე კი „მეოთხე რეიხი“ აშენდება. მათ სურთ, დრო უკან დააბრუნონ: გაანადგურონ ევროკავშირი და მსოფლიო დააბრუნონ ეთნიკურ ან კულტურულ „სისუფთავეზე“ დაფუძნებულ ნაციონალური სახელმწიფოების ეპოქაში, დატოვონ ნატო და გლობალური ეკონომიკური წესრიგი.**

# ფლირტი ფაშიზმთან: რატომ ვერ ძლევს ევროპა ნაციზმისკენ მიდრეკილებას

**როგორც ჩანს, ფინანსურ ქაოსსა და გაურკვევლობაში სულ უფრო მეტად ჩაფლულ ევროპაში ნაციონალისტი დაჯგუფებები ისე აღორძინდნენ, როგორც შავი ჭირის დროს პარაზიტები მომრავლდებიან ხოლმე. როდესაც მსოფლიო ფაშიზმზე გამარჯვების 67 წლის იუბილეს აღნიშნავდა, ევროპას თავზარი დაეცა — განრისხებული ბერძენი ამომრჩევლის 7%-მა არჩევნებზე ხმა ნეონაცისტურ ანტიიმიგრანტულ პარტია „ოქროს გარიჟრაჟს“ მისცა.**



„ოქროს გარიჟრაჟს“ ჰყავს „შავებში ჩაცმული მამაცი ბიჭების არმია“. ეს ბიჭები დაბორიალებენ ბერძნულ ტერიტორიებზე და ნაცისტური მისალმების ანალოგიურად იქნევენ ხელებს, პარალელურად ატარებენ ანტიიმიგრაციულ მიტინგებს და აფრიალებენ დროშას, რომელზეც ფაშისტური სვასტიკის მსგავსი სიმბოლო — ძველი ბერძნული დეკორატიული ნახატი „მეანდრა“ აქვთ გამოსახული. **ეს არის პირველი უკიდურესი მემარჯვენე პარტია, რომელიც ბერძნულ პარლამენტში მოხვდა 1974 წელს ქვეყანაში სამხედრო დიქტატურის დამხობის შემდეგ.**

ევროპის მტკივნეული წარსულის მიზეზი, ხოლოკოსტთან და მეორე მსოფლიო ომის უამრავ უბედურებასთან ასოცირებადი ნაციზმი ევროპაში არამც თუ ცოცხლობს, ზოგიერთ შემთხვევაში ყვავის კიდეც.

**საბერძნეთში ექსტრემისტებმა გააერთიანეს მარგინალიზებული, სასოწარკვეთილი და მომავლის რწმენადაკარგული ადამიანები დაპირებით, რომ ქვეყანას იდილიურად „სუფთა“ წარსულში დააბრუნებენ.**

„ევროპაში მემარჯვენე ექსტრემიზმი გაძლიერდა“, — აცხადებს ბერლინის ფრიდრიხ ებერტის ფონდის პროექტ „მემარჯვენე ექსტრემიზმის წინააღმდეგობის“ ხელმძღვანელი ნორა ლანგენბახერი. — **„მრავალ ქვეყანაში მემარჯვენე ექსტრემისტები და მემარჯვენე პოპულისტები, განსაკუთრებით კრიზისის პერიოდში, ცდილობენ, ევროპის მოქალაქეთა შიშები თავიანთი საქმისათვის გამოიყენონ რთულ სოციალურ გამოწვევებზე მარტივი პასუხების გაცემით“.**

ნაციონალური დაჯგუფებები ლამის განსაზღვრებითაც ანტიდემოკრატიული და კონფრონტაციისთვის მომართულნი არიან. ისინი მიისწრაფიან ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნისკენ. ისინი ოცნებობენ იმ დროზე, როდესაც დაემხობა სახელმწიფოცა და საზოგადოებაც, ნანგრევებზე კი „მეოთხე რეიხი“ აშენდება.

მათ სურთ, დრო უკან დააბრუნონ: გაანადგურონ ევროკავშირი და მსოფლიო დააბრუნონ ეთნიკურ ან კულტურულ „სისუფთავეზე“ დაფუძნებულ ნაციონალური სახელმწიფოების ეპოქაში, დატოვონ ნატო და გლობალური ეკონომიკური წესრიგი.

ნეონაცისტური სუბკულტურა ხშირად ასოცირდება სკინხედებთან, მოჩხუბარ კაცისმკვლელთან, რომელიც სიამოვნებით იყენებს წარსულის შოკისმომგვრელ სიმბოლიკას — სვასტიკას, ბორკილებიან ჩექმებს, რასობრივ ძალადობას, ებრაელების, შავკანიანების, მუსლიმანებისა და ჰომოსექსუალების განადგურების მუქარას...

**გერმანიას მთელი ევროპის მასშტაბით უდიდესი და უძლიერესი არასაპარლამენტო ნეონაცისტური მოძრაობა აქვს და ამ მოძრაობაში დაახლოებით 50 ათასი აქტივისტია გაერთიანებული**






**ნეონაცისტები ყველგან ჩნდებიან: ისინი დგანან ჩეხეთში ბოშებზე თავდასხმების, შვედეთში გეი-აღლუმზე ძალადობების უკან, ისინი ქმნიან პანკ-ჯგუფებს ისეთი სახელწოდებებით, როგორიცაა, მაგალითად, „ბიჭების ესესიდან“ და საფეხბურთო მატჩების დროს დარბევებს აწყობენ.**

არსებობს საიტების, ჟურნალების, ბლოგების, წიგნების, რადიოსადგურების, ტანსაცმლის მწარმოებლების, მუსიკალური მაღაზიების რთული სუბკულტურა, რომელიც საერთაშორისო მასშტაბით უწევს პროპაგანდას ნეონაცისტურ იდეალებს.

**„გერმანიაში მემარჯვენე რადიკალური კულტურა აღორძინების გზაზეა“,** — აცხადებს მიუნჰენის უნივერსიტეტის ანალიტიკოსი ბრიტა შელენბერგი. — **„1989 წლის შემდეგ** (მას შემდეგ, რაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა დაეცა) **მემარჯვნე რადიკალების მიერ ჩადენილი სამართალდარღვევებისა და დანაშაულებების რიცხვმა მკვეთრად იმატა“.**

კომუნიზმის პერიოდში მემარჯვენე ექსტრემიზმი თვლემდა, მაგრამ ახლა ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ის ჩრდილიდან გამოვიდა და აყვავდა კიდეც.

**გერმანიას მთელი ევროპის მასშტაბით უდიდესი და უძლიერესი არასაპარლამენტო ნეონაცისტური მოძრაობა აქვს და ამ მოძრაობაში დაახლოებით 50 ათასი აქტივისტია გაერთიანებული.**

„გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში ყოველდღიურად მინიმუმ ორი-სამი თავდასხმა ხდება მემარჯვენე რადიკალების მონაწილეობით“, — ამბობს შელენბერგი.

მაგრამ, როგორც ჩანს, მოსაზრებები, რომელთაც ადრე გერმანიაში მხოლოდ უკიდურესი მემარჯვენეები იზიარებდნენ და გამოხატავდნენ, მეინსტრიმის პოლიტიკაშიც ჟონავს. **კვლევამ, რომელიც გასულ წელს ფრიდრიხ ებერტის ფონდის მემარჯვენე ცენტრისტული ანალიტიკური ცენტრის მიერ ჩატარდა, ადასტურებს, რომ გერმანელების 13 პროცენტს სურს, ქვეყანას სათავეში ახალი „ფიურერი ჩაუდგეს“, 14,9% კი ეთანხმება ფრაზას: „ებრაელებს ნამდვილად აქვთ რაღაც განსაკუთრებული. სინამდვილეში ჩვენთვის მათთან ცხოვრება ძნელია“.**

გარდა ამისა, ნეონაციზმი განაგრძობს აყვავებას მთელს მსოფლიოში. რუსეთში ბანდა „თეთრი მგლები“ ცენტრალური აზიიდან წარმოშობილთა მკვლელობებში სპეციალიზდება; მონღოლეთის დედაქალაქ ულან-ბატორში ნეონაცისტები იკრიბებიან კლუბში სახელწოდებით „თეთრი სვასტიკა“; ინდოეთში ჰიტლერთან რამენაირად დაკავშირებული საგნები იმდენად პოპულარული გახდა, რომ, ერთ-ერთი გამომცემლობის მტკიცებით, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე „მაინ კამპფის“ 100 ათასი ეგზემპლარი გაიყიდა.

**ნეონაცისტები ისრაელშიც კი გამოჩნდნენ. 2008 წელს გაასამართლეს ათი მოზარდისგან შემდგარი ბანდა მორწმუნე ებრაელებზე თავდასხმისა და სინაგოგების სვასტიკის გამოსახულებით წაბილწვისთვის.**

კვლევების უმეტესობა იმაზე მიანიშნებს, რომ ნეონაცისტები და უკიდურესი მემარჯვენე ექსტრემისტები — „გაბრაზებული თეთრი მამაკაცები“ მკაცრად განსაზღვრული სოციალური პროფილის წარმომადგენლები არიან. როგორც წესი, ისინი მუშათა კლასიდან არიან, აქვთ არასაკმარისი განათლება, ინფორმაციას იღებენ ქსენოფობიური ტაბლოიდებიდან და ღრმად პესიმისტურად აფასებენ თავიანთ ფინანსურ შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს.

**ნოტინჰემის უნივერსიტეტის პოლიტოლოგი მეთიუ გუდვინი ბრიტანეთის მემარჯვენე რადიკალური ნაციონალური პარტიის მომხრეებს შეისწავლიდა და აცხდებს, რომ უკიდურეს მემარჯვენე ფრთაზე ადამიანებს უბიძგებს არსებული პოლიტიკური ვარიანტების მიმართ განხიბვლა. ისინი სხვა ამომრჩევლებზე მეტად არ ენდობიან დედაქალაქისა და ადგილობრივ პოლიტიკოსებს.**

ბრიტანულ ანალიტიკურ ცენტრ Demos-ის მეცნიერი ჯეიმი ბარტლეტი აცხადებს, რომ ბოლო პერიოდში სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ახლახან გამოიკვლია 13 ათასი გვერდი, რომლებიც ევროპის უკიდურესად მემარჯვენე პარტიის წარმომადგენლებს ეკუთვნით და მივიდა დასკვნამდე, რომ მათთვის, პირველ რიგში, მიუღებელია იმიგრაცია და დარდობენ ნაციონალური და ევროპული კულტურის დაუცველობაზე. განსაკუთრებულ საფრთხეს ამ კულტურისთვის ისინი ისლამში ხედავენ.

**„მიღებული შედეგები იმაზე მეტყველებს, რომ გაჩნდა პოპულისტების ახალი თაობა, რომელიც არ არის რეაქციონერი, რასისტი და ქსენოფობი, როგორადაც მას ხანდახან წარმოაჩენენ ხოლმე,** — აცხადებს ბარტლეტი. — **ისინი არიან ახალგაზრდები, გაბრაზებულნი და ახლანდელი უსულგულო პოლიტიკური ელიტისადმი იმედდაკარგულნი, ელიტისადმი, რომელიც, მათი აზრით, არ რეაგირებს იმ დარდსა და შფოთვაზე, რომლითაც მათ უწევთ ცხოვრება“.**

**„პოპულისტები აცხადებენ, რომ ისინი ეკონომიკური ლიბერალიზმისგან დაზარალებული, კუთხეში მიმწყვდეული მხეცები არიან და თავს ესხმიან მეინსტრიმის პოლიტიკოსებს, რითაც ეხმარებიან დემაგოგებს. ეს ასე არ არის. ჩვენი კვლევის თანახმად, მათ შორის უმუშევრობა იმაზე მეტი არაა, ვიდრე მთელ ქვეყანაშია. იმიგრაციის გამო მათი შეშფოთება დაკავშირებულია არა ეკონომიკურ მოსაზრებებთან, არამედ იმ საფრთხესთან, რომელსაც მათი აზრით იმიგრაცია უქმნის ნაციონალურ და კულტურულ იდენტურობას“.**

როგორც წესი, უკიდურესი მემარჯვენე პარტიები თავს ესხმიან იმიგრანტებს, გლობალიზაციას, ევროკავშირს და მულტიკულტურიზმს, ასევე, როგორც უკიდურესი მემარცხენეები, გამოდიან ლიბერალური დემოკრატიის, ლიბერალური კაპიტალიზმისა და ნაციონალური პოლიტიკური ელიტების წინააღმდეგ. ▶

**მეჩვენება, რომ ამერიკელებს მდიდრებისადმი ეს შეშლილი სიყვარული იმ იდეის გამო გაუჩნდათ, რომლის თანახმადაც მდიდარი შეიძლება გახდეს ყველა, ვინც დაუღალავად იშრომებს და დაზოგავს. მით რომნიმ ხომ გამოაცხადა: „მე მდიდარი ვარ და ამის გამო ბოდიშის მოხდას არ ვაპირებ“.**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ბრიტანეთის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის დირექტორი ლიზ ფეკეტე აცხადებს, რომ ევროპაში გაცოცხლდა ნეონაცისტური და მემარჯვენე რადიკალურ-ტერორისტული იატაკქვეშეთი: **„დღეს ვხედავთ ძველი სიძულვილის გაცოცხლებას, როდესაც ბოშები, განსაკუთრებით უნგრეთში, ჩეხეთსა და სლოვაკეთში ეკონომიკური კრიზისის პირობებში კვლავ განტევების ვაცებად იქცევიან. ევროპის სინდისზე დღეს „ხილულ ისლამზე“ მუდმივი თავდასხმები, მუსლიმანების მტრებად წარმოჩენა ავღანეთისა და ერაყის ომების ფონზე“.**

მაგრამ გუდვინი მიიჩნევს, რომ ნეონაცისტური პარტიები არანაირი აღორძინებისა და ძალადობისკენ არ მოუწოდებენ. „ოქროს გარიჟრაჟის“ წარმატება საბერძნეთში, მისი აზრით, მნიშვნელოვანწილად გამონაკლისს განეკუთვნება: **„საბერძნეთიდან მიღებული ცნობების თანახმად, მრავალი ამომრჩეველი პარტიის იდეოლოგიური პროგრამის საქმის კურსში არ იყო და, როგორც წესი, ეს ამომრჩეველი, ძირითადად, ახალგაზრდა მამაკაცებისაგან შედგებოდა. მათი ასაკი 25-დან 34 წლამდეა, ისინი მუშათა კლასის წარმომადგენლები არიან და არ აქვთ უმაღლესი განათლება.**

**მაგრამ ამავე დროს მთელ ევროპაში უფრო მომწიფებული მემარჯვენე რადიკალური პარტიები კვლავაც სარგებლობენ მნიშვნელოვანი და შედარებით მყარი მხარდაჭერით, რასაც ადასტურებს საფრანგეთში ჩატარებული ბოლო არჩევნები და საზოგადოებრივი აზრის კვლევები ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ავსტრია. ამ გამოკითხვების თანახმად, უკიდურესი მემარჯვენეები ყველაზე პოპულარულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენენ 18-25 წლის ახალგაზრდებს შორის“.**

ამ ზრდის ანარეკლია უკიდურესი მემარჯვენე პარტიების წარმატებები. ადრე მათ მარგინალური პოზიციები ეკავათ, მაგრამ ახლა უკვე მნიშვნელოვანი პოლიტიკური წონა აქვთ ავსტრიაში, ბულგარეთში, დანიაში, უნგრეთში, ნიდერლანდებში, შვედეთში, ლატვიაში, სლოვაკეთში და თვით ევროპის პარლამენტშიც კი.

ზოგიერთ ქვეყანაში ისინი მნიშვნელობით მეორე ან მესამე პარტიად იქცნენ და კონსერვატიული კოალიციური ხელისუფლებების გადარჩენის აუცილებელ ელემენტებად ითვლებიან.

**საბერძნეთში „ოქროს გარიჟრაჟს“ პარლამენტში 300-დან 21 ადგილი აქვს და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე გავლენის დიდი იმედი არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია პარტიის ლიდერისთვის, ბერძნების განწმენდაზე, ბინძური იმიგრანტების ქვეყნიდან განდევნაზე და არალეგალური იმიგრანტების შემოსვლის თავიდან ასაცილებლად საზღვრების დანაღმვაზე ესაუბრა.**

**„ნაციების ევროპა ბრუნდება,** — ზეიმობდა იგი არჩევნების ღამეს, — **საბერძნეთი მხოლოდ დასაწყისია“.**

**National Post**

# ღვთის გულისათვის, დამბეგრეთ თქვენი დასამიწებელი გადასახადებით!

**კრის კრისტი, მართალია, მსუქანია, მაგრამ სანტა-კლაუსი ნამდვილად არ არის. სინამდვილეში კრისტმა, როგორც ჩანს, თავადაც ვერ გაარკვია, ვინაა ბოლოს და ბოლოს — ნიუ-ჯერსის გუბერნატორი თუ იტალიური მაფიის იერარქიაში რომელიმე უმაღლესი საფეხურის წარმომადგენელი. ამერიკაში საზოგადოებრივი დისკუსიის გაუხეშების ერთ-ერთი მტკიცებულება ისიცაა, რომ ამ ადამიანის თავხედურ უხეშობებს ხშირად მის განუმეორებელ შარმად აღიქვამენ.**



კრის კრისტი

როდესაც თებერვალში ნიუ-ჯერსიში საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებული კანონის შესწორებებზე მსჯელობდნენ (ამ შესწორების თანახმად, მდიდრები საშუალო კლასზე ნაკლებს გადაიხდიან), კრისტის უორენ ბაფეტის დაკვირვების შესახებ დაუსვეს კითხვა. ბაფეტმა განაცხადა, რომ ფედერალურ საშემოსავლო გადასახადს უფრო ნაკლებს იხდის, ვიდრე მისი მდივანი და რომ ეს უსამართლობაა. **„რატომ არ ვიხდი 50%-ს?“** — იკითხა მაშინ ბაფეტმა. ნიუ-ჯერსის გუბერნატორი კი ამ რადიკალურ იდეას არ გამოხმაურებია. შესაძლოა, იგი დაკავებული იყო ჯერსი-სიტის რესტორან Applebees-ის შვედურ მაგიდასთან, სადაც შეზღუდული არაფერია. სამაგიეროდ ბაფეტს გამოეხმაურნენ კრისტის მსგავსად მოაზროვნე სხვა ადამიანები და მიახალეს: **„გამოწერე ჩეკი და გაჩუმდი, თუ მეტის გადახდა გინდა, გადაიხადე“.**

**მდიდარი ადამიანების უმეტესობა უწინ ნავთს მიასხავს თავის ქონებას, ცეცხლს მოუკიდებს და ცეკვა-სიმღერით ირბენს კოცონის ირგვლივ, ვიდრე თუნდაც ერთი ცენტით მეტს გადაუხდის ძია სემს.** კი, ზოგიერთი მდიდარი თავისი დანაზოგიდან გარკვეულ ნაწილს საქველმოქმედო ორგანიზაციებსა და ფონდებს გადასცემს. მე მდიდარი ვარ და ჩემს მეუღლესთან ერთად ყოველწლიურად 4 მილიონს ვხარჯავ ქველმოქმედებაზე. იგივეს აკეთებენ უორენ ბაფეტი, ბილ გეიტსი, სტივენ სპილბერგი, ძმები კოხები და სხვები. ანალოგიურად იქცეოდა განსვენებული სტივენ ჯობსიც და ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ არასაკმარისი.

ეს ერთი პროცენტის გამლები მეცენატები საკუთარ თავზე არ იღებენ პასუხისმგებლობას მთელ ამერიკაზე: ეს არის მზრუნველობა ავადმყოფებსა და ღატაკებზე, ახალგაზრდების განათლება, ნგრევადი ინფრასტრუქტურის რემონტი, ომის წლების მანძილზე დაგროვილი კოლოსალური ვალების გადახდა.

**მდიდრების ქველმოქმედებით ვერ შეაჩერებ გლობალურ დათბობას, ერთი საცოდავი ცენტითაც კი ვერ შეამცირებ ბენზინის ფასს. ამგვარ გადარჩენას ვერ უზრუნველყოფს ვერც „ფეისბუქის“ დამაარსებელი მარკ ცუკერბერგი და და ვერც „მაიკროსოფტის“ აღმასრულებელი დირექტორი სტივ ბალმერი, რომელთაც შეუძლიათ გამოაცხადონ: „კარგი, მე გამოვუწერ აშშ-ის საგადასახადო სამმართველოს 2-მილიონიან ჩეკს ბონუსის სახით“. ეს თავმოსაბეზრებელი პასუხისმგებლობა განისაზღვრება იმ სამი სიტყვით, რომლებიც ესოდენ სძულს „ჩაის პარტიას“.**

და რატომ არ უნდა დაკავდნენ მდიდრები ამით სერიოზულად? მდიდრების უმეტესობა, იხდიან რა გადასახადის სახით საკუთარი შემოსავლის 28%-ს, დამატებით 28%-ს არ იძლევა ქველმოქმედებისთვის. უმეტესობას მოსწონს, როცა მთელი ფული მასთან რჩება. ისინი არასდროს აცარიელებენ თავიანთ საბანკო ანგარიშებს და საინვესტიციო პორტფელებს. ისინი ინახავენ საკუთარ სიმდიდრეს და შემდეგ თავიანთ შვილებსა და შვილიშვილებს გადასცემენ. ხოლო ის, რასაც ისინი მაინც გასცემენ, მხოლოდ ამ ადამიანების პირადი შეხედულებების მიხედვითაა განსაზღვრულ-გაანგარიშებული. აი, მდიდარი ბიჭების ცხოვრებისეული ფილოსოფიის არსი: არ არის საჭირო ჩვენთვის მითითება, თუ როგორ დავხარჯოთ ჩვენი ფული. ამას ჩვენ თავად გეტყვით.

ძმები კოხები მუტანტი-კრიპოზოიდები არიან და თავიანთ ფულს თავისსავე მსგავს მუტანტ-კრიპოზოიდებს აძლევენ. აი მაგალითი: **68 მილიონი ამერიკული დოლარი კერძო სკოლა DEERFIELD ACADEMY-ს გადაეცა, რასაც ვულოცავთ კიდეც, მაგრამ მექსიკის ყურის გასაწმენდად ფულის გამოყოფა მათ არ სურთ და ნაკლებად ადარდებთ, რომ მექსიკის ყურეში უკვე დაცურავენ პათოლოგიური ცვლილებებით დამახინჯებული თევზები. მდიდრები ფულს არ გადაიხდიან იმისთვის, რომ „ბრიტიშ პეტროლიუმის“ მსგავს მენავთობეთა კორპორტის არარაობებს ნორმები გაუმკაცრდეთ, რათა მსგავსი კატასტროფები აღარ განმეორდეს.** მდიდრები არ წავლენ დამბების შესაკეთებლად ახალი ორლეანის ირგვლივ, არ იზრუნებენ განათლების ხარისხის ამაღლებაზე მისისიპსა და ალაბამაში. ან რატომ უნდა იზრუნონ, იქაური ღატაკების შვილები მაინც ვერასდროს მოხვდებიან Deerfield Academy-ში.

აი, კიდევ ერთი ნაჭერი სულ ცხელ-ცხელი საზიზღრობიდან, რომელიც ქვეყანას რესპუბლიკელთა მარჯვენა ფრთამ მოავლინა და რამდენადაც ვხვდები, დღესდღეობით ეს მისი ერთადერთი ფრთაა. ჰოდა, ამ ფრთის მტკიცებით, რაც უფრო მდიდრები არიან მდიდრები, მით უფრო მეტ სამუშაო ადგილს ქმნიან. ნუთუ მართლა? მე ხელფასს ვუხდი 60 ადამიანს. მათი უმეტესობა მუშაობს ჩემს კუთვნილ ორ რადიოსადგურში ერთდროულად. თუ ფილმისგან დაახლოებით 200 მილიონ დოლარს მოვიგებ, რას ვუზამ ჩემს ფულს? ვიყიდი კიდევ ერთ რადიოსადგურს? არა მგონია, ისედაც ფულს ვკარგავ უკვე არსებული ორის შენახვაზე. დავუშვათ, მაინც ვიყიდე კიდევ ერთი რადიოსადგური და დავიქირავე კიდევ ათიოდე თანამშრომელი. ამ ათს კი გაუმართლებს, მაგრამ დანარჩენი ეკონომიკა წყალსაც წაუღია.

არ მინდა განვმეორდე, მაგრამ მაინც ვიტყვი, თუ **რას აკეთებენ მდიდრები, როდესაც უფრო მდიდრები ხდებიან. ისინი იწყებენ ინვესტირებას, თანაც ინვესტიციების დიდი რაოდენობა საზღვარგარეთ მიდის ბოლო ოთხი ადმინისტრაციის ბიზნესის სფეროში ანტიამერიკული პოლიტიკის წყალობით.** აბა, შეამოწმეთ იარლიყი იმ მაისურზე ან კეპზე, რომელსაც ატარებთ. თუ მას ეწერება, „დამზადებულია ამერიკაში“... საკუთარ შორტს ვერ შევჭამ, რადგან ამ შორტსაც ამერიკაში აწარმოებენ, ოღონდ ძალზე მცირე რაოდენობით. თუ ახლა ჩვენთან რამეს აკეთებენ, ამას ჩვენი პლუტოკრატების მცირერიცხოვან კადრებს ვერ მივაწერთ. ძირითადად ამას აკეთებენ ამერიკის უკიდურესი სამხრეთით მდებარე სულისმღაფავ ფაბრიკებში.

**ამერიკელი სენატორები და წარმომადგენელთა პალატის წევრები, უარს აცხადებენ რა, თუნდაც დაფიქრდნენ მდიდრებისთვის გადასახადების გაზრდაზე, ამ თემაზე საუბრის დაწყებისთანავე ისე გაჰკივიან, როგორც დამდუღრული ბავშვები. ეს ადამიანები ძირითადად სუპერმდიდრები არ არიან, თუმცა, მათ შორის ბევრი მილიონერია და უკვე ყველას აქვს ისეთი სამედიცინო დაზღვევა, როგორიც ობამას პროგრამითაა გათვალისწინებული. ისინი უბრალოდ ქედს იხრიან მდიდრების წინაშე.** არ მკითხოთ რატომ, მე თავადაც არ მესმის ეს, იმიტომ, რომ მდიდრების უმეტესობაც თავმოსაბეზრებელი და მოსაწყენია. ყველა მიტჩ მაკკონელი, ჯონ ბონელი და ერიკ კანტორი უბრალოდ ვერაფერს უხერხებს საკუთარ თავს. ეს ბიჭები და მათი მომხრეები მარჯვენა ფრთიდან ისევე ღვთაებასავით შესცქერიან მდიდრებს, როგორც ახალგაზრდა გოგონები მომღერალ ჯასტინ ბიბერს — პირდაღებულები და ნიკაპებამდე დორბლჩამოსულები. ხანდახან მეც ასე მიყურებენ, მაგრამ მე ბავშვი ვარ ნამდვილ მდიდრებთან შედარებით. ისინი უშფოთველად დანავარდობენ უბედობებთან მებრძოლი საშუალო ფენის თავზე ათასდოლარიანი ბანკნოტებისგან აგებული ბუშტებით.

თვით უორენ ბაფეტიც, რომელიც გააძევეს მდიდრების კლუბიდან ეკონომიკის შესახებ რადიკალური იდეების გამო, ლამის ყველა გაზეთის გარეკანზე აღმოჩნდა, როდესაც გამოაცხადა, რომ პირველი ხარისხის სიმსივნე აქვს. ამერიკაში არის ასობით კლინიკა, რომლებიც განკურნავს მას, ის კი თავისი შავი American Express-ით აანაზღაურებს მკურნალობის ხარჯებს. მაგრამ ამერიკულმა პრესამ წარმოუდგენელი პანიკა ატეხა და არა იმიტომ, რომ სიმსივნე აქვს, არამედ იმიტომ, რომ უორენ ბაფეტს აქვს.

**მეჩვენება, რომ ამერიკელებს მდიდრებისადმი ეს შეშლილი სიყვარული იმ იდეის გამო გაუჩნდათ, რომლის თანახმადაც მდიდარი შეიძლება გახდეს ყველა, ვინც დაუღალავად იშრომებს და დაზოგავს. მით რომნიმ ხომ გამოაცხადა: „მე მდიდარი ვარ და ამის გამო ბოდიშის მოხდას არ ვაპირებ“.**

არც არავინ ითხოვს შენგან ამას, მით! უბრალოდ ჩვენ შორის ისინი, ვინც ჯერ კიდევ არ დაყრუებულა ამდენი ტყუილისგან იმ ფაქტის დასამალად, რომ მდიდრებს არ სურთ თავიანთ დასამიწებელ ფულთან განშორება, ითხოვენ, რომ აღიარო, რომ ამერიკის გარეშე ამერიკაში ამას ვერ მიაღწევდი; რომ შენ გაგიმართლა და დაიბადე ქვეყანაში, სადაც შესაძლებელია ზემოთ ასვლა, მაგრამ ამგვარი მატერიალური და კარიერული ზრდის არხები სულ უფრო და უფრო ბინძურდება; რომ **უსამართლობაა, საშუალო ფენისგან მოითხოვო, საკუთარ თავზე აიღოს შეუსაბამოდ დიდი საგადასახადო ტვირთი.** უსამართლობაა? ჩვენ ხომ ამერიკაში ვცხოვრობთ. მე არ მსურს, რომ ბოდიში მოიხადო სიმდიდრის გამო. მე შენგან იმის აღიარება მინდა, რომ ამერიკაში ყველა თავის წილს უნდა იხდიდეს **სამართლიანად. აღიარე, რომ სკოლაში საზოგადოებათმცოდნეობის გაკვეთილებზე ჩვენთვის არავის უსწავლებია, რომ ამერიკელობა მხოლოდ საკუთარი თავისთვის ყოფნას ნიშნავს. ის, ვინც ბევრს იღებს, ვალდებულია გადაიხადოს — გადაიხადოს და არა მისცეს ან აჩუქოს, როგორც გუბერნატორი კრისტი ამბობს — შემოსავლების შესაბამისად. ამას პატრიოტიზმი ჰქვია.**

სწორედ ასე უნდა მოიქცეს ამერიკა, თუ სურს, რომ დარჩეს ძლიერი და თავისი იდეალების ერთგული ქვეყანა. ეს პრაქტიკული აუცილებლობა და მორალური ვალია.

**სტივენ კინგი**, მწერალი

**The Daily Beast**

იუბილე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

კანიბალისტური თეორია უხვ საზრდოს პოულობს გადარეულ ნიცშეს ზეკაცის თეორიაში. ეს იყო აპოლოგია უგულო მხეცკაცისა. ამ „ზეკაცებიდან“ გამოჩიჩქნეს გერმანელი გრუპპენ-ფიურერები და ესესელები. ასეთი გამხეცებული, ვითომდაც ზეკაცების ინკუბატორებია დადგმული ამერიკული კინოს სატახტო ჰოლივუდში, ამერიკული „რიდერს დაიჯესტის“ რედაქციებში. ამავე მიმართულებით მუშაობენ ამერიკელი რომანისტები ჯეიმს ჯონსი და უილინგ ჰემი, რომელთაც საშინელის, ამაზრზენის გამოსახვაში გადაასწრეს ედგარ პოსა და სტივენსონს.



**კონსტანტინე გამსახურდიას დაბადებიდან 119 წელი შესრულდა. ისტორიული რომანების, ესსეებისა და ნოველების გარდა, მის კალამს არაერთი პუბლიცისტური წერილი ეკუთვნის. „ევროპული რეაქცია და ამერიკული კანიბალიზმი“ ერთ-ერთი მათგანია, რომელიც იმდენად თანამედროვეა, რომ მკითხველს უთუოდ საგანგებოდ გაზეთის ამ ნომრისთვის დაწერილი ეგონება.**

კონსტანტინე გამსახურდია

# ევროპული რეაქცია და ამერიკული კანიბალიზმი

დასასრული. დასაწყისი იხ. №18 (156)

რეაქციულ-ანარქისტული ინდივიდუალიზმის ლიდერი იყო მაქს შტირნერ, რომელსაც ეკუთვნის ტრაქტატი: „ერთადერთი და მისი საკუთარი საკუთრება“ („დერ აინციგე უნდ ზაინ აიგენტუმ“). ამერიკული სადისტურ-კანიბალისტური ლიტერატურისა და კინოს პროდუქტზე ზეგავლენა მოახდინეს ფრანგმა სიმბოლისტებმა: ბოდლერმა — „ბოროტების ყვავილების“ ავტორმა, არტურ რემბომ, მალარმემ, ფრანგმა რომანისტებმა მირბომ და ანდრე ჟიდმა, ინგლისელმა ესთეტმა ოსკარ უაილდმა. ესენი იყვნენ აპოლოგეტები სიგიჟისა, თავის ჩამოხრჩობისა, ჰაშიშით თრობისა, სქესობრივი უტიფრობისა და სხვა. მათ მიერ წამოსროლილი ლოზუნგი „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ მისწვდა ამ უკანასკნელ საუკუნეში ყველა კულტურული ერის მწერლობას. სიჭაბუკეში მრავალ თანამედროვეს ჩაგვწვეთებია ამ აბსურდული თეორიის შხამი. გონებადამჯდარი ადამიანისათვის ეს თეორია ისეთივე უაზრობაა, როგორც ასეთი რამ: ქიმიკოსებმა რომ განაცხადონ ერთ მშვენიერ დღეს: ქიმია — ქიმიკოსებისათვის, ან მათემატიკოსებმა — მათემატიკა მათემატიკოსებისათვის და ა. შ.

უკანასკნელ ათეულ წლებში განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდა ბურჟუაზიული ფრანგი მწერალი ანდრე ჟიდი, ხელმძღვანელი ფრანგული ჟურნალისა: „ლა ნუველ რევიუ ფრანსეზ“.

ლიტერატურულ პროდუქციას თავი რომ დავანებოთ, ზემოხსენებულმა პირებმა მსოფლიო მასშტაბით წაბილწეს მწერლის სახელი და მისი პროფესია. **მწერლობა ყოველ დროში და ყოველ ხალხში მიჩნეული იყო მუდამ, როგორც ზნეობრივი სიფაქიზისა და ვაჟკაცური სულის რეფლექსი, ამიტომაც განაცხადა დიდმა გოეთემ: უანგარობა — ეგ არის ჩემი შემეცნების უმთავრესი კავშირი.**

ერთი წუთით წარმოიდგინეთ გოეტეს და შილლერის მსოფლმხედველობათა ფონზე (ან მოვიგონოთ შილლერის ლექსი: „ყელს მოგეხვევით, მილიონებო“, რომელიც საფუძვლად დაედო ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიას) ანდრე ჟიდის, ნიცშეს, მირაბოს და უაილდის მიერ პერმანენტულად წარმოებული აპოლოგია ავკაცობისა, ზნეობრივი გათახსირებისა, მამათმავლობისა და სქესობრივი აღრევისა.

**უზნეო იდეები სარეველა ბალახსა ჰგვანან, თუ წვიმებმა ხელი შეუწყვეს და გამომხშირავი არ გამოუჩნდა ყანებს, ქვეყანას წალეკავს სარეველა ბალახი.**

**ამ სიავის მწერლობას ნიადაგს უქმნიდა და უქმნის ევროპისა და ამერიკის კაპიტალისტური ატმოსფერო.**

ზიგმუნდ ფროიდის „ფსიქოანალიტური“ სისულელეები, რომელთა პერიფრაზაც უხერხულია კეთილად აღზრდილ ადამიანთა წრეში, ტოტემისა და ტაბუს ბნელი ინსტინქტების გამოჩიჩქნაა თანამედროვე ადამიანის ფსიქიკაში. ფროიდი ფსიქოანალიტიკის თვალსაზრისით ხსნის ჰამლეტის პრობლემას და ევრიპიდეს ტრაგედიის ზოგიერთ საკითხს.

**კანიბალისტური თეორია უხვ საზრდოს პოულობს გადარეული ნიცშეს ზეკაცის თეორიაში. ეს იყო აპოლოგია უგულო მხეცკაცისა. ამ „ზეკაცებიდან“ გამოჩიჩქნეს გერმანელი გრუპპენ-ფიურერები და ესესელები. ასეთი გამხეცებული, ვითომდაც ზეკაცების ინკუბატორებია დადგმული ამერიკული კინოს სატახტო ჰოლივუდში, ამერიკული „რიდერს დაიჯესტის“ რედაქციებში. ამავე მიმართულებით მუშაობენ ამერიკელი რომანისტები ჯეიმს ჯონსი და უილინგ ჰემი, რომელთაც საშინელის, ამაზრზენის გამოსახვაში გადაასწრეს ედგარ პოსა და სტივენსონს.**

„ნებისყოფა ძალაუფლებისადმი“ და „ბატონკაცური მორალი“ („ჰერრენმორალ“), რომელიც გაგიჟების პერიოდში იქადაგა ნიცშემ, საფუძვლად დაედო როგორც გერმანელი ფაშისტების, ისე ამერიკელი ნეოფაშისტების პოლიტიკასა და სულიერ ვითარებას. ნიცშემ თავის დროზე აღიარა: ბატონკაცური მორალის იდეები მაშინ ჩამესახა, როცა პრუსაკების პოლკები ვნახეო, 1871 წლის ფრანგ-გერმანელთა ომში მიმავალნი, ანდრე ჟიდსა და ნიცშეს აერთებს ავადმყოფური ეგოცენტრიზმი. ნიცშეს თავის „ექსე ჰომოში“ მთელი თავი აქვს ასეთი სათაურით: „იმის შესახებ, თუ რატომ ვარ მე ასე ჭკვიანი“. ერთ ადგილას იგი ასეთი კალამბურის ნებას აძლევს თავის თავს: „ქრისტეს რომ ჩემოდენი ეცხოვრა, ჩემსავით ჭკვიანი იქნებოდა“. თავის ზარატუსტრას პირით ნიცშე აცხადებს: „ადამიანისადმი სიყვარული მომკლავდა მე“.

ამ მიზანტროპიას ჰქადაგებდა საფრანგეთში ანდრე ჟიდი, რომელიც უპრინციპობის, მოღალატეობის, ამორალიზმის აპოლოგეტად გამოდიოდა ამ უკანასკნელ ნახევარი საუკუნის მანძილზე ევროპის მწერლობასა და პრესსაში.

„კაცთმოყვარეობა არასოდეს ყოფილა ჩემი საქმე... ჩვენ გვარწმუნებენ, რომ ეგოიზმისაგან ხსნის ერთადერთი საშუალებაა, მასზე უფრო საზიზღარი რამ, ე.ი. ალტრუიზმი, კაცთმოყვარეობა“, — წერს იგი.

ანდრე ჟიდი მოექცა მეორე, ნიცშესავით აგრესიული ფილოსოფოსის შოპენჰაუერის ზეგავლენის ქვეშ. ცნობილია, რომ არტურ შოპენჰაუერი ხელოვნებას თვლიდა, როგორც „ნებისყოფას ცხოვრების უარყოფისაკენ მიდრეკილს“.

ჟიდი ეპიგონური მორჩილებით ათქმევინებს ამავე აზრს თავის ერთ-ერთ გმირს: **„კულტურა ჰკლავს სიცოცხლეს“.**

**თავისთავად გასაგებია: ნიცშესა და ჟიდის გზაზე თუ წავიდა კაცობრიული კულტურა, იგი უცილობლად მოჰკლავს ცხოვრებას.**

თავისი ამორალისტური ქადაგებანი პრაქტიკულადაც გაამართლა ანდრე ჟიდმა ისეთ მძიმე წლებში, როცა ავადსახსენებელი ადოლფ ჰიტლერის შტურმბატალიონები თავს დაესხნენ საფრანგეთს. ნაცვლად იმისა, რომ ასეთ განსაცდელის ჟამს საკუთარ ხალხს წინ გასძღოლოდა, აფრიკაში გაიქცა და სანტიმენტალური დღიურების წერა დაიწყო: გულმოდგინედ ამტკიცებდა: **პატრიოტიზმის გრძნობა ისევე წარმავალიაო, როგორც სხვა ადამიანური ვნებები.**

ბალზაკმა უცნაური წინათქმის უნარი გამოიჩინა თავის დროზე, გაყიდული ჟურნალისტების, ფულის, სახელისა და კარიერისათვის გაწუწკებული მწერლების პორტრეტები ისეთი სიძლიერით დახატა, ბევრი თანამედროვე ევროპელი და ამერიკელი ჟურნალისტი და მწერალი თავის საკუთარ თავს იცნობს უეჭველად მათში.

„ფულმა გარყვნა ჟურნალისტი ემილ ბლონდე, გაყიდული კალმოსანი, რომელიც თავის კალამს და სინიდისს სიამოვნებით მიჰყიდის ყოველ გამვლელს. იგი მომხიბვლელ კურტიზანს გვაგონებს“. ასეთი მწერლების გამო ბალზაკი წერს: „მათ დიაცური ქოშები უფრო მოუხდებოდათ ფეხებზე, ვიდრე ვაჟკაცური წაღები“. **„ლიტერატურის ქვედა ფენებში მწერლობა საცოდავი მეძავია, შუათანაში უბრალო კოკოტა, ჟურნალიზმის საროსკიპოდან გამოსული, ხოლო სახელმოხვეჭილ დიდ ლიტერატურაში — ბრწყინვალე და თავხედი როსკიპი. დადგება დრო, როცა გაზეთები ღალატის, გაიძვერობის და სიცრუის არენად იქცევა“,** ამასაც იგივე **ბალზაკი** წერდა გასულ საუკუნეში, მაგრამ ზოგიერთ ამერიკელ და ევროპელ ჟურნალისტს კეფაში ხვდებოდა ეს სიტყვები დღესაც.

ემილ ზოლა და მთელი პლეადა რეალისტი მწერლების მე-19 ს. იბრძოდნენ ადამიანის ბუნებიდან მხეცის გაძევებისათვის, როგორც ანდრე ჟიდი და სელინი, ისე ამერიკელი ზოგიერთი რომანისტი და კინოფილმის სცენარისტები უმღერიან ადამიანის ბუნებაში მხეცის გაღვიძებას.

ეს ბულბულები ისე გალობენ, როგორც მათი პატრონები — ჰარიმანები, მორგანები, მელონები და სხვა ამერიკელი მილიარდერები უკარნახებენ.

**დეტექტიური რომანისტიკისა და კინოს აღმავლობა ამერიკაში — ეს საშინელის, შემზარავის ხაზგასმა, მკვლელობის, მოხრჩობის, სადიზმის აპოლოგია ამერიკულ მწერლობასა და კინოფილმებში ნიცშეს, ანდრე ჟიდის, მარკიზ დე სადის რეაქციული აზროვნების უკუფენაა. ამ მომენტით სარგებლობს ამერიკული ჰოლივუდი და შერლოკხოლმსური ლიტერატურის გამომცემელთა მთელი ხროვა. ამავე სათავეებიდან გამომდინარეობს სენსაციური ბუნება ამერიკის უახლესი ლიტერატურისა და კინოსი.**

ახალმა ამერიკამ დაივიწყა ჰუმანისტური ტრადიციები შესანიშნავი ამერიკელი მწერლების — ლონგფელოსი და ბიჩერ სტოუსი; ჰაივატას სიმღერას და „ბიძია თომას ქოხს“ რომელი ჩვენთაგანის გულში არ აღუძრავს სათნოებით მოსილი სიყვარული ბედისაგან განწირული ფერადკანიანი თანამოძმეების მიმართ. ჩვენს ეპოქაში უთუოდ დიდი ფაქტორია კინო, მაგრამ მას თავისი ადგილი აქვს ხელოვნებათა და დამხმარე ხელოვნებათა იერარქიაში. ნორმალურ კულტურულ ვითარებაში მწერლობის დომინანტა არსებობდა მუდამ. მისი ზეგავლენის სფეროებში შედიოდნენ თეატრი, მხატვრობა და მუსიკა. ბიზე, ვერდი, ვაგნერი, ჩაიკოვსკი და შუმანი მწერლობის ინსპირაციებს ილებენ სახელმძღვანელოდ. თანამედროვე კინო და თეატრიც ლიტერატურის დომინიონებია და არა მეტროპოლიები. ამერიკული მწერლობის სიძაბუნის ბრალია, კინოს ზეგავლენის ქვეშ რომ მოექცა იგი. **ამერიკულმა ჰოლივუდმა გამრყვნელი ზეგავლენა მოახდინა ამერიკულ ლიტერატურაზე, და არა მარტო ამერიკულზე.**

სქემატიზმი მიუცილებელი ფაქტორია კინოში, მაგრამ მწერლობაში იგი დამღუპველია. იგივე ითქმის სენსაციურობის გამოც. სენსაცია ერთ-ერთი კომპონენტია კინოფილმისა, მაგრამ სენსაციურ ეფექტებს იწვევენ მხოლოდ ისეთი ქმნილებები, რომელნიც წამიერად გაიშხუილებენ ხოლმე ლიტერა- ▶

## იაპონელები გადაშენების პირას არიან

**იაპონელმა მკვლევარებმა გამოაქვეყნეს შემაშფოთებელი სტატისტიკა, რომლის თანახმად, იაპონელები 1000 წლის შემდეგ საერთოდ აღარ იქნებიან. ეს დასკვნა შობადობის დაბალი მაჩვენებლის საფუძველზე გააკეთეს.** „ქალაქ სენდაის მკვლევარების მონაცემებით, ამ დროისთვის ქვეყანაში 14 წლამდე ასაკის 16.6 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, თუმცა მათი რიცხვი ყოველ 100 წამში ერთით მცირდება. ამ ლოგიკით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 1000 წელში იაპონიაში ბავშვები საერთოდ აღარ იარსებებენ“, — წერს მეცნიერი იოსიკაზუ ცუნო. თავის მხრივ, უნივერსიტეტ ტოჰაკუს ეკონომიკის ფაკულტეტის პროფესორმა ჰიროსი იოსიდმა აღნიშნა, რომ თუ შობადობის მაჩვენებლები არ მოიმატებს, 3011 წლის 5 მაისს, ბავშვთა დაცვის ნაციონალურ დღეს, იაპონიაში 14 წლამდე ასაკის მხოლოდ ერთი ბავშვი იცხოვრებს.

## პუტინის ვიზიტების შესახებ ინფორმაცია გახმაურდა

**რუსულმა მედიამ ქვეყნის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის უახლოეს მომავალში დაგეგმილი ვიზიტების შესახებ ინფორმაცია მოიპოვა.** რუსული გამოცემების ცნობით, პუტინი პრეზიდენტის რანგში 31 მაისს ბელარუსს ეწვევა, ამის შემდეგ იგი საფრანგეთსა და გერმანიაში ჩავა. ბერლინიდან პუტინი რუსეთში დაბრუნდება და მოგვიანებით, 6-7 ივნისს, ჩინეთს ესტუმრება. რუსული მედიის ინფორმაციით, პუტინი ყაზახეთში ვიზიტსაც გეგმავს.

ეს ამერიკული დეტექტიური რომანები და „მორდერ მისტერისტორი"-ს სერიის ფილმები, ეს ტანზანომანია და მაიმუნების აპოლოგია, ყოველივე მომასწავებელია იმისა, რომ თვით ამერიკული სახელმწიფო დაინტერესებულია, ხელოვნურად ჩაუნერგოს ამერიკელ ხალხს კანიბალისტური ვნებები, რათა ამ გზით თავისი ბნელი საქმეები აკეთოს ევროპასა და აზიაში.

იუბილე

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკული კინოს უარყოფითი ზეგავლენის ნაყოფია «ამერიკული დეპეშური სტილი». ლაპიდარობა ნოველაში და სცენაში დიახაც საჭიროა, მაგრამ ეპიკური ქმნილებებისათვის, განსაკუთრებით რომანისათვის, იგი მომაკვდინებელია

◀ ტურის ცარგვალზე და ასეთივე სისწრაფითვე ჰქრებიან.

რეკლამას, თვითრეკლამას და სენსაციას დახარბებული მწერალი, ან სხვა რომელიმე ხელოვანი, საკუთარ სულმოკლეობასა და შემოქმედებითს უძლურებას ამჟღავნებს მხოლოდ და ეს გრძნობები იმიტომაც აღეძვრის მას, თავად არ სჯერა თავის ქმნილებათა გამძლეობისა. ქებას დახარბებულ ხელოვანს ორი რამ აწუხებს: სულიერი სიცარიელე და დაეჭვება საკუთარი ტალანტის მიმართ... ამით აიხსნება ამერიკელი მწერლების გატაცება სენსაციითა და რეკლამით, ნიღაბებით რბენა ქუჩებში და ისეთი ყომარბაზობა, როგორსაც სჩადიოდნენ ამ 30 წლის წინათ ჩვენი ფუტურისტები, რომელნიც როიალებს ჭერზე ჰკიდებდნენ და ქალის ლიფს გადაიცვამდნენ ხოლმე.

ამერიკული კინოს უარყოფითი ზეგავლენის ნაყოფია „ამერიკული დეპეშური სტილი". ლაპიდარობა ნოველაში და სცენაში დიახაც საჭიროა, მაგრამ ეპიკური ქმნილებებისათვის, განსაკუთრებით რომანისათვის, იგი მომაკვდინებელია. ამიტომაც ვერ დასწერა ჰემინგუეიმ ნამდვილი რომანი, სწორედ ამიტომაც საკითხავადაც აუტანელია ზოგიერთი ამერიკული დეტექტიური რომანი, არც ამერიკელი სტეინბეკი იკითხება დიდი ხალისით.

**ამერიკული კინო უმიზნებს უკულტურო მაყურებელთა მასებს, რომელთაც მხოლოდ სენსაცია აღელვებს.** ცნობილია: ყოველი სულიერად გამოფიტული ადამიანი სენსაციას დახარბებულია. **ამერიკელ რომანისტებსა და ჰოლივუდის სცენარისტებს დავალებული აქვთ, ადამიტური, ფროიდის ენით რომ ვთქვათ, „ფსიქოანალიტური" საწყისების გაღვივება.** რომის იმპერატორები უფრო მცირე მასშტაბით აკეთებდნენ იგივეს. ვიდრე ომებში წაასხამდნენ ხალხებს, მათ კოლიზეუმში თავს მოუყრიდნენ და აჩვენებდნენ ლომების მიერ დაგლეჯილ გლადიატორებს. ამერიკელი ბიზნესმენები მწერლობისა და კინოსაგან მოითხოვენ ამორალიზმის, მიზანტროპიის ჩანერგვას ახალი თაობის გულში. ამგვარად, ჰარიმანებს, მორგანებს და ფორდებს და მათ მთავრობას უმზადებდნენ კორეაში, ან სხვა ქვეყნებში გასაგზავნ კაცისმკვლელების კადრებს. ჰოლივუდის გაყიდული მწერლები და სცენარისტები უცნაურად გვაგონებენ იმ ფრანგ ჟურნალისტებსა და მწერლებს, რომელთა გამო ბალზაკი ოხუნჯობდა: მათ დიაცის ქოშები უფრო დამშვენდებათ, ვიდრე მამაკაცის წაღები...

როდესაც ლიტერატურას სენსაციები და ექსტრავაგანტური მისტიფიკაციები დასჭირდება, ეს ჩვენ გვაგონებს იმ კუჭმოშლილ ღორმუცელებს, რომელთაც აპერატივი თუ არ დალიეს, ჭამა არ შეუძლიათ.

**ეს ამერიკული დეტექტიური რომანები და „მორდერ მისტერისტორი"-ს სერიის ფილმები, ეს ტანზანომანია და მაიმუნების აპოლოგია, ყოველივე მომასწავებელია იმისა, რომ თვით ამერიკული სახელმწიფო დაინტერესებულია, ხელოვნურად ჩაუნერგოს ამერიკელ ხალხს კანიბალისტური ვნებები, რათა ამ გზით თავისი ბნელი საქმეები აკეთოს ევროპასა და აზიაში.**

მწერლები შუა საუკუნეებში არსებითად მეფეების, პაპების და თავადების ნასუფრალით იკვებებოდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დანტე, სერვანტესი, გოეტე, მუდამ ახერხებდნენ კეთილშობილ იდეებისათვის ლაშქრობას. ამასწინათ პრესაში გამოქვეყნდა ინგლისელი მწერლების: ჯეკ ლინდსეისა და პატრიკ ჰოლდრინგის ფრიად დამაფიქრებელი წერილები. **ლინდსეი პირდაპირ აღიარებს: ამერიკული მწერლობისა და კინოს ზეგავლენისაგან უდიდესი საფრთხე მოელის ჩვენს კულტურას; ილუპება ტრადიციები ჩოსერისა და შექსპირისა, მილტონის და შელისა.**

**ჰოლდრინგი ილაშქრებს ამერიკული ე.წ. „კომიკსის" ბროშურების და ამერიკული ჟურნალის — „რიდენს დაიჯესტის" გამხრწნელ ზეგავლენათა წინააღმდეგ.** ჩატამში ბავშვმა რევოლვერით მოჰკლა პოლიციელი, დამნაშავეს „კომიქსის" ბროშურა უპოვნეს ჯიბეში, ინგლისელ მწერალთა გაერთიანება, რომელშიაც შედიან ისეთი ცნობილი მწერლები, როგორიც არიან: ჯეიმს ოლდრიჯ, ა. კოპჰარდ. მიჩისონ და სხვანი, მოითხოვენ, აიკრძალოს ამერიკული ბროშურები კომიკსის სერიისა. ამერიკული კინოს და მწერლობის ასეთი პროდუქციების იმპორტის აღკვეთას მოითხოვენ ინგლისელ ქალთა საზოგადოებანი, მასწავლებელთა კორპორაციები და პარლამენტის წევრები.

**უკანასკნელი ორი-სამი ათასეული წლის მანძილზე აღსანიშნავია ორი კარდინალური ტენდენცია კაცობრიობის ისტორიაში: აღმოცენება დიდი იმპერიალისტური კონგლომერატებისა და მათი რღვევა, ამ კონგლომერატების ძალით შეკოწიწების საფანელი იყო მცირერიცხოვანი ერების გასრესა და, სადაც ეს ვერ ხერხდება, ეს უკანასკნელნი ხელმარჯვე დროს უყენებდნენ მჩაგვრელებს და ცენტრისაგან განლტოლვილი ენერგია კვლავ ახერხებდა მათ დარღვევას, მათ დაშლას.** მაგალითისათვის კმარა დავასახელოთ იმპერია ალექსანდრე მაკედონელისა, იმპერიები რომისა და ბიზანტიისა; იმპერია კარლოს დიდისა, იმპერიები მეროვინგებისა და კაროლინგებისა, ანაციონალური სახელმწიფო — მეორე რომის იმპერია გერმანული ნაციისა, ნაპოლეონ ბონაპარტის იმპერია, იმპერიები ჰაბსბურგებისა, იმპერიები ჰოჰენცოლერნებისა და რომანოვებისა.

ამათ პარალელურად წინააზიაშიც ხდებოდა დიდი ნაციონალური კონგლომერატების აღდგენისა და რღვევის პროცესები. მოვიგონოთ იმპერიები სასანიდებისა და ღაზნევიდებისა ირანში, არაბთა დიდი ხალიფატი, სელჯუკიანთა უზარმაზარი სასულტანო, მონღოლთა მსოფლიო სახელმწიფო, ბოლოს ოტომანი თურქების იმპერია.

ჩვენს თაობებს ჰქონდა ბედნიერება, საკუთარი თვალით ეხილა განადგურება ჰაფსბურგებისა და ჰოჰენცოლერების იმპერიებისა და ოქტომბრის დიდი რევოლუციის მიერ დარღვევა რომანოვების იმპერიისა, დაშლა და დაქუცმაცება ოტომანთა ბარბაროსული სახელმწიფოსი.

კაცობრიული პროგრესის მსვლელობასთან ერთად მე-19 და მე-20 საუკუნეებში ძლიერდებოდა ეროვნული ენერგია მცირერიცხოვანი ერებისა. დიდი ბრიტანეთის იმპერიას გამოეცალა ირლანდია, ავსტრიას — უნგრეთი, ბოსნია, კროატეთი, სერბია და ჰერცოგოვინა, ოსმალეთს — საბერძნეთი, ბულგარეთი, ალბანეთი და რუმინეთი.

**მცირერიცხოვანი ერებისა და მათი კულტურების აღორძინების და მკვდრეთით აღდგენის ამ ახალ ეტაპზე ატლანტიის ოკეანის გადაღმა ძლიერდება ახალი იმპერიალისტური კონგლომერატი, რომელსაც არსებითად არც კი ჰქონია ჩვენი გაგების ნაციონალური ისტორია, საკუთარი კულტურის დასაცველად წარმოებული ბრძოლებით განმტკიცებული. უჩვეულო მაშინერიით აღჭურვილ ამ იმპერიალისტურ გაერთიანებას სწადია ორი რამ: ააღორძინოს აგონიის ზღურბლთან მისული მსოფლიო კაპიტალიზმი, გათქვიფოს და აბსორბირება უყოს არა მარტო მცირერიცხოვან ეროვნულ ერთეულებს, არამედ იგი გადანთქმას უპირებს ძველი კულტურის ისეთ სახელმწიფოებს, როგორიცაა საფრანგეთი, გერმანია და იტალია. ამ ანაციონალურ გაერთიანებას — ჩრდილოამერიკულ უნიონს, უკვე აღარ აკმაყოფილებს მონროეს დოქტრინა, იგი ცდილობს, ატლანტიკის პაქტის მეშვეობით პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა წაჰგლიჯოს ევროპის სახელმწიფოებს.**

ამას წინათ საბჭოურ პრესაში გამოქვეყნდა სავსებით აღმაშფოთებელი ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ აპამპულებენ საფრანგეთის შესანიშნავ ხალხს ამერიკული ჟურნალის „ლაიფის" მჯღაბნელები. „ქუჩის მეძავს" უწოდებენ ეს გათავხედებული რეპორტიორები საფრანგეთს, რომელმაც კაცობრიობას მისცა უბრწყინვალესი ლიტერატურა, ასეთივე მხატვრობა, მუსიკა და ხუროთმოძღვრება. ამას უბედავენ საფრანგეთს, გმირობითა და პატრიოტიზმით აღგზნებული ნაციონალური ისტორიის პატრონს. ასეთი ქედმაღლური შეყვირება აკადრეს ისეთ ქვეყანას, რომლის კულტურის ექსპონატები, ლუვრის ან ვერსალის მუზეუმის რომელიმე დარბაზში მოთავსებული, მთლად აიწონის ჩრდილო ამერიკის მთელ ცივილიზაციას.

მსოფლიო ისტორია იმის მოწმეა, რომ ყოველი ტირანი, ყოველი სახელმწიფო, რომელიც ოდესმე წაჰპოტინებია მსოფლიო ჰეგემონიას, უცილოდ დაღუპულა ბოლოს და ბოლოს.

ჩვენს საუკუნეში ისე ძლიერია და კონსოლიდებული კეთილი ნება მშვიდობის მოსურნე ხალხთა და ისე შეუმუსვრელია ეროვნული ინდივიდუაციის შერჩენის უნარი ერთა შორის, რომ ამაოდ დაშვრებიან ომის გამჩაღებელი კანიბალები. ამერიკელებს თავი მოაქვთ თავიანთი მრავალმილიონიანი ქალაქებით, მრავალტონიანი მანქანებით და მრავალსართულიანი „ბილდინგებით" — ქორედ-ქორედებით, განსაკუთრებით „ვულვორსის ბილდინგით".

ამას წინათ ერთი იანკი ჟურნალისტის ტრაბახი გადავიკითხე: ესა და ეს ბილდინგი 792 ფუტისა და ერთი წყრთის სიმაღლეაო. 206 მილიონ ტონას იწონისო იგი. მისი საერთო ფართობი — არეალი 70 ინგლისურ ეკრს, ან ქცევას უდრისო, 80.00 ელნათურა ინთებაო ამ სახლში, ორმოცდა სამი ინგლისურ მილის სიგრძე მილებიაო მასში გაყვანილი. 2 მილის სიგრძე ლიფტებია ამ ბილდინგში მოწყობილი, ერთ ნახევარ ეკრის სიფართოვე ფანჯრებია ამ ქორედში ჩასმული, და ა.შ.

ძველი საბერძნეთის სატახტო ქალაქი ათენი ვულვორსის ბილდინგის ფართობზე დაეტეოდა უთუოდ. მაგრამ, როგორც ცნობილია, ჰომეროსი და ფიდიასი, პლატონი და არისტოტელე ჩრდ. ამერიკაში არ დაბადებულან. შესაძლოა არც ჩვენში მოიპოვებოდეს ისეთი სახლები, რომელნიც 206.000.000 ტონას იწონიან, სამაგიეროდ, არც ლევ ტოლსტოის რომანები დაწერილა ამერიკაში, არც რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", არც ტარას შევჩენკოს პოემები და ზაქარია ფალიაშვილის ოპერები. არც ისეთი არქიტექტურა შეუქმნიათ ჩრდ. ამერიკაში, რომელიც ოდნავ მაინც წააგავდეს მცხეთის სვეტიცხოველს, ვასილი ნეტარის ტაძარს, კიევის სოფიას, ან ეჩმიაძინის რომელიმე ტაძარს.

**ჩვენ დიახაც გვწამს, რომ პროგრესული კაცობრიობა არ წავა კანიბალიზმის ბნელი ორწოხებისაკენ, არამედ იგი მიჰყვება იმ ნათელ გზას, რომელიც დაუსახა მას ხალხთა შორის მშვიდობის დიდმა მედროშემ — ჩვენმა ქვეყანამ.**

## ჩვენს საუკუნეში ისე ძლიერია და კონსოლიდებული კეთილი ნება მშვიდობის მოსურნე ხალხთა და ისე შეუმუსვრელია ეროვნული ინდივიდუაციის შერჩენის უნარი ერთა შორის, რომ ამაოდ დაშვრებიან ომის გამჩაღებელი კანიბალები

## ირანში ჯაშუში ჩამოახრჩეს

**ბირთვული სფეროს ირანელი მეცნიერის მკვლელობაში ბრალდებული ჩამოახრჩეს. თეირანის ვერსიით, 24 წლის მაჯიდ ჯამალი ფაშიმ პროფესორი მასუდ ალი მოჰამადი 2010 წლის იანვარში მისი სახლის წინ ბომბის აფეთქების შედეგად მოკლა.** ფაშის, აღნიშნული მკვლელობის გარდა, ისრაელის ჯაშუშობაში ედებოდა ბრალი, რომლის მიხედვითაც, მკვლელობისთვის მას 120 ათასი დოლარი გადაუხადეს. ოფიციალური ისრაელი მომხდარზე კომენტარს არ აკეთებს. „მაჯიდ ქამალი ფაში, მოსადის აგენტი და ადამიანი, რომელმაც მეცნიერი მასუდ ალი მოჰამედი მოკლა, სამშაბათს, დილით, ჩამოხრჩობილ იქნა", — გადმოცემს ირანული საინფორმაციო სააგენტო „ირნა". პროფესორი მასუდ ალი მოჰამადი თეირანის უნივერსიტეტში ფიზიკის პროფესორი იყო. ის ბოლო წლებში მოკლული ბირთვული სფეროს მეცნიერებიდან ერთ-ერთია.



## ნულოვანი ზრდა

**ოფიციალური მონაცემებით, ევროზონამ მიმდინარე წლის პირველ სამ თვეში ნულოვანი ზრდით რეცესია თავიდან აიცილა.** ეს, მეტწილად, გერმანიის ეკონომიკის 0.5-პროცენტიანი ზრდის დამსახურებაა. 2011 წლის ბოლო მეოთხედში ევროზონის ეკონომიკა 0.3 პროცენტით შემცირდა და ანალიტიკოსები შემცირებას კიდევ ვარაუდობდნენ. საფრანგეთის ეკონომიკამ პირველ მეოთხედში ნულპროცენტიანი ზრდა დააფიქსირა, მაშინ, როდესაც იტალიის ეკონომიკა 0.8 პროცენტით შემცირდა. ევროსტატის მიხედვით, ესპანეთის ეკონომიკა 0.3 პროცენტით შემცირდა. წინა წლის იმავე მეოთხედთან შედარებით, გერმანიის ეკონომიკამ 1.7-პროცენტიანი ზრდა განიცადა. გერმანიის სტატისტიკის სააგენტოს მონაცემებით, აღნიშნული ზრდა ექსპორტის ზრდამ და მაღალმა შიდა მოხმარებამ განაპირობა. ზრდასთან დაბრუნება ნიშნავს, რომ გერმანიამ თავიდან აიცილა ე.წ. ორმაგი რეცესია, რითაც გარკვეული ექსპერტების ვარაუდები გააქარწყლა.

მოკლედ

## «ალ ქაიდამ» ადამიანი-ბომბი შექმნა

**„ალ ქაიდამ" ქირურგების დახმარებით შექმნა ადამიანი-ბომბი, რომლის სხეულშიც ფეთქებადი იმპლანტანტებია ჩანერგილი. „დასავლური დაზვერვა დარწმუნებულია, რომ „ალ ქაიდას" ქირურგებმა თვითმკვლელი-ტერორისტების სხეულებში ფეთქებადი მოწყობილობების გადანერგვა ისწავლეს", — წერს უცხოური მედია.** ფეთქებადი მოწყობილობა გულმკერდისა და ბარძაყის რბილ ქსოვილებში ინერგება. მსგავსი იმპლანტანტები განკუთვნილია იმისთვის, რომ თვითმფრინავში ასაფეთქებელი მოწყობილობა შეუმჩნევლად აიტანონ, მსოფლიოს წამყვან აეროპორტებში დამონტაჟებულ სპეციალურ სკანერებს ამ ფეთქებადი მოწყობილობების აღმოჩენა არ შეუძლია.

## რუსეთში ტერორისტი გაასამართლეს

**სასამართლომ ქალს, რომელიც მოსკოვში, წითელ მოედანზე, ტერაქტის მოწყობას გეგმავდა, 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.** ზეინაპ სუიუპოვა მოსკოვში წითელ მოედანზე 2010 წლის დეკემბერში აფეთქების მოწყობის მცდელობაში ბრალდებულად აღიარეს. გეგმის მიხედვით, ზეინაპ სუიუპოვა და ბანდის კიდევ ერთი წევრი ზავჟატ დაუდოვა 2010 წლის 31 დეკემბერს დაახლოებით 20:00 საათზე ტაქსით მოსკოვის ცენტრში უნდა მისულიყვნენ და თავი უნდა აეფეთქებიათ, თუმცა მათ ამის განხორციელება ვერ შეძლეს. ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა სასტუმროში, რომელშიც ისინი გაჩერდნენ. მაშინ, როდესაც დაუდოვა ასაფეთქებელ მოწყობილობას ტანზე იმაგრებდა, ბომბი ამოქმედდა და ქალი ადგილზევე დაიღუპა.

კომენტარი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინს გაცილებით უკეთესი ურთიერთობა ჰქონდა ვაშინგტონთან, ვიდრე ლონდონთან. ჩერჩილი, რასაკვირველია, ამას ამჩნევდა. მას ძალიან აშფოთებდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის დაახლოების პერსპექტივა და, აქედან გამომდინარე, ინგლისის შედარებითი იზოლაცია.**



რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-18 (139-156)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

1943 წლის 5 ივლისს ცოცხალი ძალითა და იმ დროისთვის უახლესი სამხედრო ტექნიკით შევსებული ფაშისტური არმიები განახორციელებენ შეტევას ორიოლ-კურსკის რკალის მიმართულებით.

**11 ივლისს სტალინი ჩერჩილს უგზავნის წერილს, რომელშიც მკაცრად გმობს დასავლეთელი მოკავშირეების პოზიციას ევროპაში მეორე ფრონტის გაზაფხულისთვის გაუხსნელობის გამო: „ეს გადაწყვეტილება უდიდეს სირთულეებს უქმნის საბჭოთა კავშირს, რომელიც, თითქმის 2 წელიწადია, უდიდესი დაწოლის პირობებში ომობს გერმანიის მთავარი ძალებისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ“.**

ამ ფაქტს შეგნებულად უვლიან გვერდს თანამედროვე ვაიისტორიკოსები, რომლებიც ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ უდიდესი დანაკარგები, რაც წითელმა არმიამ ომის დროს განიცადა, სტალინისა და მისი მარშლების უნიჭო ხელმძღვანელობის ბრალია. ამასთან ინგლისისა და აშშ-ის მმართველი წრეების — მთავარი დამნაშავეების შესახებ კრინტს არ ძრავენ.

კურსკის „ცეცხლის რკალის“ მინდვრები ჯოჯოხეთად იქცა. ორივე დაპირისპირებული მხარე უდიდეს ზარალს განიცდიდა, მაგრამ ამ დროისთვის წითელი არმია უკვე მარაგდებოდა საბჭოთა წარმოების ტანკებისა და თვითმფრინავების სულ უფრო მეტი რაოდენობით. მუდმივად იზრდებოდა მისი ძლიერება. აშკარა გახდა მიმდინარე ომში მომხდარი გარდატეხა სსრ კავშირის სასარგებლოდ. **წითელმა არმიამ გაანადგურა გერმანელების ტანკების ნახევარი, მოიპოვა უპირატესობა ჰაერში და შეტევაზე გადავიდა. შედეგად გავათავისუფლეთ რუსეთის სამხრეთი რაიონები, დონბასი და მთელი დასავლეთ ნაპირის უკრაინა. ამან უზრუნველყო მარჯვენა ნაპირის უკრაინისკენ და ყირიმისკენ გაჭრა.**

სტალინი დათანხმდა მოსკოვში საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრას, რომელზეც მანამდე უარს ამბობდა ფრონტზე შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო. უფრო მეტიც, მან წამოაყენა წინადადება 1943 წლის ნოემბერ-დეკემბერში „დიდი სამეულის“ ირანში შეხვედრის თაობაზე.

კურსკის რკალის ბრძოლაში საბჭოთა შეიარაღებული ძალების გამარჯვებამ ფრიად შეაშფოთა ჩერჩილი. 1943 წლის 6 ოქტომბერს მან იდენს გერმანიის შესახებ უთხრა: **„ჩვენ არ უნდა დავასუსტოთ იგი უკიდურესობამდე — რუსეთის წინააღმდეგ დაგვჭირდება“. ერთ-ერთი სტენოგრაფისტი ქალის ჩანაწერის მიხედვით, „მინისტრთა კაბინეტის წევრები გაოგდნენ, ეს რომ გაიგონეს“.**

სტალინმა, როგორც ჩანს, კარგად უწყოდა ჩერჩილის ორპირობისა და გაიძვერობის ამბავი, რაც ინგლისის პრემიერის სტრატეგიას განსაზღვრავდა და სსრ კავშირისა და გერმანიის თანაბარი დასუსტებისკენ იყო მიმართული. მას სჭირდებოდა აშშ-ის უფრო საიმედო მხარდაჭერა, ამიტომ იყო, რომ მინისტრების კონფერენციაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა და ამერიკელებს დაჰპირდა, რომ გერმანიის დამარცხების შემდეგ იაპონიის წინააღმდეგ გაილაშქრებდა. აშშ ჩინეთთან ერთად იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩართული ძირითადი ქვეყანა იყო და მნიშვნელოვან დანაკარგებს განიცდიდა. ინგლისი შედარებით ნაკლებად მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომის აზიურ თეატრში.

მსოფლიოს ამ ნაწილის უზარმაზარი სივრცე ამერიკელებისგან მოითხოვდა უდიდეს ძალისხმევას. ჯარების ყველა სახეობის, უწინარეს ყოვლისა კი, სამხედრო საზღვაო ფლოტისა და ავიაციის ჩართულობას. პენტაგონის გათვლით, ამერიკის დანაკარგი საბჭოთა კავშირის მონაწილეობის გარეშე მილიონ კაცზე მეტი იქნებოდა. **რუზველტი (ყოველ შემთხვევაში, ატომური ბომბის შექმნამდე) ფრიად დაინტერესებული იყო აზიაში საბჭოთა კავშირის სამხედრო დახმარებით.**

სტალინს გაცილებით უკეთესი ურთიერთობა ჰქონდა ვაშინგტონთან, ვიდრე ლონდონთან. ჩერჩილი, რასაკვირველია, ამას ამჩნევდა. მას ძალიან აშფოთებდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის დაახლოების პერსპექტივა და, აქედან გამომდინარე, ინგლისის შედარებითი იზოლაცია. „დიდი სამეულის“ შეხვედრაზე დათანხმებით სტალინი ჩერჩილს შეშფოთებას უძლიერებდა, რითაც უზღუდავდა ანტისაბჭოთა ხრიკების განხორციელების სურვილსა და შესაძლებლობას.

თავის ჭეშმარიტ განზრახვებს ჩერჩილი სიტყვაკაზმულობით ფარავდა. მაგალითად, 1943 წლის შედეგებს რომ აჯამებდა, განაცხადა: „გერმანული ძლიერებისა და ტირანიის საშინელი და შემზარავი მანქანა დაძლეული და განადგურებულია რუსული გმირობით, სამხედრო ხელოვნებითა და მეცნიერებით“.

წელიწადი ჯერ არ იყო დამთავრებული და ჩერჩილს წინ ჰქონდა შეხვედრა ირანის დედაქალაქ თეირანში რუზველტთან და სტალინთან.



კურსკის ბრძოლა

### თეირანი

**კურსკის რკალზე გერმანელების განადგურების შემდეგ აშკარა გახდა წითელი არმიის უპირატესობა. იგი შეტევაზე გადავიდა. ამ გარემოებამ აიძულა ჩერჩილი, განეხორციელებია გარკვეული ღონისძიებანი რუსების მოსათოკად. მეორე ფრონტის გახსნის გაჭიანურებით, იტალიაში საომარი კამპანიის დუნედ ჩატარებით ინგლისელები და ამერიკელები რისკავდნენ, რომ დაკარგავდნენ გავლენას ევროპაში, რომელიც, გამორიცხული არ იყო, მთლიანად რუსეთის ხელში აღმოჩენილიყო.**

რა უნდა მოემოქმედათ?

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თვალთმაქცმა უინსტონმა ამ სიტუაციაში ეშმაკური დიპლომატიური მანევრი განახორციელა: შეეცადა, მკვეთრად გაეუარესებია ურთიერთობა იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის, ახლავე და გადაუდებლად. შექმნილი ვითარება ამას ხელს უწყობდა. და 1943 წლის 12 ნოემბერს სტალინმა პრემიერ-მინისტრისგან მიიღო წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო:

„ბრიტანეთისა და ამერიკის შტაბების უფროსები 22 ნოემბერს კაიროში უნდა შეხვდნენ ერთმანეთს ინგლის-ამერიკის ჯარების ოპერაციების, აგრეთვე, იაპონიის წინააღმდეგ ომის დეტალების თაობაზე მოსალაპარაკებლად... არსებობს იმედი, რომ განხილვას, შესაძლებელია, პირადად ჩან კაიში და ჩინეთის სამხედრო დელეგაცია დაესწროს...

არსებობს დიდი იმედი, რომ ამ კონფერენციაზე თქვენ გააგზავნით სრულუფლებიან სამხედრო დელეგაციას, თუ შესაძლებელია, ბ-ნ მოლოტოვთან ერთად...“

მოლოტოვისა და ჩან კაიშის შეხვედრას განხორციელება არ ეწერა (რაც, უეჭველია, იაპონელების ნეგატიურ რეაქციას გამოიწვევდა). სტალინმა დაუყოვნებლივ უპასუხა: „მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტს (რუზველტს. — ავტ.) ვწერდი 22 ნოემბერს მოლოტოვის კაიროში ჩასვლის შესაძლებლობის შესახებ, უნდა განვაცხადო, რომ ზოგიერთი მიზეზისა გამო, რომლებიც სერიოზული ხასიათისაა, მოლოტოვი, სამწუხაროდ, ვერ შეძლებს კაიროში ჩასვლას...

თავისთავად ცხადია, რომ თეირანში უნდა მოხდეს მხოლოდ სამი ქვეყნის მთავრობების მეთაურების შეხვედრა, როგორც შეთანხმებული ვიყავით. სხვა რომელიმე ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობა უეჭველად გამორიცხული უნდა იყოს.

წარმატებას ვუსურვებ შორეული აღმოსავლეთის საქმეებზე ჩინელებთან თქვენს თათბირს“.

▶

**სტალინმა არ უპასუხა. იგი ფეხზე წამოდგა და მოლოტოვსა და ვოროშილოვს მიმართა. — წავიდეთ. აქ საქმე არა გვაქვს. ჩვენ ბევრი საქმე გვაქვს გასაკეთებელი ფრონტზე. ჩერჩილი გაოგნდა, ჩაიბურტყუნა, რომ მას არასწორად გაუგეს.**

უკომენტაროდ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ასეთი სურვილის გამოხატვით მან მიახვედრა ადრესატი, რომ ამოიცნო მისი მორიგი ფანდი, და ამიტომ ჩინელებთან შესახვედრად საგარეო საქმეთა მინისტრიეს — ქვეყნის მეორე პირის გაგზავნას არ აპირებდა.

**იქნებ, ტყუილად ვწამებთ ცილს პატივცემულ ჯენტლმენს, რომელიც არც აპირებდა განხეთქილების ვაშლის ჩაგდებას იაპონიისა და საბჭოთა კავშირის ისედაც დაძაბულ ურთიერთობაში? რატომ იწვევდნენ საგარეო საქმეთა მინისტრს თათბირზე, სადაც იაპონიასთან ომის საკითხს იხილავდნენ? განა აქედან არ შეიძლება დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირი მალევე აპირებს ომის გამოცხადებას ამომავალი მზის ქვეყნისთვის?**

სტალინი არ აპირებდა იაპონიასთან ომს, სანამ არ გაანადგურებდნენ ჰიტლერულ გერმანიას. ამ მომენტში მას აინტერესებდა ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის საკითხი.

თეირანის კონფერენცია 1943 წლის 28 ნოემბერს გაიხსნა და 1 დეკემბერს დამთავრდა. ჩერჩილმა წარადგინა გეგმა მოკავშირეთა ჯარების ბალკანეთში გადასხმის შესახებ. სტალინი მოითხოვდა მეორე ფრონტის გახსნას საფრანგეთში. მანამდე კი დაარწმუნა მოკავშირეები, რომ საბჭოთა კავშირი გერმანიის განადგურების შემდეგ გაილაშქრებს იაპონიის წინააღმდეგ...

რუზველტი ამით დაკმაყოფილდა და მხარი დაუჭირა სტალინს, რითაც უარყო ჩერჩილის გეგმა. საფრანგეთში გადასხმა (ოპერაცია „ოვერლორდი“) 1944 წლის მაისისთვის დაიგეგმა.

თეირანის შედეგის ასეთი მოკლე გადმოცემა მიახლოებითაც ვერ ასახავს თეირანის კონფერენციაზე საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ლიდერების დიპლომატიური ბრძოლისა და მონაწილეთა ხასიათების დაპირისპირების სიმძაფრეს. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ რუზველტი დათანხმდა, დაბანაკებულიყო საბჭოთა საელჩოს ტერიტორიაზე. ეს არ ესიამოვნა ჩერჩილს. აშშ-ის პრეზიდენტსა და საბჭოთა ლიდერს საშუალება მიეცათ, პირადი საუბრებით უკეთ გაეცნოთ ერთმანეთი. ისინი განიმსჭვალნენ პირადი სიმპათიითა და ერთგვარი ურთიერთნდობითაც კი, რაც აისახა ოფიციალური შეხვედრების შემდგომ მსვლელობაზე.

**მეორე ფრონტის გახსნის შესახებ თანხმობა მოკავშირეებმა უცებ არ განაცხადეს. ჩერჩილი მთელ თავის მჭევრმეტყველებას იშველიებდა, რათა დაემტკიცებია, რომ ინგლის-ამერიკის ჯარების პირველი რიგის ამოცანა ხმელთაშუაზღვის რეგიონში საომარი ოპერაციების განხორციელებაა. როგორც ჩანს, მას სურდა, თავისი კონტროლი დაედგინა ბალკანეთში, ასევე — ავსტრიაში, რუმინეთში, უნგრეთში მანამდე, სანამ იქ წითელი არმია შევიდოდა.**

**სტალინმა მოკლედ ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია, მოიშველია წონადი არგუმენტები იმის სასარგებლოდ, თუ რატომ უნდა განხორციელებულიყო ოპერაცია „ოვერლორდი“. უშედეგო კამათის შემდეგ სტალინმა პირდაპირ იკითხა:**

**— თუ შეიძლება წინდაუხედავი შეკითხვის დასმა, ინგლისელებს შევეკითხებოდი, სჯერათ თუ არა მათ ოპერაცია „ოვერლორდის“, თუ ისინი მის შესახებ იმიტომ ლაპარაკობენ, რომ რუსების დამშვიდება სურთ?**

**— თუ შეიქმნება ის პირობები, რომლებზეც მინიშნებული იყო მოსკოვის კონფერენციაზე, — უპასუხა ჩერჩილმა, — მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ ვალდებული ვიქნებით, გადავისროლოთ ჩვენი ყველა შესაძლო ძალები გერმანელების წინააღმდეგ, როცა ოპერაცია „ოვერლორდი“ დაიწყება.**

**ამ მიკიბულ-მოკიბულობის მიღმა იკითხებოდა აზრი: გარკვეულ პირობებში ჩვენ არ გადავისვრით რამდენადმე მნიშვნელოვან ძალებს საფრანგეთის ნაპირზე, ხოლო, როცა ოპერაცია დაიწყება, ამის გაკეთება დაგვიანებული იქნება, ამიტომ მისი განხორციელება საერთოდ მიზანშეუწონელია.**

**სტალინმა არ უპასუხა. იგი ფეხზე წამოდგა და მოლოტოვსა და ვოროშილოვს მიმართა.**

**— წავიდეთ. აქ საქმე არა გვაქვს. ჩვენ ბევრი საქმე გვაქვს გასაკეთებელი ფრონტზე.**

**ჩერჩილი გაოგნდა, ჩაიბურტყუნა, რომ მას არასწორად გაუგეს. რუზველტმა სიტუაციის შესარბილებლად შესთავაზა, შეესვენათ სადილისთვის, „რომლითაც დღეს მარშალი სტალინი გვიმასპინძლდება“.**

**სადილის დროს, რომელიც სადღეგრძელოების სიუხვის გამო დიდხანს გაგრძელდა, ჩერჩილმა უმაღლესი შეფასება მისცა სტალინგრადისათვის ბრძოლაში საბჭოთა ჯარისკაცების გამძლეობასა და გმირობას და გამოთქვა სურვილი, რომ ქალაქის ნანგრევები ხელშეუხებლად დაეტოვებიათ შთამომავლობისთვის სამაგალითოდ და ჭკუის სასწავლებლად. რუზველტმა მხარი დაუჭირა ამ შეთავაზებას, მაგრამ სტალინი შეეპასუხა:**

**— არ ვფიქრობ, რომ ღირს სტალინგრადის ნანგრევების მუზეუმის სახით დატოვება. ქალაქი აღდგება. შეიძლება მისი რომელიმე ნაწილი ხელუხლებელი დავტოვოთ — კვარტალი ან რამდენიმე შენობა — როგორც დიდი სამამულო ომის ძეგლი. მთელი ქალაქი კი ფენიქსებრ ფერფლისგან აღდგება, და ეს თავისთავად იქნება სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების ძეგლი.**

**სტალინი არ აპირებდა იაპონიასთან ომს, სანამ არ გაანადგურებდნენ ჰიტლერულ გერმანიას. ამ მომენტში მას აინტერესებდა ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის საკითხი**



თეირანის კონფერენცია. 1943 წ.

**მეორე ფრონტის გახსნის შესახებ თანხმობა მოკავშირეებმა უცებ არ განაცხადეს. ჩერჩილი მთელ თავის მჭევრმეტყველებას იშველიებდა, რათა დაემტკიცებია, რომ ინგლის-ამერიკის ჯარების პირველი რიგის ამოცანა ხმელთაშუაზღვის რეგიონში საომარი ოპერაციების განხორციელებაა**

ამგვარი სადილების დროს სერიოზულ საკითხებსაც განიხილავდნენ, მაგრამ კომიკურ შემთხვევებიც არ იყო გამორიცხული.

**ერთხელ, ჩერჩილი რომ გაეკენწლა, სტალინმა თქვა, რომ გამარჯვების შემდეგ საჭირო იქნება, რაც შეიძლება მალე სამხედრო დამნაშავეების დახვრეტა — გერმანელი გენერლებისა და ოფიცრების, რომელთა რაოდენობა დაახლოებით 50 ათასია.**

**ჩერჩილი, რომელსაც სომხური კონიაკი მოკიდებული ჰქონდა, ამ სიტყვებმა მწყობრიდან გამოიყვანა. აღშფოთებული წამოიჭრა და ემოციურად განაცხადა:**

**— ამგვარი შეხედულება ძირფესვიანად ეწინააღმდეგება ინგლისურ სამართლიანობის გრძნობას! ინგლისელები ვერასოდეს მოითმენენ ამგვარ მასობრივ წამებას!**

**რუზველტის შვილმა, რომელიც მიხვდა, რომ სტალინი ხუმრობდა, მხარი დაუჭირა საბჭოთა ლიდერს, რითაც ჩერჩილის აღშფოთების ახალ ტალღას მისცა ბიძგი. აქ ჩაერთო რუზველტი და ღიმილით განაცხადა:**

**— აუცილებელია კომპრომისული გადაწყვეტილების მოძებნა. შეიძლება 50 ათასი სამხედრო დამნაშავის დახვრეტის ნაცვლად შევთანხმდეთ ორმოცდაცხრა ათასზე?**

**ჩერჩილის მოგონების მიხედვით, ამ სიტყვების შემდეგ მან სუფრიდან წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ დასამშვიდებლად მომიჯნავე ოთახში შევიდა და ფანჯარასთან დადგა. უცებ იგრძნო, რომ ვიღაცამ მხარზე ხელი დაადო. შემობრუნდა და სტალინი და მოლოტოვი დაინახა. სტალინმა გაიღიმა და განაცხადა, რომ იხუმრა. ჩერჩილი მიხვდა, რომ მას მართლაც გაეხუმრნენ... გულახდილი საუბარი გაგრძელდა, რომლის დროსაც სტალინმა მიახვედრა, რომ შეგნებულად გაამწვავა ეს პატარა კონფლიქტი:**

**— მტკიცე მეგობრობა გაუგებრობით იწყება.**

**ჩერჩილმა თავის მემუარებში აღნიშნა: „სტალინს შეუძლია იყოს მომხიბლავი, როცა მას ეს სურს“.**

ჩერჩილმა, შესაძლოა, სამაგიეროს გადახდა მოისურვა, და როცა მის დაბადების დღეს აღნიშნავდნენ, ინგლისის გენერალური შტაბის უფროსმა ალან ბრუკმა პროვოკაციული სადღეგრძელო წარმოთქვა:

— ამ ომში ყველაზე დიდი მსხვერპლი ინგლისელებმა გაიღეს, სხვებზე მეტი იომეს და სხვებზე მეტი გააკეთეს გამარჯვების მოსაპოვებლად...

სავსებით შესაძლებელია, რომ ეს სპონტანურად კი არ იყო წარმოთქმული, არამედ — ჩერჩილთან შეთანხმებით, რათა ყოველთვის მშვიდი სტალინი მწყობრიდან გამოეყვანათ. მას, ცხადია, არ ესიამოვნა, მაგრამ თავი შეიკავა და აუღელვებლად წამოდგა. ადვილი წარმოსადგენია, როგორი დაძაბული იყო ჩერჩილი ამ მომენტში. მან შესანიშნავად იცოდა, რომ ბრუკი თავხედურად ცრუობდა, რადგან საბჭოთა დანაკარგები შეუდარებლად ჭარბობდა ინგლისელებისას.

— მე მინდა ვთქვა, — დინჯად წარმოთქვა სტალინმა, — რა გააკეთეს პრეზიდენტმა რუზველტმა და შეერთებულმა შტატებმა გამარჯვებისთვის. ამ ომში მთავარია მანქანები. მათ შეუძლიათ ყოველთვიურად აწარმოონ 8-10 ათასი თვითმფრინავი, ინგლისს — 3 ათასი. მაშასადამე, შეერთებული შტატები მანქანების ქვეყანაა. ეს მანქანები, რომლებსაც ლენდ-ლიზით ვიღებთ, გვეხმარება ომის მოგებაში...

სტალინს სიტყვაც არ წამოსცდენია საბჭოთა კავშირის დანაკარგებზე, თითქოს არც შეუნიშნავს ინგლისელი გენერლის გაიძვერობა, არ მიაქცია მას არავითარი ყურადღება, რითაც აჩვენა, რომ არ აპირებს, პასუხი გასცეს ამგვარ ბინძურ ინსინუაციებს. ამასთან ერთად, მან დაანახა ყველას, რომ ფაშისტებზე გამარჯვებაში საბჭოთა კავშირის პირველობაში ეჭვის შეტანა სისულელე და უგნურებაა. ხოლო ორი დანარჩენი მოკავშირისგან უპირატესობას იმსახურებს ის, ვინც გაცილებით მეტი რაოდენობის ტექნიკით ამარაგებს მას, ეხმარება „ომის მოგებაში“. აქ ერთგვარი ორაზროვნებაა: ან მხოლოდ საბჭოთა კავშირი იგულისხმება, რომელიც ჰიტლერელთა ურდოებს ანადგურებს, ან — ყველა მოკავშირე ერთად.

დაბოლოს, აშშ-ის როლისთვის ხაზგასმით სტალინმა სამომავლოდ განსაზღვრა ორი ზესახელმწიფოს პირველობა, რომელთა ინდუსტრიული ძლიერება გაცილებით მაღალია, ვიდრე დიდი ბრიტანეთისა. ამას ჩერჩილი ყურს ვერ მოუყრუებდა. მან მიიღო ღია და პატიოსანი დიპლომატიის გაკვეთილი, ამასთან, ღრმად გააზრებული დიპლომატიისა. თავისი მოკლე სიტყვით სტალინმა ბევრი რამის თქმა შეძლო.

**სავარაუდოა, რომ სწორედ თეირანის კონფერენციის დროს განიმსჭვალა ჩერჩილი პატივისცემითა და ნდობით სტალინისადმი. თუმცა, როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა, არ თაკილობდა, მის მძიმე მდგომარეობაში ჩაყენებას, ცდილობდა მის მოტყუებას. აქვე უნდა ითქვას, რომ ბატონ უინსტონის ამგვარი მცდელობა ყოველთვის უშედეგოდ მთავრდებოდა.**

ბრიტანეთის პრემიერის მდგომარეობა ამ კონფერენციაზე მარტივი არ იყო. იმის გარდა, რომ რუზველტი ხშირად მხარს უჭერდა სტალინს და არ მალავდა მისდამი სიმპათიას, აშკარად იკვეთებოდა, რომ ინგლისი ორ ზესახელმწიფოსთან შედარებით მეორე პლანზე გადადის. ჩერჩილმა თავის მეგობრებთან აღიარა, რომ მაშინ შეიგნო, „რა პატარა ქვეყანაა ბრიტანეთი“. მისი სიტყვებით: „ერთ მხარეს უზარმაზარი რუსული დათვი მეჯდა, მეორე მხარეს — უზარმაზარი ამერიკელი ბიზონი. და მათ შორის იჯდა საწყალი, პატარა ინგლისელი ვირი... და მხოლოდ მან, ერთმა სამთაგან, იცოდა სწორი გზა შინისკენ“.

სასაცილოა მოხდენილი სტალინის უზარმაზარ დათვად წარმოდგენა, ძონძროხა ჩერჩილის კი ვირუკად, გასაგებია, რომ ჩერჩილი ამ ალეგორიით ქვეყნებს წარმოგვიდგენდა. მაგრამ შინისკენ სწორი გზის ცოდნის საკითხში აშკარად გადააჭარბა. იგი კმაყოფილდებოდა თავისი მორიდებული როლით კონფერენციაზე არა ინგლისის სიმცირის გამო, არამედ იმიტომ, რომ დიპლომატიურ ორთაბრძოლაში მას აშკარად ჯაბნიდა სტალინი.

**თავის მრავალტომიან ნაშრომში „მეორე მსოფლი ომი“ მან აღნიშნა, რომ თეირანში რუზველტმა ასეთი აზრი გამოთქვა: ომის შემდეგ მსოფლიოს 4 პოლიციელი გააკონტროლებს, ანუ მათი სამეული ჩინეთთან ერთად. სტალინი არ დაეთანხმა: ჩინეთი ასე ძლიერი არ არის, ევროპული ქვეყნებისთვის კი იგი უცხოა. ამიტომ უმჯობესია ცალ-ცალკე განვიხილოთ ევროპა და აზია. „ამ საკითხში, — დაასკვნა ჩერჩილმა, — საბჭოთა ბელადი გაცილებით შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა და გამოამჟღავნა არსებული მდგომარეობის უფრო სწორი გაგება, ვიდრე პრეზიდენტმა“.**

და კიდევ. **როცა სერიოზულად განიხილავდნენ ნაცისტურ დამნაშავეთა ბედის საკითხს, ჩერჩილმა წამოაყენა წინადადება გაუსამართლებლად მათი სიკვდილით დასჯის შესახებ. მისი აღიარებით (რუზველტისადმი გაგზავნილ წერილში) „სტალინმა მოულოდნელად ულტრაწესიერი პოზიცია დაიკავა. სიკვდილით დასჯა გაუსამართლებლად არ შეიძლება: წინააღმდეგ შემთხვევაში მსოფლიო იტყვის, რომ ჩვენ მათი გასამართლების შეგვეშინდა. მე მივანიშნე იმ სიძნელეებზე, რომლებიც საერთაშორიო სამართალშია, მაგრამ მან მიპასუხა, რომ, თუ არ გავასამართლებთ, მათ უნდა მიესაჯოს სამუდამო პატიმრობა, მაგრამ არა სიკვდილი“.**

**საბჭოთა ლიდერმა ჩერჩილს ამით კიდევ ერთი გაკვეთილი ჩაუტარა, თუ როგორი გადაწყვეტილებები უნდა იქნას მიღებული ძნელ სიტუაციაში.**

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## 10. Jaguar

მსოფლიოში ყველაზე სწრაფი სუპერ კომპიუტერი 2009 წლის „TOP500 supercomputer“-ია. მისი ქარხნული სახელია Cray XT5, მაგრამ მას „Jaguar“-ის სახელით იცნობენ. მას შეუძლია შეასრულოს 1 კუატრილიონზე მეტი ოპერაცია.

# მსოფლიოს ყველაზე მძლავრი კომპიუტერები

ყველა დროის ყველაზე მძლავრი კომპიუტერი არ არსებობს. ციფრული ტექნოლოგიები ვითარდება და ყველა დროს თავის უმძლავრესი ფავორიტები ჰყავს. კომპიუტერებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა სიმძლავრეებით ითვლებოდა საუკეთესოებად.



## 1. Cray-1

Cray-1 იყო მსოფლიოში ყველაზე სწრაფი კომპიუტერი, რომელიც დამონტაჟდა Los Alamos-ის ეროვნულ ლაბორატორიში 1976 წელს. Cray-1-ს შეეძლო 160 მილიონი ოპერაციის შესრულება წამში. მისი პირველი მოდელი 5,5 ტონას იწონიდა.



## 4. Fujitsu Numerical Wind Tunnel

ცნობილია როგორც „Numerical Wind Tunnel“. დამზადდა Fujitsu-სა და იაპონიის ეროვნული აერონავტიკის ლაბორატორიაში. მანქანა გამოიყენებოდა ქარის მიმართულებისა და ამინდის პროგნოზების კვლევაში.



ოთხი წლის განმავლობაში, 2004 წლიდან 2008 წლამდე, იყო პირველ ადგილზე მსოფლიოს სუპერკომპიუტერებს შორის. ამჟამად კი „Blue Gene/L“-ი მეშვიდე ადგილზეა. მას 478,2 ტრილიონი ოპერაციის შესრულება შეუძლია წამში.



## 2. Cray-2

Cray-2 1985 წელს გამოიგონეს. 1985-1989 წლებში ამ კოპიუტერს ამერიკაში „მსოფლიოს უსწრაფესი სუპერკომპიუტერი“ უწოდეს. Cray-2 ძირითადად ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვისა და ენერგეტიკის დეპარტამენტებში გამოიყენებოდა.



## 5. ASCI Red

ესაა უსწრაფესი კომპიუტერი 1997 წლის ივნისიდან 2000 წლის ივნისამდე. ASCI Red-ი გახდა Intel Corp-ის და Sandia Labs-ის თანამშრომლობის მიზეზი.





## 3. Connection Machine-5 (CM-5)

Connection Machine-5 (CM-5) გამოიგონეს 1991 წელს, ხოლო ერთი წლის შემდეგ, 1992 წელს, მას „მსოფლიოს უსწრაფესი სუპერკომპიუტერის“ გვირგვინი დაადგეს. ეს სუპერკომპიუტერი წარმატებით გამოიყენეს ხელოვნური ინტელექტისა და სიმბოლური დამუშავების სფეროში.



## 6. ASCI White

ASCI White-ის IBM სიტემამ შეცვალა ASCI Red-ი და 2000 წელს მას უსწრაფესი კომპიუტერის სახელი ჩამოართვა. ორი წლის მანძილზე წარმატებით იკავებდა პირველ ადგილს მსოფლიოს უსწრაფეს კომპიუტერებს შორის. ეს იყო კომპიუტერი, რომელსაც შეეძლო 12.3 ტრილიონი ოპერაციის შესრულება წამში.



## 7. The Earth Simulator

The Earth Simulator-ი შეიქმნა იაპონიის ატომური ენერგიის კვლევითი ინსტიტუტისა და იაპონიის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ცენტრის მიერ. Earth Simulator-ი იყო მსოფლიოს უსწრაფესი სუპერკომპიუტერი იყო 2002 წლიდან 2004 წლამდე.

## 9. IBM Roadrunner

„IBM Roadrunner“ 1 სუპერკომპიუტერად 2008 წლის ივნისში გახდა. მან შეძლო 1,042 პეტაფლოპი (პეტაფლოპი შეადგენს წამში 1000 ტრილიონ ოპერაციას) ოპერაციის შესრულება წამში. ამჟამად სუპერკომპიუტერი მდებარეობს „Los Alamos“-ის ეროვნულ ლაბორატორიაში.



## მუდმივად მოცინარი

**ჰოლანდიელმა ჰაგ ბოსმა ორი წლის წინ ფეხზე ოპერაცია გაიკეთა და ანესთეზიიდან გამოსვლის შემდეგ სიცილი არ შეუწყვეტია. ჰაგის სახეს მხიარული და უზრუნველი გამომეტყველება არ სცილდება.** ჰაგი ბოსის მეუღლეს ეჭვი არ ეპარება, რომ ამის მიზეზი სწორედ ანესთეზია და ექიმების უპასუხისმგებლობაა. ცოლ-ქმარს აღარ შეუძლია ნორმალურად იკამათოს ან თუნდაც იჩხუბოს, ქალმა რაც უნდა თქვას, ბოსი მხოლოდ იღიმება ან გულიანად ხარხარებს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უჩვეულო პლაჟები



**გაბონში** ლოანგოს ეროვნული პარკი ოკეანის სანაპიროზე რამდენიმე კილომეტრზეა გადაჭიმული და იქ ველური სპილოები, კამეჩები, ღორები, გორილები და ბეჰემოთები ნავარდობენ, აკვატორიაში კი — ვეშაპები, დელფინები და შავი ნამგალები. მიუხედავად ამისა, ეს ჩვეულებრივი პლაჟია არაჩვეულებრივი გამბედაობის დამსვენებელთათვის.



**Punaluu Beach**-ი ჰავაის ერთ-ერთი პლაჟია, რომელიც შავი ბაზალტის ქვიშით არის ცნობილი. ის უძველესი ვულკანური ლავის პროდუქტია, რომელიც ზღვამ გააგრილა. პლაჟს ხშირად სტუმრობენ მწვანე და ზღვის კუები, ქვეწარმავალს კი შეუძლია შავ ქვიშაზე მშვიდად ინავარდოს.



ქალაქ **ფორტ ბრეგის პლაჟი**, პირდაპირი მნიშვნელობით, მზის სხივებქვეშ ბრჭყვიალებს — ის ფერადი მინის ქვებითაა მოფენილი. თითქმის მთელი XX საუკუნის განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობა სანაპიროს ნაგვით ავსებდა, 1960-იან წლებში გენერალური დასუფთავების შემდეგ პლაჟზე მხოლოდ მინის პატარა ნამსხვრევები დარჩა, რაც მოგვიანებით პლაჟის სავიზიტო ბარათად და ტურისტულ ღირსშესანიშნაობად იქცა.



**ბაჰამის სანაპირო** ვარდისფერი ქვიშით არის დაფარული. უჩვეულო ეფექტი მიკროსკოპული მარტივი ორგანიზმებით არის გამოწვეული, რომლებიც დახოცვის შემდეგ ქვიშაზე თავიანთ ვარდისფერ ნიჟარებს ტოვებენ.



განსაკუთრებული ვულკანური წარმოშობის პერიდოტის კრისტალების წყალობით **ჰავაის** ერთ პლაჟზე ქვიშა მწვანე ფერისაა და ძალიან ჰგავს ახალ ბალახს.




**კარიბის კუნძულ სენ-მარტენზე მდებარე პლაჟი** ავიამოყვარულთა დასასვენებლად იდეალური ადგილია. ის Maxo-ს საერთაშორისო აეროპორტის ასაფრენ ბილიკთან ძალიან ახლოს მდებარეობს, რის გამოც ბოინგები ხშირად პლაჟზე წამოწოლილი დამსვენებლების თავზე დაფრინავენ.



**კორომანდელის ნახევარკუნძულზე** მდებარე პლაჟი ცხელი წყლის აბაზანებს მოგაგონებთ. მიწისქვეშა ცხელი წყლის ნაკადები ქვიშაში ჟონავს და თითოეულ დამსვენებელს შეუძლია ქვიშის ამოთხრის შედეგად საკუთარი აბაზანა მოიწყოს.



Maxo-ს სანაპიროს ბარას პლაჟს ვერც კი შეავადარებთ, ვინაიდან აქ აეროპორტი უშუალოდ პლაჟზეა აგებული. ბარას პლაჟი შოტლანდიაში მდებარეობს. პატარა ვერტმფრენები და თვითმფრინავები პირდაპირ ქვიშის ზოლზე ეშვებიან.

# ავსტრალიელი «ტიტანიკ-2»-ს აშენებს



**ავტრალიელი მილიარდერი კლაივ პალმერი ახალ „ტიტანიკს“ აშენებს. 21-ე საუკუნის „ტიტანიკის“ მშენებლობა 2013 წლის ბოლოს დაიწყება და 2016 წელს დასრულდება. მისი პირველი რეისი ლონდონი-ნიუ იორკი იქნება.**

ახალი „ტიტანიკი“ გაქრილი ვაშლივით ემგვანება წინამორბედს. იქნება ისეთივე მაღალი კლასის და ისეთივე ინტერიერითა და ექსტერიერით გაფორმებული. ერთადერთი, რაც ძველ და ახალ ლაინერებს განასხვავებს, „ტიტანიკი-2“ ის უახლესი აღჭურვილობა იქნება. პროექტი მილიარდერს 500 მილიონი დოლარი უჯდება. პალმერი ავსტრალიაში უმდიდრესი ადამიანია. მას აქვს სასტუმროთა ქსელი, ცხენების ბიზნესი, საკუთარი ფეხბურთის გუნდი და ახლა უკვე საკუთარი „ტიტანიკიც“ ეყოლება.

# ამერიკა სუქდება



**დიუკის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, 2030 წლისთვის აშშ-ის მოსახლეობის 42%-ს ზედმეტი წონა შეაწუხებს.**

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ გახდომა ყოველ მესამე ამერიკელს არ აწყენდა, ხოლო ყოველი მე-20, რომელსაც ზედმეტი 50 კგ აწუხებს, სიმსუქნით იტანჯება. 18 წლის შემდეგ ასეთი ადამიანების რაოდენობა გაორმაგდება, — აცხადებენ კვლევის ავტორები.

# აპოკალიფსი 2012 გადაიდო

**გვატემალაში არქეოლოგებმა მაიას ცივილიზაციის ახალი კალენდარი აღმოაჩინეს და, ამ ახალი წყაროს ცნობით, სამყაროს აღსასრული ადრე ნავარაუდებ 2012 წელზე გაცილებით გვიან დადგება.**



ამერიკელი არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი, მე-9 საუკუნეში შედგენილი კალენდრის ეგზემპლარის თანახმად, კაცობრიობას სიცოცხლე მინიმუმ შვიდი ათასი წლით გაუხანგრძლივდა.

ახალი აღმოჩენის შესწავლის შემდეგ მეცნიერებმა განაცხადეს, რომ ამ კალენდრის მონაცემები ემთხვევა იმისას, რომლის თანახმადაც 2012-ში აღსასრული გველოდა, მაგრამ ახალ კალენდარში ნახსენებიც კი არა სამყაროს აღსასრული, სულ მცირე, რამდენიმე ათასი წლის მანძილზე.

# «კაცის კაცი არ უნდა იყოს»

**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაცია (ხელმძღვანელი ზურაბ კვარაცხელია) აგრძელებს შეხვედრებს მეგრული კულტურის, ენის, პროზისა და პოეზიის ღირსეულ წარმომადგენლებთან. ამჯერად ზუგდიდის ოფისში საზოგადოების წინაშე წარსდგა მეგრული პროზისა და პოეზიის კლასიკოსი, ბატონი გიორგი სიჭინავა, რომელსაც ამ დღეებში დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.**



დარბაზში მყოფნი, სამეგრელოსა და აფხაზეთის წარმომადგენლები, გულთბილად მიესალმნენ საყვარელ მწერალს. გიორგი სიჭინავა ხომ მთელი ცხოვრება სწორედ ამ „ორ ბატონს“ — სამეგრელოსა და აფხაზეთს ემსახურება. **„გიორგი სიჭინავა არის ბრწყინვალე ქართველი პოეტი და პროზაიკოსი, მაგრამ, სხვებისგან განსხვავებით, ის არის ასევე მეგრული პოეზიისა და პროზის კლასიკოსი. ვინმეს შეიძლება ეუცხოოს ჩემი ასეთი განცხადება, მაგრამ მისი ლექსები და პროზაული ნაწარმოებები ამის ნათელი დადასტურებაა. დანიელ ფიფიას შემდეგ მეგრული პოეზია იმ დონეზე არავის აუყვანია, როგორც გიორგი სიჭინავამ“,** — აღნიშნა თავის გამოსვლაში ზურაბ კვარაცხელიამ.

გიორგი სიჭინავა, სხვა მრავალ დადებით თვისებასთან ერთად, გამოირჩევა თავაზიანობით, თავმდაბლობით, ვერ ეგუება ქება-დიდებას, არ უყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი. ამიტომაც ამ შეხვედრაზე მასზე და მის შემოქმედებაზე მისმა მეგობრებმა და თანამოაზრეებმა ილაპარაკეს. პოეტმა ედემ კვირტიამ წაიკითხა გიორგი სიჭინავას მეგრული ლექსები და ასევე ამ ლექსების მისეული ქართული თარგმანები. იუბილარ პოეტს მიესალმნენ და შემოქმედებითი წარმატებები უსურვეს ზაურ, ინდიკო და ვალერი ქობალიებმა, ალეკო თოდუამ, მეგრული ენის მკვლევარმა ედემ იზორიამ, პედაგოგმა ადინარ ფარჯიკიამ, რუსმა პოეტმა ქალმა ოლგა მენშიკოვა-ჩიქოვანისამ, დევნილმა ქალბატონმა ციალა ჩხეტიამ. მეგრული ვიკიპედიის ერთ-ერთმა შემქმნელმა გიგა ქავთარაძემ, ხოლო ცნობილმა მომღერალმა და მუსიკოსმა გურიელ ჭითანავამ აკორდეონის თანხლებით შეასრულა მეგრული და ქართული სიმღერები.

გიორგი სიჭინავამ მადლობა გადაუხადა მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს და მოკრძალებულად თავის შემოქმედებაზე ილაპარაკა. **„მე ორატორობით არ გამოვირჩევი, ამიტომაც მოკლედ მინდა მოგახსენოთ, რომ ხშირად მეუბნებიან, რატომ მიუბრუნდი მეგრულსო. მათ გასაგონად მინდა ვთქვა: მე კი არ მივუბრუნდი მეგრულს, არამედ იქიდან მოვდივარ. მე, როგორც ქართველი, მეგრულიდან მოვდივარ, საქართველოს ჩამოყალიბებაში, გაერთიანებაში ლომის წილი ჩემს კუთხეს მიუძღვის, მეგრული ენის დაცვა მიმაჩნია ფოლკლორის გაძლიერებად. მე არ მინდა, ვიცხოვრო ისეთ საქართველოში, რომელიც მეგრული ენის გაქრობას მოიწანდინებს“,** — განაცხადა გიორგი სიჭინავამ.

გიორგი სიჭინავას ცხოვრების კრედო არის სახალხო გმირის — უტუ მიქავას მიერ წარმოთქმული სიტყვები: **„კაცის კაცი არ უნდა იყოს, ყველანი ღმერთის გაჩენილები ვართო“.** სწორედ ეს გასდევს ლაიტმოტივად გიორგი სიჭინავას შემოქმედებას, სწორედ ამან გადააწყვეტინა, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, დაიწერა შესანიშნავი რომანი, ოთხტომეული „უტუ მიქა“, რომელშიც აღწერილია მეგრელთა სახალხო გმირის ცხოვრება და მისი ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ.

**(აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრის დასასრულს მოვიდნენ და იუბილარს მიესალმნენ ზუგდიდში „თავისუფალი საქართველოს“ სამეგრელოს ოფისის გახსნასთან დაკავშირებით თბილისიდან ჩამოსული სტუმრები, ბატონები: კახა კუკავა, ელიზბარ ჯაველიძე, თემურ ქორიძე და ალეკო შალამბერიძე.)**

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

# მოსკოვში გენერალი დუმბაძე მოკლეს



**21 მაისს მოსკოვში, რუბლევო-უსპენსკის გზატკეცილზე, გენერალი დუმბაძე მოკლეს. იგი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბათუმის 25-ე ბრიგადის მეთაური იყო. 2004 წელს, როდესაც აჭარასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის ურთიერთობა დაიძაბა, გენერალმა დუმბაძემ უარი განაცხადა, დამორჩილებოდა პრეზიდენტ სააკაშვილის ბრძანებებს და ასლან აბაშიძის დაქვემდებარებაში გადავიდა.**

მას შემდეგ, რაც აბაშიძემ აჭარა დატოვა, დუმბაძე უშიშროების ორგანოებმა სამშობლოს ღალატის ბრალდებით დააპატიმრეს. სასამართლომ მას 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. 2008 წლის აგვისტოში დუმბაძე საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთს ქართველ ტყვეებში გაუცვალა, ხოლო 2010 წელს მან რუსეთის მოქალაქეობა მიიღო.

რუბლევო-უსპენსკის გზატკეცილზე, 30 ნომერში მდებარე სახლთან, გენერალ დუმბაძეს მოტოციკლეტით მოძრავმა დამნაშავეებმა ესროლეს და მიიმალნენ.

# აშშ ირანს დაარტყამს

აშშ-ის ელჩმა ისრაელში დან შაპირომ ირანზე შეტევის შესახებ საიდუმლო ინფორმაცია გაამხილა. წყაროს ცნობით, სამხედრო ოპერაცია ირანის წინააღმდეგ არა მხოლოდ შესაძლებელია, არამედ დაგეგმილია და რეალიზაციისათვის მზად არის. აღნიშნული განცხადება თელ-ავივში გამართულ კერძო შეხვედრაზე გაკეთდა. გარდა ამისა, ისრაელის პრესა იუწყება, რომ დიპლომატის განცხადება აშშ-ის ადმინისტრაციის ყველა იმ საჯარო განცხადებას ეწინააღმდეგება, რომელთა თანახმადაც, ირანის ბირთვული პრობლემა დიპლომატიური გზით უნდა გადაიჭრას. დიპლომატმა უარყო თეორია, რომლის მიხედვითაც, აშშ-ის ხელმძღვანელობა მზად არის იმასთან შესაგუებლად, რომ ირანი თავის ბირთვულ პროგრამას ავითარებს.


# ელიტ ელექტრონიქსი 16 წლისაა

**16 მაისიდან 31მაისამდე 16 წლის იუბილესთან დაკავშირებით ელიტ ელექტრონისქი მომხმარებელს სთავაზობს 16% ფასდაკლებას ბოშის ნებისმიერ მსხვილ საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე!**

**18 მაისისდან 31 მაისამდე ნებისმიერი მომხმარებელი, რომელიც ელიტ ელექტრონიქში შეიძენს მისთვის სასურველ ნებისმიერ ტელევიზორს საჩუქრად გადაეცემათ ხმის გამაძლიერებელი, SILKTV-ის უფასო ინსტალაცია და მომსახურების ორი თვის საფასურს ჩვენ გადავიხდით.**

სს „ელიტ ელექტრონიქსი“ 1996 წლის 16 მაისს დაფუძნდა. 1998 წლიდან ელიტ ელექტრონიქსი არის BOSH & SIEMENS-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში.

2006 წელს ,,ელიტ ელექტრონიქსი” გახდა GORENJE-ს ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში.

2008 წლიდან კომპანიას დიდი სიძნელეების გადალახვა მოუხდა. შეიცვალა დამფუძნებელთა სტრუქტურა, თუმცა ელიტ ელექტრონიქსმა შესძლო და გამოვიდა ამ რთული მდგომარეობიდან. დღეისათვის ელიტ ელექტრონიქსში 1000-მდე ადამიანია დასაქმებული.

2011 წელს კომპანიამ კიდევ უფრო გააუმჯობესა პროდუქციის ასორტიმენტი და ყველაზე ფართო არჩევანთან ერთად მომხმარებლებს ფასისა და ხარისხის საუკეთესო კომბინაცია სთავაზობს. აღსანიშნავია, რომ დღეს ქსელში 50-ზე მეტი დასახელების მსოფლიოს წამყვანი ბრენდის 10 000-ზე მეტი სხვადასხვა დასახელების ტექნიკაა წარმოდგენილი, მიუხედავად ფართო არჩევანისა კომპანია კიდევ გეგმავს სხვადასხვა ცნობილი ბრენდების შემოტანას ქართულ ბაზარზე.

„ელიტ ელექტრონიქსი“ დღეს საქართველოს ბაზარზე ყველაზე ფართო ქსელითაა წარმოდგენილი, იგი დღეისათვის 38 მაღაზიას ფლობს ქვეყნის მასშტაბით. კომპანია როგორც გაყიდვების, ასევე პროდუქციის მრავალფეროვნების,ხარისხისა და მომსხურების მიხედვით ბაზრის უპირობო ლიდერია.



# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

**ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:**

ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.



ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი,
ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736,
მობ.: (599)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru



საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია გამოძიება დაიჯესტი
http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru